ოსეთი ქართული წიგნებით

გადმოხატულია 1741 წ. სვეტიცხოვლიდამ.

ტფილისი. სტამბა „სორაჴანი“ 1915 წ.

წმიდა ნინო.

წმ. ნინო, ოდესაღაც ქალი, ცხეთაში ცხოვრების დროს, ამან გაიცნო ოსეთიც, მერე გადავიდა თუშ-ფშავ ხევსურეთს, აქედან ოსეთში და ოსთა შორის იქადაგა მცნება ქრისტესი. წმ. ნინოზედ წინედ ოსეთში ანდრია მოციქულიც გახლდათ და მატათა . მოციქულიც ხომ ოსეთში მიიცვალა. ამიტომ ოსეთის ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია.

ოსთა მეფე ფეროშა,



კავკია.

თანამედროვე პირი წმ. ნინოსი ფეროშა მირიან მეფეს ბიზანტიაშიც გაჰყვა კონსტანტინე იმპერატორის წინაშე. ოსეთი კონსტანტინეს ფეროშა მეფემ გააცნო. მერე ესევე ოსთა მეფე ფეროშა დაესიძავა მირიან მეფეს და წმ. ნინოსაგან ქრისტეც იწამა.

ოსთა მთავარი კავკია, თანამედროვე იყო ოსთა მეფისა ფეროშა და მირიან მეფისა, ამან იწამა წმ. ნინოსაგან მცნება ქრისტესი და ოსებშიაც ხელი შეუწყო ამ სწავლის გავრცელებას. ასე მოწმობს XVIII საუკ. ხელთნაწერ-

ოსთა მეფე ბაზუკა.

სცხოვრობდა მეხუთე საუკუნეში, იყო სახელგანთქმული გოლიათი, ამან და მისმა ძმამ აბაზუკამ სასტიკად დაამარცხეს სომეხთა მეფე სუმბათ ბივრიტიანი. ამათ ორი იცოდნენ ფალავნური, მეფენი ერთმანეთს ებრძოდნენ ⁄ ვინც იმძლავრებდა, მაშინ ის იყო გამარჯვებული. ასე რომ მათ დროს ომში სისხლი არ იღვრებოდა. კარგად სჩანს, რომ ოსთა მეფეს და მთავრებს კარგად სცოდნიათ ფასი კაცის სისხლისა. ამ გარემოებას ასაბუთებს შემდეგი სიტყვები, რაც ბაზუკა მეფეს უთქვამს სუმბათის დამარცხების დროს:—„და სთქვა:—„ესე სომეხთა დედათ და მამათ, ყმათა ჩვილთათვის, რომელნი თქვენ ასწყვიტენით“.

ოს ბაყათარი.

სცხოვრებდა ქრისტეს შემდეგ 440—500 წლებში. იყო სახელ განთქმული მეომარი ოსეთისა და ნათესავი მათ მეფეთა, მებრძოლი ვახტანგ გორგასლანისა. ბაყათარი ოსურად გმირს ეწოდება. ამ სახელის გმირი ბაყათრები ოსეთში შემდეგ საუკუნეებში სხვა გმირებიც იყვნენ.

ვახტანგ გორგასლანი.

პირისპირ მებრძოლი ოს ბაყათარისა, ვახტანგმა დაიპყრა ოსეთი და ქრისტეს სჯულიდან სპარსთა სჯულზედ გადასულნი ისევე ქრისტიანობაზე მოიყვანა და ოსეთის ეპისკოპოზიც დაუნიშნა. ვახტანგი ოს ბაყათართან ბრძოლის დროის საგმირო ტანთსაცმელით ძველად დახატული იყო ცხეთაში. იგი გათხუპნეს 1837 წ. მით მოისპო იშვიათი სურათი. ეს სურათი იერუსალიმის ჯვარის მონასტერიდამ არის გადმოხატული.

ურდურე მეფე ოსთა.

სცხოვრებდა მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებში 980—1020 წლებს. იყო სახელოვანი მეფე, მშვიდი და წყნარი, დიდი კავშირი ჰქონდა ბაგრატ მეოთხესთან; ამათი კავშირი ისეთი მტკიცე იყო, რომ მერე ბაგრატ მეოთხე ამ ურდურეს დაესიძავა.

ბორენა დედოფალი.

ასული ურდურე მეფისა, მეუღლე ბაგრატ მეოთხესი. ცნობილი მანდილოსანი საქართველოს ისტორიაში. ბაგრატმა პირველი ცოლის, ბიზანტიის იმპერატორის ლევანის დის, ელენას სიკვდილის შემდეგ ეს ბორენა შეირთო. ამ ქალს ბაგრატისაგან მიეცა ორი შვილი. ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ეს ქვრივი ქალი ოსეთში გადასახლდა თავის ძმასთან დასახლდა, ოსთა ბაგრატიონები ამის ძის დემეტრეს შთამომავალნი გახლავან. ბორენა შავით მოსილია ნახატში.



ოსთა მეფე დულულე.

ძე ურდურე ოსთა მეფისა, სცხოვრებდა XI საუკუნეში, იყო სახელოვანი მეფე და დიდი მეგობარი თავის სიძის ბაგრატ მეოთხის. ბაგრატს ამან დიდი დახმარება მისცა ოსის ჯარით ფადლონზედ გამარჯვების დროს. მერე ნიშნად ამ გამარჯვებისა იგი თავის სიძე ბაგრატს ქუთაისში ეწვია სადარბაზოდ ოსთა თავად-აზნაურებით, სადაც თავის დაა ბორენასთან დაჰყო თორმეტი დღე.

გიორგი ჭყონდიდელი.

მოძღვართ მოძღვარი დავით აღმაშენებლისა, ოსეთში იცხოვრა 12 წელიწადს. ამან ოსეთში დახსნა სასულიერო და სამონასტრო სკოლები, ოსთაგან ამზადებდა სამღვთო პირებს და სწვრთნიდა მათ სამღვთო წერილით. ქართული წერა-კითხვა ამან გაავრცელა ოსთა შორის, ოსეთში გარდაიცვალა, ქართლში მოასვენეს და ახალ მონასტერში დაასაფლავეს. დავით აღმაშენებელმა დიდათ იგლოვა, თვით მეფემ შავები ჩაიცვა.

სუდანი ოსთა მეფე.

სახელოვანი, ბრძენი კაცი ოსთა, იყო დაახლოებული მეგობარი დიმიტრი მეფის და ამის ძე გიორგი კურატპალატის, მერე გიორგი მეფემ ხუდანის ასული ბურდუხანი მეუღლედ შეირთა. ამით ქართველთა და ოსთა შორის დიდი, მტკიცე კავშირი განმტკიცდა.

ბურდუხან დედოფალი.

მეუღლე გიორგი მეფისა, ასული ხუდან ოსთა მეფისა, დედა თამარ მეფისა, ცნობილი მანდილოსანი ქართლის ცხოვრებაში.

თამარ მეფე.

მეუღლე დავით სოსლანისა, ერთ დროს ოსეთის მეფეც, ცნობილი მანდილოსანი საქართველოს ისტორიაში.

დავით სოსლანი ოსთა მეფე.

გვარად ბაგრატიონი შთამომავალი ბაგრატ მეოთხის და ბორენა დედოფლის ძის დემეტრე მეფის. ცნობილი პირი საქართველოს ისტორიაში. ამაზედ ნახეთ 1871 წ. ჟურნალი „მნათობი“.

ალღუზი ოსბაუთარ გმირი ოსთა.

სცხოვრებდა XIII საუკუნეში. ეს ალღუზი ოს მონგოლებსაც მოესწრა, ბაუთარ იყო სახელ განთქმული გოლიათი. ამის სახელს იქმნება რამე კავშირი აქვს პოემა „ალღუზიანთან". და გორში მცხოვრებ ალღუზიეების გვართან. ამის ცნობებიც ნუზალის ეკლესიებში დაკარგულა, მოუპარავთ.



თევდრე მეფე ოსთა.

მონგოლებისაგან ოსეთის განთავისუფლების შემდეგ, ეს თევდრე მთავარი არის მომდინარე იმ მეფეთა, რომელნიც მონგოლების შემდეგ ოსეთში გამოჩნდნენ და გამთავრდნენ. ეს თევდერე XVIII საუკუნის პირია.

ოსეთის დიდებულნი.

ოსთა კეთილშობილთა მეომრებს ასე სცმევიათ ტანსაცმელი, იგინი თითქმის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურულის ტანსაცმელით არიან მოსილნი. სახეზედ კი ეტყობათ ოსური ნიშნები. იგი დაცული არის ერთს ოჯახში, რაც მოპოვებულ იქმნა მიხეილ როსტომისაძე ლიბანაძესაგან ტფილისში, სადაც თქმულებაც ეთქვა ავტორსა დაშთენილი რომ ესენი არიან ძველი დროის ოსთა კეთილშობილთა მეომარნიო.

სურათების სახელების შეცდომა.

არის ალღუზი ოსბაუთარ გმირი ოსთა
უნდა იყოს
ალღუზი ოს **ბაყთარ** გმირი ოსთა.
არის სუდანი ოსთა მეფე
უნდა იყოს **ხუდანი**, ოსთა მეფე.

საძიებელი.

	გვერ.
ოსეთი	1
ხალხური გადმოცემანი და ზეპირ ამბები	33
ვახტანგ გორგასლანის გალაშქრება ოსეთში	110
ბორენა დედოფლის გამო (XI საუკ.) შენიშვნ.	136
ოსების სწავლა-განათლების საქმე ძველადგან	182
ოსების სოფლები ქართლში	185
ოსეთი, მონგოლების შემდეგ	186
ოსის ქალთა ცხოვრების ცნობები XII საუკ.	187
ოსური წიგნის გამო	188
ოსეთის თავად-აზნაურობა	195
ოსების სამწიგნობრო საქმე	206
კათოლიკის სარწმუნოების ვრცელება ოსეთში* (აქ გრიგორიანობის ვრცელება გამოგვრჩა)	210
ქურდობის საქმე ოსეთში	212
ოსეთი XIX საუკ. 1850 წლებში	215
ოსური ანბანის ისტორია და ანტონ I კათალიკოზი	217
პირველი ოსური სტამბა	220
ოსური ჟურნალ-გაზეთობა	221
ოსური თეატრი	223
ოსური კონცერტი და ოსური დეკლიები	224
ბატონ ყმობა ოსეთში	225
ოსების განათლება	227
ოსების ქალების განათლება	230
ოსების სახალხო სკოლები	233
ამაოდ მოწმუნეობა ოსეთში	234
ხალხური ლეგენდები	289
ოსეთის ისტორიის შესახებ	293
ოსეთის „საქრისტიანო კომისია“	277
ოსეთის სამეფოს გვარის წევრნი	282
ცნობები ოსეთის ისტორიის და სურათების შესახებ	286

ოსეთის ისტორია

ქართველის ისტორიულის წყაროებით

სურათებით

აღწერილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძის

ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი „სოროპანი“.
1913

ოსეთი.

ვახუშტის თქმით ოსეთის მიდამოთა მთიან ადგილებს სახელად კავკასი ეწოდა და ველსა „ოსი“-ო. იგივე მოგვითხრობს, რომ ხაზართა (7 საუკ. ქრ. წინედ) მეფემ კავკასის ქვეყანა მისცა თვის ძესა ურბანს, ამ მეფემ გააშენა კავკასიის მიდამოები, დაასახლა აქ ხალხი და მიტომ მის ადგილებს ეწოდა ოვსეთი, ვითომც ეს წარმოსდგა ქართულის სიტყვა დავსხავ თესვად, ამ აზრს მ. ჯანაშვილი არღვევს და ეს ამბობს, რომ ოსი, წარმომდგარი უნდა იყოს ოვსთა მეფე უობოსის სახელისაგანაო. ამ აზრს სხვებიც ეთანახმებიან. ვახუშტს ოსეთი რუსული „ов сѣти“ (сѣяти) ჰგონიაო. ამათისავე გარდმოცემით ოსეთის მთელი სივრცე მაშინ დანაწილდა და ხეობათ და თემებათ დაიყო, ამის მეთაური იყო ხაზართ მეფის შთამომავალი ძე ტინენისა დურძუკ-ოსი, ამიტომ ოსეთის ერის ნაწილს დურძუკ-ოსი ეწოდა და მეორე ნაწილს სადაც არაგვი სდის იმას ლომეკი. ანუ დვალეთი. ეს სიტყვა ვახუშტს ხაზარული ჰგონია „два лѣтъ“. მაგრამ ეს არ არის სწორე ახსნა, ამას ეწინააღმდეგება საქართველოს ისტორია. *)

ვითომც ოსნი მეფე ურბანოს ხაზართა ორ წელს ერთხელ მისცემდენ ხარკს და მიტომ ეწოდა „два лѣта“-ო. ვითომც თვით ვახუშტის დროსაც, ოსებს ასეთი წესი აქვნდათ, რომ თვის უფროსებს ორ წელს ერთხელ მისცემდენ ხარკს, ანუ საჩუქარსო. ესეც სიცრუე უნდა იყოს, ხოლო ხარკის გადახდა კი შეიძლება იმ სახით გახლდათ. შემდეგ ძურძუკეთი, ანუ ოვსეთი გაყოფილა სხვა და სხვა სახელწოდების მექონ ხეობათ, მაგალითებრ ჭასრის ხევად, ზრამაგად, ყდედად, ნარად, ზროგოდ და ზახად. ეს არის სახელები ერთის ნაწილის ოსეთისა, რომელიც სხვა მეფეთა, ანუ ხაზართა ფლობაშიაც იყო ხოლმე. მეორე ნაწილი ოვსეთისა, რო-

*) საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა.

მელიც შემდეგ საუკუნოებშიაც ექვემდებარებოდა ოვსთა მეფეთ, ეს იყო ჩიმი, თაგაური, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი*) ეს სახელნი ადგილებს ეწოდა ოსთა აქ დასახლების გამო, სადაც ესენი სცხოვრობდნენ თურმე.

დაბებს, სოფლებს და ქალაქებში, ოსთა გლეხთა შორის იყვნენ დიდი ღირსების მექონი, ანუ მფლობელნი მთათა, ბარის, სოფლის და სხვანი. ესეთი გვარნი ვახუშტის თქმით იყვნენ ბადელიძე, ჩერქეზისძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი, ჭახიდიძე და სხვანი. სხვა და სხვა დროს ოსეთი მტერთაგან აოხრებას ეძლეოდა, ამიტომ იგი დაიყო კიდევ რამდენსამე ნაწილად და იწოდა ჩერქეზად და უაბარდ. სხვა და სხვა დროს ოსეთი ხან სულ ირღვეოდა და იშლებოდა თვისის საზღვრებით და სხვა და სხვა ერთა ადგილ-მდებარეობათ ნაწილებში შედიოდა, როგორც ოვსეთის აქეთა მხრის, ანუ არაგვის გაღმა შეერთებულ იქმნა ქართლის სამეფოსთან და ამიტომ ოვსეთის ბევრი კუთხენი და მთა ადგილებიც ქართლის ხეობათ იქმნა წოდებული.

ქართულის ძველის ცნობებით: ოსეთი არის მაგარი, ყინვიანი ქვეყანა, მტერთაგან შეუვალი. ადგილ-მდებარეობა არის ხეობათაგან შემდგარი და მიტომ დიდი სივიწროვე არის ვაკე ადგილების.

წყალი ოვსეთში მრავლად არის წყარონი, ღელეები და დიდი მდინარენიც, მდინარეებში ძნელად ჩნდება რამე გამბრწყინელი ნივთიერება, წყალი არის სუფთა, უწყინარი და ანკარა. ძნელად რომ აქ სადმე ურგები, მაწყინარი წყალნი, ან წყარონი იქმნეს. მეავე წყლებიც ბევრს ალაგას იპოვება.

თევზეულობა. ღელეებსა და მდინარეებში მრავლად იცის, ნამეტურ არაგვში, ქებულია ორაგული, რაც წარმომდგარია სიტყვა არაგულიდამ. სხვა თევზნიც იცის, კალმახი, ხრამული, ღოქო და სხვანა.

ბუერა და ასეთნი, მაგალითებრ ქერი, სიმინდი, ფეტვი, ფშვრია და ასეთნიც მრავლად მოდის, ხორბალი არ იზრდე-

---

*) ბასიანი—მეორეც არის საქართველოში.

ბა სიცივე და ყინვების გამო, ამიტომ ოსებს უმეტესად ხორბალი და შავი ფქვილი ქართლის განაპირა ადგილებიდამ შეაქვსთ ოსეთში, ამიტომ ძველადგანვე ოვსნი ქართლის ადგილებში გადმოდიოდნენ და ხორბალს სთესდნენ თავიანთ საკვებად.

მცენარენი, არის მრავალნაირი და საუცხოვონი, მასში მოიპოვება ძალიან ბევრნი ისეთნიც, რომელ მცენარენიც ბარს ადგილებში სულ არ იზრდება. ხილი მრავალნაირია. ბარსა და ტყეში იცის კოწახური, მერხენი, უელი და ასკილი, სხვაც ამგვარნი ტყისა მრავლად იცის, ალაგ-ალაგ ხილი და ვაშლიც კარგი, ნამეტურ ქართლის შეყოლება, აქედამ თბილისშიაც შემოაქვთ უხვად და ჰყიდიან გოდრებით.

სქონელი, ანუ ოთხფეხი მრავლად, ძროხა პატარა ტანის და კაი ჯიშის მექონი, ნოყიერი რძის მომცემი. ცხვარი, აგრეთვე ნაყოფიერი და რძის მომცემი, ასევე თხა, ეგრეთვე ნაყოფიერი რძით, მრავალია ცხენი, ჯორი, ვირი და სხვაც ამგვარნი გარეულნი თუ შინაურნი. ყოველივე აქათ კარგი მცენარეები მარგებლობით ანოყივრებს.

ფრინველნი, იცის კაი ჯიშის, ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური, ასევე გარეულნი ფრინველნი, მარგენნი თუ არა ურგებნი მრავლად იცის, მასთან იგინი კარგათაც მრაკლობენ, აქ იცის ნამეტურ ფრინველი შურთხი, კაკაბის მსგავსი, ორის ქათმის ტოლი, ზამთარში შურთხი იზრდება თავის კურკლით, ეს ცნება ძველ დროისას ეხება XVIII საუკ. დღეს ამათი სიმრავლის და არსებობის ჩვენ არა ვიცით რა.

ნადირი, არის მრავლად ირემი, მშველი, ფოცხვერი, მელია, მგელი, ტურა, მაჩვი, დათვი, კურდღელი, ჯიხვი თხის მსგავსი, ესენი ჯოგ-ჯოგად მრავლობენ. ესენი მრავლობენ მთაში ყველგან დიდის რქიანი და მასთან შეუპოვარნი მთის ქარიშხლისაგან.

ლითონი, არის ოსეთში ვერცხლის, თითბრის, რკინის, გოგირდის, გვარჯილის და ბროლის ქვის, ხოლო ვახუშტის

თქმით ლითონთ ოსტატობა სულ არ იციანო. შეიძლება ეს დღეს იქ ასე აღარ არის და ოსებმაც ისწავლეს ბევრი რამ სახელოსნო საქმენი.

ჭაერი, არის ალაგ-ალაგ კანონიერი, ბევრს ალაგას ცივი, ზოგან თბილი, უვნებელი და მასთან ხშირად ცივი დახან მთისაგან ნოტიოც. ავათმყოფობა აქ ჰაერისაგან სულ არაფერი არსებობს, იშვიათად რომ აქ რამე სენი გაჩნდეს-ხურვება, ანუ ციავ-ცხელება აქეთ ხსენებათაც არ ყოფილა.

კაცნი და ქალნი, ვახუშტით არიან მშვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბიანი, შავ-თმოსანი, თეთრ ყირმიზნი, ტანოვანი, წერწეტნი, ჭამა-სმაში ზომიერნი, სტუმრობის დროს გაუმაძღარნი, პირ და პირ ვერ შემბედავნი, ლაშქარში ღამით შემპარავნი და გამომსვლელნი და სხვაც ასეთნი. თვის ქვეყანაში ლაღნიო და სხვის ქვეყანაში მხდალნიო, ეს ძველს დროს უნდა ეხებოდეს და ეხლა უეჭველია, განსხვავება იქნება ძველსა და ახალს შორის.

ესევე ცნობა ასახელებს მათ: გონიერად მოუბარნიო, მასთან ქურდებიო, მპარავნი, მატყუარნი, ხარბნი, მომხვეჭნი, მესისხლენი, მემრუშენი, ტყვის მყიდველ—მტაცავნი და სხვანი. ქალები მათი ქალწულებას იცავენ სასტიკათ ვიდრე დაქორწინდებიან, შერთვის შემდეგ კი კუროების გაჩენა რამდენიც უნდათ იმდენს გაიჩენენო. ამას ჩვენ არ ვეთანხმებით, ეს ტყუილია, ეს რომ მაშინ ასე ყოფილიყო, მაშ დღეს მთელი ოსეთი საროსკიპოთ იქნებოდა გადაქცეული, ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღესაც ოსთა შორის. ვინმე ცუდი ყოფაქცევის გამო სისხლით ისჯება და აბა ეს როგორ შეიძლებოდა რომ მაშინ ყოფილიყო და ოსის ქალს არა რცხვენოდეს კუროების გაჩენის გამო. ეს ჭორი და ცილი არის. ჩვენ ეს ყოველივე ჭორად და ცილად მიგვაჩნია, უეჭველია ამას ვახუშტი სხვების პირით სწერს და არა თავის თვალთ ნახულს ცნობებს. ასე გასაკიცხნი ოსნი არას დროს არ ყოფილან.

ტანთ საცმელი ქალთა და კაცთა არის მთიური, შესაფე-

რი, ყინულის გამო ატარებენ თხილამურებსაც, ქუდები აქვსთ ნადირთ—საქონლის ბეწვისა, შალეულობა კარგი, ხმარობენ აგრეთვე დარაიას, დარი ბაპათს, ყუთნას, ლეინსა და სხვათაც ამ გვარებს, უმეტესად თვით ქსოვენ და აკეთებენ, საფეიქროვები თვით აქვთ, ძაფსა და ნემსებსაც თვით აკეთებენ თურმე. XVIII საუკ. ნახევარს, ვახუშტის სიტყვით ოსნი განიყოფებოდენ ორის სჯულის ხალხად, ქრისტიანთ ეპისკოპოზი ნიქოზელი იყო და ამათ წერვა—კითხვაც იცოდნენ ქართული, ქრისტიანების გარდა ოსებში იყვნენ მუსულმანებიც, რომელიც გამაჰმადიანდნენ XVII საუკ. დამლევს, ძალით. ამათ ჰყავსთ ოსთაგან მოლები და ხოჯები, იცოდნენ ორი ცოლის შერთვაც, ქრისტიან ოსებს ამიტომ სძულდათ მუსულმან ოსები. მათში მტრობაც იყო დანერგილი. ქრისტიან თუ მუსულმან ოსთა იცოდნენ დიდი პატივის ცემა მოხუცებულ კაცთა და ქალთა, ყოველივე ამათი ბჭობით განირჩევა და მორიგდება სადავო, თუ გასაყრელი საქმენი, ესენი არიან დამამშვიდებელნი ყოველიფერში. ვაჭრობა და აღებ-მიცემა ურთი ერთ შორის, უმეტესად ერთი მეორეს ნივთებს გაუცვლის და ვისაც რა უნდა იმას წაიღებს, ასე სცოდნიათ XVIII საუკ. ნარევრამდე, ფული მათში არ ყოფილა მაშინ სავაჭრო ფართალი თურმე მათში კარგად იქსოვებოდა. კარგად სცოდნიათ თელვა, ქსოვა და სხვაც ასეთნი. სცოდნიათ მაშვინ ხელოსნობა მჭედლობა, ნალბანდობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაობა, დურგლობა, კალატოზობა, ხისა და თიხის ჭურჭლის კეთება და სხვანიც მრავალნი ამ გვარნი. ოსეთში არ ყოფილა მარილი, სელი, კანაფი, აბრეშუმი, ბამბა და სხვანი, ამაებს იგინი ზიდავდენ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. ქალებს სცოდნიათ კარგად კერვა, წმინდათ და ქსოვა ლამაზათ.

კაცთა და ქალთა სასმელათ აკეთებენ იყს, არაყს. მოზას, ჰური და ქერისაგან ლუდს და სმენ დღესასწაულებში, ქართილდამ ღვინოც გადააქვთ, იციან აგრეთვე კარგად ყვე-

ლი და ერბოს გაკეთება, ყველი ნაქებია მათი, ნამეტურ ხაჭაპური, ქადები, ნაზუქები და სხვანი, სულ კეცში გამოცხობილი. წვეულებაში იციან კაი პურობა და უმეტესად ცდა ნადირის ხორცის მირთმევის და ერბო ყველით გამომცხვარ პურების.

ოსეთში სხვა და სხვა ძველნი ნაშთებიც მრავლად არის ნაშენნი. უმეტესად ქართველ მეფეთაგან გაკეთებული კოშკნი, ეკლესია და მონასტრები, ბევრს ქართული ნაწერიც აქვს, ბევრი შემუსრვილი არის მტერთაგან. ასეთი ნაშთი ოსთა ქრისტიან მთავრებსაც უკეთებიათ. ამ გაკეთების ხანად უნდა ჩაითვალოს XI, XII და XIII საუკუნოები, მერე კი ოსებს ამის კეთების დრო არ ექნებოდათ, ცნობებიდამ სჩანს, რომ ძველად ოსთა შორის ეკლესიათა მაშენებელ ხელოსნებიც უნდა ყოფილიყვნენ, ამას ფიქრი არ უნდა, ვინაიდგან მათ ქართლში ხშირი მისვლა-მოსვლა აქვნდათ და მასთან კარგათ მზერდენ ქართველ ერის ხელოვნურად და მხატრულად ეკლესიების შენებას. ოსთა შორის ყოველივე ამის ოსტატობა დავარდა XIV საუკ. დამლევოდამ, რაც მონგოლების შემოსევის წყალობით მათი ცხოვრების მთის კარი დაიკეტა, იგინი მთაში დარჩნენ შეფხუწულნი და იქიდამ იცავდნენ თავიანთ მთიურს თავისუფლებასა.

ოსეთს საზღვრავს გარემოდ ჩერქეზთ და ღლღვივთ გარდა თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, მთიელნი. მთიულნი, ქისტნი და სხვა ასეთ წვრილიან მთის ერნი. ოსებს ფშავ-ხევსურ თუშებთან ხშირად შეტაკებაც მოხდენიად ხოლმე, უფროკი ოსებში ისლამის დანერგვის შემდეგ. ვახუტში ოსებს ჰყოფს შემდეგ ადგილ მდებარე ნაწილებათ: ქურთაული, რომლის მიდამოშიაც ხოხის მთიდამ გამოსდის წყალი და მიდის სამხრეთიდამ ჩრდილოდ და გასჭრის ჩერქეზის მთას, ამავე მაღლობზე არის ციხე ქურთათა მაგარი, არის ქურთაულის წყალიც, წყლის გამომდინარე მთას ქართული სახელი ჰქვიან ხოხის მთა, ესე იგი ზედ ახოხვის გამო, ვინაიდგან მაღალი არის და ახოხვით უნდა ავიდეს კაცი.

ქურთაულს შემდეგ სახელოვნებს ხეობა ალაგირისა, ქურთაულს დასავლით სძევს, ამავე ხეობის ზედ მისდევს ფიაქომის ხეობა, ამას მ. ჯანაშვილი ბაის ხეობას უწოდებს*) და ვალაგირს ანუ ყალლაგირს ზემო ოსეთათ. ამავ ადგილ მდებარეობას ზედ აკრავს კასრის ხეობა, რომელსაც საზღვრავს მყინვარი, კავკასი და ბრუტ საბძელი, მერე მოსდევს კასრის ხეობა, კასრა ალაგირის შორის მთა. კასრის ხეობას ზეიდ მოერთვის ჟღუდის ხეობა, სადაც წყალი მომდინარეობს კავკასის მთიდამ, აქედამ გადადის გზა კუდაროს და რაჭას. ქვემო ზარგმს ზეით ერთვის ნარის ხეობას წყალივე მის ხეობისა, არის აგრეთვე აქეთ ზემო ზრამაგა, მახლობლად ამავ მთაზა და ხეობათა მოერთვის ზახის ხეობა, რომელსაც მდინარე გამოსდის თურუოს და ზახას მთიდამ, ეს მდინარეც ბოლოს ერთვის ზარმაგის წყალს. აქედამ გზა გადადის მაღნარ დვალეთს, ლაბას და დიდ ლიახვზედ. ამავე ხეობას და მთებს აკრავს თრუსოს მთა. სამხრით კავკასი ზეკარისა, ჩრდილოთ. აქედამ გადადის გზა დიდს ლიახვზედ-ქართლს.

ზახის აღმოსავლით არის მთის იქით თრუსოს მთა და ხეობანი, ამას სამხრით კავკასი უძევს და მთიულეთსა და მაღნარ დვალეთს შორის ჩრდილოდ მყინვარი და ხოხის კავკასნი, თრუსოს ნაწილი არის სამი ხეობა, ზოხის მთა, მაღნარ დვალეთის და ხოხის, სამივესაგან წყლები გამოსდის, ამ ხეობის შემდეგ სახელოვნებს დიგორის ხეობა. ეს ნაწილი გაიყოფა ორად, ორის ნაწილის მეთაურნი ჩერქეზისძე და ბადელიძენი არიან. ამ კუთხის მთათა საზღვარნი უერთება რიონის სათავის აღმოსავლეთის კუთხის კალთებს, ოსეთისავე საზღვრებთა ნაწილს შეადგენს ბასიანი, სადაც მდინარე მოდის კავკასიის მთიდამ და მიდის სამხრით ჩრდილოდ. ოსეთისავე ნაწილს აკუთვნებენ ქისტეთს თვისის ხეობათა მიდამოებით და მდინარეებით, მასვე ქისტეთის ხეობსა და მთებს მისდევს ძურძუკის ხეობა, სოფელ დაბებით ნაშენი, ძურძუკ-

*) საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა.

სვე აკრავს ღლღვის ხეობა და მთა მიდამონი, ოსეთსვე ერთვის პანკისის ხეობა და მრავალიც სხვა ასეთნი, რომელთაც ჩვენ აქ არ ვიხსენიებთ.

ყოველივე ხეობანი არის ღრმა ღელე ხეობით სავსენი, მთიანი, კლდიანი, წყლიანი, მაგარნი და შეუვალნი, სივიწროვის და კლდე მთა უადგილობისა გამო მოუსავლიანია ოსეთი. XVIII საუკ. ნახევარს ოსეთის ერთი ნაწილი ჩერქეზებს ექვემდებარებოდა და ხარკს მათ აძლევდენ, ერთი ნაწილი ქართველთ და ერთი ნაწილიც მაჰმადის სჯულის გამო დღისტნის მოლებს და ხოჯებს მორჩილებდნენ. ოსეთის ერთი ნაწილი, რომელიც რაჭის უახლოეს სძევს, ემორჩილებოდა რაჭის ერისთავს. ოსეთი ჩვენ ავნუსხეთ ძველს დროით და ძველისავე ქართულის წყაროებით, აწინდელი ოსეთის მიდამოები კავკასიის ქარტით ყველამ იცის და ამიტომ აწინდელის ჩვენ არაფერი ავსწერეთ.

დღეს ოსები სცხოვრებენ მოზდოკს და მის მიდამოებს, გროზნის ოკრუგს, ინგუშეთს, ჩერქეზეთს, კავკასიის ნაწილში, საჩეჩნოში, მთიულეთს, ფშავ-ხევსურეთ, თუშეთს, თიანეთს, დუშეთის და გორის მაზრებს და სხვა ადგილებსაც თითო ოროლა სოფლებს. 1881 წ. ამ ხალხის რიცხვი ორივე სქესისაგან შესდგებოდა სულ 111,000 სული ყოფილა. 1906 წ. 150,000 სულზედ ასცდა, ესე იგი უმატნია. 1911 წ. უფრო მეტი იქნება და იქნება 200,000 ათასიც იყოს.

მსწავლულთა აზრით ოსები არიან ერთ უძველეს ტომთაგანნი. დოქ. პაფფის მოსაზრებით ოსნი ებრაელთა ნათესავადაც იქმნენ ცნობილნი, რადგანაც შუა გულს ოსეთში, ზოგი ერთ ადგილებს ისეთი სახელები ეწოდებათ, რომელნიც ებრაულია და ზოგი ამ სახელების „დაბადება“-შიაც მოიხსენებაო. ნათესავობა ოსების ებრაელებთან ისე განისაზღვრება, რომ ვითომც ოსნი ებრაელთა ზეგავლენის შემდეგ მოსულან ამ კუთხეში ირანიდამ და დასახლებულან. პაფფის მოსაზრება უკანასკნელ მიღებულ იქმნა მსწავლულთაგან

მხოლოდ ოსების ინდოევროპიელთ და ირანის ტომთა მონათესავობის შესახებ.

შეგრენმა, რომელმაც შეისწავლა საფუძვლიანად ოსური ენა და მისი გრამატიკა, ეს პირი წინეთ ოსებს ირანთა მონათესავეთ სთვლიდა და მერე კი ეკვი გამოთქვა არიელთ მოდგმის ირანელთ ტომის ოსთა მონათესავობაზე. ამ პირის ჰაზრით ოსები გერმანელთა მოდგმას უნდა ეკუთვნოდესო, რადგანაც ოსურ ენაში ნემეცური სიტყვების ხეებიც მოისმისო. ეს არ იქმნა შეწყნარებული.

მსწავლულმა მილერმა 1881 წ. საჯაროდ სთქვა ოსების მონათესავობა ირანის ტომთან. ეს მოსაზრება მან ლინგვისტიკურის მეცნიერებითაც დაასაბუთა და ოსური ენა აკუთვნა ირანის ტომის ნაწილს, რომელიც შემდეგ დროში მრავალ ნაირად შეცვლილა, გადასხვაფერებულა, ეს მომხდარა მაშინ როცა ოსები კასპის და შავი ზღვის შუა მოსულან და კავკასიის მთების შეყოლება დასახლებულან. ოსებს ძველად სარამატნი და მასაგეტნიც რქმევიათ. ამ მსწავლულის შემდეგ დასაბუთდა ოსების ნათესაობა ირანის ტომის შტოსთან.

ირონის—ირანელ ნათესავობის გამო, ოსნი ძველადგანვე წინააღმდეგნი იყვნენ, მათ სწყინდათ ეს და ამბობდნენ, რომ ჩვენ გვწყინს რომ თათრის ტომის ირანის მონათესავეთ გვთვლითო. ჩვენ თათრების კი არაფერი ვართ, არამედ ქართველების ნათესავები ვართ და ჩვენი ირონი ქართულის სიტყვა ერიდამ არის წარმომდგარიო. ამათის ფიქრით ეს ასე გახლავსთ, ჩვენ ამაზედ არას ვამბობთ, აქ მოგვყავს როგორც ცნობა, ეს სხვებმა გაარჩიონ.

ზოგიერთ მსწავლულთა თქმით, ოსებს ძველად მიცვალებულთ საფლავებს ისე სთხრიდენ და მკვდარსაც ისევე სუდრავდენ და ასაფლავებდენ როგორც ირანელნიო, ამიტომ ეკვი აღარ უნდა ამათ ნათესავობასაო. ევროპის და ნამეტურ რუსის ოფიციალური მსწავლულნი ძალიან რევენ

ოსების მოდგმის განსაზღვრის საქმეს. ოსები სცხოვრებდენ კავკასიის მთებთა შეყოლებით. მთელი ევროპიის ხალხი აზიიდამ სწორეთ ამ ოსეთის გზით მიემგზავრებოდა ხოლმე და ამიტომ მათ ოსთა მახლობლად დროებით დარჩენა უხდებოდათ, ხან ჩხუბიც პოლიტიკურს და ეკონომიურს მხარეებთა შესახებ, ამიტომაც ოსური ენა შერეულ იქმნა სხვა და სხვა ტომთა ენის სიტყვებთან.

სახელწოდება ოსი ბევრისთვის არის საკამათო საგანი, თუ ეს სიტყვა რას ნიშნავს და საიდამ არის წამომდგარიო. სწორედ იმ ალაგას სადაც დღეს ოსები სცხოვრებენ, მოიხსენებენ ბიზანტიის და რომაელთ მწერლებიც. გეროდოტე, რომელიც ქრისტეს წინეთ სცხოვრებდა 480—426 წ. ოსებს ისედონად იხიენიებს, ისედონთა საცხოვრეელ ადგილთ აღწერა უახლოვდება ოსეთის გეოგრაფიულს მდგომარეობას. ქრისტეს წინეთ V საუკ. ასევე მოიხსენებს ბიზანტიელი მწერალი პლინი, იგი ესედონად ასახელებს, პოტოლომეც, რომელიც ქრისტეს წინეთ IV საუკ. სცხოვრებდა, მოიხსენებს ისონდის, ეს სახელიც ოსებს ხატავს და მათ საბინადრო ადგილ მდებარეობასაო. ასე და ამ გვარად, გეროდოტეს მოხსენებას ისედონების შესახებ საკმარისად ასაბუთებენ და ამართლებენ პლინი და პოტოლომეც, უნდა ითქვას, რომ ოსთა სახელწოდება ერთობ ძველი უნდა იყოს, ოსი ამათ აქ მოსვლის და დასახლების შემდეგ უნდა დარქმეოდეთ სხვათაგან, თორემ თვითონ თავიანთ თავს ოსები ირონს უწოდებენ.

ბიზანტიის და რომაელთ ძველ მწერლებს ოსების შესახებ მრავალი ცნობები აქვსთ მოხსენებული თვის ნაწერებში, ხოლო ნაწერებში ოსთა მოხსენება სხვა და სხვანაირად არის გადასხვაფერებული. უამისობა მათგან არც შეიძლებოდა, რადგანაც იგინი ოსებს კარგადაც ვერ იცნობდნენ, მათ ამ ხალხის გაცნობა და გაგება აფხაზეთის და სამეგრელოს მხრიდამ უხდებოდათ, რადგანაც ბიზანტიელნი და რომა-

ელნი ხშირად იპყრობდენ შავი ზღვის ნაპირებს და ნამეტურ აფხაზეთს და სამეგრელოს. ხოლო ოსეთის შესახებ მათ კარგად გაცნობას ყოველთვის დაბრკოლებას მისცემდა იმ დროის ოსეთის გზათა სიშორე, მთები და მიუალობა. ასე და ამგვარად გეროდოტეს ისედონი, პლინის ისედონი და პოტლომეის ისონდა ჩვენებური, ანუ ქართული სიტყვა ოსი-დამ არის გადაღებული. დოქ. პაფის სიტყვა ოსი მიღებული აქვს მიდამ, რომ ვითომც ეს სახელი ერქვა ოსთა მამამთავარს და მიტომაც დაერქვა ოსეთს—ოსიო.

პაფფის ასეთი მოსაზრება უნდა იყოს მიბაძვა „ქართლის ცხოვრების“ სადაც ქართველის ერის მამამთავრად ქართლ-ოსია, ჰაოსიანთა ჰაოსი, მეგრელთა ეგ-ოსი, ლეკთა ლე-კოსი და სხვანი. ამ მოსაზრებას არა აქვს საფუძველი, რადგანაც ოსი თანდებულია ქართულის სიტყვის, ანუ რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც თან სდევს ქართლ-ოსი, ჰა-ოსი, კახ-ოსი, ბარდ-ოსი, ლეკ-ოსი და სხვანიც. ეს ჰაზრები მოგონებულ იქმნა X სიუკუნეში, სომეხთა მეისტორიე მხითარ ანელისაგან, რადგანაც ამას ამითი სურდა რომ ადგილობრივ მცხოვრებთ ტომთა შორის სიყვარული დაეთესა, ვინაიდან ქართველთ, ჰაოსიანთ და სხვათ შორის ქრისტიანობის მხრივ გვაროვნული მტრობაც იყო დაბადებული. ამ პირმა გააჩინა ეს გმირნი და უწოდა ყოველივეს თითო კუთხის და ერის სახელი, თორემ ამაზედ წინად, ძველ მეისტორიეთ ნაწერებში ქართლოს, ჰაოს და სხვათა ხსენებაც არ იყო.

რუსის მსწავლულნი ვინ იცის როგორ არ ხსნიან ამ სიტყვას, ამის მსგავს სიტყვებს ზოგი ჩინეთის ძველს მწერალთა ნაწერებში ეძებს, ზოგი ვინ იცის სადა და მით რევენ გეროდოტეს, პლინს და პოტლომეის სწორე ჩვენებას ოსის შესახებ. ესენი ყველა ყალბის შეხედულებით სჩანან, იგინი ოსთა მოსამზღვრედ და მონათესავედ ქართველებზედ კრინტსაც არ სძრავენ. გარდა ამის ოსეთის ერის სულიერს მხარეებს და გმირებთა მიდრეკილებას და პირობებს უფრო

ბერძნების, სპარსების და სხვათა გმირებს და მდევებს უდარებენ. თუ ეს მათი მოსაზრება რავდენად მართალია, ამას აჩენენ „ამირან-დარეჯანიანი“ მოსე ხონელისა, „დილარიანი“ სარგის თმოგველისა „ალლუზიანი“ და სხვანიც მრავალნი ასეთნი. ამ ცრუ მსწავლულებმა ძრიელ იმეცადინეს და ოსეში ძველის ცხოვრებით და ნათესავობით ისე დააშორეს ერთმანეთს, ისე გადაასხვაფერეს, რომ ბოლოს ანბანიც კი შეუდგინეს და მით მორთეს ოსების დიდება და სახელი. ოსი ზოგის მოსაზრებით ცხენი გამოხატეს, ზოგის თქმით ქაჯი, ზოგის ვინ იცის რა და მით ოსები უფრო დენპერელ გავლენის ქვეშ გამოაჩინეს ვიდრე საქართველოსი.

ხოლო ქართულს და ქართულ ისტორიის აზრებს ტყუილად არიდებენ პირს, უამისოდ ოსეთის შესახებ ვერას დასწერენ, სულ ძველის ძველ დროს რომ თავი დავანებოთ, ფარნავაზ მეფის შედეგიდამ ხომ ვერსად წავლენ და ვერსად რას ჰპოებენ. ქართლის და ოსეთის სახელწოდებათა ახსნის ხანა, ისტორია, ცხოვრება და სხვა ამგვარნი იქამდის ძველია, იქამდის ერთმანერთზედ გადამბულნი, რომ ძნელად ვინმემ ოსეთის შესახებ რამე დასწეროს და იმან ქართული ენა კი ირ იცოდეს. მაინც ჩვენ ძველის დროის აღწერით თავს არავის შევაწყენთ, ის რაც ევროპიელთ მწავლულთაგან არის თქმული ოსთა მოდგმის მონათესავობის და კავკასიაში მოსვლის შესახებ, ჩვენც იმას ვაღიარებთ და ამიტომ მეტი ლაპარაკი არ არის საჭირო.

ყალბ მეისტორიეთ საგულისხმოთ ვიტყვით, რომ ქართული სიტყვები ხშირად მოისმის სომხურში, ისევე სომხური ქართულში, ასევე ძრიელ ხშირად სჩანს ოსური სიტყვები ქართულ ენაში, ასევე ქართული ოსურში, ყოველივე ესენი კარგად აჩენენ, რომ ოსებს ძველთაგანვე თუ შემდეგ, ქრისტიანობის აყვავების და მის მერეც, ქართველებთან დაახლოებული კავშირი და ნათესავობა ჰქონიათ, ენა-ენას ჰგავს და სიტყვები-სიტყვებს, ხოლო ყველა ამას დიდი და-

კვირვება უნდა, ღრმა ცოდნა, თორემ ბოლოს გამოვა, რომ ოსური, აფხაზური, მეგრული, სვანური, თუშურ და სხვანიც ასეთნი მთის პატარა ტომთა ენანი არის ქართული და ქართული ენის ძირი, განუყრელი ფესვი და ხმა ამ ენისა.

ქართული სიტყვების ფესვი, მსგავსება და ნათესავობა ერთობ დიდია და საინტერესოც. მაგალითებრ ქართული სიტყვა ახოხილი—მაღალს ნიშნავს, ახოხვა მაღალზედ ასვლას და სხვანი. ოსურადაც ადათ ხოხ, სირეს ხოხ, ზიდ და ხოხ, ტეშდი ხოხ, ხოხ მთა მაღალი და სხვანი. ასევე დაშთენილია მდინარეთ სახელწოდებაში, მაგალითებრ ტუგაი დონ, სია დონ, ლია დონ, ნარ დონ, ზაკაი დონ და სხვანი. პირველი სიტყვა საკუთარი უნდა იყოს და მეორე კი ცხადი საქმეა დონს ქართულ მდინარესთან კავშირი უნდა აქვნდეს. ასეთ სიტყვებს კი არა ჩვენ სხვა უფრო უკეთესები და თითქმის ორივს ენაში ერთნაირად ხმარებულ სიტყვისას ათასობით მოვიყვანდით, მაგრამ ეს აქ საჭიროდ არ ვნახეთ, ბოლოში კი ცოტა ოდენს მოვიყვანთ. ყალბ მსწავლულთკი დონს დნეპერი შეუერთეს, ოსებიც მის კიდეებზედ მცხოვრებთ ნაწილად და მოდგმად აღიარეს.

ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის მოწმობით: სიტყვა კავკასი შემოტანილია აზებისაგან, ანუ ასებისაგან (დღეს ოსები) ინდოეთიდამ, ესეთი სიტყვა ოსთა წინაპართა შორის თვით ძველს საბინადრო ადგილებში მცხოვრებთ. ოსებშიაც კი ყოფილა დაშთენილი. ამავე მეისტორიეს აზრით: ოსური ენა შეადგენს მიდოევროპელ ენის შტოსო, მას აქვს ახლო ნათესავობა ქართველთან.

ცნობილი სენ მარტენი, მსწავლული ორიენტალისტი, ანბობს, რომ ოსეთის ნათესავობა მიდიელ ირანელ სპარსებთან ცხადიაო. მიდიელებს პლინიც მოიხსენებს და პოტლომეიც, პირველი ხსენებულს ადგულებში მცხოვრები ოსილიანებსაც ასახელებს, რომელიც ოსები უნდა იყოსო, ასაბუთებენ, რომ ჩეჩენები, ჩერგეზები და ოსე-

ბიც ამათი ნათესავები უნდა იყვნენ და ყველა ამათ მჭიდრო კავშირი აქვს ქართველ ტომთან და მათ ენასთან.

მსწავლულთა თქმით: თვით ამ ოსებისაგან უნდა იყოს წარმომდგარი და წოდებული კავკაზია, ანუ კავკასი, ეს სიტყვა მიდიიდამ ან ინდოეთიდან უნდა იყოს შემოტანილი, სულ ძველის ძველად, კავკასიის თემზდე, ოსები მრავლად ყოფილან მოფენილნი, პირველ ხალხად მაშინ ესენი იყვნენ, სამწუხაროდ ასეთ მძლავრს ერს ისტორიით მხოლოდ ქრისტეს წინ VI საუკ. ვიცნობთ და არა უფროს ძველის დროიდამო, მსწავლულთა თქმით, კავკასიის ტომთა ენებთ შორის სულ შვიდი ენა არის სახელოვანი და მათში პირველი ადგილი ოსურს უკავიაო, დანარჩენ 39 მეტი წვრილი ენები უმნიშვნელონი არიანო. საგულისხმოა ვიქონიოდ სახეში, რომ ამ ხალხთა საბინადრო ადგილებს ისეთი მაღალი მთები ეკრა, რომელთაც პირველი ადგილი უკავიათ გეოლოგიაში. მაგალითებრ ყაზი ბეგის მთა 16,546 ფ. სიმაღლით, ჟამურის მთა (ჯიმი) 15,673 ფ. სიარუხ ბეზონის 13,634 ფ. ტეპლი ხოხ 14,510 ფ. ადაი ხოხ 15,244 ფ. მერე სხვა მთები მოსდევს ზილ და ხოხ, წოწოლა ბრუტ საბძელი და სხვანი 12—14 ფუტამდე. შეუძლებელია, რომ ასეთ უმაღლეს მთების მახლობლად ძველად უმნიშვნელო და ველური ხალხი დასახლებულიყო, ეს შეუძლებელია. დღეინდელ ოსეთს კი სულ 100 ვერსამდე აქვს მანძილი ჩრდილოეთ და სამხრით აღმოსავლეთ დასავლეთამდი კი 150 ვერსი, ესეც არა სწორე ადგილები. ოსები თურმე კარგად იცნობენ ამ მთების მნიშვნელობას და მიტომაც სახლდებოდნენ მის გარშემო. მთებს ოსები და ქართველები ღმერთივით აფასებდნენ და ყოველ გაჭირებაში წვიმას, თუ ნიავს სულ მას შესთხოვდნენ, მიტომაც არის დაშთენილი რომ ოსებს და ქართველებს თვისი სალოცავები უმეტესად სულ მაღალ მთებზედ უშენებიათ. ქრისტეს წინედ, თუნდ ფარნავოზ მეფის დროს, ოსები მილიონობით იყო, მაღალ მთებს გარემოთა გარდა ბარშიაც მრავლად ესახლნენ,

ხოლო მეოდმივ აღმოსავლეთის ერთა მგზავრობამ შეასუსტა მათი რიცხვი, ხელი შეუწყო მათ გაფანტვას და დაკარგვას. თორემ წინედ ესენი მძლავრნი ყოფილან და მრავლად მოფენილნი, ასევე მოიხსენებს მათ საქართველოს ძველი ისტორიაც.

ქართველ და უცხო მეისტორიეთა ცნობით და თქმით. აღმოსავლეთის ქვეყნებში, ძველადგანვე გამრავლდნენ სკვითნი, ესენი იყვნენ ძლიერნი, ამათ შეავიწროეს აღმოსავლეთს მრავალთ ტომნი და აქეთ იქით დაფანტეს, ამათვე დაურბევიათ ირანელნი და თურანელნი, ამათვე შემუსრეს კავკასიის ძველ მცხოვრებ კიმერიელნიო, რომელნიც გაფანტული ფოფილან მცირე აზიაში, ამავე დროს, ირანის ტომის ერთი ნაწილი მიდიიდამ გადმოუფანტავთ და დაუსახლებიათ რამდენსამე წყობად კავკაზიის ჩრდილო მხარეს.

ამ გადმოსახლებულთ ისტორიკოსი მოსე ჯანშავიდი ოსებათ ასახელებს, დიახ ეს ასეც არის. ამავ გარდმოსახლებულთ ევროპის მსწავლულნი სარამატებად და ალანებადაც მოიხსენებენ, ოსების შთამომავლობა ეხლა მიდიელებთან დასაბუთებულია, იგინივე მოწმობენ, რომ ძველად დარიალი ოსებით იყო სავსეო. ამ დარიალის გზით განვლო მთელმა აღმოსავლეთის ერმა ევროპაში და ამ გარემოებამ ოსები დიდათ შეარყია სიმცირითაო. მათ დიდი გავლენა აქვნდათ ყოველთვის ოსებზეო, თუმც ოსნი მათ არ ეთვისებოდნენ, მაგრამ მძლავრის მგზავრთა მეოხებით კი მათი ძალა მცირდებოდაო. ამის საბუთია ისიც, რომ ოსურს ენაში ბევრი სხვა და სხვა ტომთა სიტყვებიც მოისმისო.

ამიტომ ნურავის ეუცხოვება ის გარემოება, რომ ძველად, ასე გამრავლებულთ ოსთა რიცხვმა ასე სიმცირით, ანუ შემცირებით მოაღწია ჩვენს დროამდის, ისტორიით ისიც ვიცით, თუ ძველის-ძველს დროის რამდენ ძლიერ და რიცხვით მრავალ სამეფონი დაეცნენ და მოისპნენ ისე, რომ

დღეს მათი ნასახი და ხსენებაც აღარ არის და თუ ოსებმა ამდენის ვაი-ვაგლახების შემდეგ თუნდ ასეთის სიმცირით დღემდეც მოაღწიეს, ესეც ერთი უტყუარი საბუთია და ნიშან-წყალი ამ ერის სიმძლავრის წარსულში. თუ არ ოსთა სიმძლავრე და რაინდობა, უამისოდ ისინიც ისევე გაქრებოდენ თავიანთ ქვეყნის ასპარეზზედ, როგორც გაქრნენ შრავალთ ძველ სამეფოთ ხსენება გეოგრაფიის რუკათა ფურცლებზედ.

მოგვითხრობენ კიდევ ოსთა შესახებ ამასაც: VII საუკ. ქრისტეს წინედ, მდინარე ვოლგას და კასპის ზღვის ნაპირებზე გამოჩენილა ველური მეომარი ხალხი—ბაზარი, ანუ ყივჩახნი, ამათ ცარცვა გლეჯის გარეშე დაუმორჩილებიათ ლეკები, ამათვე დაურბევიათ სომხეთი და მიდია, ქართველებსაც შაებნენ, სძლიეს, მათ დაიპირეს საქართველო და ასევე დაიპყრეს დარღალანი და მასთან ოსეთიც, მერე ამ ქვეყნებს დაუწყეს აოხრებაო. ამ ველურ ხალხის ძლიერ მეფეს შვილი უობოსი ჰყავდა, რომელსაც მისცა ხსენებული დაპყრობილი ქვეყნები და ხალხიო. ამათგან წარმოსდგა ნათესავი ოსთა და ოვსეთიო. თვით სიტყვა ხაზარი ოსური სიტყვა არის და ნიშნავს ხალხსო, ოსებს წინეთ მასა გეტები ერქვათო, მასა გეთიც ოსურად კოშკოვანს ნიშნავსო. მერე ვითომ ალანი, ანუ ჰალანი დაერქვათო.

ისტორიის მკვლევარნი სწერენ, რომ ოსებს ასეთ სხვა და სხვა სახელებს სხვები უწოდებდენ, თორემ თვითონ თავიანთ თავს ირონს უწოდებდენ და დღესაც ასევე უწოდებენო, მერე ოსები დიდათ გამრავლებულ გაძლიერებულნან, ამათ VI და V საუკ. ქრისტეს წინედ, დიდი გავლენა აქვნდათ მთელს აღმოსავლეთის ხალხებზედ, ამათ დაამარცხეს თურმე მაშინ ველური ხალხი ჰუნები, რომელნიც მათი მეზობელნი იყვნენ და მათ ქვეყნებსაც აოხრებდენ. ოსები თურმე საომარის ოსტატობით ისე დაწინაურდნენ, რომ იგინი V საუკ. შეებრძოლენ თვით ძლიერ ვახტანგ მეფესა-

ცო. მაინც ვახტანგ მეფემ დაამარცხა იგინი და ნიშნად ერთობის ნიქოზში ოსთა საეპისკოპოზო კათედრაც დაარსა და ეპისკოპოზიც დაუნიშნა, სადაც იღებდნენ ოსთა მღვდელნი ლოცვა კურთხევასაო. ოსების მეორე საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულ იქმნა XII საუკ. მეფის დავით აღმაშენებლისაგან ურბნის, ორივ ამ საეპისკოპოსოების სასულიერო სკოლებში ისდებოდნენ ოსთა სამღვდელო შვილები. ოსნი მძლავრნი ყოფილან როგორც რიცხვით, ისევე ქვეყნის სიმაგრით და სწავლის მიღებითაც, დავით აღმაშენებლისაგან ბიზანტიაში გაგზავნილ 40 მოსწავლე ქართველებში ოსებიც ერიენენ. XII საუკ. დამდეგ, ოსთა ნასწავლ კაცების საქართველოში მთელი გუნდი გახლდათ.

მეისტორიეთა მოწმობით უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ ქართველთ და ოსთა სიყვარული კავკასიაში მათის გაჩენის პირველის დღიდგანვე სჩანს, მათ ყოველთვის ჰქონიათ სიყვარული. ვახტანგ გორგასლანის ომი ქართველებთან პირველი მაგალითთან ოსებს V საუკუნეში. აღნიშვნენ იმასაც, რომ თვით ამ სამაგალითო ომის დროსაც ქართველთა და ოსთა შორის არ მოსპობილა ერთმანერთის სამეზობლო პატივისცემა და სიყვარული, ომის შემდეგ იგინი მალე შეეიდნენ დიდ სინანულში და ეს სინანული მათ მეფემა და მთავართ ხალხში საეროთაც განაცხადეს, რომ ჩვენ უბრალოდ ვღვარეთ სისხლი, ქართველნი და ოსნი ძმანი ვართ, ამას გვასწავლის ჩვენი ქრისტიანობა და ამიტომ დღეის შემდეგ ჩვენთ შორის ნათესავობა ძველებურად განახლდებაო. მიტომაც დასვა ვახტანგ გორგასლანმა ოსთათვის ნიქოზში— ნიქოზელი და XII საუკ. დავით აღმაშენებელმა ურბნის— ურბნელი.

კავკასიის თემზედ, ოსებიც ისეთივე ძველი ხალხია, როგორც სხვა მკვიდრნი ამ ქვეყნისა. ჩვენის ფიქრით და ზოგიერთ ისტორიელ ცნობათა დაკვირვებით და დასკვნით, ოსები ძველადგანვე ბევრად უფრო ძლიერნი და მძლავრნი

იყვნენ ვიდრე ქართლოსნი, ჰაოსიანნი და კავკასიის სხვა ასპარეზზედ ინდოეთის მიდიიდამ მოსულნი, ძირეულნი თუ მოსულნი. ასეთ ცნობათა მოსაზრებას „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული ცნობებიც გვაძლევს საბუთად, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყოს.

„ქართლის-ცხოვრების“ თქმით, ოსნი საქართველოში სჩნდებიან თითქმის იმ დროიდამ, როცა კი კავკასიაში ქართველთ, ჰაოსთ, ოსთა და სხვათა მონათესავე ტომთა ისტორიული ხანა იწყება. გვაუწყებს იგივე მატთიანე, რომ ქართველთა, ჰაოსიანთა, რანთა, მოვაკნელთა, ჰესელთა (კახეთი) მეგრელთა და კავკასიანთა (ოსები, ლეკები და სხვანი). იყო ერთი მამა თარგამოსი. თარგამოსი ნოეს შთამომავალი იყოვო, ბაბილონის გოდოლის შენების დროს, რაკი ხალხი გაიყო და ენაც აირია მათიო, მაშინ თარგამოსის ნათესავნი კავკასიაში წამოვიდნენ და ორ-ეთის მთის, ანუ არარატის მთის ახლოს დასახლდნენო. აქ გამრავლების შემდეგ ზოგნი აყრილან და წამოსულან დასავლით და დასახლებულან ჩრდილოდ, რომელ კუთხის, ანუ ორ-ეთის მთას სპარსნი იალბუზს უწოდებენო.

თარგამოსის შთამომალთა პირველ საბინადრო ადგილი ეს ყოფილა, აქაც გამრავლებულან, სხვათა შორის, მათში ყოფილან რვა გმირნი: ქართლოსი, ჰაოსი, მესამე ბარდოსი, მოვაკან, ლეკოს, ჰრეოს, კავეას, (ოსთა მამათ-მთავარი) და ეგროს. მთელი აღმოსავლეთ კავკასია ჩრდილოდ და სამხრეთ, აღმოსავლით და დასავლით ამათ გაიყვეს და დასახლდნენ, აქ მის მერე თვითაც გამრავლდენ დი მათი ქვეშევრდომნიც. თვით „ქართლის-ცხოვრების“ ისტორიული, თუ ზღაპრული ცნობებიც კავკასიის ტომთა პირველ საბინადრო კუთხედ ორ-ეთს ანუ ოსეთს ასახელებს, ხოლო რა გაყოფს რვა ძმათა ნაწილად კავკასიის ვრცელს კუთხეს, მერვე ძმის ეგროსის (მეგრული) საზღვრად ჩრდილოდ ასახელებს კავკასიის მთას, სადაც ამბობს:—„არცა იყო კაცი კავკასიათა ჩრდი-

ლოდ, და უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი ზღვისა დარუბანდისასა. ამისთვის მოიყვანეს მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი ლეკან და კავკასი და მისცა ლეკონს ზღვითგან დარუბანდისათა, ვიდრე მდინარემდე ლომეკისა. ჩრდილოდ, ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასიის ლომეკის მდინარიდგან ვიდრე დასასრულამდე კავკასიისა დასავლით“

„ქართლის ცხოვრების“ ცნობებში საშინელ არეული არის. ჯერეთ ამბობს, რომ არარატის მთის ძირიდამ მცხოვრებნი იალბუზის, ანუ კავკასიის მთის მახლობლივ დასახლდნენ და გამრავლდენო და მერე ესენი მოეფინენ მთელს კავკასიის თემთაო და იქვე, მალე, ანუ რვა გმირთა განყოფის შემდეგ კავკასიის მთის გარემო ადგილებს კაცთაგან ცარიელად ასახელებს. ვითომც მერე, რვა გმირთაგანნი ორნი ლეკან და კავკასიას დაასახლეს ახლანდელის ოსეთის საზღვრებზედ და ვითომც ამათგან არიან ოსნი და ლეკნი მოშენებულ გამრავლებელნი. რვა გმირში პირველი ადგილი ჰაოს უკავია, სომეხთა მამათ მთავარს, ეს არის გამყოფი ყველა ძმების და ადგილების მიმზომველიც.

ასეთ მოსაზრებას ევროპის მსწავლულნი და თვით ჩვენი ძველი მატთიანეც არღვევს. „ქართლის ცხოვრების“ ძველი ცნობები მკაცრად ეწინააღმდეგება ქართველთა, ოვსთა და კავკასიის სხვა და სხვა თემზედ მცხოვრებთ ნათესავობას. ერთია მხოლოდ ის მოსაწონი, რომ კავკასიის ყველა მონათესავეებს ერთ ძმებად და შთამომავლად აღიარებს. ეს კი ჩვენი დროის პუმანირისი სკოლის დევიზი გახლავსთ. „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა შესახებ ვიტყვით შემდეგს: X საუკუნემდის, კავკასიის ტომთა ისტორიულ გარდმოცემაში ასეთ ცნობათა ჰაზრიც კი არ არსებობდა, ხოლო ეს აზრი პირველად დასწერა სომეხთ მეისტორიე მხითარ ანელმა, მიზეზი ამისი ის იყო, რომ ქრისტიანობის მაღიარებელთ ერნი რამდენსამე ნაწილად დაიყვნენ, ქრისტეს სწავლა დაინაწი-

ლეს თავთავიანთებურად, ერთი მეორეზედ უკეთესობით იჩენდა თავს და ამიტომ ხშირად მათში სჯულის გამო ბრძოლაც იწყობოდა, როგორც მაგალითებრ ქართველთ, ჰაოსიანთ და ოვსთა შორისაც ხდებოდა. მხითარ ანელმა მიტომ დასწერა ასე და ყველა ერთ მამის შვილებად და ძმებად მიტომ აღიარა, რომ ეგენი აქითი მათში ძმური და ნათესავური სიყვარული ჩანერგილიყოს. ამას მით უფრო ითხოვდა დრო და გარემოება, რადგანაც ქრისტიანებს თავიანთ მტრობის გარდა მუსულმანთა ისლამის სჯულის მახვილიც ხშირად ცვლიენებოდა და ეს უფრო მუსრავდა და ანგრევ-აქცევდა ქრისტიანთა ყოველივეს. რაც შეეხება იმას, რომ რვა გმირთ შორის უპირატესობა ჰაოსს ეკუთვნის და ჰაიასტანს, ესეც ზით აიხსნება, რომ მხითარ ანელი ჰაოსიანი იყო და მიტომ უპირატესობაც ჰაოსიანთ მიანიჭა ამ ისტორიულს გადმოცემის შეთხზვაში:

პირველ გამრავლების დროიდგან, შვიდნივე ესე გმირნი თავიანთის ერით ნებროთს ემორჩილებოდნენ, სპარსეთის მეფე ნებროთს. ჰაოსის წინამძღვრობით, რვავე ძმანი თავიანთის ერით წინ აღუდგნენ ნებროთს და მონების უღელს აღება დაუწყეს. პირველი ბრძოლა ნებროთთან მასისის მთასთან მოუხდა რვავე გმირებს, ერთად ამათში ოსებიც იღებდენ მონაწილეობას გმირის კავკასიის ხელმძღვანელობით. ბევრის ომების შემდეგ ნებროთი სძლიეს, მისი ჯარი განდევნეს და ომის შემდეგ გმირნი თავიანთ კუთხეში დაბრუნდნენ და იწყეს ცხოვრება, ყველამ გაიყო თვისი ქვეყანა და დაამკვიდრეს ძმურად თვის საგანგებო ადგილებთა სამზღვრები. ერთს მეორესთან ჩხუბი არ მოსლოდათ, რადგანაც მიწა ყველას ეყოფოდა.

პირველ დროებში, როგორც ოსებს ისევე სხვათაც, რვავე ძმის ხალხს სჯული აქვნდათ ისეთი, რომ მათ ერთი ღმერთი სწამდათ. მის მეტი სხვა არაფერი. როგორც ოსები ისევე სხვათა ცოტა არ იყოს ნებროთის ერის შიში აქვნდათ,

ვაი თუ ნებროთის მოკვლა ჩვენ მის ერმა არ შეგვარჩინოსო, მოვიდნენ და აგვიკლონო. ამიტომ იგინი დღე-ღამე მეცადინეობაში იყვნენ და ციხე-კოშკებს აშენებდენ და ამაგრებდენ. მცირე ხნის შემდეგ, ძმათა შორის შური დაიბადა, იგინი ერთმანეთზედ აიშალნენ და დაიწყეს შური, მტრობა და სისხლის ღვრაც კი, ამ დროს ოსთა მეთაურ მოწინავე გმირი იყო არა მეფე, არამედ მამასახლისი, უფროსი ისევე, როგორც სოფლის მამასახლისი „მაშინ ყველა რვა ძმათა ერის ქვეყნებს და ხალხს გამგებლად მამასახლისები ჰყვანდათ. მამასახლისი იყო ამორჩეული პირი, როგორც დღევანდელი რესპუბლიკის პრეზინდენტი. მამასახლისები საერთოდ ძმათა შორის დიდათ მეცადინეობდენ მორიგებაზედ, მაგრამ ვერას აწყობდენ, აირივნენ ყოველივენი და აირივნენ ოსები და ლეკებიც. როგორც სხვებმა ოსებმაც დაიეიწყეს ერთი ღმერთი და მის მაგიერ იწყეს გალმერთება მზისა, მთვარისა და ხუთის ვარსკვლავისა. ამა მნათობებს დაუწყეს დიდება და ზოგნი თავიანთ მამათ მთავართ საფლავებსაც ეთაყვანებოდნენ, მაგალითებრ ქართველნი ქართლოსის საფლავს და ოსები კავკასოს საფლავს.

ამ დროის, ოსთა ერს მრავალნაირი სახელი ეწოდებოდათ და ივინი თუმც ერთ ტომის იყვნენ, ხოლო რამდენსამე ნაწილად დაიყოფოდენ. ოსეთს ამ დროს განაგებდა, მამასახლისი ღურძუკ, ძე ტირეთისა. ამ ეამიდამ მთელ თარგმოსიანთ ნათესავობას მტრად გამოუჩნდა ხაზარია მეფე და ხაზარნი. ხაზარებს რუსებათ სთვლიან, მაგრამ ეს არ არის სწორი, ხაზარნი არიან ოსთა ნათესავის ნაწილი. მათს ახლოსვე მყოფნი და მომრავლებულნი და მოსამზღვრეობის გამოვე უნდა იყვნენ ამტყდარნი მთელ თარგმოსიანთა გვარის წინააღმდეგ. ხაზართა წინააღმდეგ შეიკრიბენ თარგმოსიანთ ნათესავნი, შეუერთდენ ლეკებს და ოსებს, ამათის დახმარებით გარდავლეს მთანი კავკასიისა, შეებნენ ხაზარელებს, გა-

ნდევნეს იგინი და მერე ხაზარეთის საზღვრებით აღაშენეს ქალაქნი და დაბრუნდნენ შინ.

ამის შემდეგ, ხაზარელებს სამეფოდ კაცი უშოვნიად და მეფედ დაუსვამთ, მის მერე ეს მეფე თავის ერით წამოსულა, 8 მოუვლია დარუბანდი, მოსევია თარგმოსიანთა და ყოველივე აუოხრებია, დაუმორჩილებიად, ამიდამ მათ უსწავლიად ორი მარჯვე გზა ქართლზედ შემოსევის, ერთი დარუბანდის ბხრიდამ და მეორე არაგვის მხრით, „რომელი არს დარიალ“. ხაზართა ისე დაიმორჩილეს თარგმოსიანთ ყოველივე, რომ მათ ყველა ესენი მოხარკეთ ჰყვეს. ქართლის დამუხლების შემდეგ, ხაზართა მეფე დარიალის გზით დაბრუნდა ხაზარეთს, გარდავლო მთა კავკასისა. იმ დროს ამ მეფეს ჰყვანდა შვილი, სახელად უობოს. ამას მისცა ტყვე პაოსიანი, ქართლი და კავკასიის ნაწილი, ე. ი. ოსეთი, „ლომეკის მდინარისა და დასავლეთამდე მთისა, და დაეშენა: უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი და იგი არის ოვსეთი, რომელი ნაწილი იყო კავკასიის და ღურძუკ, რომელი უწარჩინესებული იყო შვიდთა უობის კავკასიათა, მიავიდა და დაჯდა ნაბრალსა შინა მთისასა, უწოდეს სახელი თვისი ღურძუკეთი და მისტემდა ხარკსა მეფესა ხაზრთასა“

ამავე ხაზართა მეფეს თავის მამის ძმის წულისათვის მიუცია სამეფოდ ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით ზღვით დარუბანდამდის და სხვაც მრავალნი ამ მეფის, ოუ მთავრის სახელი უნდა იყოს ხოზანის, „რომელიც უწარჩინებულესი იყო ნათესავთა შორის ლეკანისათა“ ეს მისულა ერის კლდოვანს ალაგას, იქ დამკვიდრებულა, მალე ქალაქი გაუშენებია და სახელად უწოდებია თვისი სახელი ხოზანისეთი. ამის შემდეგ დაწყნარებულა ყოველივე ბრძოლა და მონანი მოხარკეთ ყოფილან ხაზარებისა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობებით ხაზარნი ოსებსა და ოსეთთან ისე ახლოს სცხოვრებენ, მის ადგილსა და ცხოვრებასთან ისე არიან დაკავშირებულნი, რომ

ძნელად კაცმა ესენი დააცალკევოს და ხაზარეთად ოსეთი კი არა და არამედ რუსეთი იწამოს.

ხაზართა ფლობა კავკასიაზედა მალე შეიტყეს ნებროთის მონათესავე სპარსთა, იგინი მალე დიდათ განძლიერდნენ, ამ ძლიერების დროს მათ გამოუჩნდათ ნებროთის ნათესავთაგან ერთი გმირი-აფრიდონ. აფრიდონმა დაიმორჩილა მრავალი ქვეყანანი, ამანვე წარმოგზავნა კავკასიაში თავის ერისთავი არდამ, შვილი ნებროთისა და დაავალა კავკასიის ტომთა დამორჩილება, არდამ ერისთავი მოვიდა, კავკასიაში, პირველად მოვიდა ქართლს, მერე ოსეთს, მოსპო ხაზართა ფლობა, დაამყარა თვისი წეს-რიგი და ხაზართა დასამცირებლად აღაშენა ქალაქი ზღვის ნაპირას, სახელად დარუბანდი, რაც სპარსულად თურმე „დახშა—კარს“ ნიშნავს.

„ქართლის ცხოვრების“ თქმით, სპარსთა მოსვლამდე ქართლსა და ოსეთში, ქართველთა და ოვსთა არ სცოდნიათ შენობისათვის ქვა და კირის ხმარება. ამ დროს დაისწავლეს ქართველთა და ქართლზედ მიკედლებულთ ოსებმაც ქვა და კირის ხმარება, სახლების შენების დროს, ხიდების და კოშკების და ციხეების. ომის გათავების და მშვიდობის დამყარების შემდეგ არდამ ერისთავი დაბრუნდა სპარსეთში, ამის მაგიერ სპარსეთიდგან გამოგზავნეს მთავრად აგადონ ერისთავი. ეს განაგებდა მთელს კავკასიას გარდა სამეგრელოსი, რომელიც ბიზანტიას აქვნდა დაპყრობილი. რამდენიმე ხნის შემდეგ აფრიდონმა თავის საბძანებელნი სამად გაუყო თავის სამს შვილს, ვისაც ერგო სპარსეთი მასვე ხედა ქართლი ოსეთითურთ, ანუ კავკასი. აფრიდონის შვილებს ერთმანერთში ჩხუბი მალე მოუვიდათ, იგინი აიშალნენ, ამით ისარგებლეს ქართველთა, სთხოვეს ოსებს დახმარება და ოსებიც დაჰპირდნენ შველას,—კარდმოიყვანეს ოვსნი და ჭეოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე დაკნისობდა, და მოკლეს იგი. და რომელ ჭეოვეს სპარსი, ეოველი მოსწყვიდეს ოვსთა, და ქარ-

თველთა და განთავისუფლეს ქართველნი, ხოლო რანი და ჰერეთი დარჩა სპარსეთს".

ოსეთი შეუერთდა ქართლს და ამიერიდან ესენი იყვნენ ერთად მიტომაც ჩვენ ქართლსა და ოსეთს ყოველთვის თითქმის ერთ ბედ ქვეშ მყოფად ვაღიარებთ და ერთ ნაირს მდგომარეობით გარემოცულთ. ამის საბუთი აშკარათ გვაქვს, რადგანაც ძრიელ ხშირად დასავლეთ საქართველო შავის ზღვის ნაპირებით ხან ბიზანტიას ექვემდებარებოდა, ხან რომაელთ, ჰაოსიანი და ჰერეთი სპარსეთს და ქართლი და ოვსეთი კი თავისუფალ იყვნენ, შეერთებულ და ერთად ყოფილ მებრძოლნი მტერთა წინაშე. აფრიდონის შემდეგ სპარსთა შორის განძლიერდა მეფე ქეკაპოს, ამან განიზრახა ლეკეთის დაპერა და მასთან რასაკვარველია ქართლის და ოსეთისაც. ქეკაპოს მეფე თავის ჯარით მალე მოვიდა, მაგრამ ლეკეთში ვერ შევიდა, იქიდამ წამოსულმა მხოლოდ ქართლი დაიმორჩილა, მოხარკედ ჰყო და მის მერე სპარსეთშივე დაბრუნდა. ქართლსვე უნდა მიეწეროს კავკასის მთის აქეთა მხრის შეყოლება მცხოვრებთ ოვსთა რიცხვიცეს ამბები ხდება იმ დროს, როცა მოსე მეწამულის ზღვით გადის და მთაზედ სცხოვრებს მღვთის მანანით. ეს ამბავი ოსთა და ქართველთაც შეიტყეს, ამიტომ მათ შეიყვარეს ისრაელთა ტომი, მათი ღმერთი და სჯული და იგი აქეს დიდათაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველნი, მათთან ოვსნიც შეითქვნენ ერთად და ამხედრდენ სპარსთა მეფის ქეკაპოსის წინაღმდეგ, ბრძოლა გაგრძელდა დიდ ხანს, ხან ერთნი სძლევდენ და ხან მეორენი, ამ ხანში ქეკაპოსის ერთი თავეზაც კი გადავიდა თურმე და უკანასკნელ ქართველთა და ოვსთა სძლიეს ულცხო მტერთა რიცხვი, ქვეყანა გაითავისუფლეს.

თავისუფალ ქართლს და ოსეთში მრავლად მოდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებიდამ სპარსთაგან დევნილნი ტომნი, ასევე მოვიდნენ თურქნი, რომელიც მიიღო ცხეთის მამასახლისმა ქართველთ თანხმობით და იგინი ღაასახლა არაგვისა

და მტკვრის შეყოლება მცხეთიდგან. ამ დროს სპარსთა სამეფო ისე განძლიერდა, რომ იგი აღმოსავლეთში არბევდა მრავალთა ტომთა ერთ. ამიტომ საქართველოში ძრიელ მრავლად მორბოდენ ოტებულნი ასურეთის გზით, საბერძნეთის და ხაზარეთის, ქართველ და ოვსნი ყველას მეგობრულად ითვისებდენ, რადგანაც შიში აქვნდა სპარსთა ძლიერების და მოსულთა საშუალებით თავიანთ ქვეყნის ციხე-ჯოშკებსაც ამაგრებდენ. ამავე დროს შეესწრა, ნაბუქოდონოსორ მეფისაგან იერუსალიმის დარბევა და ურიების აწიოკება და აოხრება. ურიასტანიდამაც დიდი რიცხვი მოვიდა ურიებისა, ესენი დასახლებულ იქმნენ დედა ქალაქ ცხეთისაკენ არაგვისა და მტკვრის პირას და ხეობას რომელთაც ცხადი საქმეა ოსებზედაც დიდი ზე გავლენა ექმნებოდათ ვაჭრობის, ქსოვა, კაცთა და ბედაურთა მკურნალობით, რაც მათში საკმარისად იყო იმ დროს გავრცელებული. სპარსთა მეფეებს მაინც საზოგადოთ კავკასი და კერძოთ ქართლი და ოსეთი არ ავიწყდებოდათ, რადგანაც საქართველოს მიდამოებში ოსეთითურთ მოიკრიბეს თავი მრავალ შემოხიზნელთ ხალხთა, მაგალითებრ ასურელთა, ებრაელთა, ბერძენთა, პაოსიანთა, ანუ სამხრეთელთა, ხაზარელთა და სხვათა, ეს ხალხი საქართველოსა და ქართლით ოსეთისკენ იმდონად იყვნენ გამრავლებულნი, რომ ყოველმა ქართველმა და კავკასიის სხვა ტომთა მცხოვრებთა ამა ხალხთა ენანიც კარგად იცოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, სპარსეთის დიდის ბრძოლის საქართველოში მოვიდა სპარსთა მეფე სპანდიატ რვალი, ძე მეფის ვაშტაშობისა, ადრაბადგანს მოსულს ცნობა მოუვიდა, რომ სპარსეთში თურქნი შეესივნენ და აიკლეს, მამაშენიც მოკლესო, ამიტომ იგი უკან დაბრუნდა და კავკასიაში აღარ მოვიდა, ამით ისარგებლეს ქართველთა, ოსთა და პაოსიანთა და ყოველივე სიმაგრენი თვისნი უფრო გაამაგრებს, ამ მეფეთა შემდეგ სპარსეთში განდიდდა ძე სპანდიატ რვალისა ბამაან, რომელიც არდაშირის გვარით იცნობება, იგი განდი-

და სპარსეთის ყველა მეფეზედ უფრო, მან დაიმორჩილა მთელი სპარსეთის სამთავროები, ასურასტანი, ბაბილონი, ბერძენნი და რომნი. მანვე დაიპყრო მთელი კავკასი და მასთან ოვსეთიც და ყოველივე მოხარკეთ ჰყო ოვსეთითურთ. სპარსთა გავლენით და სხვა და სხვა მახვილთა შერევით როგორც ქართველთ ი'ევე ოსებს გაერყვნათ სჯული, წესი და იგინი აღარ ემორჩილებოდენ წინანდებურად შეულლების კანონიერს წეს და ნათესავობა აღარად მიიჩნიეს, სპამდენ ყველაფერს თვინიერ მკვდრისა. თუმცა ვახუშტი მკვდრის ჭამასაც ასახელებს ქართველთა და ოვსთაგან, მაგრამ მსწავლულთა თქმით ე'ს შეუძლებელია, რომ მდიდარის ბუნების მთის შვილს ქართველს და ოსს ბუნებისაგანვე აღმონაცენი მცენარეულობა და ნადირი, ანუ საქონელი და მისი ნაყოფი დაეტოვებინოს, და მი'ს მაგიერ მკვდრის ხორცი ეჭამოს. ეს დარღვეულია და საღს მოსაზრებას მოკლებული.

ამ დროთა და კავკასიის, ანუ საქართველო—ოსეთში ხალხის აღრევის დროს, საბერძნეთში გაძლიერდა ალექსანდრე მაკედონელი. ეს მეფე იქამდე გაძლიერდა, რომ მან დაიპყრა მრავალი ქვეყანანი, ასევე შემოვიდა კავკასიაში და დაიპყრა ყოველივე, დაპყრობის შემდეგ იგი ცხეთას დადგა, აქედამ დაუნიშნა თვისი ლაშქარი მთელს მხარეს, რაც რასაკვირველია ოსეთსაც ხვდა მისი ლაშქრის და გამგებლობის მხვედრი. ლაშქართა განწესების შემდეგ, თვით დაემკვიდრა ქსნის ხეობაზედ. ქართველთ, ოსთა და სხვებმა ვერ უძლეს ამას ბრძოლა, ალექსანდრე მაკედონელმა ექვსი თვის განმავლობაში დაიმორჩილა მთელი კავკასიის ერი ოსეთითურთ. კავკასთა ოსეთის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე ისევ თავის ქვეყნისკენ წავიდა და მთელი ამ კუთხის გამგეობა ჩააბარა თავის ნათესავს აზონ პატრიკს, ლაშქრად დაუტოვა მას 100 ათასი მეომარ—მხედარნი კაცნი მხნენი და ძლიერნი. ესევე აზონ პატრიკი მართავდა ქვემო ქართლით ოვსეთსაც.

ალექსანდრე მაკედონელის დავალებით აზონ პატრიკი პატივს სცემდა კავკასიის და ოვსთა ერის ღმერთს მზეს, მთვარეს და ხუთ ვარსკვლავს, თუმცა ქართლი და ოსეთი აზონს ემორჩილებოდენ, მაგრამ იმდენად კი არა რომ მათ ამისთვის ხარჯი ეძლიათ, ხოლო აზონმა ისე დაიმორჩილა ყოველი კუთხე, რომ მალე „მახარკე უჭნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“ *) აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ ალექსანდრე მაკედონელისაგან დატოვებული აზონ პატრიკი იწოდებოდა ქართლის ერისთავად და არა მეფედ, ასევე გახლდათ ოსეთში. ამ დროდამ შემოდის ოსეთსა და ქართლში ერისთავობა და ამის თანამდებობა. 12 წლის შემდეგ ქართლის და ოსეთის დაპყრობისა ალექსანდრე მიიცვალა.

აზონ პატრიკ ერისთავმა ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, დაივიწყა სჯული მისგანვე ბოძებული, რომელიც ადიდებდა ერთ ღმერთს უხილავსა და მის მაგიერ შექმნა კერპთაგან ღმერთნი გაცი და გაიმი. ეს ღმერთი დაუდო, როგორც ქართველთ, ისევე ოსთა და თვის რომაელ ლაშქართ უბრძანა, ვინც ქართველ ან ოვსთაგანი არ ნახოთ ამ ღმერთებზედ მლოცავნი იგინი მოკალითო. პირველ დაწყებით ეს ღმერთნი ხალხს არ სწამდა და ამიტომ რომაელ ლაშქარნი მრავლად ხოცავდენ მკვიდრთ კავკასიისათა და ოსთა და ქართველთაც. ასეთის განკარგულებით დიდი სისხლი იღვროდა და ქვეყანა სხვა და სხვა ხალხით შერეული უფრო ირეოდა და იღუპებოდა, ყოველივე ლაშქრის ხელით და მთავართა უმეცარის ბრძანებით.

ამ დროს, მცხეთაში იზრდებოდა ერთი ქაბუკი, სახელათ ფარნავაზი, ეს იყო მამეულად ქართველი, ნათესავი მცხეთოსისა და დედეულად სპარსთა ასული. თუმცა ამ დროს ქართლის და ოსეთის ერისთავად აზონი იყო, ხოლო მამასახლისებად ქართლში ქართველნი და ოსეთში ოსნი, ესენი

*) ქ. ც. I წ. 83, 87,

დადგენილ და გამტკიცებულ იყვნენ. ფარნავაზ ქაბუკის ბიძა სამარა იყო მცხეთის მამასახლისი. ფარნავაზის მამა და ბიძა ალექსანდრე მაკედონელს დაეხოცა ომში. პატარა ფარნავაზი დედას წაეყვანა კავკასიას, ანუ ოსეთისკენ და იქ ზრდიდა. ფარნავაზმა განიზრახა გამთავრება ქართლზედ და ამას მალეც შეუდგა, მალე მიიმხრო კავკასიის ტომნი, ნამეტურ ქუჯის მეთაურობით, რომელიც იყო მეგრელთა მამასახლისი. ასევე შეუერთდენ ლეკნი და ოსნი, რადგანაც ამათ აზონის ხარკის ძლევა ძლიერ უმძიმდათ. ამას აი როგორ გადმოგვცემს ქართლის ცხოვრება *).

„მაშინ შეეერთნეს და ეზრახნდეს ოვსთა და ლეკთა: ხოლო განიხარნეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა და მოუშეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლეს სპანი“. ფარნავაზს ამით დიდი ძალა მიეცა და მან ადვილად სძლია აზონ პატრიკი. აძ დროს ოსეთსა და ქართლში, რკინის და სპილენძის ჭურჭლის ხმარება უკვე წინ წასული ყოფილა ისე, რომ მიდამ თვით საომარ იარაღებსაც აკეთებდენ თურმე. აზონ პატრიკი თუმც დამარცხდა, მაგრამ მაინც საქართველო და ოვსეთისაგან ხელს არ იღებდა, საბერძნეთიდამ მოიშველა ჯარი და ხელ ახლა აპირებდა ქართლსა და ოსებზედ შემბას, ფარნავაზის დამარცხებას. ფარნავაზმა „კვალად მიმართა ქუჯს და ოვსთა და შეკრიბეს ესე ყოველნი და მოერთნეს, ერისთავნი ანტიოქოზისანი“. ფარნაოზი თავის ჯარით ბერძენთ ლაშქარს გზაში დახვედრია, არტაანისაკენ, ყოველივე შეუმუსრავთ ქართველთ, ოვსთა და სომხითართა, აზონ პატრიკი ომში მოუკლავთ და მისი დანარჩენი ჯარიც გაუქცევიათ. ასე და ამ გვარად, ქართველთ, ოვსთა და მეგრელთა ერთობით განდევნილ იქმნენ ბერძენნი კავკასიიდამ, ხოლო ეგრისის წყლის იქით ზღვის ნაპირების ქალაქები კი დაშთენ ბერძენთა ხელში და მათ მოხარკედ.

*) ქ. ცხ. I წ. გვ. 37.

ამ დროს, ოსეთის ერი იქამდის კარგა გაძლიერებული ყოფილან, რომ იგინი თუმცა დაიმორჩილა აზონ პატრიკმა და მეხარკედ ჰყო, მაინც მათ თავიანთი მთავარი და მეფეც ჰყოლიათ და მეფე ამათი იმოდენად სახელოვანი ყოფილა და დიდებული, რომ მას დაენათესავა დიდის პატივისცემით ახლად გამთავრებულ და ქართლზედ მერე გამეფებული ფარნავაზიც, ამან ოსეთა მეფეს მისცა თვისი დაჲ ცოლად და მეორე და ქუჯის. ამ სახით, ფარნავაზმა დაინათესავა ოსეთის მეფე და მისი ერი და მასთან ქუჯი და სხვანი. ამ ორის იმ დროის ძლიერის ერთა და მთავართა კავშირის ძალა გაზდა უმთავრეს მიზეზათ და ოსთა მეგობრობა, რომ მთავარი ფარნავაზი მცხეთაში გამეფდა. „ქართ. ცხ.“ ოსთა მეფენი და მათი სახელი და საქმენიც კარგად სჩანს ფარნავაზის მეფობის დასაწყისიდამ. უნდა ითქვას, რომ ამ დროს, ოსნი და მათი ძალა რომ არ ყოფილიყოს, უამისოდ ფარნავაზი ვერას იზამდა, რადგანაც მცხეთაში გამეფების და საკმაო ძალის დასამყარებელ შველას ოვსთ გარდა სხვანი ვერ მისცემდენ, თუნდ დავასახელებთ ქუჯის და მის ერს.

ფარნავაზმა გაყო მთელი საქართველო რვა საერისთავოდ, ოვსეთი იყო თავისუფალ დამოუკიდებელ და ამიტომ იგი ბიზანტიელთ შემდეგ თავის უფალ სამეფოდ იქმნა ცნობილი. ფარნაოზს რომ უფრო კარგად გაემაგრებინა თვისი სამფლობელოს საქმენი, ამიტომ მან შეირთა დურძუკეთიდამ, ოსთა უგმირესის მეფის ქალი ცოლად და ამან უფრო განამტკიცნა მათ შორის ერთობა და ფარნავაზმა განამაგრა ქართლი და ესევე გამაგრება იყო ოსეთის კარის ბეე და სიმაგრე, რადგანაც ქართლიდამ მათ მტერი ადვილად ვერ მოევლოდად. ბერძენთაგან აოხრებული ქართლი და ოსეთი მოშენებას ეძლეოდა, ბერძნებს ჯავრი სჭირდათ, მაგრამ გაწყობით კი ველარას აწყობდენ, რადგანაც მათ რომაელ ლაშქარიც მოსცილდენ.

აზონისაგან ოსეთის დაპყრობამ ბევრნაირად გამოაფხიზლა ხალხი და მათში შეტანილ იქმნა როგორც ბიზანტიელ ერის ცნობა, ისევე რომაელთა. ამ დროდგან ოსეთში დაინერგა ბევრ რამის კეთების ცოდნა, მაგალითებრ წისქვილების კეთება, პურის, ქერის და ფეტვის ფქვა, ცხობა და მრავალიც სხვანი, რაც ბიზანტიას და რომში ადრევე იყო ცნობილი, თვით ლუდიც ამ დროს არს ოსთა და მთიელთ შორის შემოღებული. ბიზანტიელთ პყრობა და რომაელ ლაშქრის ყოფნა ოვსთათვის ოსეთში არ იყო უმნიშვნელო და უსარგებლო, ბიზანტიელთ და რომაელთაც კარგად სცნეს ოვსთა ერის ძლიერება და უგმირესად ფალევნური შნო დაომები.

განდიდებელმა ფარნავაზმა განაძევა აზონისაგან შექმნილი ოსთა და ქართველთა ღმერთნი გაცი და გაიმი, ამათ მაგიერ თვით გააკეთა, რომელსაც სახელად არმაზი უწოდა, ამ დროს ფარნავაზი 27 წლის იყო. არმაზი მან აღმართა მცხეთის ახლოს მაღალს მთაზედ და ხალხსაც დაუწესა მის წინაშე ლოცვა, აზონისაგან შექმნილ კერპთ გაც და გაიმს მაგიერ, ოვსთაც არმაზს დაუწყეს პატივი და ლოცვა, სჯულად დაიდეს, რადგანაც ამ ღმერთის შემქმნელის მეუღლე მათი ქალი იყო. აზონის განდევნის შემდეგ, ფარნავაზ და ოსნი ასურალტანის ეკლესიათვის ანტიოქოზის გამგეობის ქვეშ შეეიდნენ და ამ გარემოებას იფრო აგმობინათ მათ კერპნი აზონ პატრიკისაგან შექმნილნი.

უნდა ითქვას, რომ ფარნავაზ მეფემდე, ქართლსა და ოსებში, სხვა და სხვა ტომთაგან მრავალ ენანი იხმარებოდნენ, მაგალითებრ ქართველ და ოვსთა იცოდნენ ებრაული ენა, ასირელთ, რადგანაც ესენი ჰფლობდენ იმ ჯამს, ბერძნული, რომაული, სომხური, ხაზარული და ქართული. მწიგნობრობაც და ანბანიც ამ დრომდე იხმარებოდა ებრაული, ასურული და ბერძნულ-რომაული, ამის ცხადი ნიშანია ის გარემოებაც, რომ 1831 წ. მცხეთაში აკლდამების თხრის

დროს, ერთ აკლდამაში აღმოსჩნდა საფლავის ქვა, ებრაულად ნაწერი, რომელ ნაწერიც მოწმობს, რომ იგი თანამედროვეა რომის კეისრის ვესპასიანოს და მისი შვილის, რომელიც ქრისტეზედ წინედ სცხოვრობდა. უცხო ტომთა ანბანის ხმარება ცხადი საქმეა ქართველთა, ოვსთა, ლეკთა, აფხაზთა, სვანთა და მეგრელთა დიდს დაბრკოლებას მისცემდა, როგორც სწავლების, ისევე მის მოხმარების და გამარტივების.

ამიტომ ფარნავაზ მეფემ საკუთარ თვისი შედგენილობა და მოსაზრება მოიგონა, კავკასიის ტომთა სიტყვების და ხმების გამოსახატავ ანბანის ხაზებიც გააკეთა. მან ამისთვის მალე თავდარიგსაც შეუდგა. ახალი სკულის შექმნის შემდეგ მან წიგნი დაინახა საჭიროდ. ამიტომ შეკრიბა მცხეთას კავკასიის ყველა კუთხის მცხოვრებ ტომთაგან ბრძენნი და მცოდნენი ოვსთაგან, ლეკთა, აფხაზთა, მეგრელთა, სვანთა და სხვათა, მათ გამონახეს ყოველ მთის ხალხთა შორის ყველა ხმები და სიტყვათა დასაბოლავებელი ბგერათა ნაწილნიც კი, ყოველივე ეს სიტყვების ხმანი კრიელოსანივით აღასხეს ნიშნებით, მოიგონეს და დაიხსომეს ყოველ მთის ერის სიტყვათა ხმოვანება, გამოხატვა და მერე ყველა ამ ხმებს მოუძებნეს, ანუ მოუპოვეს თავთავის გამოსახატავი ნიშნები ესე იგი ასოები, ისეთნი, რომელნიც დიდათ განირჩეოდენ ებრაულის, ასურელის, ბერძნულის და სხვათა. ეს ასოები არის დღევანდელი ქართული მხედრული ანბანი.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული და მანვე გაანგრეო ენა ქართული“. დიახ, ეს ასე შეიძლება იყოს, მაგრამ ფარნავაზი მარტოდ თავის დღეში ვერ მოახერხებდა ასეთ კარგ სრულის ანბანის შედგენას, როგორიც არის ქართული ანბანი. ებრაული ანბანის ასოები არის 20, ასირული 18, სპარსული 24 და ასევე სხვანი, ქართული კი 38 ასო. ეს ამოდელი მეტი

ასოები დამატებულია ოსთა, მეგრელთა, სვანთა, ლეკთა და სხვათა თეზის ბრძენ ხალხთაგან, რადგანაც იგინი ბრძენ იყვნენ თავიანთ სიტყვების ხმების გამოთქმაში და ესენი არ დასთმობდენ ისეთ ანბანის მოგონებას და მიღებას, სადაც მათ სიტყვების ხმებს თავის გამოსათქმელი ნიშნები და სისრულეც კი არ ექმნებოდა. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ანბანის შედგენის მიზეზნი შეიძლება ფარნავაზ მეფეს მივაკუთნოთ და ხმების მოგონება და მის ნიშნების ხატვა კი როგორც ფარნავაზს, ისევე ოსებს, ლეკებს, აფხაზთა და სხვათაც. ამის სრული მოწმეა ის გარემოებაც, რომ იმავ თავიდგანვე ეს ანბანი განევრცო კავკასიის აქეთა, ანუ ჩრდილოდ აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე მთის ხალხებთ შორის და ეს ანბანი რამდენადაც ქართველ ერის საკუთრებას შეადგენდა, იმდენადვე ოსების, ლეკების და სხვათაც, სადაც და ვისგანაც მიღებულიც იქმნა ეს ანბანი სახმარებლად. ასე და ამგვარად, ეს ანბანი რამდენათაც არის ქართველთ საკუთრება და ქართული, იმდენადვე არის იგი ოსური და ოსთა საკუთრება, ვინაიდგან ამის მოგონებასა და ღწვაში ოსთა ბრძენ მამაპაპათაც აქვსთ შრომა დადებული. ამიტომ ქართული ანბანი არის ანბანი საზოგადო ქართველთა, ოსთა, ლეკთა, აფხაზთა და არა კერძოდ რომელიმე, როგორც ეს ჰგონიათ დღემდე მრავალთა.

ასე და ამგვარად ახლად შედგენილი და გამონახული ანბანი ზენდურის თუ სხვათა ასოების მიბაძვით, მალე განვრცელდა კავკასიის ტომთა მცხოვრებთ შორის და იმ დროდამ წიგნის მვრცელებელ და მასწავლებელ იქმნენ მცხეთაში განსწავლულ ბრძენნი მამანი ქართველთა, ოსთა და ლეკთა, რომელნიც ასწავლიდნენ ხალხს წერასა და კითხვასა. ამ დროდამ მოიფინა ოსეთში ეს ანბანი, და 2200 წლის განმავლობაში, ოსნი მეტყველებდენ ამ ანბანის ასოების გამოხატვის საშუალებით, ამითი გადასცემდენ სრულის სიმარტივის გამოთქმით ოსურს სიტყვებს და ხმებს ყველგან და ყო-

ველთვის დაუბრკოლებლივ. ამიტომ ვიტყვით, რომ ფარნავაზ მეფეს და მის დროის ოსების, ლეკთა, აფხაზთა და სხვათა ბრძენ კაცთა დიდი საპატიო შრომა აქვსთ დადებული ჩვენს წინაშე. ფარნავაზ მეფეს ოსეთზედ დიდი გავლენა აქვნდა ნათესაობის მხრივადაც. ამ მეფის სიკვდილის შემდეგ გამეფდა ძე მისი საურმაგი 170 წ. ქრის. წინედ.

ქართული ანბანის შესახებ, მსწავლულნი, ანუ ენათ მეცნიერნი და პალეოგრაფიის მცოდნენი ამბობენ, რომ ქართული ანბანი სხვა და სხვა ძველ კულტურულ ერთა ანბანებიდან არის გადმოკეთებულიო. ჰაოსიანნი ამბობენ, რომ ქართველებს სომხების მსწავლულმა მესროპმა შეუდგინათ, რომელმაც სომხური ანბანიც მოიგონაო. ვითომ მესროპს ხუცური ანბანი გაუკეთებია, ეს მოგონებული არის, რადგანაც ჩვენი მატიანე ამბობს, რომ ქართული ანბანი, ანუ მხედრული ფარნავაზ მეფემ მოიგონაო. ასე და ამ გვარად, ჰაოსიანთ ჰაზრი მოკორებული არის, ტყუილი. რაც შეეხება პირველ ცნებიერებას. ენათ მეცნიერთა შესახებ, რომ ქართველებმა სხვა და სხვა ტომთა ანბანთა მიხედვით შეადგინეს და უფრო პირდაპირ გადმოაკეთესო, ესეც ყალბი უნდა იყოს. ამის საფუძვლად აი ჩვენ რა გვაქვს სახეში მიღებული, რაც გონივრულს მოსაზრებას ან არის მოკლებული და რომელს შრომაზედაც კარგა ხანია მეცადინეობს, იკვლევს და შრომობს სვენს მწერლობაში და საზოგადოებაში კარგად ცნობილი მოღვაწე კირილ ბეჟანისძე ლორთქიფანიძე. ჯერეთ ამის შრომა არ არის აკინძული და გამოქვეყნებული და რაც არის და რაც ვიცით, იმას აქ მოვიყვანთ, რადგანაც ეს ეხება ქართული ანბანის შექმნის ისტორიას.

როგორც სჩანს, ფარნავაზ მეფეს შეუკრებია თავის დროის ბრძენ კაცნი ქართველთ, აფხაზთ, ოსთა, ლეკთა და სხვათა და ეს მათი, ანუ ქართული ანბანის ასოები ასე მოუგონიად, ისე მოუწყვიათ, რასაც დიდი მსგავსება და სი-

ნამდვილის ბეჭედი ჰქვიან. მაგალითებრ ა მოუსაზრებიათ კაცთა გამონაცემის ხმისაგან ااااა. ბ ნიშნავს ბაგეს და მას ჰგავს კიდეც, გ ნიშნავს გულს. ე ენას, თ თავს, თვალს, თითს და სხვათა, მ მუცელს და სხვ. ფ ფარს და ასეთებს გადახვეულებას. ჯ, ჰგავს წნელით შეკარით რამე და მოუჭირეთ. ხ ხელს, ხეს და ასეთებს. პ. პირის, ანუ ტუჩების მოწყობას, ლ, ლოყას, ჯ, მართლაც ჯანს, ყ, ყურს და სხვებს, წ, წელს, წეროს, ძ, ძუძუებს და სხვა ასეთებს, ჩვენ აქ ყველას არ დავსახავთ, მკითხველი დააკვირდეს და თვით მიხვდება მარტივად ამის სინამდვილეს.

ცხადი საქმე არის, რომ ანბ ნის ასოები მარტოდ ქართული სახელების და ნიშნების გამომხატავნი არ იქნებიან, მასში აფხაზური სიტყვები და ნიშნებიც იქნება, ოსური, ლეკური და სხვებიც, ვინ იცის, იქნება თითო ასე ისე მოხაზული, რაც მარტოდ ქართულს სახელწოდებას კი არ ეთანხმება, არამედ ოსურს, ლეკურს და სხვა ასეთ ერთა სიტყვებსაც უახლოვდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ასოების ზოგი ხმის გამოსახატავია როგორც ჲ სტვენის, ასევეც სხვა ასონი, ზოგი ცხოველს და ზოგიც სხვა ასეთებს. ამიტომაც ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ანბანი მოგონილი არის ფარნავაზ მეფესთან ერთათ აფხაზთა, ოსთა, და ლეკთაგან, რომელთაც ამისთვის მტკიცეთ ეშმუშავნიათ. ასე და ამგვარად ქართული ანბანი არის საკუთარი მონაგარი, საკუთარი ძე, რომელიც წარმოშობილა ქართველთ, აფხაზთ, ოსთა, ლეკთა და სხვა ასეთ მთის ერთა ბრძენ კაცთა ცდით და ღწვით.

ასეთი ისტორია აქვს ქართული ანბანის მოგონების საქმეს და არა ისე, რთგორც აქამდის სხვა და სხვა პირნი სწერდნენ. ამიტომაც ჩაურთეთ აქ ეს ამბავი, იმედია ოსებიც დააკვირდებიან ამ გარემოებას და ქართულ-ოსურ ანბანის ასოებს იგინიც მოუძებნიან მსგავსებათა თანხმად გამოსახატავ საგანთა სახელებს. დაურთავ კიდევ ზემოთ განმარტვის

შესახებ, რომ თუ მართლა ფარნავაზ მეფემ სხვა ტომთა ანბანებიდან გადმოიღო ქართული ანბანი, მაშინ მაინც უპირატესობა ფარნავაზს და მის დროის ბრძენ კაცთა ცდას მიეწერება, ვინაიდგან ქართული ანბანი სხვა ტომთა ანბანებზედ ბევრზე ბევრად მეტი არის. რაც შეეხება იმ გარეგმოებას, რომ მხედრული ანბანი ხუცურის ანბანიდამ არის გადაკეთებული, რის ნიშნებიც უკვე დასაბუთებულია, ესეც შესაძლებელია, ამას უარს არ ვყოფთ. ისიც შეიძლება, რომ ხუცური ანბანი ქართველებს ძველის დროიდანვე აქვნდათ, იმ დროდამ, როცა საქართველო დაარსდა, ხოლო ფარნავაზმა ამ ხუცურიდამ გადააკეთა მხედრული, ვინაიდგან ხუცურის წერა მათთვის ძნელი იყო და მხედრულის კი ადვილი, მარტივი.

ცხადი საქმე არის, რომ როგორც მხედრული ანბანი, ისევე ხუცური ანბანის ცოდნა ოსებსაც ეცოდინებოდათ, რადგანაც ქართველთა და ოსთა დაარსებიდამ ანუ თავიანთ ქვეყნებში გამოჩენიდამ, არ გასულა ერთი წელიწადი, რომ მათ ურთი-ერთ შორის მისვლა არა ჰქონიყოთ, მაშ როგორ იქნებოდა, ოსთა მეგობარი ქართველნი და ამათი მეფე ქართულ ანბანს ადგენდნენ და ოსები კი ამ დროს პირ დაღებულნი ისხდნენ და არაფერში იღებდნენ მონაწილეობას, ეს შეუძლებელია და წარმოუდგენი. ოსებს აქვს სრული უფლება, სთქვან, რომ ქართული ანბანი დაურღვეველად ოსური ანბანიც არის, ვინაიდგან ესენი ამ ანბანით მოქმედებდნენ 2200 წლის განმავლობაში, ამის თქმის უფლებას ოსებს აძლევს თვით ქართლის მეფეთა ისტორია და ნამეტურ საურმაგის, რომელიც უმეტესად ოსეთში სცხოვრებდა.

საურმაგ მეფეს ქართველთ მონათესავე ქვეშევრდომნი გადუდგნენ: მათ სთქვეს, რომ ჩვენ საურმაგი არ გვინდა, ჩვენთაგანი ვინც მხნე და გმირი კაცი იქმნება, იმას დავემორჩილებით და ხარჯსაც მას მივცემთო. მეფე ვერ შეურყევიათ გზიდამ, ოსეთის ერი კი განმტკიცებული ყოფილა ამ დროს.

მეფე და ერი ერთს მტკიცე ერთობაზედ მდგარნი. საურმაგის მოკვლაც უნდოდათ. ეს ამბავი საურმაგმა გაიგო წინედ, იგი მალე წავიდა თავის მამიდის წულთან და შეაფარა თავი, მამის დისწული მეფედ იყო ოვსეთის. ოსთა მეფემ მოიგონა ფარნავაზ მეფის შრომა, ამიტომ შეკრიბა ოსნი და საურმაგ მეფით წამოემართნენ ქართლზედ, გადმოვლეს მთანი და გზანი, წინ ვერვინ უდგებოდა მათ, რადგანაც ლაშქარი იყო მრავალი, მთელის კავკასიის მთათა--ტომთა რიცხვის ნახევარი, ამათ წინამძღრობდა ოსთა მეფეს გარდა თვით საურმაგიც.

საურმაგ მეფემ ოსეთის მეფის და ერის დახმარებით გაიმარჯვა ქართლზედ და იგი გამეფდა მცხეთაში. გამეფების შემდეგ, ოსეთის მეფე და ერი შინ დაბრუნდა. საურმაგმა გაამაგრა მცხეთა, ციხენი, კოშკნი და ასურასტანის მსახურებაც დასტოვა ისე ხელშეუხებლად და მსახურებდა მათაც. ამავე საურმაგ შექმნა ორი ახალი ღმერთნი აინინა და დაინანა. ამართა ეს ღმერთნი ცხეთის ახლოს ერთს მაღალს მთაზედ და ქართველთაც წინ დაუდვა საწამებლად და სამსახურად, ასევე მოემცნო ოვსთაცა და დაავალა მათაც, რომ ეწამად ეს ღმერთნი აინინა და დანანინა. ხოლო რა ჰყვეს ოსთა ამაზედ, მიიღეს თუ არა ეს ღმერთნი, ამისი ჩვენ არა ვიცით რა, ცხადია მიიღებდენ ამას, რადგანაც ოსნი ჩვეულნი იყვნენ ქართველებთან ერთად, რასაც ერთი მიიღებდა, იმას მეორეც აღიარებდა, საურმაგს ვაჟი არ ჰყვანდა, ამიტომ მან სპარსთა მეფის შვილი მოიყვანა მირვანოზი, ამას მისცა ერთი თავისი ასული ცოლად და თავის სიკვდილის შემდეგ ეს დანიშნა მეფედ.

საურმაგ მეფის შემდეგ გამეფდა მისი შვილობილი მირვანოზი. დურძუკელთა და ოვსთა მირვანოზთან მტრობა მოუხდათ, მტრობას ომიც მოჰყვა, საქმე ისე მოეწყო რომ ომიც მალე დაიწყეს ქართლის საზღვრებზედ, მირვანოზმა სძლია დურძუკელთ და განდევნა, მიჰყვნენ თანა და შევიდნენ დურძუკს. და ოსეთს, ყოველივე აღაოხრა, მოსპო და

მის მაგიერ მობრუნდა ქართლს და დაჯდა მცხეთას. ეს არის პირველი ნაბიჯი მეფეთა და მთავართა გულოვანის უმეცრების, ეს არის საქმე მძლავრ ჯარების და ნადირების, რომელნიც უბრალო რამის გულისთვის ომს სტეხენ და თვის მონათა და ქვეშევრდომთა უმანკო სისხლსაც უბრალოდ ღვრიან. ასევე მოხდა ოსეთში ქართლის მეფეთაგან და უჯეროდ და უკანონოდ აოხრდენ ოვსთა და დურძუკელთა მთა-ბარნი, სახლები, კოშკები და ხიდები, დაიღვარა ოსთა ერის უმანკო სისხლიც. მიზეზი ოვსთა და დურძუკთ უსიამოვნების და ფარნავაზის ამაგის დავიწყების უნდა იყოს ის, რომ მან ერთი თავის ქალი ქუჯის შვილს მისცა ცოლად, თავის დის წულს, ნათესავს და მეორე სპარსეთიდამ შემოიყვანა სამეფოდ მირვანოზი და მესამე ფარნავაზის ღმერთს კიდევ სხვა ღმერთებიც მიუმატა, რომელ ღმერთნიც დაამდაბლებდენ ღმერთს არმაზს, რასაც ოსნიც პატივს სცემდენ დიდათ.

მირვანოზმა ოსებთან კავშირი გაწყვიტა და სომხებს მიეჭრო, სომეხთა მეფის შვილს არშაკს თავის ქალიც დიდის ერთობით ცოლად მისცა. მირვანოზის დროს მოკვდა ასურასტანის მეფე ანტიოქოზს ბაბილონს, მირვანოზიც ამას მსახურებდა. მირვანოზის შემდეგ გამეფდა ძე ამისი ფარანჯომი. ამან გააჩინა ახალი ღმერთი სახელით ზადენ, მერე შეიყვარა სპარსთა სჯული ცეცხლის მსახურება, სპარსეთიდამ მოიყვანა მოგვნი და მიუჩინა ქართველთ მსწავლულნი, ესევე ეუწყად ოსთაც მისაღებად, ვინაიდგან ოსნი იმ დროს ქართლის საერისთაოს ნაწილს ეკუთვნოდენ, სჯულის მხრით ქართველთ არ მიიღეს ეს ახალი სჯული, ამხედრდენ ოსებიც ფარნაჯომის წინააღმდეგ, იგი მოკლეს სომეხთა მეფის არშაკის დახმარებით და მეფედ ითხოვეს ოსთა მეფის ასულისაგან შობილი მირვან მეფის შვილი, რომელიც მოსცა სომეხთ მეფემ და რომლის სამზადისშიაც ოსეთის მეფეს და ერს დიდი ადგილი უნდა

დაეთმოს. თუმცა ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ მირვან მეფის დროის მტრობის წყალობით, ოსნი და დურძუკნი ისე შორდებიან ქართლსა და ქართლის მეფეთა და მთავართა გამგეობას, რომ იგინი დაახლოვებით და გულს მოდგინეთ აღარაფერს მეგობრობას და მონაწილეობას არ იღებენ მირვანის შემდეგიდამ, ფარანჯომ ნებროთიანიდამ დაწყობილი ადრეკ მეფის დრომდე, ესე იგი ქრისტეს დაბადებამდე, რომელთა შუა დროშიაც იმეფეს ფარანჯომის შემდეგ არშაკ მეხუთემ, არტაგ მეფემ, ბარტომ, მირვან და არშაკ მეფემ, ძემ მირვანოს არშაკუნიანმა. მხოლოდ ადრეკ მეფის გამგეობის დროს სჩნდებიან ოვსნი საქართველოს ისტორიის ფურცლებსა და ასპარეზზედ, რის მიზეზად და სარჩულადაც ქრისტეს დაბადება და მისი სწავლა უნდა ჩაითვალოს.

რა არის მიზეზი მის, რომ ოსები ქართველებს მთელის საუკუნის განმავლობაში ისე დაშორდენ ერთმანერთს, რომ მათ თვინიერ მისვლა-მოსვლის და ფარნავაზისაგან შექმნილის ღმერთის წამების სხვა აღარა იყო რა დაშთენილი, ამის მიზეზ.დ როგორც ვსთქვით ზემოდაც მირვან მეფის წინდაუხედავი საქციელი უნდა მივიღოთ, რომ ოსეთს და დურძუკეთს შეესია და ყოველივე დაამხო და მეორე ის გარემოება, რომ საურმაგ მეფიდამ დაწყობილი, ადრეკ მეფემდის ბევრჯერ ისურვეს ქართლის მეფეებმა სხვა და სხვა ახალი ღმერთების შექმნა და მათი წამება და ქართლში მიმოფენა, რ.საც ოსები შორიდამ ასეთ საქმეებს კაი თვალით არ უყურებდენ, რადგანაც მათ ფარნავაზისაგან შექმნილი ღმერთი არმაზი სწამდათ მტკიცედ, ამის მაგიერ ოსთაგან არც სხვა რამ ღმერთი გამოგონილა, მათ არმაზი ქრისტიანობის მცნებამდის ადვილად არავის დაუთმეს ისე, ეს როგორც ხშირად ქართლის მეფეებს სურდათ.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს, ესე იგი 1900 წლის წინეთ, ანუ ქრისტეს დაბადების ჟამს, ქართლსა და ოსეთში

რკინი'ა და სპილენძის ხმარება და მისგან სხვა და სხვა ნივთების და იარაღის კეთება ისე წინ ყოფილა, რომ მასზე უკეთესად იმ დროს ვეღარც ინდნი, ჩინელნი, ასურელნი და ბიზანტიელ—რომაელნი გააკეთებდენ, ოსთა და ქართველთ ლაშქარნი მორთულ იყვნენ სპილენძის სამოსლით და საომრის იარაღით, ჯაჭვ-ჩაჩქანით, მუზარად და თავ სახურავის მაგარის სალაშქროს ქუდებით. ფარნავაზის გამეფებამ და მთიელთა დაკავშირებამ ოსთა და ქართველთ მრავალნაირი წარმატება მისცა ასაღორძინებლად და ერთ ამათგანი იყო სახელოსნო და სამეურნეო ოსტატობათა განვითარებანი, რაც კი ოსთა და ქართველთ ისწავლეს საქართველოში და ოსეთში ყოფილთ რომაელთ ლაშქართაგან, ბიზანტიელთ, ასურელთ, სპარსთა და ებრაელთაგან. ამ სახელოსნო და სამეურნეო საქმეთა შეთვისების ვითარება ცხადათ არის დამჩნეული ოსებსა და ქართველებში, ორივ ამ ენაში ძრიელ მრავლად მოიპოვება ზემოხსენებულ ერთა სამეურნეო და სახელოსნო იარაღთა და ნივთა სახელები. მაგალითებრ თოფის სახელი ყარაბინა, რომელიც დაღისტანშიაც კი იხმარება ლეკთა შორის, არის სიტყვა რომაული. *) ასევე საპონი—საპონ, სკამი—ტაბლა,—ტაბაკი, რომაული,—ღომი, ქართული სტომანქი,— ლათინური, ბერძნულიც მრავალი და ებრაულიც ამ სიტყვების არსებობას თანამედროვე აღმოსავლეთის მსწავლულნი და ენათ მეცნიერნიც ამჩნევენ ოსურსა და ქართულს ენაში.

აი ასეთი იყო სურათი ქართლისა და ოსეთისა იმ დროს, როცა ქრისტეს დაბადების ოცტა წინეთ, საქართველოში გამეფდა ადრეკ მეფე, ძე არშაკ მეფის, არშაკუნიანი. იგი გამეფდა 20 წლისა და იმეფა 37 წელი. ადრეკ მეფემ ოსეთის ერსა და მეფესა და მთაერებთან კეთილი განწყობილება დაიწყო, ასევე ოსებმა ისურვეს და სამეზობლო და სამეგობრო სალამი განაახლეს, რომელსაც უმთავრეს თანამდევად და მდევრად ოსთა და ქართველთ ძველი ნათესავობაც ხდებოდა.

*) ეს რასაკვირველია ახალ დროის არის.

ოსთა და ქართველთ ასეთ დაკავშირების დროს, ურიასტანში დაიბადა ქალწულის მარიამისაგან იესო მაცხოვარი, რომელიც შემდეგში ურიათა სამღვდელოებას შეეკამათა, მოსეს სჯულს დაუწყო გარჩევა, შეტ საგანთა დარღვევა და უკანასკნელ ამისთვის ხომ აწამეს იგი და ამ წამებით მან დაიმკვიდრა მსოფლიო მნიშვნელობა. იესოს მოციქულებმა მაცხოვრის სწავლა ხალხში დიდის დიღებით განავრცეს, მაცხოვარი ხალხს აცნობეს ძედ მღვთისად. მაცხოვრის მღვთიურმა მოქმედებამ გააკვირვა მრავალ სამეფოთა ერნი და ასევე გაკვირვებულ იყო ადრეკ მეფე და მისი მეუღლე და ოსთა მეფე, ამის მეუღლე და ორივეს ერი. ამ სჯულიერის და ნიჭიერის ნსოფლიო ღმერთის ცნობებს ქართველთა და ოსთა ცხადლივ ამცნობდენ მცხეთელი ურიები, რომელნიც მტკვრისა და არაგვის შეყოლება ოსეთამდე მრავლად ესახლნენ. მარტოდ არაგვის კიდეზედ ოსეთამდის 30,000 სული ესახლა და ყველა იგინი იესოს ამბებს და მის სჯულის ცნობებს მარტივად აცნობდენ როგორც ქართველთ ისევე ოსებსაც. მცხეთელ ურიებთა მღვდელ მთავარნი იერუსალიმშიაც წავიდნენ და იესოს ჯვარცმასაც დაესწრნენ, შინ დაბრუნებულთ მრავალი ცნობები მოუტანეს ადრეკ მეფეს და განავრცეს იგინი როგორც ქართლში, ისევე ოსეთშიაც, როგორც ოსეთის აქეთა მხარეს, ისევე იქითა მხარეს. ქრისტეს ჯვარცმამ, მის მოციქულთა დევნამ და ქადაგებამ მოიცვა მრავალთ ქვეყანათა ენანი და აჰყვნენ ამ გარემოებას და ლაპარაკს ქართველნი და ოსთა მეფე და ერიც, ამათში ცნობის მოყვარეობაც დაიბადა მის რომ ეგები ოდესმე ენახათ ერთი კაცი, რომელსაც ეუწყებინა ძე მღვთისა იესოს სწავლა და ცხოვრების ცნობანი. ეს გარემოება ოსთა და ქართველთათვის მით უფრო გახდა საყურადღებოდ, რადგანაც ადრეკ მეფის ნათესავმა, სომეხთა მეფე აბგარმა, იესოს წერილიც მისწერა და სახის სურათიც სთხოვა, რომ ეგები თქვენ თუ ვერ გნახეთ, თქვენი სურათი

მაინც გამოგვიგზავნეთ, რომ ვიხილოთ ძე მღვთისა სურათიო. იესოსგან სომეხთ მეფეს წერილი და თვისი სურათიც მოუვიდა. ამ გარემოებამ ქართველებს და ოსებზედაც დიდი გავლენა იქონია.

ქრისტეს ჯვარცმის და ამაღლების შემდეგ, როგორც ეს მოაწყეს მისმა მეგობრებმა და დააკანონეს, მისი მოწაფენი დაიშალნენ და აქეთ-იქით წავიდნენ იესოს სწავლის საქადაგებლად, იესოს დედას, მარიამს და ანდრია მოციქულს წილად ხვდათ საქართველო, ანდრია მალე წამოვიდა საქართველოში, პირველად მოვიდა ლაზისტანის ქალაქ ტრაპიზონს და იქ მეგრელებში დაიწყო იესოს ქადაგება, მერე იქიდამ გადმოვიდა აჭარას, ნიგალის ხევს და აქ ჰქადაგა, ამ დროს სამცხე-საათაბაგო, მეგრელნი, ქართველნი და ოვსნი არმაზს გარდა აღიარებდენ ორს სხვა ღმერთსაც: არტემ და აპოლონს, ბერძენთაგან შემოტანილს და დადებულს. ანდრიამ ამ ღმერთთა მსახურნი ანუ მღვდელნი შემუსრა, აჭარაში დარჩა დიდხანს და მთელს ზემო და ქვემო ქართლში ჰქადაგა სწავლა ქრისტესი. აქ ქრისტეს სწავლის დამყარების შემდეგ, ანდრია მოციქული სიმონ კანანელით გაემგზავრა იმერეთს, იქიდამ სვანეთს და ოდიშს, იქ ჰქადაგეს სწავლა თვისი და მერე იქიდგან წავიდნენ აფხაზეთს და ოსეთს. ამ მსოფლიო ამბის ცნობას „ქართლის ცხოვრება“ აი როგორ გადმოგვცემს:— „ხოლო დიდი ანდრია სიმონიათურთ შევიდა ქვეყანასა ოვსეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდების ფოსთაფორი და ბოსფორი. სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალი ერნი მოაქციეს და განანათლეს: მიერ წარვიდეს და შევიდეს ქვეყანასა აფხაზეთისასა, და მოვიდეს სევასტ ქალაქად, რომელსა აწ ეწოდების ცხემი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრიამ სიმონ კანანელი სხვათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქვეყანად აღვიდა.“.

აი ეს გახლავსთ პირველი ცნობა მის, თუ ოსეთში როგორ შევიდა ანდრია მოციქული და აქ როგორ შეანათა

ქრისტეს სწავლის შუქმა, როგორი ზე გავლენა უნდა ჰქონოდა ოსთა გულსა და სულის სარწმუნოებრივ მხარეებზედ, აქედამ კარგად სჩანს, რომ ოსეთის ერი მოწამე არის იესოს მოციქულთა სწავლის და იგი ანუ ოსეთის დღეინდელი ერი და ეკლესია საქართველოს ეკლესიასთან ერთად უნდა ჩაითვალოს უხუცეს, ანუ სამოციქულო ეკლესიად. ამის უარს ვერავინ იტყვის, ანდრიას შესვლას ოსეთში დიდი ისტორიული მნიშვნელობა უნდა მიეცეს. როგორც სჩანს ოსეთიდგან დაბრუნებული ანდრია უბრუნდება ისევ სამეგრელოსა და აფხაზეთს, იქ ამათ ანათლებს იესოს სწავლით და მერე მიდის ჯიქეთს, მაგრამ ჯიქეთში ვერაფერს აწყობს და ჯიქეთიდამ გადადის სკვიცეთს და იქა ჰქადაგებს ქრისტეს სწავლას. აქ საყურადღებო ერთი ის არის, რომ ანდრია მოციქულმა მღვთის მშობლის ზითვად რგებულს და ანუ თვის წილად ხდომილს ზემო და ქვემო ქართლს ოსეთით ერს თავი დაანება და საქადაგებლად სკვითებში წავიდა. სჩანს საქართველოსა და ოვ'ეთში მას კარგად უმოქმედნია და მალე და ადვილად დაუმყარებია თვისი სწავლა, რომ მერე სხვაგან წასულა. ოსების მალე განათლებას ხომ ზემოდ მოყვანილი ცნობაც გვაუწყებს.

ადრეკ მეფის დროს, ქართველთა და ოვსთა გაიცნეს ქრისტეს სწავლა, ამათში უკვე დაინერგა იესოს სწავლის მცნებათა დედა აზრები. ადრეკ მეფის შემდეგ განაგებდენ მეფენი ქართლისა ბარტამ და ქართამ, ფარსმან 12 მეფე და ამის შემდეგ აზორიკ და არმაზელ ძენი ფარსმანისა არშაკუნიანი, ამ დროს, ოსეთის ერი ძლიერი ყოფილა და მათ ჰყოლიად მძლავრი მეფენი აბაზუკ და ბაზუკა. ესენი ყოფილან უკვე მომართული ლაშქრით, საომრის იარაღით და მეომართა გამოცდილ გოლიათებით, კარგად სჩანს, რომ ოსეთს ამ მეფეებს და ხალხს ქართლის მეფესთანაც კაი განწყობა და კავშირი ჰქონიად. ამას ვნახავთ ქვემოდ. „ქართლის ცხოვრების“ თქმით, აზორიკ და არმაზელ მეფენი დი-

დათ მხნენი ყოფილან. ამათს დროს, სომხეთში განაგებდა გამოჩენილი და ძლიერი მეფე ირვანდი, ამ მეფემ დაივიწყა ქართველთ ამაგი და ემძლვარა ფარსმანს, ზემო ქართლის საზღვრებზედ ადგილები წაართვა ქალაქი წუნდა და არტანი, სომხურად უწოდა „ქაჯთა ტუნი“, ქართულად დევთა სახლი. ამაზე ქართველთ მეფეთა საქართველოს საზღვრების ძიება დაიწყეს და ცხარე კამათი და ომიც ატყდა, ისევანდ-სომეხთა მეფე მოკლა სუმბატ ბივრიტიანმა და ამის შემდეგ ქართველთათვის აღარ იყო სახუმარო, მათ მიმართეს ოვსთა მეფეს თხოვნით და შველა სთხოვეს, ამ შველის ცნობას ასე აღწერს „ქართლის-ცხოვრება“:

„მაშინ ამით მეფეთა ქართლისათა, აზრიკ და არმაზელ, მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდმოიყვანეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი, ბაზუკ და აბზუკ, სხვითა ოვსეთისათა-და გარდმოიყვანეს თანა ჰაქანიკე და ჯიენი და გარდმოვიდა მეფე ლეკთა და მან გადმოიტანა დურძუკნი და ლიდონი და ამათ მეფეთა ქართლისათა შეეოიკრიბნეს სავნი თვისნი და შეკრება ესე ეოველი სიმრავლე ურიცხვი და სიმრავლე ფარულად შეკრებეს, ვიდრე შეკრებოდეს სვანი სომეხნი“ ოსეთის ლაშქრით ქართველნი მიესივნენ სომეხთა და ყოველივე დაიპყრეს, შემდეგ დაბრუნდნენ შინ და მრავალი ტყვენი წამოიყვანეს ოვსთა. მსწრაფლ სომეხ მეფე სუმბატ ბივრიტიონმა კაცები დააწია გზას და სთხოვა, რომ ყოველივე თქვენგან დაღვრილი სისხლი სომეხთა მიპატიებია, ასევე ოქრო და ვერცხლიო, ოღონდ ტყვენი დამიბრუნეთო. ამათ შეუთვალეს: არაო, შენ მოდი აქაო და ტყვეებს მაშინ გავათავისუფლებთო, როგორც ჩვენ მანდ შენ საძებრად მოვედით და შენ კი ვერ გნახეთო. ეს წინადადება სომეხთ მეფემ არ მიიღო. ამიტომ ოვსთა მეფე ბაზუკმა მუქარა შეუთვალა და სთხოვა ბრძოლა, ბრძოლა მალე დაიწყეს მათ, ამ ბრძოლას აი როგორ აღწერს „ქართლის ცხოვრება“.

„ხოლო სუმბატ აღიჭურვა და აღსჯდა ვარსამატსა თვისსა

და განვიდა განწყობილთა შორის, და მუნით გამოხდა ბარზოკ. და აღიზახნეს ორთავე, და მიეტევნეს, დასცა სუმბატ ოროლნი სარტუელსა ზედა, და განვდო ზურგით წყრთა ერთი, აღიღო ცხენისაგან და დასცა ქვეუანასა ზედა, მაშინ მიეტევა ანბაზუკ, შველად ძმისა თვისისა და მოსწვადნა სუსტ ოროლნი და მიეგებ-ბა, ეგრეთვე მისცა და განვდო და აღიღო, დასცა ქვეუანასა და სთქვა:—„ესე სომეხთა დედათა და მამათა, ურმათა ჩვიდთათვის, რომელი თქვენ აღწუვეტენით“. ორივ ესე გოლიათ გმირნი, მეფენი ოსეთისა და ძმანი სუმბატ ბივრიტიანის ომში და-ხოცილან გმირულად. ამ გარეშლობას ქართლისა და ოსთა ლაშქარი ძლიერ აუღელვებია და მათ შორის დიდი გოდება და მწუხარებაც ჩავარდნილა, იგინი ამხედრებულან ერთის პირით და ვითარცა ერთ ძმათა, სუმბატის წინააღმდეგ საო-მარი ხელიც აუმართავთ, ომი დაუწყვიათ. ამ ომის შედეგის აღწერას „ქართლის ცხოვრება“ ასე განავრცებს: „მაშინ სპათა მათ უოველთა ოსთა და ლეკთა, და ქართველთა, და უო-ველთა ჩრდილთა ნათესავთა, ვითარცა ერთითა პირით აღიზახნეს და თქვეს.—„ვინაიდგან მოიკლნეს ოსნი იგინი ძმანი თავნი კოლიათობისა უოველნი: სიკვდილი ჩვენი არა რად შეუ-რაცხელ არს“ უფროსად გაბოროტნეს და შეკრბეს უოველნი სპა-სალარობასა ქვეშე აზროკ და არმაზელისა, ქართველთა მეფეთასა, და უოველნი მიეტევეს სუმბატს და სპათა მისთა: მაშინ იქმნა ბრძოლა დიდძალი მათ შორის, სამ ჟამიდგან ვიდრე ცხრა ჟა-მამდე და მოსწუდა ორგნითვე ურიცხვი, აღხდა მტვერი და დღე ნათელი იქმნა, ვითარცა ღამე ბნელი; აღრეულ იუვნეს ერთ-გან და ვერ იცნობდეს ერთმანეთს მტვერისაგან: მაშინ იძლია ბანაკი ჩრდილოსა სომეხთაგან, მეოტ იქმნეს და დაითვანტნეს უო-ველნივე: მიუდგა სუმბატ, მრავლთაგან მოწყლული და სდეგნა ღამემდე, და მოსრნა უოველნი ოსნი და ლეკნი, მცირედი და-ურჩეს: ხოლო ქართველნი უფრო დარჩეს, სამეოტოთა კზათა შეცნიერებითა: და შემოიხვეწნეს ორნივენი მეფენი ქართლისანი ციხეთას მოწყლულნი“.

რაც ისტორიის ფურცლები ვიცით, ჯერეთ იქ ასეთი დამარცხება ოსთა და ქართველთა ჩვენ არ წაგვიკითხავს. სჩანს ქართველთა და ოსთა ისეთი ძმური სიყვარული ჰქონიათ, რომ ქართველთა მეგობრობისთვის მოიკლენ ორნი გმირნი მეფენი ოსეთისა აბზუკ და ბაზუკ, ამ გოლიათთა გარდა, გაწყდა თურმე თვით ოვსთა ლაშქარიც, მცირეოდენი დაბრუნდა შინ, ყოველივე ძალა ოსეთის მეფისა და ერისა ქართველთა შველის გულისთვის დაემხო ომში და დაეცა ჰაოსიანთა მეფის და ერის წინაშე. ეს ომი ისეთი ძლიერი ყოფილა, სადაც დაჭრილან ქართველთ მეფენი და თვით ჰაოსიანთა სუმბატიც. ამ ომის აღწერის განმარტვას ჩვენ არ შეუდგებით, რადგანაც ძველი მოწმობა თვით მოვიყვანეთ აქ, მას ჩვენი კომენტარიები არ სჭირია. დამარცხებული დაბრუნდა ქართველი მეფე თავის ლაშქრით, ოსთა ლაშქარიც შემუსვრილი და მეფეებ დახოცილნი დაბრუნდნენ ოვსეთში და ისიც ძრიელ მცირედ. ოსეთის სამეფოს და ერისთვის ესეთი ძლევა—დამარცხება იყო თავზარ დასაცემი და ამიტომ მთელმა ოსეთის ერმა დრტვინვა დაიწყო სომეხთა მეფის წინააღმდეგ. ჰაოსიანთა და ქართველთ შორის მესისხლეობისითვის ომი კიდევ ასტყდა. ქართველებს კვალად მიეშველნენ ოვსნი და ლამოდნენ ჯავრის ამოყრას, ოვსთა ამ ომში მონაწილეობის მიღებას ასე მოიხსენიებს „ქართლის ცხოვრება“.

„იწყეს ოვსთა სისხლისა მათისა ძიებად სომეხთა ზედა, გარდმოვიდეს ქართლად და დაუმეგობრნეს ქართველთა და აღმართვნეს ერთგან ოვსნი და ქართველნი და მარადის ბრძოდეს სომეხთა“. ამ ომში სომეხნი დიდის გმირობით აღმოსჩნდენ, ქართველთ შველოდნენ მეგრელნი და სამცხელნი, სამცხელთ დიდი გმირობა გამოიჩინეს დღ სომეხთა მეფე სუმბატი დაბრუნეს უკან ძლეული. მალე სუმბატ მეფეს მოეშველა მეფე არტაშან და ომი და ძლევა უნდა განახლებულიყოს. ქართველნი შეშინდნენ და დაიწყეს ციხე კოშკების გამა-

გრება და მალე თავიანთ მოძმე ოსებსაც მიმართეს კვალად დახმარების სათხოვნელად სომეხთა მეფის წინაწე ბრძოლაში. ამ დროს და ომის საქმეებს ასე აგვიწერს „ქართლის ცხოვრება“ „ქართველთა განამაგრეს ციხენი და ქალაქნი, და მოიერთეს ოვსეთით და განავსნეს ციხენი და ქალაქნი: მოვიდეს სომეხნი: და დადგეს მცხეთას და ბრძოდეს ხუთ თუე და დდეთა ეოველთა ეევნეს ბუმბერაზთა: მაშინ შეეწირდათ ქართველთა და ოვსთა, ითხოვეს მშვიდობა, არა ძებნად სისხლისა და ზღვრისა. ისმინა სომეხთა მეფემან ვედრება მათი, და იქმნა საფიცი და აღთქმა, და დაიმონა ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან და წარვიდა“. თუმცა ჩვენი მატიანე აქებს ამ დროის ქართველთ მეფეებს, საქართველოს საზღვრების ძებნას და განსაზღვრის საქმეში სომხემბთან, მაგრამ საქმე და საზღვრების ძებნა ქებით არ თავდება და სომეხთა მახვილის წინაშე ემხობა არა მარტო ქართლი და მისი ხალხი და დაბანი, არამედ ამათთან ერთადვე იწვის და ილეკა ოსეთიც, ერთიცა და მეორეც მწარედ ოხრდებიან სომეხთა მახვილისაგან და ბოლოს დანგრეულ დაქცეულნი სინანულსა და ცრემლით გოდებასაც ეძლევიან თავიანთ ერის ამოწყვეტის და ქვეყნის და ქალაქთა და დაბათა დამხობის. ვინ არიან ამაში დამნაშავენი, რასაკვირველია სომეხთა მეფენი და არა სომხის ერი. აქ მეფენი არიან უველა ტოდვის მორეგნი, ყველა ლაფის ზვირთები, რა არის მათ ჩაიგდონ ყველაფერი ხელში, ერთმა მეორე დაამარცხოს, ერთმა მეორე აიკლოს, წაართვას საკუთრება და თვით დაიჩემოს, რა არის, მერე ამ დაჩემებიდამ ხარკი აიღოს, შესავალი გაიმრავლოს და მით ჯიბე და უბეც ივსოს. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ის გარემოება, რომ სომეხთა მეფემ ისურვა საქართველოს საზღვრებზედ ადგილების წართმევა, ჰაზრი განახორციელა, ადგილები აიღო კიდეც და მიითვისა, თითქოს მას თავისი ადგილები არ ეყოფოდა, თითქოს თვით კი ცოტა აქვნდა, მაგრამ ნათქვამია კაცის თვალი გაუმაძღარია, ხალხის სისხლითა, მათ შავი მიწის

მეტი ვერა გაძღობს რაო“. ამ ორ მტკაველ მიწაზედ ატყდა დავა და ომები ქართველთა და სომეხთ შორის, ოსებიც შიგ მოჰყვნენ და გაიპყლიტენ უხვთოდ. ეს განა სამართალი და საქმეა იმ დროის მეფეთა სიხარბისათვის, ჭეშმარიტად რომ არა, იმოდოლა ხალხი და ჯარი ამოაწყვეტინეს ორი მტკაველი იმ მიწისთვის, რომელის მსგავსად ხვალ და ზეგ თვითონაც კი გახდებოდნენ იმავ მიწად.

ამ შავ დღეებს შემდეგ განვლო რამდენმამე ხანმა, — „აღშენდა ქართლი მოოხრებული სომეხთაგანი“ ქართველ და ოსნი თუმც ძლეულ და აოხრებულ იქმნენ, მაინც არ ივიწყებენ სომეხთა მტრობას. ამ დროს, სპარსთა და ბერძენთ ომი მოუხდათ, სომეხნი სპარს შველოდნენ, სომხეთის ჯარის უმეტესი ნაწილი სპარსელებს მიაშველეს ბრძოლის ველზე. ქართველთა და ოსთა იპოვნეს დრო და დაუწყეს სამაგიეროს გადახდის მზადება. რამდენად კანონიერი იყო ეს, უწყის ღმერთმან, ხოლო ის კი ცხადი არის, რომ მეფეთა ჯავრი და სისხლი ერს ხვდებოდა კისერზედ და ერი იხდიდა ყოველივეს, ამას ვნახავთ აქვე. ამ გარეძლების ფაქტს „ქარ. ცხოვ.“ ასე აგვიწერს: — „მაშინ ჭეშოვეს ყამი მარჯვე ქართველთა და ოვსთა, აწყეს კირთება სომეხთა ზედა რამეთუ სპანი სომეხთანი და ორნი ძენი მეფისანი სუმბათიოურთ იყვნეს ბრძოლად სპარსეთის“. ეს ამბავი სომეხთა მეფეს გაუგია წინედ, მას ერთი ნაწილი ლაშქრისა თავის შვილის ზარნესოვის მიუნდვია და გამოუსევია ქართლსა და ოსეთზედ საომრად, სომეხთა მეფის ძეს მოსვლა საომრად წინადვე შეუტყვიათ ქართველთა და ოსთა, ესენი შეკრებილან მალე და მტერს ჯავახეთისკენ დახვედრიან. ამ დახვედრას „ქართ. ცხ.“ ასე მოიხსენიებს: — „ხოლო შეკრბეს ქართველნი და ოვსნი და მიეგებნეს ქვეყანასა ჯავახეთისასა, დაეწყვნეს და სძლიეს ზარნეს და აოტეს ოგი და მოსრეს სპა მისი ყოველი, და სდევნეს სამზღვრამდე სომხეთისა, მიეწევნეს ზარნეს, ძესა მეფისასა და შეიპყრეს ტბისა მის

ჰირსა, რომელსა ჭქვიან ცელი, და უკუ მოიუჴანეს: ხოლო ოვსთა ჭნებავდა მოკვლა მისი, სისხლთა წილ მეფეთა მ თისა, არამედ ქართველთა დაიცვეს ცოცხლებით, ძიებისთვის საზღჴართა მათთასა, დასჴეს ჰურობიდად ციხესა დარიალანისასა“.

ცნობებიდგან სჩანს, რომ ამ ომში მძლავრად უბრძოლიად ოსთა და მათ თავიანთ მეფის წილ სისხლი გადაუხდიათ. მიზეზი ყველა ამ უბედურებისა ზემოდ ცხადია ვინც არის. ოსებს ისე მედგრად უდევნიათ სომეხნი, რომ თვით მათი მეფის ძე ზარნეცკი ცოცხალი დაუჭერიად, მისი მოკვლა ზდომნიათ, მაგრამ ქართველთა თხოვნით ცოცხალი დაუტევებიათ, რადგანაც ქართველებს მასთან და მის მამასთან სუმბატ მეფესთან საქართველოს საზღვრების გამო ძიება და თათბირი სდომნიათ. ცნობათა მოთხრობით სჩანს, რომ სომეხნი ამ დროს ძლიერნი ყოფილან მეომართა რიცხვით, გაწვრთნილის მხედრებით და მასთანვე ბევრად მძლავრნი და ძლიერნი ვიდრე ოსნი და ქართველნი, ამიტომ ამ უბედურად ხალხის ჟლეტა-წყვეტის და ადგილ მიწათა გაუმაძღროების სამის წლის შემდეგ, ახლა სომეხთა სვავნი, ატყდენ და ისურვეს სამაგიეროს გადახდა ოსთა და ქართველთ წინაშე. სუმბატ მეფემ შეკრიბა სპანი, თან გამოიმძღვარა თავის ორი ძე არტავაზ და ტიგრან და წარმოემართა ქართლის საომრად. ქართველთ ეს ამბავი წინედ შეიტყეს და ამიტომ იგინი შევიდნენ მთებში და განამაგრეს ციხენი, საომარი ადგილები და ქალაქები. სომეხნი მალე მოვიდნენ თრიალეთს, დადგნენ აქ, ქართველნი შეკრთენ, ისურვეს მორიგება სუმბატ მეფესთან, მალე გაგზავნეს მოციქულები და საუბარი დაიწყეს. ოსთა და ქართველთ სუმბატს მალე მისცეს ძე მისი ზარნე და მათაც ქართველთ დაუბრუნეს ყოველივე წანართმევი ადგილები, ე. ი. არტანი, წუნდა, ციხე დერთისა და დაადგინეს ქართველთა და სომეხთა საზღვრები.

ნათქვამია:—„მეფეთა გული უხვიაო“. ამათაც რასაკვირველია ორსავე მხრიდამ უხვად ხოცეს თვის ქვეშევრდომთა

უმანკო რიცხვი, ღვარეს მათი სისხლი და ბოლოს, როცა გაძღა მათი უხვი გული, მაშინ მორიგდენ და პირობა დადეს ერთობის და სიყვარულისა სომეხთა, ქართველთა და ოსთა. ამ სიყვარულის დაარსების ცნობას „ქართ. ცხოვ." ასე გადმოგვცემს:—„და მეერთოგან იყვნეს მოუვარე სომეხნი, ქართველნი და ოვსნი, სამივენი ერთაგან ბრძოდეს მტერთა მათთა"-ას, და ამ გვარად დაშოშმინდენ ურთი ერთზედ აშლილნი ძმანი და მეგობარნი სომეხნი, ქართველნი და ოვსნი. თვითქოს იგინი მიხვდენ რომ მათი მესისხლე მტერნი იყვნენ ბევრად მათზედ მაღლა მდგომნი სპარსნი და ასეთნი ერნი, ვისაც ხშირად ექვემდებარებოდენ კიდეც და არა ერთმანეთის მტრები უნდა ყოფილიყვნენ. იგრძნეს თუ არ იგრძნეს, დაბრუნდნენ ყოველნივე თავ-თავიანთ ქვეყნებისაკენ, როგორც სომხები, ისევე ქართლი და ოსეთიც მიეცა აღშენებას, ზოსვენებას და შინაურ საქმეებით და ცხოვრებით გამრავლებას.

ამ სამწუხაროდ ატეხილ დიდ ბრძოლათა შემდეგ ოსნი სცხოვრობდენ თავიანთვის ცალკედ და არავის საომარ და სადავო საქმეში არ ერეოდნენ. აზორიკ მეფის სიკვდილის შემდეგ მეფობდენ ძენი მისნი ამაზასპ და დეროკ, ამათ მერე ფარსმან ქველი და მირდატ ძენი ამაზსპის და დეროკის. ამათ შემდეგ იმეფა ადამ, ძე ფარსმან ქველისა, მას მერე ფარსმან ძე ადამისა და ამაზასპ ძე ფარსმანისა, როგორც ვსთქვით, მეფეებმა და მთავრება ხშირად უმიზეზოდ იციან ერთმანეთზედ აშლა და აშლის სიადვილეს ის უფრო აადვილებდა და აცხოვლებდა, რომ ბრძოლის დროს, თვით მეფენი ჲ მთავრები სახლში ისხედენ თფილად, სიამოვნებდენ, კარგად სჭამდენ, სვამდენ, ქეიფობდენ ჲ ამავე დროს ბრძანებას აძლევდენ, რომ მათის გულის დასადინჯებლად ჲ ენის ქავილის მოსაფხანად მათი ქვეშევრდომნი ერთმანეთს შებრძოლებოდენ ჲ სისხლი ეღვარათ. მათს გულს რა ენაღვლება, ან მათი რა დაიღვრება სისხლი თუ ცრემლი, არაფერი. ამიტომაც მოხ-

და, რომ ზემოდ ხსენებულ მეფეთა ერთობის პირობა მალე დაიროვა და ქართველ, სომეხთა ლ ოსთა მეფენი და მთავარნ მალე ასტყდენ ერთმანეთზედ. ამათ საერთო შეცდომას შემდეგი დაგვანახვებს.

სამწუხაროდ, „ქართ. ცხოვრების“ ნაქებ მეფე ფარსმან ქველის ძმა მირდატი არ აღმოსჩნდა საქართველოს მოსამზღვრე მეფეთა და მთავართა ერთობის და სიყვარულის მფარველი. მირდატი თავის ძმა ფარსმანს ემტერებოდა, ამიტომ ამან შეირთო სპარსთა მეფის ქალი, ამით დაენათესავა სპარსელთ, მოიყვანა მათი ჯარი და დაუწყო ფარსმანს ბრძოლა. ძმები ასტყდენ ერთმანეთში და ხოცეს ქართველი ერი, ასეთ ხოცვას და სპარსელებთან მირდატის დანათესავებას ოსებმა ცუდის თვალით შეხედეს. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ფარსმან ქველმა მრავალ გზის სძლია მირდატი. მერე მირდატმა და სპარსთა ფარსმანის მზარეულს სასმელში საწამლავი შეარეეინეს და მით მოაკვლევინეს. მაინც ამის სიკვდილის შემდეგ, ქართველთ სძლიეს მირდატი და მიუხედავათ სპარსთა შველის და ფარსმანის წილის მამულის წართმევის, მაინც ფარსმანის ძე ადამი გაამეფეს. ადამის შემდეგ ფარსმანი, ძე ადამისა და ადამის შემდეგ ამაზასპი, ძე ფარსმანისა.

მირდატ მეფის სპარსელებთან დანათესავებამ და დამეგობრებამ გამოიწვია მრავალ ნაირი ბრძოლანი. ამ გარემოებას ფარსმან ქველის შვილებმა და შვილის შვილებმა მორიგებულის თვალით უწყეს ბზერა და მათ აქვნდათ წადილი სპარსელებთან დამეგობრობის, დანათესავების და მით ჯავრის ამოყრის როგორც თავიანთ მონათესავე სახლი კაცების, ისევე მათის მიმდევრების და პატივის მცემლების, ასეთ დაწყობილებას არ ექმნებოდა კარგი შედეგი და ამიტომ ფარსმან ქველის შვილის შვილის ფარსმანის ძე ამაზასპს ოსნი დაემდურნენ. „ქართლის ცხოვრების“ ქებული გოლიათი ამაზასპი შინაურ საქმეთა მტრად იცნეს, თვის მოსაზღვრე

შეზობელთა ერთა თვალის ამრიდებლად, ამათვალისწუნებლად და სპარსთა მომწონად, მეგობრად და მშველელად, რასაც სომეხთა მეფენიც სწუნობდენ, ოსთა მეფის და ერის უკმაყოფილება მრავალ გზის ემცნა ამაზასპს და ეუწყა თან სპარსთაგან მირდატის წყალობით ქართველთ სისხლის ღვრა, მის ბაბის ფარსმან ქველის მოწამლვა და მოკვლა, მაგრამ ამაზასპი ამის და ოსთა ასეთ რჩევას არ ისმენდა და თვის გოლიათობისა და სპარსთა დახმარებაზედ იყურებოდა. ამაზასპის ასეთმა ვითარებამ ოსებში დანერგა მტრული თვალი, მტრულად მზერა ოსთა ვერ მოითმინეს, ვერ აიტანეს; რადგანაც ამას თავიანთ სამეფოს და ერის საზარალოთაც ხედავდენ და მიტომ მის ბოლოს ომიც მოჰყვა და ოსნი აუმხედრდენ ამაზასპს მეფეს საომრად. ოსთა მეფის და ერის ქართლში გადმოსვლას ასე აგვიწერს „ქართ. ცხოვრება“.

„ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი. მსგავსი ფარსმან ქველისა. ამისასა მეფობისა გადმოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, ბზისა დვალეთისასა, ვერ იგრძნო ამაზასპ შეფემან მოსვლა მათი, ვიდრე გადმოსვლამდე მთისა: მოვიდეს ოვსნი დადგეს ლიახვსა ზედა რუბ დღე განსვენებად, და არსად განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქისა მცხეთისად შეშუსვრად გარდმოსულიეუნეს“ აქედამ კარგად სჩანს, რომ ოსეთის მეფეს და ერს ქართველ ხალხთან კი არ ჰქონია უსიამოვნება ამტყდარი, არამედ მათ მეფესთან, ამიტომაც რვა დღის განმავლობაშიც ლიახვის პირზედ მდგართა, არავინ დაურბევიათ, მათ მხოლოდ მეფის ქალაქის და სახლის დაპყრობა სდომნიად და ჯავრის ამოყრა. თუ რა ძლიერ ყოფილა მაშინ ოსთა მეფე და ჯარი ამას აჩენს შემდეგი:—„მაშინ ამაზასპ მოუწოდა ეოველთა ერისთავთა, მოვიდეს ერისთავნი ადმოსავლისანი, ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუანისაჰ, ერისთავი სომეხიდისა, და შემოკრებენ მხედრნი სპასპეტისანი და ვიდრე მოვიდოდნენ ერისთავნი, მოვიდეს ოვსნი ჩრდილოდ კერა ქალაქისათა, რომელი ადს მუხნარი. მაშინ ამაზასპ მეფემან განავლნა ციხენი და კარნი:

ქალაქისანი, და და იყო სიმრავლე ქუეთთა მცხეთელთა, რომელნი კართა და ზღუდეთა ცვიდეს. მათგან კიდე კამავადი ქუეთთი შეომარი იყო ოცდა ათი ათასი ყოველადვე და მაშინ რომელ ჩუენ-და მხედარი ათიათასი. და განვიდა მხედარი და ამაზასპ“ ესე და ამ გვარად ამაზასპს ჰყოლია 30 ათასი მეომარი, ეს რიცხვი იმ დროის კვალად მცირე არ არის, ომი დაუწყვიათ და ამაზასპი გასულა მშვილდით, უძლეევია ოსნი და თავის წილად მას მოუკლავს თხუთმეტი ბუმბერაზი, ამაზასპის ბუმბერაზთ ოსების სხვა ბუმბერაზნი მოუკლავთ, ამ ომით ქართველთ ოსებზედ დიდი წყულულება დაუმჩნევიათ:—„სხვათანგან ბუმბერაზისათა ამაზასპისათა მოკლნეს ბუმბერაზნი ოსთანი და დასდუ წყლულება დიდი ოსთა ზედა“

ომის მეორე დღეს, კვალად უწინარეს ამაზასპი გასულა საომრად, მას წინ მოგებებია ოსთაგან ერთი კაცი, გოლიათი სახელით ხუანხუა. ამათ დაუწყვიათ უპირველეს ომი და მერე ბუმბერაზთ შორის ამტყდარა ბრძოლა, ამაზასპს და ოსთა გოლიათის ბრძოლას ასე გადმოგვცემს:—„ვითარ გაიენ-და განვიდა კვალად შუენვე ამაზასპ და აღიხვა ორთლნი, და გამოვიდა ოსთაგან კაცი ერთი, სახელით ხუანხუ, რომელი კამორჩეულ იყო სხვათა შორის ოსთასა, აღიზახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთი ერთს, და ჰირველსვე მოსვლისა სცა ორთლნი და-განავლო ზურგით და მოკლა იგი. და აღმოიხადა ფარხმალი და მიეტევა სხვათაცა ბუმბერაზთა და მოკლნა ორნი სხვანიცა“ ამის შემდეგ, ამაზასპი თავის ლაშქრით ბრუნდება უკან და შედის მცხეთაში. სალამოს ჯარი მომატებია ამათ, მერე განუზრახავთ ოსებზედ თავ დასხმა და ღამე მოულოდნელად თავს დასხმიან, ოსთა მეფე მოუკლავთ და ჯარიც განუდევნიათ ოსეთის საზღვრისკენ- ასე განაგრძობს ამ შემთხვევას:—„განძარახეს დასხმა ოსთა, და განვიდა და დაესხა ყამსა განთიადისასა, მეგდრიოთ და ქუეყანათა ყოველთა ძალითა. ხოლო ესნი მათ, და მოკლა მეფე ოსთა, და მოსრა სიმრავლე მათი“ მეომართაგან, ბრძოლის ველზედ, ამაზასპისაგან გითენებისას

ქურდულად თავ დასხმა და ოსთა მეფის სიკვდილი, ანუ მოკვლა უნდა იყოს უჯერო და ყოველს საომარს ღირსებას და ადამიანობას მოკლებული. ამაზასპი აქ ომის ქურდათ ისახება და არა მეფე მებრძოლად, რომ ოსთა დასვენებულ და ნამძინარევს და დაღალულს ლაშქარს გათენებისას დაეხსნა თავს და შემუსრა. შემუსრული და მეფე მოკლულ ოსეთის მებრძოლნი დაბრუნდნენ ოსეთში. მაგრამ ამაზასპმა ოსთა ჯავრი მარტოდ ამ ბრძოლით არ გაათავა, მას ოსებზედ რაღაც მიზეზების გამო გული უღრინავდა და ამიტომ პირველ ომის მეორე წელს, რაღაც ხერხით დაიყოლია სომეხთა ჯარი, გარდავიდა ოსეთს და ხელ ახლა აღაოხრა მოულოდნელად მოუმზადებელნი ოსნი ტ საქმის არ მცოდნელნი, ამ ომის მიზეზიც არ ვიცით ჩვენ. ამ სამწუხარო გარემოებას ასე აგვიწერენ:—„და წელსა მეორესა მოიერთო ძალი სომხითით, შეკრებნა სპანი მისნი ყოველნი, და კარდაგიდა ოვსეთსდა ვერაგინ წინ აღედგა. და მოტეეენა ოვსეთი, და მოგიდა მინა გამარჯვებული: შემდგომად ამისა შეექმნა სიღადე და იწყო შესისხლეობად, და მოსწყვიტნა მრავალნი წარჩინებულნი“. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ომის მიზეზადაც ამაზასპის სიეერაგეს ვხედავთ და მოუსვენარს მესისხლეობას. იგი ისეთი მესისხლე ყოფილა, რომ მარტოდ ოსეთის აოხრებით კი არ დამტკბარა, არამედ, შიგ თავის სამეფოშიაც დაუწყია სხვა და სხვა ქართლის წარჩინებულთათვის დევნა. ამის გამო შეეძულებიათ იგი ქართლის ერისთავთა და სომხეთსაც. მიზეზი შეძულების სხვათა შორის ისიც ყოფილა, რომ იგი თავის ვერაგობის გარეშე, თურმე სპარსელებსაც დიდათ ეკედლებოდა, რაც უფრო იყო მიზეზი ოსთა ამხედრების.

ამაზასპის საქციელს, სულის ვითარებას და სამეზობლო თუ სამეგობრო ზნესა და ხასიათს ასე გვიხატავს ქ. ცხ. —„და მო ძედეს (ამაზასპი) იგი ერმან ქართლისამან და მტერქმნა იგი სომეხთსაცა და შეიყვარა სპარსნი, მაშინ განუდგეს მას ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი, ოთხნი ერისთავნი ეგრისისანი,

ორი ოძრხის, ერთი კლარჯეთისა, ერთი წუნდისა“ ყველა ესენი წინ აღუდგნენ ამაზასპს, უარი ჰყვეს მისი მეფობა, ტახტიდამ გადმოგდება განუცხადეს და სამეფო პირად სომეხთა მეფეს მიმართეს და ძე მისი ითხოვეს მეფედ, რადგანაც ძე სომეხთა მეფისა დის წული იყო ამაზასპისა. სომეხთა მეფემ შეისმინა. ქართველთ თხოვნა და მეფედ მისცა თავის შვილი და თან აურიცხელი ჯარი გამოატანა. მოსულ სომეხთ მოეშველნენ ბერძენნიც, კვალადვე ოვსნიცა, შეებრძოლეს ამაზასპს, დასცეს მისი ლაშქარი და თვით ამაზასპიც მოკლეს ომში. ოსთა მონაწილეობას ამ ომში ასე გადმოგვცემენ: — ეზრახნეს ოვსთაცა, რომელნიც სიხარულად წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი და გარდმოვეს გზა თაკვერისა და მოვიდეს ერისთავთანა მეგრელთასა; მაშინ ამაზასპ მოუწოდა სპარსთა, და მოვიდეს სპარსნი ძლიერნი და შეკრბეინა ქართველნიცა, რომელნიც დარჩომოდეს; მაშინ ოვსთა და მეგრელთ-გარდმოველეს მთა მცირე და შეკრებეს იგინი და ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი და მოვიდეს ესე ეოველნი წინაშე. იქმნა ბრძოლა მათ შორის: იძლია ამაზასპ, და იეულოდა სპა მისი. და დაიპყრეს ქართლი, და მოკლეს ამაზასპ და მოსრნეს სპანი მისი“

ცნობებიდამ კარგად სჩანს სვერაგე ამაზასპის და გაუგებრობა, მას ეომებიან არა მარტო ოსნი, არამედ თვით ქართველ ერი და ერისთავნიც. მიზეზი აქ ცხადია რომ ოვსნი ამაზასპს აეშალენ არა თავიანთის სარგებლობისთვის, არამედ ქართველთა შინად ორგულობის და ღალატისთვის, რასაც კი ამაზასპი იჩენდა და იარაღად ხმარობდა თავის ერის და ქვეყნის წინაშე. ბევრი აურ-ზაური და სისხლის ღვრა მოხდა ოსთა და ქართველთ შორის; ხოლო ამათ სისხლის ღვრას ბოლო მოეღო იმ გარემოებამ, რომ ოსთა მოკლეს ამაზასპ მეფე და მით ქვეყანაც მისცეს მოსვენებას.

ამაზასპის მოკვლის შემდეგ, ქართველთა ძალით და ოსეთის ერის დახმარებით, გამეფდა მეფე რევი, სომხეთის მეფის

შვილი, დედით ნათესავი, დისწული ამაზასპისა. რევ მეფემ იცოდა ოსთა მეფის და ერის ერთგულება თვისადმი და ამიტომ იგიც ოსებს დიდის მეგობრობით ეპყრობოდა, მეზობლურს სიყვარულს უცხადებდა და სცდილობდა, რომ ამაზასპ მეფისაგან დანერგილი მტრობა ოსთა და ქართველთ შორის აღმოეკვეთა და დაევიწყებინა მათთვის ის დიდი სისხლის ღვრა, რაც კი ოსებმა ამაზასპ მეფის გულისთვის არაგვის ნაპირს დაღვარეს. რევ მეფე კერპთაყვანის მცემელი იყო, ხოლო იგი არ ავიწროებდა ქართველთა და ოსთა ღმერთებს. მათაც პატივით ეპყრობოდა. რევი იყო ოსტატი კაცი, საბერძნეთს გაზრდილი, იცოდა ბერძნული ენა და მწიგნობრობაც, ამიტომ ამან ცოლად მოიყვანა ბერძნის ქალი, სეფელია, ცოლის გულისთვის ამან აღმართა მცხეთის თავზედ, ღმერთი კერპი აფროდიტო. მას სწადდა რომ აფროდიტო კერპი განევრცო ქართლსა და ოსეთში ცოლის ხათრით, მაგრამ თან ეკრძალებოდა ამის, რადგანაც მის დროს, ქრისტეს სწავლის მცნების სხივები უკვე გაჩაღებული იყო ოთხსავ-კუთხივ, საქართველოში და ოსეთშიაც მოეპოვნა ამ მცნებას თავის ნიადაგი, ოსნი და ქართველნი ხშირად მოიგონებდენ ანდრია მოციქულის ქადაგებას და ქრისტეს მცნებასაც სანატრელად სთვლიდენ, თვით რევსაც აქვნდა მიდრეკილება ქრისტეს სწავლის და სახარების მცნებაც ესწავლა. რევის შემდეგ განაგებდა ძე ამისი ვაზე, ვაჩეს ძე ბაკური, ბაკურის ძე მირდატი და მირდატის ძე მეფე ასფაგური. ამ მეფეების დროს, ოსთა და ქართველთ შორის სრული მშვიდობა არსებობდა, სიყვარული და ერთმანეთის შველა.

ასფაგურ მეფის დროს, სპარსეთში გამეფდა ქასერ მეფე ფირვან სასანიანი, ამ მეფემ მოსრნა სპარსეთის მეფეთა გვარის აეღალანნი, რომელნიც არდაშირობით არიან ცნობილნი. ასფაგურ მეფეს დიდი მეგობრობა აქვნდა სომეხთა მეფე კოსაროსი. კოსაროს მეფემ სპარსეთის მეფე ქასრეს ბრძოლა

დაუწყო, ასფაგურს ოსთა და მთიელებზე ისეთი გავლენა აქვნდა, რომ მან განაღო დაკეტილი კარი კავკასიისა და იქიდამ გამოიყვანა ოსნი, ლეკნი, ხაზარნი, მთიელნი და ქართველებით სომხებს მიეშველა სპარსთა წინააღმდეგ საომრად. სომეხთა, ქართველთა და ოვსთა შეერთებულის ძალით მოსრნეს სპარსნი და განდევნეს თავიანთ ქვეყანას. დევნილი სპარსნი დაემკვიდრნენ თავიანთ ქვეყანას. სამწუხაროდ, სომეხთა მეფე მაინც არ დაწყნარდა და ქართველებით და ოსებით ხშირად შაესეოდა სპარსეთს და აოხრებდა. ამ გარემოებამ სპარსელნი იქამდის მიიყვანა, რომ იგინი შეიკრიბნენ დიდის ლაშქრით, წამოვიდნენ სომხეთზედ და ყოველივე დაამხეს, ამის წყალობით დევნილ იქმნენ სომეხთ მეფენი, სპარსთა მეფემ დაიპირა სომხეთი, მერე მიმართა ქართველ მეფე ასფაგურს. ასფაგურ მარტოდ ბრძოლა შაეშინდა, ამიტომ მიმართა ოსებს შველის სათხოვნელად, მალე თვით წავიდა ოსეთის მეფის კარზედ, მაგრამ ეს ველარ მოახერხა, ოსეთს შესული ავათ გახდა და მოკვდა ოსეთში. ამ ცნობას „ქართლის ცხოვრება“ ასე აგვიწერს;—„წარვიდა ასფაგურ ქართველთა მეფე ოვსეთს, რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრნა ციხე-ქალაქნი(?): ხოლო რაჟამს შევიდა ოსეთს, ეწია სიკვდილი და შუნ აღესრულა“. ასფაგურ მეფეს ერთ ასულს გარდა ვაჟი არ ჰყვანდა და ამით დასრულდა საქართველოში ფარნავაზ მეფის ნათესავთა შთამომავალთ მეფეთა გვარი. ასფაგურ მეფე ოსებმა დიდის პატივით შეამკეს, ტანი მისი ზაფრანით მორთეს, მერე წარმოასვენეს და დაფლეს მცხეთას. სპარსნი ჯერ ქართლში არ იყვნენ შემოსულნი. ქართველთ მოისაზრეს ასე: მოციქულები გაუგზავნეს სპარსთა მეფეს და შეუთვალეს, რომ მეფე ჩვენი აღესრულა, მას ერთი ასულის მეტი არვინ დარჩა, თქვენ მოგვეცით ძე თქვენი, ჩვენ მივსცემთ მას ჩვენი მეფის ასულს, მას გავამეფებთ ჩვენზედ და თქვენიც ერთგული ვიქნებითო.

ასფაგურ მეფის დროს, ქართველთა და ოსთა შორის თვით ამავე მეფის დარიგებით გავრცელდა სამადლობლად მღვთისადმი სამღვთოს შეწირვა ზვარაკად მცხვრისა და ძროხის დაკვლა. რაც ერთობ მალე მოიფინა ქართლსა და ოსეთში ეს ჩვეულება.

სპარსთა მეფეს მოხსენდა ქართველთ მოციქულ სპასპეტ და სხვათაგან, მან შეისმინა ყოველივე, იკითხა საქართველოს ცნობები, ცხეთის ქალაქის სივრცე, როგორც მეზობელთა ვითარება. მოხსენდა მას, რომ ქართველთა მეზობელნი არიან ხაზარნი და ოსნიო. შეიტყო ყველაფერი, იქმნა კმაყოფილი, მოსცა თავის შვილი მიჰრანი მეფედ და გამოჰყვა მცხეთას, შერთა ასფაგურის ქალი ცოლად, მეფეს ცხეთას და დაუმორჩილეს საქართველოს ყოველი კუთხე გარდა ოსეთისა. შემდეგ ეს მიჰრან არის თვით მირიანი, რომელმაც იწამა ქრისტეს სჯული და რომელ მეფესაც დიდი კავშირი აქვნდა ოსეთის მეფეებზედ.

მირიანის გამეფების შემდეგ ქასერ მეფემ დაიმორჩილა კავკასიის ყველა მთის ხალხნი. თვითონ დაბრუნდა სპარსეთს და მირიანს დაუტოვა მრავალი ლაშქარი და მცნება, რომ კავკასიის მთიულთა და ხაზართა და ლეკთა ბარადის ებრძოლე და დაიმორჩილეო. მირიან მეფე ალიარებდა სპარსთა სჯულსა და ქართველთაცა, რათა ამით არ მოეძლურნა ქართველნი. იგი ადიდებდა შვიდს კერპს და ცეცხლსაბარსულად. მერე შეითვისა ქართველთა კერპნი: ბომონნი და ადიდებდა მათ კეთილად, იპყრა ქურუმნი, ვერპთანი და უმეტესად შეამკო საფლავი ფარნავაზისა. მამის დარიგებისამებრ, მირიან მეფე უცხოს თვალით უმზერდა ხაზართა და კავკასიის მთათა მცხოვრებთ მთიულთა. მირიან ბევრჯერ შეებრძოლა ხაზართა და ყოველთვის სძლია.

ოსები მირიანის გამეფებას პირველად კაის თვალით უცქერდენ, ხოლო სპარსთა ღმერთი კერპთა და ცეცხლთა და მოგვთა მოყვანის და გამრავლებას კი ვერაფერის კაის

თვალით უმზერდნენ, ამიტომ ოსნი მცირედ ეურჩებოდენ კიდეც. მირიანმ არც ოსები დასტოვა უომრად, დარიალის ხეობა ხაზართა ზედა წასასვლელ საომარ გზათ გახდა და ასევე თვითაც დაიწყო ამ გზით ომები, რაც ოსებსაც დიდს ზარალს და ვნებას აძლევდა. მირიან მეფეს და ხაზართა დარუბანდისთვის მრავალ გზის მოუხდათ ომი და ოდოგარი, ხან ერთნი სძლევდნენ და ხან მეორენი, ამ გარემოებით ოსნიც იჩაგრებოდნენ და იმუსრებოდნენ. თუმცა მირიანი ოსეთს პირდაპირ არ ებრძოდა, მაგრამ მაინც აშლილი მდგომარეობა ქართველთა და ხაზართა ოსებსაც აფიქრებდათ.

მირიან მეფის დროს, ანუ მის თანმედროვე ოსეთის მეფეებად სხვათა შორის იყვნენ ფეროშ და კავციკ. ესენი იყვნენ დროის კვალად გოლიათნი და მხნენი, ხოლო უფროსად ამათ სწადდათ თვისი სამეფოს დაცვა და დაფარვა სპარსთაგან, სხვისას არას ეძებდენ, არავის რას ელტოდენ. მარტოდ თავიანთი ქვეყნის შენახვა უნდოდათ, ხოლო თავისუფლად შენახვის კი შიში აქვნდათ, რადგანაც მირიან მეფე მათ მარადის არ აძლევდა მოსვენებას. მირიან მეფეს სპარსეთში მამა მოუკვდა, იგი იქ წავიდა, რადგანაც თავის ძმას ტახტს ედავებოდა. ამის წასვლით ოსთა მეფეებმა ისარგებლეს და გადმოვიდენ ქართლში, ქართველთ უწყეს ქადაგება და განძრახვა სხვა და სხვა საწინააღმდეგო საქმით მირიანის წინაშე და ამით მათ „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით ვითომც გარყვნეს ქართლი. საქართველოში მოსულმა მირიან მეფემ ყოვლი ცნობა ოსთა მეფე ფეროშ და კავციასი შეიტყო, ამიტომ გადავიდა ოვსეთს, გადიყვანა თანლაშქარი და ოვსეთი დაამხო და დასწვა. აი თვით ამ ცნობის სტრიქონიც:— „ხოდო მირიან გარეს-გარე გარდავიდა ოვსეთს, მოსტუეეგნა ოსეთი და მოწვა ხაზარეთამდე, და გარდმოვიდა გზა დვალეთისა და მოვიდა შინ“.

უნდა ითქვას, რომ მირიან მეფე ოსებზედ ასეთის ამხედ-

რებულის თვისებით პირველ იყო, ვიდრე მას თავის მამის ქასერ მეფის დარიგება და დავალება ახსოვდა. მამის სწავლისამებრ ოვსებსაც ემტერებოდა, შემდეგ დროს კი, რაკი მან სხვა გზა ირჩია და ქრისტიანობის გაცნობა დაიწყო, მერე კი ოვსთა ოხრებას თავი გაანება, ასევე ხაზართა და სხვათაც და ნაცვლად ბოროტების კეთილის საქმეებით დაუწყო სამაგიეროს გადახდა. მირიან მეფემ მალე იგრძნა ოსთა სამეზობლო მნიშვნელობა და ამიტომ იგი მათ ადვილად განერინა. ამ გარემოებას, რასაკვირველია მალამოდ ევლინებოდა ქრისტეს სწავლა, რაც მის მეუღლის ცნობილის დედოფლის განაგონარის და მოთხრობილის ამბებითაც იფინებოდა ქართლში, ამ განაფენილ სხივები ოსეთშიაც გადადიო, რადგანაც მაშინ ოსეთი საქართველოს კარის ბჭედ იყო დადგენილი. მირიანის კეთილი განწყობა შემდეგში მიდამაც გამოიხატა, რომ რაც კი მცხეთაში ქრისტეს მცნება შემოვიდა და გავრცელდა, იმავე დროს, იგივე მცნებათა სწავლამ დიდის სიადვილით მიაღწია ჭირიანის წყალობით ოსეთშიაც. ასე და ამ გვარად, მირიან მეფის და ოსთა ფეროშ და კავკია მეფის დროს, ქრისტეს სწავლამ ოსეთშიაც შეანათა და ოვსეთსაც ქართლთან ერთად ერთი ისტორია აქვს ქრისტიანობის გამრცელების მხრით, რასაც თვით ცნობებიც ასაბუთებენ.

წმიდა ნინოს მოსვლა ჯ დამკვიდრება ხომ მცხეთაში იყო. წმ. ნინომ ცხეთაში განითქვა სახელი ავათმყოფთ მკურნალობით და განკურვნით. ნინოს შესახებ მთელი ქართლის ერი ლაპარაკობდა, მეფე დედოფლიდამ დაწყობილი ყველა მაზეს საუბრობდა, ნინოს შესახებ ლაპარაკმა და მცნებამ მთის ხალხშიაც მიაღწია. მთის ხალხი უცნაურის ცნობებით მოუთხრობდნენ ამ ქალის შესახებ ლაპარაკსა და თან დასძენდენ, რომ ესეთი დედაკაცი თან ახალს სჯულსაც ჰქადაგებსო. ნინოს ქადაგების, ავათმყოფთა განკურნის და სხვა ბევრიც რამ კეთილ საქმეთა შესახებ ცნობათა საუბარმა ოსეთ-

შიაც გადაჰყო თავი, მთელს მთისა და ბარის ოვსეთშიაც შოიფინა ცნობები, რომ ცხეთაში მირიან მეფის მახლობლივ არის ერთი დედაკაცი, რომელიც, ავადმყოფია ჰკურნავს და თან ახალს სჯულსაც ჰქადაგებსო. სჯულს, რომლიც ანდრიამაც ჰქადაგა მთასა და ბარშიო. მთელი მთიულეთი და ოსეთი დაიძრა ამ დედაკაცის სანახავად და ვისაც კი შეეძლო მოდიოდა მცხეთას და ნახავდა წმ. ნინოს და ისმენდა მის ქადაგებას ქრისტეს სჯულის შესახებ.

საქმე ისე მოეწყო, რომ წმიდა ნინოსთვის ცხად და გარკვეულ შეიქმნა მთისა მთიულნი და ოსეთს—ოსებიც, ამიტომ იგი ქართლით განვიდა იქითაც და ჰქადაგა მცნება ქრისტესი და მერე დაბრუნდა ისევ მცხეთასა. მთიულთა შემდეგ ოვსთათვისაც მცხეთა გახდა იგივე, რაც ქართველთათვის იყო. წმიდა ნინომ აიყოლია მთელი ქართლის ერი, მცხეთა ივსებოდა მისის მნახველით, მან დაიმორჩილა მეფე მირიანი, დაიმორჩილა დედოფალი, ურიათა მღვდელ მთავარნი, მათნი სახლობანი, ასწავლა ჰათ მცნება ქრისტესი, საბერძნეთის მეფე კონსტანტინესთან მირიან მეფეს წერილების მიწერ-მოწერა გაამართვინა, მოიხმო საბერძნეთით ეპიკოპოზი ივანე, მცხეთაში აღმართა ჯვარი, შეირყა კერპი ბაცი, გაიმი, კერპნი თვით მირიანისაგანვე შემოტანილ და აღმართულნი. მცხეთას მოინათლა ქართველი ერი, სადაც მრავლად ერივნენ მთიულნი, ქისტნი, ფშავნი, ხევსურნი, თუშნი, ლეკნი და ოვსნი. ესეთი გარემოება მთიულთა და ოსთა არ უნდა იყოს უცხო, რადგანაც ოსნი ცხეთაში მრავლად გადმოდიოდნენ სავაჭროდ და სამკზავროდ. ოსთა სავაჭროს და მოხდენილს შუა გულს მცხეთა შეადგენდა, სადაც უცხო ტომის ერთთან აღებ-მიცემასაც ადვილად ახერხებდნენ. მცხეთაში ყოფილ მთიულთა და ოსთა ყოფნა და ქრისტეს მცნების მიღება არც წ. ნინოსათვის იყო ჩუმი, მანაც ქარგად შეიტყო მაგალითი მთიულთა და ოსთა. ამოტომ წმ. ნინო მეორეულ განემზადა მათკენ წას-

ვლას, მალეც წავიდა და გარკვევით ჰქადაგა, მაგრამ ზოგმა არ შეიწყნარა ამიტომ მალე უკან დაბრუნდა.

მერე მირიან მეფის თხოვნით მესამედ გაგზავნილ იქმნა წმ. ნინო და ივანე ეპისკოპოზი, მახვილით და შიშით ეუწყათ მათ, რომ ეწამათ ჯვარი ქრისტესი და მცნება მისი, ამიტომ წმ. ნინომ და ივანე ეპისკოპოზმა: „მოუწოდეს მთელთა ჰირ-უტეგთა სახეთა მათ კატთა, ჯართალელთა, ფხოელთა, გუდა-მაურელთა და უქადაგეს მათ ჯვარი ქრისტესი.“ ამ ხალხთა სახელ-წოდებაშივე ჰყვება ოსეთი და ოსეზიც. ვინც ამ ხალხთაგან არ ირწმუნა მცნება იესოსი, ისინი მეფის ბრძანებით შეშინებულ იქმნენ ერისთავისაგან მახვილით და დარიგებით, ამგვარად, ოსეთის ერმა, ფერომ და კავკიას გამგეობის დროს, იწამეს სჯული ქრისტესი, როგორც კავკასიის მთათა აქეთ, ისევე იქით, ოსთა მეფე ფერომ და კავკია ხალხით მონათლა ივანე ეპისკოპოსმა. მიტომაც არის ცხეთაში დაცული ამ მეფეთა სურათებიც.

შემდეგ ამის, გადმოვიდნენ ერწო თიანეთისაკენ, კახეთის მხრით და აქაც უქადაგეს სჯული ქრისტესი. თუშებს და სხვათაც მრავალთა მათ მოსაზღვრედ მცხოვრებთა ქისტთა, ოვსთა, ერწო-თიონელთა და ლეკთა. ამ გადმოსვლას ასე მოიხსენებს „ქართლის ცხოვრება“—„გადმოვიდეს შუნით და დადგეს ჭალეთსა, და უქადაგეს ერწო თიანელთა, ხოდო მათ შეიწყნარეს და ნათელ იღეს. ხოდო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს, და სხვანიცა უმრავლესნი მთიულნი არა მოაქციეს, არამედ დაუმძიმა მ.თ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება: ამისათვისცა წაკრიბეს ოგინიცა და შესცდეს და რომელნიმე უკანასკნელ მოაქციენა ამბიბოს, ნეკრესელ ეპისკოპოზმან რომელნიმე დარჩეს წარმართობისა დღეს აქნობამდე“ ცნობა გვაუწყებს, რომ ხსენებულ მთიულთაგან ზოგთა იწამეს მცნება ქრისტესიო და ზოგთა არაო, ვინც არ იწამეს ისენი თუშეთში გადვიდენ, მაგრამ ბოლოს ამათაც იცნესო. თუმცა აქ მოიხსენებიან მარტოდ მთიულნი, ერ-

წო თიათელნი, ფშავნი, ხევსურნი და მათ ადგილები, გუდა-მაყრელნი და სხვანი, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ მოხსენებულ მთათა და ბართა მცხოვრებთ შორის მრავლად ესახლნენ ოსნიც და როგორც ერთნი უკავშირებოდენ წმ. ნინოს მცნებას, ესე იგი მთიულნი, ესევე უკავშირებოდნენ მეორენი, ესე იგი ოსები, რომელნიც ძველადგანვე ერთად სცხოვრობდნენ ზემო ხსენებულ მთიელ ხალხთან.

ვინც კი საქართველოს კავკასიის მთებში მცხოვრებთ მთიულებს ნახავს, გაიცნავს მათ ცხოვრებას და სამეზობლო გარემოებას ოსებთან, ის ოსებს მათგან არაოდეს არ დაცალკევებს, რადგანაც ერთი მხრით მთიულ ქართველნი სცხოვრებენ და მეორის მხრით ოვსნი, რომელთაც უხსოვარის დროდამ მათ ქართველებთან აქვნდათ არამც თუ მეზობლობა, არამედ ნათესავობაც კი და ერთს სჯულს, თუ ღმერთსა და კერპთაც აღიარებდენ. ყველასათვის როგორც დღის სინათლია ნათლოვანი, ისევე მთის ქართველთ მთიულთა, ფშავთა, ხევსურთა, თუშთა და მათთან ერთად ოსეთის და ოსების გაქრისტიანებაც წმ. ნინოსაგან 280 წლებში არის უტყუარი და ქეშმარიტი. საუწყებელია ისიც, რომ მთიულებთან ერთად წმ. ნინოს მცნება არამც თუ მარტოდ ხსენებულ მთიულთ და ოსებმა იწამეს, არამედ მცირედ დაღისტნელ ლეკებმაც. ისიც სჩანს, რომ საქართველოს ჩრდილოდ. დასავლით, მთის მცხოვრებთ და მათთან ოსებს საერთოდ კი არ უწამნიათ მცნება ქრისტესი, არამედ რამდენთამე. ესეც საკმარისი არის ოსეთის ერის გაქრისტიანების ისტორიის დიდებისათვის. საუწყებელია, რომ რაც არის ქართველთათვის წმ. ნინო, იგივე არის ოვსთათვისაც, იგი სამართალია იწოდებდეს განმანათლებელი ოვსეთის და ოსების ერისაც, რადგანაც მან დანერგა მთასა და ოსეთში მცნება ქრისტესი.

აქ არ შიძლება არ ითქვას ისიც, რომ მირიანის საქციელი და მაგალითები იმ დროის ოვსთა მეფეს ფეროშ და კაცია-

სთვისაც არ გამხდარიყოს საყურადღებო; უამისოდ არ იქმნებოდა, რადგანაც ოსეთის მთავარებს მირიან მეფესთან ახლო კავშირი აქვნდათ, მისვლა-მოსვლა ხშირად ცხეთაში, ამას გარდა მირიან მეფემ რომ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან კავშირი დაიჭირა და წერილების წერა დაიწყო, უეჭველია ასეთი კავშირიც ოსებსაც ეცოდინებოდათ. მირიან მეფის და კონსტანტინე იმპერატორის დაახლოვება ისეთი სისწორით მოხდა, რაისა გამო კოსტანტინე იმპერატორმა მირიანს თავის შვილი ბაქარიც კი დაუბრუნა მძეელობიდამ, რაც ცნობილ იქმნა მთელს აღმოსავლეთსა და ოსეთშიაც.

გარდა ამისა, ამ დროს, ბიზანტია ძლიერი სამეფო იყო, მათ დიდი გავლენა აქვნდათ არა მარტო ქართველებზედ, არამედ ოსებზედაც. მაშინ ბიზანტიას შაეძლო სპარსეთიც კი დაემორჩილებინა, ასეთი ძლიერებით იყვნენ იგინი მოსილნი, რაღა ფიქრი უნდა, რომ ქართველების კავშირი ასეთ ძლიერ იმპერიასთან არც ოსებისთვის იქნებოდა დაფარული, ცხადია რომ როგორც მირიანმა იწამა ქრისტეს მცნება, როგორც მან დაუდო საფუძველი საქართველოში, უეჭველია მას ისევე ოსთა მეფე ფეროშა და კავციაც მიიღებდნენ მთელს ოსეთში. მირიანის გაქრისტიანებამდეც ოსებსა და ქართველებს აქვნდათ მეზობლური კავშირი, ქრისტიანობის მიღების და წმ. ნინოს შემოსვლის დღიდამ კი ამათში დაარსდა სულიერი კავშირიც. ამიტომ მათში სრულიად მოისპო თვით უბრალო უთანხმოებაც კი. ამ მშვიდობიან პირობების მთავარ ძალათ რასაკვირველია ქარ~ველთა და ოსთა გაქრისტიანების საქმე უნდა ჩაითვალოს.

აქ ამის შესახებ მე შემოვიტან ხელთ ნაწერ ისტორიულ ცნობებს ოსების გაქრისტიანების შესახებ, რომელ ხელთნაწერ წიგნიც მე მაქვნდა 1903 წლამდე. ეს ხელთნაწერი წიგნი დაწერილი არის 1750 წ. დავით გარეჯის მონასტერში, გადაწერილია ვინმე ოს ყოფილ ისიხ ბერისაგან, ამავე წიგნში

არის მრავლად ნახატი სურათები ოსთა მეფეთა და მთავართა, სურათების ცნობები იყო, რომ იგინი გადმოღებულ ყოფილან ძველად ოსთა სხვა და სხვა ძველის საყდრებიდამ, რომელ საყდრებიც მერე მუსულმანთა გავლენით XIV საუკ. ნახევარს სულ დაქცეულან. ჩვენც ამ წიგნიდამ შემოვიტანეთ ოსთა მთავართა და დიდებულთა სურაები, სამწუხაროდ ამ წიგნის პირობების შესახებ ეხლა აღარა ვიცი რა, აი ამ წიგნის ცნობებიც:

ოსები და ოსეთი გაქრისტიანდა ქართველთ კეთილ მორწმუნე მეფე მირიანის დროს, წმ. ნინოს ქადაგებით, იმ ჟამად ოსეთს მეფობდნენ ოსთა კეთილ მეფენი ფეროშა და კავცია.—ამ მეფეთაც შალე იცნეს ნეტარ დედა ჩვენი წმ. ნინო. ამათ იწამეს მცნება ქრისტესი, ამ დღემდე ოსთა ღმერთი იყო კერპი ცხეთისა, ოსნი თვის მეფითურთ ცხეთაში მოვიდოდნენ და ქართველებთან ერთად ლოცულობდენ არმაზს, ზადენს, გაცს, გაიმს, დანიანას, ანიანს და ავროდიტს და სხვათაც ამ გვართა.

ცხეთა იყო ღმერთთა ზღუდე ქართლისა ოსეთისა. ღვთის მშობლის დარიგებით, საქართველო წილად ხვდა ანდრია მოციქულს, ანდრია მოციქულმა თავის მოწაფედ აღირჩია სიმონ ქანანელი და მატათა, მოციქული მატათა იყო ახალი მოწაფე და მოციქული მაცხოვრის სწავლისა, მატათა ამორჩეულ იქმნა მოციქულ იუდას შემდეგ თვით იუდას მაგიერ. ამ ორის მოციქულით ანდრია მოვიდა საქართველოში. ამათ ქრისტეს მცნება გააცნეს ლაზელ და ჭანელთ, მესხ-ჯავახელთ, იმერთ-მეგრელთ და მერე ქართლში გადმოვიდნენ. მცხეთას და საბალდნენ. შემდგომ ამის ანდრია სიმონითურთ იმერეთში გაემგზავრა, იქ იმერთ გააცნეს მცნება ქრისტესი, მერე გადვიდნენ აფხაზეთს და აქ დაადგინა მღვდელ მთავრად სიმონ ქანანელი და ეს კუთხე აკურთხა ჯვრით.

აფხაზეთიდამ ანდრია მოციქული გაემგზავრა ოსეთს. მთა მთა გადიარა მთელი ოსეთი, გაიცნა ოსნი. კავკავის ახლოს

ერთ ალაგას, ოსებში საჯაროდ ჰქადაგა სწავლა ქრისტესი, მის ქადაგებას ოსნი პატივის ცემით ისმენდნენ. ამ ალაგას ნიშნად ქრისტეს მცნების დასვა ჯვარი და მატათა მოციქული, ოსების მღვდელ მთავრად აკურთხა მატათა, იგივე დაადგინა ოსეთის ერის მქადაგებლად. ოსების პირველ მღვდელ მთავრად ეს მატათა ყოფილა. თვითონ კი ანდრია მოციქული აფხაზეთში გადავიდა საქადაგებლად.

მატათა მოციქული დარჩენილა ოსეთში, ოსური ენა შეუსწავლია, ამ ენით დაუწყია ქრისტეს მცნების ვრცელება. მთელს ოსეთში ამას მოუფენია ქრისტეს სწალის ცნობები, მატათა მოციქულს დიდათ უღვაწნია, აქედან აღარსად წასულა, ოსეთშივე გარდაცვლილა.

ასეთ მომზადების შემდეგ, მატათა მოციქულს არ ერგო წილად ოსთა გაქრისტიანების შესრულება. ამის მხვედრი წილად არგუნა ბედმა -წმ. ნინოს და მირიან მეფეს, ოსთაგან ამიტომაც სადაც ჩვენ ვახსენებთ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს, ქართველთა მირიან მეფეს, ამათ დროის ოსთა ქრისტიან მეფედ უნდა დავასახელოთ ფეროშ და კავცია. უამათოთ - არ დაასახელებდა ოსეთის ერის გაქრისტიანების მცნება და ისტორია.

რაც შეეხება წმიდა ნინოს, იკიც რამდენათაც განმანათლებელია საქართველოსი, ისეთივე მოციქული გახლავსთ ოსების და მთელის ოსეთის დიდება და სახელოვნებაც.

ამას გარეშე, ისიც უნდა ვიქონიოდ სახეში რომ ოსთა და ქართველთ ძველადგანვე ისეთი მტკიცე მეზობლური კავშირი აქვნდათ, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა რომ რასაც ქართველნი მიიღებდნენ და შეიწყნარებდნენ, იმას ოსებიც დიდის პატივისცემით ემორჩილებოდნენ, ოსთა და ქართველთა ასეთი ძმობა ისე ყოფილა ძველადგანვე განცხოვლებული, რომ თვით ქართული სიტყვა ცხეთაც კი, ანუ ცხეთა, რაც მირიან მეფის დროს, ახალ იერუსალიმად იქმნა აღიარებული და რომლის დანიშნულება თვით ოსეთის ერმა და მათ მეფე ფეროშ და

კავციამაც იწამეს, რომ თვით ეს სიტყვა ცხეთა ოსური სიტ-ყვა არის, ოტათი შეცვლით კი, მაგალითებრ „ცხაგთა“, რაც ოსურად ნიშნავს მეზობლებს.

ქართველები რა სჯულსაც მიიღებდნენ ხოლმე, მაშინათვე იმას არც ოსები გაუდგებოდნენ უკან, ოსებისთვის წმ. ნინოს შემდეგ, ცხეთა ისეთივე აკვანი იყო, ისეთივე სამთელი და ქრისტეს კაი-კერა, ანუ ახალი იერუსალიმი როგორც ქართველთათვის, ოსი ცხეთაზედ რომ გაივლიდა მის ულოცავობა არ შეიძლებოდა, იგი სვეტი ცხოველს უსათუოდ მოილოცავდა. თვით ოსებშიაც ქებული იყო ის ოსი, ვინც ცხეთაში მოლოცვის ამბავს სახლში იტყოდა. ნამეტურ დედაკაცთათვისაც. ამ გარემოებას ოსთა შორის ის უფრო ადიდებდა, რადგანაც ოსებს მოსანათლი მირონიც აქედამ მიჰქონდათ. ამას გარდა ყოველ ოსის მთავარი ისე ვერ დაიწყებდა გამგეობას, რომ მას ცხეთა, ანუ ახალი მირონის ეკლესია არ ენახა და თაყვანი არ ეცა, ოსნი ცხეთაში თურმე ოთხს ადგილს სცემდნენ თაყვანს: ჯვარის მონასტერის, სადაც ანდრია მოციქულს დაუდგამს პირველად ქრისტეს ჯვარი, მეორე-ცხეთის ტაძარს, მესამე-თვით სვეტს და მეოთხე წმ. ნინოს მაყვლოვანს.

ქართველებს და ოსებს ერთი საქრისტიანო ისტორია გვაქვს. უცნობ ძველ წიგნში: ოსებმა მირიან მეფის დროს, იწამეს ქრისტიანობა თანასწორის ქალწულის დედათა ჩვენის წმ. ნინოსაგან. მოყვანილია კიდევ!—„წმიდა ნინო ისეთ სნეულებს ჰკურნავდა და არჩენდა, რომელთა მკურნალობასაც ხელოვან მეცნიერ მკურნალნიც ვერ ახერხებდნენო“.

ამავ ოსთა და მათ მოდგმათა მთის ერთა გაქრისტიანების ამბავს, საქართველოს ისტორიის მკვლევარი ს. გიორგაძე ასე გადმოგვცემს თავის გამოკვლევას:—„საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ 1905 წ. „მოამბე“ ძველის დედნიდამ მოჰყავს ასე!—„ნეტარმან მან დედაკაცმან ნინო წარუხვნა იაკობ მღვდელი სიბერძნეთით მოსული, და ერისთავი ერთი წარვიდა და-

დადგა წობნეს და მოუწოდა მთიელთა, ჯართველთა და ფხოველთა და წიდკანელთა და უქადგა სარწმუნოება ქრისტესი“ ამ კუთხეებში ქადაგების მორჩენის შემდეგ იგი გადასულა სხვა მთის მცხოვრებთ შორის მაგალითებრ; „კადხდა ერწუდ და დადგა ჯალეთს და დაბასს ედემს და ნათელი სცა ერწუ თიანელთა და ყუარელთა ესმა ესე და გადაკრბეს თოშეთა... და ნინო შთავარდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მთითს და გარდავიდა კოხეთზედ და დადგა ქცელ დაბასს და მოიყვანა კაცნი მთავარნი და მონათლნა“.

ამ უძველეს ცნობებში მოიხსენებიან მთლად ოსეთის ოთხ-კუთხივ მცხოვრები მეზობელ მთის ერნი, რომელნიც დაიმორჩილა წმინდა ნინომ და გააქრისტიანა იგინი, ისტორიით ვიცით, რომ ოსებიც მუდამ დღე, თითქმის განუწყვეტელ ამ მთის ერთან იყვნენ მეზობლად და მაშ ამათში ოსები რაღა გამონაკლისები იქნებოდნენ. თუმც ამ ცნობაში ოსნი არ მოიხსენებიან, მაგრამ საღი ლოღიკის დასკვნა ამას გვასწავლის რომ მოხევ, თუშ, ფშავ, ხევსურ, ქისტთ და სხვა მთის ხალხებთან ერთად ოსებიც ვიგულისხმოთ. მეორე ამ ცნობაში მოხსენებულ „სოჯნი“ ჩვენ შეცდომათ მიგვაჩნია, იგი უნდა იყოს „ოსნი“ და არა „სოჯნი“.

ამ დროდამ უნდა ჩაითვალოს ქართველთა და ოსთა გაქრისტიანების წელნი და არა წმ. ნინოს მოსვლის დღიდამ. ამიტომ რომ ქრისტეს სწავლის ნიადაგის დამკვიდრების სამზადისი თვით ანდრია მოციქულის დროდამ იწყება. ეს ასე არის, თორემ უამისოდ წმ. ნინო ვერც ქართველებს გააქრისტიანებდა და ვერც ოსებს, ვერც მთის ერთა, რომელთაც ჩვენის ისტორიის თქმით სახე თითქმის განადირებული აქვნდათ.

ანდრია მოციქული რომ საქართველოში იყო და ოსეთშიაც გახლდათ, ეს ჭეშმარიტება არის. წმ. ნინომაც ერწო თიანეთიდამ ოსეთშიაც რომ რამდენგზისმე მიმოვლო ესეც ცხადია. ამათ რომ ოსებზედ დიდი ქრისტიანური გავლენა

აქვნდათ, ესეც ხომ მაგალითია. შირვანი და დაღისტანი თვალით არც ანდრია მოციქულს უნახავს, არც წმ. ნინოს, ამათიქ ფეხიც არ შეუდგამსთ. მაგრამ წმ. ნინოს ქადაგების გავლენის საქმე ისე დატრიალდა, რომ წმ. ნინოს დროსვე, მთელმა შირვანმაც კი იწამა მცნება ქრისტესი. თუ ეს მოხდა, რომ ქიზიყიდამ, ქრისტეს სწავლამ თავის ნებით მთელს ლეკეთშიც კი მიაღწია და შეანათა, ნუ თუ ისკი საეჭვო უნდა-იყოს, რომ ოსეთში, ამ ქართლზედ მიკრულს ერში კი, ქართლიდამ ქრისტიანობა არ შესულიყოს, ან ცხეთიდამ ოსეთში წმ. ნინოს არ ემგზავროს, არ ექადაგოს. მერე ცხეთაში ქრისტეს მღვდელნი მრავლად სცხოვრებდნენ, ოსთა ერის წინაშეც ხმა მაღლა ქადაგებდნენ ქრისტეს მცნებას.

ჩვენს დროში კი, უცხო ტომთა მეისტორიენი ნამეტურ საქართველოს და ოსეთის ისტორიის არ მცოდნენი, ხელს ჰკიდებენ ოსეთის შესახებ წერას და ოსებზედ არამც თუ ქრისტიანობის მიღებას უძველესის დროდამ სთვლიან, არამედ ოსებს ხატავენ ნადირ, უკულტურო ერად, რომელთაც ქრისტიანობა კი არა და თვით ანბანიც არ აქვნდათო.

ქართულის ისტორიის ცნობებით ჩვენ კი ვიტყვით იმას, რომ ოსებს კაი ისტორიულ ღირსებას ვერავინ წაართმევს, ვერცარავინ უკულტურობას და ნადირობას უკიჟინებს, ვერც უანბანობას, რადგანაც ოსებს ქრისტიანობასთან საყდრების შენებაც აქვნდათ, მისი ოსტატობა, ხელოსნობა, ხელოვნება და სხვანი. ამას გარდა წერა-კითხვაც კარგად იცოდნენ. ამათი წერა-კითხვა და ანბანი იყო ის ანბანი, რომელსაც ეხლა ქართული ეწოდება, წინედ კი ეს ანბანი კავკასიის მთიელ ერთა საკუთრებას შეადგენდა, იგი იყო ლეკების და ოსებისაც. ოსები ამ ანბანით სწერდნენ ოსურს ენაზედ ქრისტიანურ ლოცვებს და ურთიერთ შორის მისაწერ-წერილებს, სამწუხაროდ ასეთ ნაწერ-წიგნების ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს. იგინი მოისპენ XIV საუკ. შემდეგ.

ოსეთი ქრისტიანობის საპატიო სახელოვნებით, თვით მაცხოვრის დროდგანვე იქმნა ცნობილი, ამის მხრით ოსები მაშინ სამაგალითონი ყოფილან. ამ წარმატებას ასაბუთებს შემდეგი ისტორიული საქმენიც.

თვით მაცხოვრის ასი წლის შემდეგ, ოსებში გამოსულა ერთი ოსი ბაღდრასი, რომელსაც 16-ტი ამხანაგ ოსნი შეუკრებნია, ყველა ამათ ქრისტიანობა სწამებიათ, ესენი ოსეთიდამ სამხრეთ საქართველოს მხრით ევფრატისკენ წასულან. ცოტა ხანს ესენი არმენიაშიაც დარჩენილან. მერე აქედამაც წავიდნენ, ევფრატის მდინარეში ნათელი მიიღეს, მოინათლნენ. პირველ ამათგანს ბაღდრასა. მონათელის შემდეგ სუქიასი უწოდეს. სადაც ამათ ნათელი მიუღიათ, იქ ყოფილა ქრისტიანეთ ხარების საყდარიც.

ამათი გაქრისტიანების ამბავი მათ მეფეს გაუგია, მას არ სიამოვნებია, ამას გაუგზავნია თავის ერისთავი ფ ა რ ლ ა გ ი და დაუბარებია, რომ წადი, იპოვნე ეს ქრისტიანები და ჩვენს სჯულზედ მოიყვანე, თუ არ მოვიდნენ, მაშინ დახოცე იგინი ტანჯვითაო. ერისთავი წასულა, ევფრატის კიდეებზედ, ერთ მიყრუებულს უდაბნოში ეს მამანი უნახავს, თავის მეფის ბრძანება უამბნია, მაგრამ მათ არ მიუღიათ, მერე იგინი ტანჯვით დაუხოცნია და ყველა ერთად ერთ ორმოში ჩაუყრიად, ამათი ამბები ბიზანტიაში კარგა ხანს შენახულა ზეპირად.

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდმა ყურადღება მიაქცია და IV საუკ. დამდეგს. სადაც ესენი ეწამნენ, იმ ალაგას მშვენიერი ეკკლესია ალაშენებინა. 1107 წ. ქართულ ეკკლესიამ ბაღდრას-სუქიასი წმიდანათ იცნა და მისი უქმე 15 აპრილს დაადგინა, სომეხთა მეისტორიენი ამ სუქიას სომხათ ასახელებენ, მაგრამ ეს ტყუილი უნდა იყოს, რადგანც მაშინ მას ქართული ეკკლესია წმიდანათ არ მიიღებდა 1107 წელს, ამის საფუძვლად მოვიყვანთ შემდეგსაც:

ამ ბ ა ღ დ რ ა ს—სუქიას ა ლ ა ნ ე ლ თ ა გვარით მოიხსენებენ, რომ იგინი ტომით ა ლ ა ნ ე ლ ნ ი იყვნენო. ამ

ალანელთა მეფეთა გვარად დ ა დ ი ა ნ ა დ ასახელებენ. ჩვენ ალანელთ გვარი ოსებათ გვწამს, ისტორიაც ასე გვეუბნება. თვით სახელები ბალდრასი წმიდანის სახელი და მასთან ა ლ ა ნ თ ა მთავრის სახელი ფარლაგიც სომ ოსური სახელებია და ეს დღესაც იხმარება მათში. ისტორიით დადიანის გვარის ამბავი ვიცით, ამიტომ ალანთ მეფე დადიანი ჩვენთვის უცნობია. იქმნება ეს დადიანი სხვა არის და არა ჩვენი სამეგრელოს დადიანები. შეიძლება დადიანი ოსებსაც ჰყვანდათ ძველად. მაინც ჩვენ ოსთა მეფეთა და მთავართა სახელები კი ვიცით და გვარები კი არა.

ყოველთვე ეს ჩვენ ცხად საბუთს გვაძლევს ვიფიქროდ, რომ თვით მაცხოვრის დღიდგანვე, ოსეთში. ადვილად დამყარებულა ქრისტეს მცნება ანდრია მოციქულის და სიმონ ქანანელის მიერ დადგენილ მატათა მოციქულის ცდით. ამიტომ ოსთა აწინდელი ეკკლესია უნდა იქმნეს ცნობილი სამოციქულო ეკკლესიად, რადგანც ამის საძირკველი თვით მათსავე დროს არის დამკვიდრებული. („წყ. სიტყ. 149 გვ. 1853 წ. თფ. ბ. იოხ.) მეორე საფუძველი კიდევ ოსების ქრისტიანობისადმი პატივისცემის უძველესის დროდამ.

ოსეთი ქრისტიანების პატივისცემით და ამათ მფარველობით ცნობილ იყო თვით ბიზანტიასა და რომშიაც. მაგალითებრ რომაელთ იმპერატორ დიოკლიტიანე და მაქსიმილიანმემ ქრისტიანებს წამება დაუწყო. ამ დროს, ოსენი კი ქრისტიანობის სწავლის პატივისცემით სახელოვნებდენ, დევნულნი ხშირად მორბოდნენ საქართველოსა და ოსეთში და აქ აფარებდენ თავს, სხვათა შორის ხსენებულ იმპერატორების დროს, საქართველო. ოსეთში გამოიქცნენ რომაელთ ქრისტიან ო რ ე ნ ტ ი თავის ექვსი ძმით. ო რ ე ნ ტ ი ს კისერზედ ქვა მოაბეს და წყალში გადააგდეს, ფარნაღა აფხაზეთში გარდაიცვალა, პირმო და პირმინო ათრერონში და კ ვ ი რ ი კ ო ს ი კ ი ოსეთში გარდასახლდა, აქ დასახლდა და ოსებში ჰქადაგა ქრისტეს მცნება. (კათ. საქართ. გვ. 9. ი. ის. 1903 წ.).

ყველა ასეთი ოსთა გულ-გახსნილობა და ქრისტეს მცნების პატივისცემა ჩვენ საფუძველს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ოსები ძველადგანვე ადვილად დაადგნენ როგორც ქრისტიანობას, ისევე მის გავლენის ქვეშ ბიზანტიურ და რომაულ კულტურასაც. ამასვე ასაბუთებს ოსეთის ერის კეთილშობილება, გულის სილბო, პურმარილი, სიყვარული და სხვაც ბევრი ამ გვარნი.

ოსები თავიანთ მთიურის აღზრდით და ცხოვრებით, გაურყვნელის სიკეკლუცით მოსაწონ იყვნენ რომაელებისაგან. ამიტომაც რომაელთ-ბიზანტიელთ ხშირად მოდიოდნენ ოსეთში. ჯერეთ ქრისტიანობა არ იყო ოსებში შემოსული, რომ ოსეთში რომაელ-ბიზანტიერ წელთ აღრიცხვაც-კი მიღებულ აქვნდათ. ქრისტიანობის გაცნობის დღიდამ რა კი შემოღებულ იქმნა ახალი წელთ აღრიცხვა, ესეც სიამოვნებით მიიღეს ოსებმა, ამის ახლო ნიშანი არის ის ქვაც, რომელიც ვესპარიანე მეფის დროის ცხეთაში იქმნა ნაპოვნი. ცხეთაც ხომ მიკრული იყო ოსეთზედ და აქ ადიდებდენ ქართველებთან ერთათ ღმერთებს.

შემდეგ საუკუნოებში, როგორც ავითარებდნენ ამ წელთ აღრიცხვას, იგი ოსებშიაც ვრცელდებოდა. VII საუკ. როცა ვიქტორ აკვინთონელმა ახალი წელთ აღრიცხვა შეადგინა და რომელ წელთ აღოიცხვა აღდგომის გამოსაანგარიშებლად შემოწმებულ იქმნა დიონოსესაგან და რაც მიღებულ და დამტკიცებულ მთელს ევროპის ერთაგან იგი მიღებულ იქმნა ოსებისაგანაც ქართველებთან ერთად.

ამის საფუძველი შენდება მას ზედ, რომ ოსეთში ქრისტიანების წინა დროიდამ უკვე მრავლად სცხოვრობდნენ რომაელნი და ბიზანტიელნიც, რომელნიც ხშირად აქ თავს იფარავდნენ, ზოგნი მათში მოწინავე პირნიც იყვნენ და მწიგნობარნიც, მხოლოდ რომაელთ მთავრობისაგან დევნილნი, ისიც უნდა ითქვას, რომ წელთ-აღრიცხვის დრო, სახელებიც ოსურად ჰქონიათ, ასთან მთელი კვირის დღეთა სახელებიც

ოსურად ყოფილა. ქრისტეს სჯულის გავლენით ეს ძველი ოსური სახელებიც კერპობასთან ერთად მოსპობილა, მის მაგიერ ის სახელები წასულა ხმარებაში, რაც დღესაც იხმარება მათში. ზოგან კი მე-XIV საუკ. შემდგომ ესენიც შეიცვალა მათში არაბთა და ისლამის გავლენით. ამას გარდა დღემდე შენახული ოსთა დღეთა სახელები ძრიელ წააგავს ქართულ სახელებს. ამის მხრით რომაელთ-ბიზანტიელი გავლენა წელთ აღრიცხვის მხრით იმით საბუთდება, რომ ამ ბოლოს დროს, ოსეთში ნაპოვნი იქმნა ერთი მარმარილოს პატარა ლურჯი ქვა, რომაულის წარწერით და წელთ-აღრიცხვით. ამის საფუძველს მაქსიმე აღმსარებლის აღწერაც იძლევა, სადაც იგი ოსების გაქრისტიანებას ანუსხავს.

აქ უნდა ითქვას ისიც, რომ უეჭველია მაქსიმე აღმსარებელზედ წინედ სხვებსაც ექმნებოდათ ოსების გაქრისტიანების შესახებ ნაწერები და უეჭველია მაქსიმე აღმსარებელიც ასეთ ნაწერებიდან ისარგებლებდა, ასეთ წიგნებიდამ დასწერდა მაზედ თუ ოსებში ქრისტიანობა როგორ ვრცელდებოდა, თორემ უამისობა არ შეიძლებოდა, რადგანც მაქსიმე აღმსარებელს ოსეთი თვალითაც არ უნახავს. ეს ისტორიული ჭეშმარიტება გახლავსთ.

მაქსიმე აღმსარებლის მოწმობა ცხადად გავცნევს იმ გარემოებას რომ ოსები ძველადგანვე იგოდენად იყვნენ ცნობილნი, რომ მათ ყურადღებას აპყრობდნენ თვით ქრისტიანობის პირველ საუკუნის მქადაგებელ მამანიც, რაისა გამო მათ ოსებში სამქადაგებლო შრომაც დაიწყეს და ქრისტიანობასაც დაუწყეს ვრცელება, რაც შემდეგ ბიზანტიის სასულიერო მწერლებისთვისაც კი გახდა საყურაღებო და ასაწერი. მაქსიმე აღმსარებელის აღწერას ოსების შესახებ ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ნახეთ ამაზედ საფუძვლიანი შრომა და გამოკვლევა პატივცემულის მღ. კეკელიძესი 1913 წ. თფილისი.

რადგანც ქართველთ და ოსთა გაქრისტიანება მირიან მე.

ფის დროს მოხდა, ამიტომ ამ გაქრისტიანების ამბებიც ამავე დროს აუწერიად, ამ აღწერის შესახებ ოსთა ერის ამბის წიგნში ერთ ალაგას ასეთი ცნობაც იყო: „ქართველთა და ოსთა გაქრისტიანების საქმენი, თვით ამავ დროს, აღუწერიად მცხეთელ სიდონიას და უჯარმოელ სალომეს, ამათი აღწერილობა ყოფილა ქართული ენის სიტყვებით, ხოლო ანბანი კი ყოფილა ებრაული, რადგანც იმ დროის საქართველოსა და ოსეთში ებრაული ენა და წერა-კითხვა კარგად იხმარებოდა, ამ დროს ფარნავაზის ქართული ანბანიც იხმარებოდა, მაინც ქრისტიანობის ამბებს კი ებრაულის ასოებით სწერდნენ, ხოლო ქართულის სიტყვებით». შემდეგ დროს კი როცა ქართველთა და ოსთა შორის ქრისტიანობა აყვავდა, ამ საქრისტიანო ამბების აღწერას ებრაულ ასოების მაგიერ ბერძნულის ასოებით იწყეს წერა და გადაწერა, შემდეგ საუკუნეებში კი ყოველივე ასეთი წიგნები ბერძნულის და ებრაულის ასოების მაგიერ ქართულათ გადიწერებოდნენ. ამ ხელნაწერში ეს ასე გადაწყვეტით იყო დაწერილი. თვით წმ. ნინოს შემოსვლა, ქართველთა და ოსთა გაქრისტიანება. ამათ მეფეთა ამბებიც პირველად ურიული ასოებით დაუწერიად. ასე იწერებოდა თურმე ყოველივე საქართველოსა და ოსეთში.

მირიან მეფის შემდეგ გამეფდა ძე ამისი ბაქარი, კაცი საბერძნეთს გაზრდილი, მცოდნე ბერძნული ენის და მწერლობის, იყო კარგად მცოდნე ბედაურთა მკურნალობის მას აქვნდა ქართულს ენაზედ წიგნი „ბაკურიანი“ რომელსაც ხშირად კითხულობდა. იგი კარგად იცნობდა საქართველოს მთის ხალხს და მასთან ოსეთს და ოსებსაც, ბედაურთა მკურნალობით მთაში და ოვსეთში ეს მეფე ქებულიც იყო მთაში იგი ხშირადაც მოგზაურობდა. მან კარგად იცოდა ქრისტეს სჯულის ვითარების საქმე მთის ხალხსა და ოვსეთში და ამიტომ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მამისაგან დაწყობილ ქადაგებას და იხმარა ყოველი ღონისძიება და კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესნი მოაყვანინა ქრისტეს სჯულზედ. ამ გარემოებას „ქართ.

ცხოვრება“ ასე მოგვითხრობს:—„და დაჯდა ძე მისი ბაქარ, და იყო მორწმუნე, ვითარცა მამაჲ მისი და მას მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამისა მისისა“. მასთან მეფეს ქართლსა და კახეთში, სამშვილდეს და სამცხეს არავინ დაურჩა გაუქრისტიანებელი, გარდა კავკასიის მთის კალთებთ ირგვლივ ‘შეყოლება მცხოვრებ მთიულნი, რომელთა ადგილ მდებარეობათა რიცხვში მცირე ოდნათ უნდა ვიგულისხმოთ ოვსეთი და ოვსნიც. ასე რომ მირიანის შემდეგ, საქართველოს მთიულნი და ამათთან ოსებიც საერთოთ თუ არა ნახევარზე მეტი მაინც ოსნიც ქრისტიანად უნდა ვიწამოთ. (ქართ. ცხოვ. გვ. 139).

ქრისტიანების სჯულით ოსნი რჩებოდნენ ქართველებთან მტკიცეს ერთობით და სიყვარულით. მათში მეგობრობაც განმტკიცდა და სჯულიერი სალამი და მომავლისთვის ნათესაური მცნებაც. ბაქარ მეფის შემდეგ, განვლეს მეფეთა მირდატ ძე ბაქარის და ამის ძე ვარაზ ბაქარმა. ვარაზ ბაქარმა ქრისტიანობას ზრუგი ადრიკა, მფარველობას არ უწევდა განმტკიცებისათვის, თუმც არც სდევნიდა, ცხადათ, შიში აქვნდა, რადგანაც ქრისტეს რჯული უკვე მედაგრად იყო მოფენილი. საბერძნეთის მაგიერ სპარსეთთან დაიკავა მეგობრობა, უკანასკნელ საქმემ იქამდის მიაღწია, რომ IV საუკუნის ნახევარს, სპარსთა მეფემ ჯარი გამოგზავნა საქართველოში, საქართველოს დამორჩილება ისურვა როგორც პოლიტიკურად, ისე მერე სჯულითაც შეიერთებდა, რადგანაც ქართველთ,—სომეხთ და ოსთა გაქრისტიანების საქმე მათს არად მოსწონდათ. ამ დროს ლეკნიც ქრისტიანები ყოფილან, სპარსთა მეფემ თურმე ხარკის დადებაც მოინდომა ქართველთა, სომეხთა და ოსებზედ. ხარკის გაღება არც ვარაზ ბაქარს ესიამოვნა. ამან დააფიქრა იგი, ქართველ-სომეხ-ოსნიც შეკრთენ.

ამიტომ ამათ, ანუ ქართველთ, სომეხთ და ოსთა შეკრეს პირი, შველა სთხოვეს ბერძენთ. ქართველთ და ოსთა შეერთებით გამოსვლის ცნობას „ქართლის ცხოვრება“ ასე აგვი-

წერს: „ამისა ზე გამოგზავნა სპარსთა ბეუემან ერისთავი, სპეიან დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკის დადებად: მაშინ სომეხთა გაგზავნეს მოციქული ვარაზ-ბაქარისასა და ჰრქვეს: რათა შეკრბენ და მოირთეს ძალნი ბერძენთაგან და განახვნენ კარნი კავკასიისათანი გამოიუვანენ ოვსნი და ლეკნი და წინ ადუდგეს სპარსთა». ვარაზ ბაქარმა ბერძენთ თხოვნას ყურადღება არ მიაქცია, როგორც მოშიში კახეთისკენ დაიმალა. სპარსნი მოვიდნენ და ქართლი აიღეს. მერე ვარაზ ბაქარი სპარსთ მოურიგდა. ამ დროს ოსნი რომ მტკიცე ქრისტიანები არ ყოფილიყვნენ და მის მცნებით მოსილნი, უამისოდ სომეხთა მეფე ქრისტიან ბერძენთა ლაშქრის გვერდით არა ქრისტიან ოვსთა და ლეკებსაც არ დაასახელებდა. სპარსთა პირობა დაარღვიეს, მორიგება მოშალეს, ომი განაახლეს, მეფე ქართლის დაიმალა, აღარა შაეძლო რა. სპარსთა დაიპყრეს ყოველივე ციხე-ქალაქნი და ხალხსაც დაადეს დიდი ხარკი. ამის გარდა სჯულსაც დაუწყეს შევიწროება. ქართველთ სჯულის გამო ძალას ატანდენ და ოვსთა კი არა, რადგანაც ოვსნი დაუმორჩილებელ იყო სპარსთაგან. ქართლში შეირყა ქრისტეს სჯული, ყოველივე შემცირდა, ამაობაში განვლო რამდენმამე ხანმა, განვლეს მეფეთა ვარაზ ბაქრაძის ძე ფარსმან, მირდატ ძმა ფარსმანისა. მირდატი სპარსეთს წავიდა და იქ მოკვდა. მირდატს სპარსეთში დარჩა შვილი არჩილ. მირდატის სიკვდილის შემდეგ შეწირვებულ ქართველთ სპარსეთიდამ მოიყვანეს მირდატის ძე არჩილ და გაამეფეს ქართლზედ, სპარსელებს მოურიგდა, სპარსნი ქართლიდამ წარვიდნენ, არჩილს მათთვის მხოლოდ ერთად ერთი ხარკი უნდა ეძლია. არჩილმა თავის მეფობის დროს ქრისტიანობით დიდი ყურადღება მიაქცია მთიელთ და მათ მოსამხღვრე ოსთა ერს, მიტომ მან აღაშენა საყდარი სტეფანე წმინდას და დაადგინა მღვდელნი და მქადაგნი მას ზედ.

სტეფანე წმინდის საყდარმა და მას ზედ დადგენილ ქრისტიანობის მღვდელთა და ქადაგთა ცდამ ოსებზედ დიდი გავ-

ლენა იქონიეს. ამისთვის ოსებში საყვარელ იქმნა არჩილ მეფე და თვით მისი სახელიც, მის შემდეგ, ოსნი თავიანთ შვილებს ძრიელ ხშირად არქმევდენ არჩილს. ამ დღეთა შემდეგიდამ, ოსებში შეტანილი და გავრცელებული იქმნა ქართულ საეკლესიო სახელები, მაგალითებ ჯვარი, ზიარება, სახარება, დავითნი, ეკლესია და სხვაც მრავალნი, ზოგი თვით ნამდვილ ქართული სიტყვები და ზოგი ბერძნულნი, ხოლო ქართულის სიტყვების წესით და მიმოხვრით გამოთქმულნი. არჩილ მეფის გავლენა ოსეთის ერზედ იყო მრავლ მხროვანი და მრავლ ნაირი, რასაც შემდეგში დაგვანახებს თვით ამ არჩილ ხოსროვიანის მეფის მირდატის შვილის ვახტანგი ხოსროვიანის ცხოვრება და მეფობა. არჩილ მეფის გამგეობა იყო მშვიდობა ქართველთა და ოსთა, არჩილმა ქართველთ შორის აღამაღლა მწიგნობრობა და ამის ამაღლებით სურდა საქრისტიანო წესების მიმოფენა ქართველთ შორის. ეს ასეც იქმნა და ყველაზედ უადვილესად წიგნის მცოდნეთა რიცხვი განმრავლდენ ქალაქს მცხეთას და მის ახლო მახლო როგორც მაღალ ოჯახის შვილებთ შორის, ისევე მდაბალთა და უჩინართა.

მცხეთის გარშემო მცხოვრებთ შორის ისე ამაღლდა წიგნის ცოდნის სიყვარული, იგი ისე გავრცელდა, რომ მან ერთობ დიდი ზე გავლენა იქონია თვით მთის ხალხზედ და ნამეტურ ოსებზედ. ოსეთში საეროდ მოიფინა წერა-კითხვა, მცხეთა და მის მცხოვრებთ წიგნის ცოდნის გავრცელების საქმე გარდა ოვსთა მაგალითადაც და მოკლე დროის განმავლობაში ოვსთაც ისევე შეისწავლეს წერა და კითხვა, როგორც მცხეთას და მის ახლო მახლო ქართველთ. ქართლის საქმემ იქამდის მიაღწია, რომ თვით არჩილ მეფის დროს, მთის ქართველნი და ოსეთის ოვსნი ქებულ იქმნენ როგორათაც ადვილად შემთვისებელნი და მარტივად დამსწავლნელნი ანბანისა. ქართლს, მთიულეთს და ოვსეთს ანბანი ისე განეფინა და ისე მოირთო, რამაც ქრისტეს მცნების და ლოცვებთა ვრცელებასაც ხელი შეუწყო, მთის ქართველებსა და

ოვსებში დიდათ გავრცელდა, ესევე გავრცელება გახდა საფუძ-
ვლად მის, რომ ძველად მოხუცნი ქებითა და დიდებით და
საკვირველებით მოუთხრობდენ ცნობებს, თუ ძველის ძველად
როგორ მრავლად იყო მოფენილი წიგნის მცოდნეთა რიცხვი
მთის ერსა და ოსეთში ოსებთ შორის.

ჩვენში ძველადაც და თვით XVIII საუკუნის ბოლომდე
ქებით იტყოდენ, რომ მთაში მთიულებმა და ოსებმა ქართუ-
ლი წერა-კითხვა ისე კარგად იციან, რომ სხვა და სხვა ლოც-
ვებს და „ფსალმუნებს“ ზეპირად ამბობენო. ასეთი იყო სუ
რათი ქართლის და ოსეთის ერისა იმ დროს, როცა კმაყოფი-
ლი და ამის მოწადინე არჩილ მეფე მოკვდა მის შემდეგ, მისი
შვილი მირდატი გამეფდა. არჩილ მეფე მთის ერმი ქრისტეს
მცნების განმტკიცების, გავრცელების და ოსეთში წიგნის
ცოდნის მიმოფენის გამო ეკლესიამ პატივით იცნა, იგინი შე-
რიცხა თვის მოსაგონარ პირთა შორის სამახსოვროდ.

თუმცა არჩილ მეფის დროს, ქართველთა და ოსთა ცხოვ-
რების და მეგობარ მეზობლობის სურათი ასეთი იყო, მერე
კი შეიცვალა იგი და ვახტანგ გორგასლანის დროს სხვა ნაი-
რად წარემართა, რის წარმართების დანაშაულობა ზოგი ვახ-
ტანგს ედება და ზოგიც ოსებს. ვახტანგ გორგასლანის მეფობა
არის შესანიშნავი როგორც ქართველთათვის, ისევე ოსთა და
მთელის კავკასიის, ანუ აღმოსავლეთის ტომთათვისა, როგორც
მაგალითებრ შირვანელთათვის, ისევე სომეხთა, სპარსთა, ინ-
დოთა, ბერძენთა და ოსთათვის ხომ განუსაზღვრელი ისტო-
რიული ვითარება და ღირსება აკრავს გარს. ვახტანგის ისტო-
რია რამდენათაც ადიდებს თუ ამცირებს ქართლის ერის ისტო-
რიას, იგი იმდენადვე ეხება და ხატავს ოსთა ერის V საუკუ-
ნის ვითარებასა და ძლიერებას, ვახტანგი არის ოსეთის V
საუკუნის ძლიერების და გულოვნობის გამომხატველი და
ისტორიულ ცნობათა კრებული. ვახტანგის დამოკიდებულებას
რამდენადაც აქვს ოსთა ერის ისტორიისათვის საზარალო მნი-
შვნელობა, იმდენადვე იგი არის საუნჯე და სალარო ოსთა

ერის ისტორიისა, სადაც მათ შესახებ შეკრებილია და დაცული მრავალი ისტორიული საბუთები. ვახტანგ მეფე და მისი ისტორია თუ არა, ვინ იცის იქმნება V საუკუნის ოსეთის ერის და მათ მეფეთა შესახებ ჩვენ ერთი ცნობაც არა გვქონიყო დაცული, ისე როგორც სხვა ძველსა და ახალ საუ-კუნეებშიაც არის, ასე რომ მთელის საუკუნის განმავლობაში ოსთა შესახებ ერთი ცნობაც არ მოიხსენება. ვინ იცის ყველაფერი შეიძლება. უმთავრესად კი ქართველთა და ოსთა ურთიერთ შუღლის გამოსახატავ მიზეზად გახდა არჩილ მეფის შვილის მირდატ მეფის მეუღლისაგან თვისი სჯულის, ცეცხლთ თაყვანისცემის დატოვება. ეს ქალი სპარსთა მეფის ასული იყო, ცეცხლზედ თაყვანისცემა დასტოვა, ქრისტიანობა მიიღო, ამან ასტეხა ყოველივე.

მირდატ მეფის სიკვდილის დროს, ვახტანგი შვიდი წლის იყო. სამეფოს დედა ამისი საგდუხტი, თუ სანდუხტი განაგებდა ჯუანშერ ერისთავის დახმარებით. ამ ქალის მეფობის დროს, მისივე მამის ბარზაბადის მეცადინეობით, ქართველთ შორის ცხეთაში გამოგზავნილ იქმნენ ცეცხლის თაყვანის მცემელთ მოგვნი, რომელნიც ქართველთ შორის თავისუფლად ავრცელებდენ თავიანთ სჯულს და ამით არყევდენ ქრისტეს სწავლასაც. ქრისტეს სჯულის შერყევის მცნება მთელს ქართლში მოიფინა, მასთან მთასა და ოსეთშიაც. სანდუხტ დედოფალი თუმც ქრისტიანობას დიდათ მფარველობდა, მაგრამ მაინც მას ჰყვანდენ ისეთი გამგენი, რომელნიც დედოფალს არ ეპოვებოდენ; არჩილ მეფის ქადაგებას აბათილებდნენ და სპარსელებრ, ქართველთ ცეცხლის თაყვანის ცემას ასწავლიდნენ.

ოსებს გარდა საქართველოში სჯულის შეცვლის საქმეს, ანუ ცეცხლთ თაყვანის ცემის გამრავლებას და ქრისტიანობის შემუსვრის მთავარ ძალად იმასაც ფიქრობდენ სპარსთაგან, რადგანაც მათი მეფის ქალი საქართველოს დედოფალი იყო, თუმცა ეს ისეთი მტკიცე ქრისტიანი გახდა, რომ სამშვილდეს სიონის ტაძარიც აღაშენა, მაგრამ მაინც ბერძენთა და ოსთა

შიში აქვნდა ამ ქალის ნათესაობით საქართველოს სჯულიდამ გადასვლასა და სპარსელებთან დაქვემდებარებაზედ. ამიტომ იგინი შურსაც იძიებდნენ და სურდათ ქართლში, ნამეტურ ცხეთაში, სპარსთა ძალის შემუსვრა, უმეტესად მათ სჯულის მოსავთ მამათა განდევნა და შემუსვრა. ასეთს საქმეთა თავდარიგის და განხორციელების წინაშე სანდუხტ დედოფალსაც აწერდენ საიდუმლოდ ბრალს, თავის მამის მომხრედ სთვლიდნენ ოვსნი და ბერძენნი, მაგრამ ეს ასე არ იყო სწორი, რადგანაც სანდუხტი მტკიცე იყო ქართველთ ერის სჯულსა და მეფობის ძალაზედ.

ოსთა და ბერძენთა იცოდნენ ეს თუ არ იცოდნენ, ეს ჩვენ არ ვიცით, ხოლო მირდატ მეფის სიკვდილის სამი წლის შემდეგ, ოსნი შეიკრიბნენ. გადმოვიდენ ქართლს, ამ დროს ვახტანგი იყო 10 წლისა და ამისი დაი მირჰნდუხტ 3 წლისა. ოსებმა აიკლეს მთელი ქართლი, შემუსრეს სპარსთა სჯულის ყოველივე, შემუსრეს ქალაქი კასპი და ვახტანგის დაც ტყვეთ იპყრეს და ოსეთში თან წაიყვანეს 3 წლის ქალი. ამ გარემოებას „ქართლის ცხოვრება“ ასე აგვიწერს:

„მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა სამისა გარდმოვიდნენ ოვსნი, სპანი ურიცხვნი და მოსტეეეენეს ქართლი, თავიდგან მტკვრისით ვიდრე ხუანამდე, და მოაოხრეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა: ხოლო კასპისა ქალაქნი შემუსრნეს და ტუვე ჰყვეს, და წარიეეანეს ვახტანგის დაჲ მირჰნდუხტ, სამის წლისა ქალი, რომელ დაურჩეს წარსატეეეენელად ხევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი, ჩავლეს რანსა და მოვაკანსა და მოტეეეენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თვით გზა სცეს დარუბანდელთა და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“. ესე იგი ოსებს აუკლიათ მარტო მცხეთა, ანუ სპარსთა მეფის ციხე ბურჯნი და შეუმუსრავდ ყოველივე იქ, სადაც მათი პატივის მცემელთ რიცხვი ეგულებოდათ. ოსების გალაშქრების შემდეგ, ქართველთ ბერძნებიც აუტყდენ, მოვიდენ შავი ზღვით. სამეგ-

რელოს და მრავალი ადგილები დაიპყრეს და წაართვეს ქართველთ. ამაზედ ქართველთ გლოვნა ასტეხეს, ყველა იმას ამბობდა, რომ ჩვენ გავარისხეთ ღმერთი, ჩვენმა მეფეებმა სჯული ქრისტესი ვერ დაიპყრეს პატიოსნად და ღმერთმაც მიტომ მოგვავლინა ჩვენი ცოდვის სამაგიერო და ქვეყანა ჩვენიც მიეცა ოხრებასაო. ეს გოდებაც ცხადად მოწმობს იმ გარემოებას, რომ ქართველთ დიდებულთ დაუვიწყნიათ თვისი სჯული-ქრისტიანობა, რაც საგულისხმო ყოფილა თვით მათ მეზობელთა ოვსთა და თანა მორწმუნე შორს ყოფილთ ბიზანტიელთათვისაც.

ქართველთა გლოვნასა და გოდებაში გაუვლია რამდენსამე წელიწადს, ამაობაში პატარა ვახტანგიც აღზრდილა. მას დედა სდიდა თურმე ქრისტიანობის გავლენის ქვეშ.

გასაწურთნავად სხვათა შორის, მიჩნეული ჰყოლია ერთი ეპისკოპოზიც, მიქელი, რომელსაც დიდი ზე გავლენა ჰქონდა პატარა ვახტანგზედ, ვახტანგ მეფეს პატარაობიდამვე დიდი ჯავრი ჩაჰყოლია გულში ოსებზედ, მათს გალაშქრებაზედ და პატარა დის მირჰანდუხტის განთავისუფლებაზედ. ასევე უკმაყოფილო ყოფილა სპარსელებზედ, რადგანაც მისის პაპის საშუალებით ქართლში შერყეულა სჯული ქრისტესი და მისი დედაც საგდუხტიც დიდს შეევიწროებასა და გაჭირებაში ყოფილა ჩავარდნილი. ასევე ამხედრებულა უკმაყოფილებით ბერძნებზედ მის გამო, თუ მათ საქართველოს უმიზეზოთ რათ შემოესიენ და შავი ზღვის ბირებზედ ადგილები რათ წაართვესო. ამიტომ ახალგაზრდა ვახტანგს თავის პირველი გამეფების ნაბიჯი ომით დაუწყვია, ამ პირველი ომის ნაბიჯის შესახებ ახალგაზრდა ვახტანგს თავის ქვეშევრდომთათვის ეს სიტყვა უთქვამს:

„ისმინეთ ხმისა ჩემისა; დადგეთუ ერმა ვარ და არა გინახავსთ ჩემგან კეთილი, მამათა კვლა ჩვენთაგან გინახავთ დიდნი კეთილნი და დიდებანი, რომელნი დადგენილ ხართ მთავრობასა ზედა, აწ უკეთუ გვაცოცხლებს ღმერთი, მოგვხდენ ჩემგან კეთილნი და დიდება-

ნი, რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩვენთაგან, აწ რომელსა გეტუფეთ დადგეცა თუ ჩემ ზედა და თქვენ ზედა სწორედ მოწევნილ არს განსაცდელი ესე, არამედ ესრედ იბუართ თვით თქვენით ვითარცა არა მოწევნილ არს თქვენ ზედა, არამედ ჩემზედა. ოდენ და არა იეოს გულსა ჩემსა სიტეუა, რომელ მოოწინეს მათ ზედა განსაცდელნი, თვისისა შურის გებისათვის ჭეოფენ ამას, არამედ ეოველი ჩემდა სამსახურად დავითვალო, ეოველისთვის კეთილი მოგაგო, არა დავითმინო კეცხვაჲ ოვსთა, არამედ სასოებითა სამებისა ერთარსებისა, დამბადებელისა ღვთისა დაუსაბამოსა, და წარძღვანებითა ჯვარისა მის ბატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღვრად საჯურველად გულითა მოსავთა მისთა და ვიძიოთ შური მათზედა უკეთუმცა წაგეკიდებოდა ესე სპარსთა მეფისაგან, ან ბერძენთა მეფისაგან, მომცავითმენთ, არამედ არა მოწევნილ არს ჩვენზედა ოვსთა კაცთაგან, არა ხამს მათ დათმენა და სიკვდილი სჯობს თავთა ჩვენთათვის“.

ეს ამოდენი ამონაწერი მიტომ მოვიყვანეთ აქ, რადგანაც ამით ისაზღვრება ვახტანგის სარწმუნოებრივის მხარეთა ვითარება და ქრისტიანობის პატივისცემის კარგად არ ეოდნა, რომ მან თავის მეზობელ ოვსებს სიყვარულით კი არ დაუმეგობრდა პირველის თავის მეფობის ნაბიჯიდამ, არამედ შურის ძიებით და მტრობით მოინდომა სამაგიეროს გადახდა. ეს ჩვენთვის ბერძნებს და სპარსელებს რომ ექმნათ დავითმენდითო და ოვსთაგან კი ამის დათმენას ჩვენი სიკვდილი სჯობიაო. ვახტანგის ასეთს აზრებს არა აქვს თავის დროის შესაფერი ღირსება და იგი უფრო საკიცხია, ვინემც სასარგებლო თავის დროის შინაურს პოლიტიკისათვის, ვახტანგ გორგასლის სიტყვის შემდეგ ჯუანშერ სპასპეტმა ეს სიტყვა უთხრა რომელიც ადგილ-ადგილ მოგვყავს აქ, რაც ოსებს ეხება: „ცხონდი მეფეო, უკუნისამდე, რადგან მოწევნილ არს ოვსთაგან ხუთსა ამასა წელსა შინა, ე�oილვარო ჩვენ ბეწუსარებასა შინა ოიდსა, ამისათვის რამეთუ ურმა იეკვ და არა ძალ გედგა მბიდრობაჲ და წეობათა შინა წინა მძღვრობა და არაცა შინა მეფობისა განგება. აწ მეფეო, დადგეცა თუ სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, წავიდეთ და

ვიძიოთ შური, ხოლთ შენ იუკვ შინა და განაგებდე მეფობასა. უკეთუ ცოდვათა ჩვენთაგან ვიძდივნეთ ოვსთაგან ხოლო შენ იუკვ შინა და განაგებდე მეფობასა". ეს სიტყვა სთქვა და მას დაეთანხმნენ ყველა ერისთავნი და იქ მეოფნი ერნი. ჯუანშერის სიტყვიდამ სჩანს რომ ოვსები იმ დროს მართლაც ძლიერნი ყოფილან მხედრობით და ქართველნი ისე დაუმდაბლებიათ, რომ მათ წინაშე კარგა ხანს ხმის ამოღება ველარ გაუბედნიათ. თვით ვახტანგის ომის დაწყების განძრახვის დროს კი ოსებს დიდი შიში ჰქონიათ და ვამარჯვების შესახებ ბირდაპირ პასუხი გადაწყვეტით ვერ უთქვამსთ. ვახტანგ მეფემ მაინც არ დაიშალა და სიტყვა უთხრა ჯუანშერს, რომ არაო. მე, ოსებს უსათუოდ უნდა შევებრძოლო და იმედი მაქვს რომ მათზედ გავიმარჯვებო. მერმე ერმა დართო ნება და უთხრეს: „ცხონდი მეფეო ჯუანისამდე და იყოს ნება შენიო". ვახტანგ მეფე ამ დროს ყოფილა 16 წლისა, იგი მიეცა ომის სამზადისს, შეკრიბა ხალხი და ყველას შველა სთხოვა. კაცი გაუგზავნა თავის ბიძა ვარაზ ბაკურს, რანის ერისთავს და დახმარება სთხოვა. იგიც დაჰპირდა დახმარებას ასე; „ხოლო მან სიხარულითა აღუთქვა, რამეოუ ქკეუნა მისიცა ტუვე ქმნილიყო ოვსთაგან".

შემდეგ ასეთის დაპირების რანის ერისთავისა, ვახტანგმა შეკრიბა, „ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი და მოგზავნა ვარაზ ბაკურ სპანი თვისნი თორმეტი ათასი მხედარი". მაშასადამე ვახტანგ მეფეს ჰყოლია სულ 172 ათასი მეომარი. კაი რიცხვია იმ დროის კვალობაზედ ეს რიცხვი. უეჭველია, მაშინ ოსეთის ერი რომ 100 ათასი სული ყოფილიყოს დღეინდებურად, მაშინ ვახტანგ მეფე მათზედ ამდენის ლაშქრით არ წავიდოდა. აქედამ სჩანს რომ მაშინ ოსეთის ერის რიცხვი მილიონობით იყო, რომ მათ მხედრობას ვახტანგისაგან ამდენი მხედარი მოუნდა და ისიც უმეტეს ცხენოსანნი, აღკაზმულნი და საომარს იარაღში მსხდარნი. მატთიანე ამბობს ასე ამ ლაშქარზედ:— „სპანი მისნი მოუწონნეს სიმრავლითა, ცხენკეთილობითა და მოკაზმულობითა, და ეხილნა უოველნი იგი მხიარულად და

ადძვრით, რამეთუ სჯულ იუგნეს შერითა ოვსოთა“ მხედრობის ესეთი მტრობა და შური გაეხარდა ქრისტეს მოყვარე ვახტანგს და მან ამისთვის შვიდეული ლოცვა სთქვა და მადლობა შესწირა ქრისტესა. მაშინათვე ანდერძიც დასწერა და მისცა თავის დედას, ვახტანგის წადილი ოსთაც იცოდნენ. ომის დაწყების დღეს ვახტანგი წავიდა და თიანეთს დადგა. თიანეთიდამ ვახტანგი ორმოცდა ათი ათასი მხედრით წარემართა დარიალის გზით ოვსეთს.

ოსებმაც მოიკრიბეს ძალი, ამათ შველოდენ ხაზარნი, ქართველთა განვლეს დარიალი,—„მაშინ მეფეთა ოვსეთესათა შეკრიბეს სპანი მათნი და მოირთვეს ძალი ხაზარეთით და მოეკებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალისა, და ჩავლის ვეღსა ოვსეთისასა, და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან რამეთუ ერთისა მთისაგან გამოვალს თავი ორთავე, ქართლისა არაგვისა და ოვსეთისა არაგვისა“. დანიშნულ დღეს, დადგნენ ბრძოლის ველზედ ორივენი, შვიდ დღეს გასტანა პირველ ბრძოლამ, ამ ბრძოლის დროს, ჰყოლიათ ერთი გოლიათი გმირი, რომელსაც სახელად თარხანი რქმევია, იგი ხაზარელი ყოფილა, ომის პირველი ნაბიჯი ამის ხმით დაწყობილა, ამაზედ აი რას სწერს „ქართლის ცხოვრება“—„გამოვიდა ესე თარხან ხაზარი, კაცი გოლიათი, ხმა ჭეშ ხმითა მაღლითა და თქვა: გეტყვი თქვენ ყოველთა. სპათა ვახტანგისათა, ვინცა არს თქვენ შორის უძლიერესი გამოვიდეს ჩემს ზედა“. ვახტანგ სპარსთაგან მოშველებულს ჯარში ჰყვანდა ერთი მხედარი სპარსელი ფარსმან ფარუსი. პირველად თარხანი და ფარსმან ფარუსი შებმულან. ბრძოლაში თარხანმა სძლია ფარსმან ფარუხს, პირველს ნაბიჯზედვე ხმლით თავი განუპო ბეჟებამდის და ანაზდეულათ მოისპო ფარსმან ფახუხი.

ვახტანგ მეფე და მისი ლაშქარი ძრიელ შეშინდა ამაზედ, დაიწყეს ჭმუნვა და მწუხარება, რადგანც ვახტანგის ჯარში ასეთი გოლიათ ფალავანი სხვა აღარვინ ყოფილიყვო; დაღამდა ბრძოლის პირველი დღე, ვახტანგ მეფე შევიდა თავის კარავში და ილოცა. გათენდა დილა და მეორე დღეს ომში თარხან

თვით ვახტანგ მეფე შაება. ბრძოლაში ვახტანგს უჯობნია, თარხანისთვის, თავი მოუკვეთნია და მით მის ლაშქარსაც გაუმარჯვნია. გამარჯვებულნი შინ დაბრუნებულან. ღმერთს მადლობა შესწირეს გამარჯვებისათვის. სამწუხაროდ ცუდი საქრისტიანო ნიშანი კი უნდა იყოს ეს, რომ ერთმა მეორეზედ გაიმარჯვოს, ერთმა მეორე დაამხოს, გაანადგუროს, მოკლას, მოსპოს და ყოველივე მოხერხება ღმერთს იესო ქრიტეს მიაწეროს და ამისთვის მათ მადლობაც შესწიროს.

ვგონებ ქრიტიანობა და მისი სწავლა სისხლის ღვრის მოძღვრებისაგან ერთობ შორსა სდგას. თარხან გმირს გარდა ოსებში ყოფილა კიდევ სხვა ერთი უგმირესი გოლიათი, სახელდობრ ბაყთარი, ახლო ნათესავი იმ დროის ოსთა მეფეთა, გამოჩენილი ბევრად. მეორე დღის ომისთვის ოს ბაყთარი და ვახტანგ მეფე გამზადებულან და ეგინი შებმიან კიდეც ერთი ერთს, ამ ბრძოლას „ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს: „და მეორესა დღესა, სხვა გამოვიდა ბუმბერაზი ოვსთაგან, რომელსა ერქვა ბაყათარ. იგი იყო გოლიათი და რაჲთაგან დაეწყო მხედრობა, ვერვის დაედგნეს მისად და მოესრა ყოველი ბრძოლა მისი. რამეთუ იყო სიგრძე მუშიდლისა მისისა თორმეტი შტკაველი და ისარი მისი ექვსი შტკაველი: მოდგა ეს ბაყთარ ჰბარსა მდინარისასა და ხმა ჰყო, ხმითა დიდითა, და თქვა: ვახტანგ მეფეო, ნუ განლაღდები შენ მოკვლისათვის თარხანისა, არა ერთო გოლიათთა და ამისთვის მოიკლა იგი უმაწვილისაგან, აწ უკეთუ შენვე გამოხვიდე ბრძოლად ჩემდა, მოგხვდენ ჩემგან ბრძოლანი ოეცხელნი, რომელთაგან ვეღარ რა განერე, თუ არა, ვინცა სპათა შენთაგანი გამოვიდეს, მისთვისაც მზა ვარ“.

ბაყთარ ოსის სიტყვას ვახტანგ მეფემ პასუხი აგო და უთხრა.

მე შენი არ მეშინის, რადგანაც შენი დაცემის იმედი მღვთისაგანა მაქვს.

კვალად აუწყა ამ სიტყვით: „არ შეშინის შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისაგან“.

ასეა მოყვანილი ეს სიტყვები აქ, საკვირველია „ქართლის ცხოვრებით“ ესეთი საქციელი ქრისტეს მოსავდ მლოცველ ვახტანგისაგან, რომ თავის მოპირდაპირე ქრისტიან ოს ბაყათარს ძაღლად ახსენებს. ესეც ალბად იმ დროის ერის სამკაული იყო და დიდება, ვინ იცის. მოემზადენ საომრად და განაწყვეს ლაშქარი. ბაყათარ ოსმა გაიხმო ვახტანგი საომრაღ, ვახტანგი არ გავიდა და ასეთი პასუხი მისცა:

მე მეფე ვარ, მდინარის ნაპირას და შენი ჯარის მახლობლად ვერ გამოვალ საომრად, რათა შეიძლება მე მოვიკლა და ბით შეიპილწება ჯარის ღირსებაო. შენ გამოღი ჩვენის მდინარის პირასკენ და ვიბრძოლოთო, რადგანც მე მეფე ვარ და შენ მონაო, აი თვით ვახტანგის სიტყვაც:

„არა გამოვალ მდინარესა: რამეთუ მეფე ვარ, არა მოგვახლები სჳასა ოვსთასსა, რამეთუ არ ჩინებულ ვარ, რამეთუ სიკვდილითა ჩემითა წარწყმდების ყოველი სჳა. ხოლო შენ მონა ხარ და წარწყმდითა შენითა არა ვენების სჳასა ოვსეთისასა, ვითარცა ძაღლსა ერთსა, გამოვედ მდინარესა ჩემ კერძო“. ოს ბაყათარმა აღუსრულა ვახტანგს სიტყვა და გავიდა მდინარის მეორე მხარეს, ესე იგი ქართველ მხედრობისაკენ და იწყეს ბრძოლა ისრებით. ბრძოლა ყოფილა ისეთი მძლავრი, რომ იმავ დამწერის სიტყვით:— „და იძახდეს სჳანი ფრნიეე, ოვსნი და ქართველნი, რომლითა იძროდეს მთანი და ბორცვნი“ ასეთი მძლავრი ყოფილა ოესთა ჯარიც, რომ ქართველ ლაშქართან მათს ბრძოლის ხმასა და ძახილს მთა და ბარიც შეუძრავს.

ბრძოლაში პირველად ბაყათარმა აჯობა ვახტანგს, დამარცხებულ ვახტანგს თვით ცხენიც მოუკლა. ხოლო შემდეგ ვახტანგს უჯობნია, დაუმარცხებია ბაყათარი, მოუკლავს იგი, მის ცხენზედ შემჯდარა და გამარჯვებული თავის ჯარისკენ წასულა. ჯარს მოულოცნია, მეფეს ღმერთი უხსენებია და ჯარისთვის უთქვამს: —„მხნე იყავთ და განძლიერდითო“ ბრძოლის ასპარეზიდამ წარმოსულ ვახტანგისთვის უკანიდამ ოსთა ჯარს ისრების სროლა დაუწყვიათ. გვაუწყებს:—„ხოლო ოვსნი წარ-

მოსდგეს ქარაფსა ზედა და დასხეს ისარი ვითარცა წვიმა მძაფრი“ ძლიერება ოსთა ჯარისა ამ სიტყვებიდამაც კარგად სჩანს, ამ ძლიერებასთან მათი რიცხვიც ღიდი უნდა ყოფილიყოს.

ბრძოლა იქმნა სპათა შორის.

მეტად მედგარი და ძლიერი“: „იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის“ ლაშქარში, ომის დროს, ვახტანგი ორის გამოჩენილის მხედრით ერთად იბრძოდა, ერთი ყოფილა გმირი არტავაზი ძე საურმაგ სპასპეტისა და ბოვრიტიანი სეფეწული. ცხარე ბრძოლა ყოფილა და ბოლოს ოვსნი ძლეულან. მრავალნი დახოცილან, მრავალნი უკან დაძრულან, უმრავლესნი ცოცხალნი დაუჭერიათ ვახტანგის სპათ. ქართველთაგან ოსებსაც მრავალნი დაუხოციად, ცოცხალი ტყვენიც მრავალნი დაუჭერიად და წაუყვანიად ოვსეთს. დამარცხებული ოსეთის ჯარი შინ დაბრუნებულა.

ვახტანგ მეფეს, თავის ჯარით, სამ დღეს დაუსვენია, ღმერთი უხსენებიათ, ოსთა დამარცხების სიხარულით და მეოთხე დღეს მთელის მხედრობით წასულა ოსეთზედ. ამაზედ ისევ „ქართლის ცხოვრებას“ ვალაპარაკებთ, ჩვენ გვიმძიმს მისი თქმა, რადგანაც ოსნი და ქართველნი ძმები ვიყავით ძველადგანვე, როგორც ახლო მეზობელ ნათესავნი და ძმები უნდა ვიყვნეთ დღესაც, თუ რომ სისულელეს ჩვენი წინაპარნი ჩადიოდენ, ამაზედ ვემდურით მათ. მათგან დაღვრილ ხალხის სისხლის ცნობას ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“— „სამ დღეს განისვენეს (ვახტანგი—ჯარით) და მერე შესწირეს მადლობა ღვთისა მიშართ, და მერმე განიბნივნეს ტუვენსად ოსეთისა. შემესრნეს ქალაქნი მათნი და აღიღეს ტუვე და ნატუვენავი ურიცხვი“. ვახტანგ მეფემ დაიმორჩილნა ოვსნი და ყიფჩაღნი, ხაზარნიკი არსადა სჩანს, ამიტომ ხაზარნი და ყიფჩახნი ერთად უნდა ვიგულისხმოთ. იმ დროდამ ვახტანგმა: „ქართლის ცხოვრება“.— „შექმნა კარნი ოსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთიელნი. არა ხელმწიფეების გამოსვლა დიდ-

თა მათ ნათესაგთა ოვსთა და უიფრახთა, თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა და განვიდეს ჰაჯანიგეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო ჰაჯანიეთა მოსამზღვრედ ოვსეთისა მდინარესა მან ოვსეთისასა წიალ, და ჯიქეთი მუნვე იყო“ შემდგომად ჯამთა მრავალთა ალტნეს ჰაჯანიანი და ჯიქნი თურქთაგან, და წარვიდეს ჰაჯანიანი დასავლით კერძსა, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა ათეხაზეთისასა: და მოტუეევნა ვასტანგ ჰაჯანკეთი და ჯიქეთი და შეიქცა და კამოდგა ოვსეთისაგე: და მეფენი ოვსთანი შელტოლვიდ იუენეს სამხრეთ-კავკასიათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი და დიაზავნეს და ითხოვეს ვახტანგისაგან ოვსთა, ნაცვლად დისა, მისისა ოცდათი ათასი ტუეე ოვსეთისა ეოველი უკეთესი, რომელი სახელდებით თქვეს ოვსთა: და მისცა ვახტანგ ოცდა ათი ათასი ტუეე დისა მისისათვის და ესრედ მოიეეანა.

ამ ცნობის ერთი ის არის საეჭვო, რომ თუ ვახტანგმა მთელი ოსეთი დაიმორჩილა და აიღო ყოველივე ოვსეთისა, მაშინ თავის დას ვისგან იხსნიდა და ან იმდენ ოსთა ტყვეებს რაში აძლევდა დის დასახსნელად. იქმნება ვახტანგ მეფემ ოსებს დავა თავის მცირე წლოვან დის ტყვეობისათვის აუტეხა და ორსავე მხაოეს იმოდელა სისხლიც მიტომ დაღვარა, ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება, მეფეთა გული ისეთი ჩვილი და ნაზია, რომ მათი ბუნება თავის ნათესავის ერთი უბრალო შეურაცყოფის გულისთვისაც კი ხშირად დაღვრიან თვის ქვეშევრდოთ მონათა დიდს სისხლს. ეს არის მათი საუნჯე და ამით არიან იგინი მაღალნი და ძლევა მოსილნი. კარგად სჩანს, რომ ვახტანგ მეფის ომებს და ოსებთან ატეხას უფრო მის ახალგაზდური ხასიათი აქვს,—ომის ასპარეზზედ მარჯვენის გამოცდა. ქართველთაგან ოსებსაც ბევრი ტყვე ჰყოლიათ ჩავარდნილნი. ვახტანგის დის განთავისუფლების შემდეგ კი ურთიერთ შორის ტყვეების გაცვლა-გამოცვლა დაუწყვიათ, ამ ტყვეთა შესახებ იგივე აღმწერი ამას გვაუწყებს:

„ხოლო ტუეენი ქართველნი, რომელი ჰუეეს ოვსთა ექვსსა (ჰქუსსა) წელსა, იგი ეოველნი უკუ მოიხსნნა თვითო თვითოსათვის

და ალდ მძეგალი ოვსთაგან და მძეგლისათჳს მისცა სხვა ტუეე ოცდათოვრამეტი ათასი და რომელი უკუ მოიხსნა ტუეე ქართლისა რიცხვით სამასორმოცდა ათი ათასი, და რომელი დარჩა ტუეე ოსეთისა ამათ კატეობილთაგან კიდე, თვლით ექვსას ორმოცდა ათი ათასი, თჳინიერ ბაკურიკოთა და ჯიქთა და ეს ყოველი აღესრულა ოთხ თვე".

მეტად დიდი საოცრება არის ამოდელი ლაშქრის ყოლვა როგორც ქართველთაგან, ისევე ოსთაგინ. მათ თუ ამდენი ლაშქრის შენახვა შაეძლოთ და ბრძოლაც ურთიერთ შორის იმდენა ხანი, მაშასადამე ქართველნი და ოვსნიც მაშინ აღმოსავლეთის ერთა შორის ძრიელ მრავალ რიცხვოვანი უნდა ყოფილიყოს, ეს როგორც ზემოთაც ვსთქვით. ოსებთან მორიგების შემდეგ, ვახტანგ მეფემ თავის დაჯ მირანდუხტ დარიალის გზით ცხეთაში გამოგზავნა,—და თვითონ თავის ჯარით ოვსეთიდგან აფხაზეთისკენ წარვიდა, იქიდამ შემოვლო შავი-ზღვის პირნი და იმერეთი, მერე მოვიდა მცხეთას. გასცა ურიცხვი წყალობა ოსეთში ყოფილს მეომრებზედ, სპარსეთის მეფეს გაუგზავნა მონა. ათი ათასი, ცხენი—სახედარი ათი ათასი, და ითხოვა სპარსთა მეფის ქალი ცოლად. ვახტანგ ოვსეთის გალაშქრების დროს, მოუპოვიია დიდი შეძლება, იგოდენი რასაც კაცი გაჰკვირდება. ამიტომ ამ რიცხვს ისევ „ქართლის ცხოვრებით" მოვიყვანთ:

— „და წარსცა ნატუეენაგისა მისგან დედისა ძმისა მისსა ვარაზ ბაკურის თანა მონა ათი ათასი და კვალად წარსცა წინაშე სპარსთა მეფისა მონაჯ ათი ათასი, ცხენი სახედარი ათი ათასი", და სხვანი. ჭეშმარიტად რომ კაი რიცხვია ეს საქონელთა რიცხვი.

აღსანიშნავია რომ თუ ყველა ზემოდ მოთვლილნი საქონელნი და მონანი ვახტანგ მეფემ ოვსეთში იშოვნა, იქიდამ მოიყვანა ქართლში იმდენი, მონები და მიტომაც გასცა ისე უხვად წყალობა როგორც ოვსეთის ომში მონაწილეობის მიმღებთ მხედრებზედ და ერისთავებზედ, ისევე სპარსეთის მეფეს

გაუგზავნა აუარებელი რიცხვი მონათა და საქონლთა. სჩანს, რომ ოვსეთი იმ დროს ამაღლებული ყოფილა საქონელის მოშენების გამრავლების ოსტატებით. მაინც მთის ერს და ოვსებს მეურნეობის და საქონლის მოვლის დარგი და შნო ძველადგანვე ემჩნეოდათ და ამ დარგის განვითარებას მათში ადგილ მდებარეობათა პირობებიც აღორძინებდა და აწინაურებდა. მიუხვედრია ჩვენთვის ის გარემოებაც თუ ვახტანგმა სპარსთა მეფეს თავის ცოლის მოყვანის ძღვნად, ვინ და რა მონანი უძღვნა, ვის ტომისანი იყვნენ ეს მონანი, ოვსეთიდამ მოყვანილი ოვსნი, თუ ქართველნი.

სათქმელია, რომ როგორც ეს არის ჩვენთვის უცნობი და გაუგებარი, ისევე ის გა-ემოებაც, თუ ვახტანგ მეფე რა მიზეზებით აუტყდა ოსებს და რასთვის დაიღვარა იმოდელა სისხლი ქართველთა და ოვსთა, თუ კი იგინი ამოდოლა უბედურების შემდეგ ისე ადვილად მორიგდებოდენ და თავ-თავიანთ სამეფოში დადგებოდენ წყნარად.

ბარემ წინადვე მორიგებულიყვნენ შინაურულად, ოსებს ვახტანგის დაჲ დაებრუნებინად და მის გამო აღარც ომი მომხდარიყოს, მაგრამ არ მომხდარა ასე და მოუფიქრებლად ძმებს უქლეტიად ერთმანერთი.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ვახტანგის შესახებ გადაჭარბებული უნდა იყოს მომთხრობთაგან და ყოველივე ქებით ანუსხული.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობებით უნდა ითქვას, რომ ოვსთაგან როგორც შესანიშნავი გოლიათ მხედარი ყოფილა თარხან ხაზარ გმირი, მასზედ უფრო უკეთესი და ძლიერი ყოფილა ოს ბაყათარი. ცნობებთა დასკვნა გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ოს ბაყათარი უნდა ყოფილიყოს იმ დროის ოვსეთის მეფეთა ნათესავი, ან შემძლე მთავარი-ერისთავი ერისა, უამისობა არ შეიძლებოდა, რადგანაც მდაბიოთაგანნი იმ ხელოვნებით და სიტყვათა გამოთქმის აღძრვით ვერ გავიდოდნენ ვახტანგის წინაშე... რაც შეეხება ვახტანგისაგან ოს ბაყათარის

მონად წოდებას და დამცირებას, ესეც ვგონებთ „ქართლის ცხოვრების“ აღმწერის კილო უნდა იყოს, რომლითაც ის ამცირებს ოს ბაყათარს და მით ადიდებს ვახტანგ მეფეს.

თვით ოს ბაყათარიც ოსებში ყოფილა დიდის სახელის მექონი, როგორც გვარიშვილობით, ისევე ფალავნობით და თვით ოსური სახალხო ლექსებიც მოგვითხრობს, რომ ვახტანგ მეფის მცირე წლოვანი დაჲ მირჰანდუხტი ოს ბაყათარის სახლში ყოფილა, სადაც მას თურმე დიდის პატივით ზრდიდენ და სწურთვნიდენ. სახალხო ლექსის თქმით, ვახტანგს თავისი დაჲ ოს ბაყთარის სახლიდამ მოუტაცნია და არა დაუხსნია ისე როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს. აქედამ უნდა ვიფიქროდ, რომ ოს ბაყათარი არამც თუ ოსთა გამოჩენილი მხედარი ყოფილა, არამედ შემძლე პირი, მთავარი და იქნება თვით მეფეც. ვახტანგ მეფე მიტომ ოსეთის საქმეში არ არის შემცდარი, მას ამათზედ უარესი შეცდომა თვის მერჯულე ბერძნებზედ გალაშქრებით მოუხდა. მარტოდ კარნუ ქალაქის ორს ერისთავს 24 ათასი ჯარი დაუტევა ბერძენთა ჯავრის ამოსაყრელად და თვითონ უფრო შორს საბერძნეთს წავიდა, კონსტანტინეპოლის აღება სურდა, ამას ისტორიაც მოგვითხრობს. ესეც შეცდომა იყო მისი, ერთი საკვირველება და გამოუცნობი გარემოება აქ ის არის ჩვენთვის, რომ ვახტანგის საბერძნეთზედ გალაშქრებაში დარუბანდის მეფეც იღებს მონაწილეობას მასთან ლეკთა მეფე ალაჯიჯა, რომელიც ამავ ომში კვდება საბერძნეთს.

არ ვიცით ეს, თუ ვახტანგმა დარუბანდის და ლეკთა მეფენი როგორ დაიტოვა მეგობრად, როცა ოვსეთი ამ ხალხთა მეფეთა თანა დასწრებით და სისხლის ღვრით გადალახა. ამაზედ სჯა სწორე მსჯელობის მიუნდობელია. დიდება ვახტანგის ომისა ერთი იმით ფასდება რომ ბერძნებს წაურთმევიათ მისთვის მთელი თუხარისი (იმერხევი) შავშეთი, მთლად არსიანი და ამ დასავლეთ სამხრეთ საქართველოს ადგილებს გარდა აფხაზეთიც ოვსეთამდე. ეს ადგილები მოუთხოვნია ვახტანგს, ამის-

თვის უბრძოლია, გაუმარჯვნია ბერძნებზედ, ბოლოს ეს ადგილები მათ დაუბრუნებიათ აფხაზეთი ოვსეთის სამზღვრამდის და მით მორიგებული დაბრუნებულა ვახტანგ მეფე საქართველოში. ბერძენთა ომის შემდეგ, ვახტანგს სპარსელებთან მოუხდა ომი, სპარსნი ქართლში მოვიდნენ დიდის ჯარით, ვახტანგს ეშინოდა თურმე და ფიქრობდა: ვაი თუ კავკასიანთ მეფენი მიემხრენო.

დარუბანდელნი ჩვენ ლეკებად მიგვაჩნია, ესენივე შირვანელადაც მოიხსენებიან. ლეკებმა ქრისტიანობა მე-IV საუკ. მიიღეს წმ. ნინოსაგან, ამიტომ მათ სპარსნი ემტერებოდნენ, ესენი როცა საქართველოზედ მოდიოდნენ საბრძოლად, მათ ჯერეთ შირვანზედ უხდებოდათ გამოვლა. აქ ომი, ომში შირვანელთ ოსებიც უერთებოდნენ, ამიტომ სპარსნი შირვანში ომის გამო დროს ჰკარგავდნენ, ქართველები კი საომრის სამზადისით ირაზმებოდნენ, როცა სპარსნი საქართველოზედ მოდიოდნენ, მაშინ ოსების ერთი ნაწილი ქართლში გადმოდიოდა, ქართველებს შველოდნენ. მაინც უნდა ითქვას, რომ ოსები ძველადგანვე განუყრელი ძმები იყვნენ ქართველების. იშვიათად რომ ოსებს ქართველებისთვის მტრობა გაეწიოს, ასევე არც ქართველნი იყვნენ ოსებზედ უგონოდ.

ერთად ერთი მხოლოდ ვახტანგ გორგასლანი იყო, რომელმაც გადალახა ოსეთი და აიკლო. ამ აკლების გამო ისტორია მას აქებს, ხოლო ქების მიზეზებს კი არ ასახელებს. ვახტანგი ქებულია და აკლებული ოსები კი მტყუანი. ვახტანგის საქციელის გამო აი რა ცნობას იძლევა ხელთნაწერები ისტორიული ცნობის დამწერი: ვახტანგ მეფე იყო მტკიცე ქრისტიანი, ამას სურდა რომ ქრისტეს სწავლა მთელს კავკასიაში მოფენილიყო. ოსები კი ეშმაკმა სძლია და აცდუნაო.

ვახტანგ მეფის დაბადების შემდეგ, ოსებს ქრისტიანობისათვის ზურგი აუდრეკიად, ქრისტეს სჯული უარ უყვიათ, სპარსთაგან მიუხმიათ სჯულის მლოცავ კაცნი და მათებურად ცეცხლ-კერპებზედ უწყვიათ ლოცვა. ვახტანგ მეფის დის მო-

ტაცვის შემდეგ ხომ, ოსებს ქართველებთან კავშირი გაუწყვეტიად, აღარც მცხეთაში გადმოდიოდნენ თურმე, აღარც მირონი გადაჰქონდათ, ერთი სიტყვით ქართველებთან მოუსპიათ ყოველივე როკორც ქრისტიანობის მხრით, ისევე მეზობლობის ცხოვრებით.

ამ დროს, ოსეთში ოს ბაყათარი ძრიელ ლომთაგანი ყოფილა, თვით ოსების მთავრებიც კი თურმე ამას ემორჩილებოდნენ. ვახტანგ მეფეს ომის მთავართა და ბაყათარისაგან მიზეზები მოუკითხავს.

ქრისტიანობას რათ გადუდექით, თქვენ მამა-პაპათა სჯული რად უარ ჰყავით, სპარსთა სჯულს რათ ითვისებთ, ან ჩემი დაჲ რათ მოიტაცეთ?

ამის პასუხი ვახტანგს ოსთა მთავარმა და ბაყათარმა ასე აგეს:

ჩვენ თქვენი სჯული არ გვინდა, ჩვენ გვინდა სპარსთა სჯული, თქვენი არც მეზობლობა გვსურს, დაც მიტომ მოგტაცეთ რომ შეიგნოთ ჩვენი მტრობა, ჩვენ ოსები ვართ, ჩვენი სჯული სხვა უნდა იყოს და არა ქართული.

ასეთმა პასუხმა აღაშფოთა ვახტანგ მეფე, ამას მიემხრო მთელი საქართველოს ერი, მისცეს მეფეს მხარი და სთხოვეს უსათუოდ ოსების დამუხლება, ქრისტიანობის მტკიცე ნიადაგზედ დამყარება, კულანდებურად მეზობლობის დაარსება და თვისი დის განთავისუფლება. ვახტანგ მეფე ოსებს შეებრძოლა, ომში გაიმარჯვა, ოსები დაამხო და დაამუხლა. ხელთნაწერი განაგრძობს კვალად:

გამარჯვების შემდეგ, ოსთა შეჰფიცეს ქრისტიანობაზედ მტკიცეთ ყოფნისთვის, მცხეთაში ხშირად მოსვლის და ლოცვისთვის, ამას გარეშე მეზობლობის მტკიცე პირობაც აღიარეს. ვახტანგ მეფემ თავის დაც გაათავისუფლა, მის შემდეგ დაბრუნდა ქართლში, მიერიდგან ოსეთში დამყარდა ქრისტეს სჯული და მათ ამისთვის აღარ უღალატნიად. აი ეს გარემოება ყოფილა ვახტანგ მეფის ოსეთზედ გალაშქრების მიზე-

ზები. ოსებზედ გალაშქრებამ ვახტანგ მეფეს დიდათ შეუწყო ხელი ეს პირველი ნაბიჯი იყო მისი. „ქართ. ცხ.“ სწერს:

—„ხოლო კავკასიანთა ვერ იკადრეს განთრევად მისა, რამეთუ რომელთამე მათგანთა აქვნდა სასოება ჯვარცმულისა, ხოლო რომელნი იძლინეს ეშმაკისაგან. მეფენი ·დარუბანდისანი გაერთნეს“. ცხადია რომ დარუბანდელთ შორის ოვსნიც უნდა ვიქონიოთ სახეში. და როცა ამან ქართლში აღაშენა თორმეტ საეპისკოპოზო ტაძარნი, მათ მერე აღაგო ნიქოზს ეკლესია საეპისკოპოზო, დაადგინა იქ მღვდელ მთავარი მას მიუმცნო და მიანდო ზედამხედველობა ქრისტეს-სჯულის მხრით ოსებზედ, და მათ მოსამზღვრე მთის ხალხზედაც და შრომა მათ'ში ქართველთა და ოსთა სიყვარულის განთესაზედ. ამ ტაძრის არსებობას და მასზედ დამდგართ მღვდელთ-მთავართა მიერიდამ მართლაც დიდი გაელენა აქვნდათ ოვსეთსა და ოვსებზედ.

ამ სიყვარულის განთესვას და ერთობას დიდათ ხელს უწყობდა ოსთა მეზობლობა და მეორეს მხრით სირცხვილიც ქრისტეს სჯულისა რასაც ოსები კარგად ჰგრძობდენ.

დიახ, უნდა ითქვას, რომ ვახტანგ გორგასლანმა ასე დაასრულა თავის მეფობის დღენი, რომ ოსთა დაახლოვების მნიშვნელობა და სიყვარულიც გაუგებრად არ დასტოვა, ბევრს რაშე შეცდომას გზა და კვალი აუქცია, მომავალთა შვილთა და შვილის შვილთაც ემცნიათ განგება ასეთის საქმის და გარემოების, რაც კი ოვსთა და ქართველთათვის ყოველთვის საჭიროდ უნდა ყოფილიყოს. ვიტყვით თამამად, რომ ვახტანგის მეფობის დროს, ოვსეთის ერი თავისთვის არის; მორიდებული და არაფერი საავკაცო საქმეთა არ მქნელი და მნატვრელი. ეს ერი ქართველობას იმიერიდამ მაღალის სიმპატიით უმზერდა. ვახტანგის დროს მათ რომ ერთხელ კიდე გადმოვლეს ოსეთი და ცხეთა უნდა აეღოთ, ეს იყო მიზეზი სპარსთა და არა ოსების.

უნდა მოგახსენოთ, რომ 485 წლიდამ ოვსეთი წარმატებას მიეცა როგორც სამხედროს ძალით, ისევე შინაურის ყო-

ფა ცხოვრებით, რადგანაც მათს ხელოსნობით და ხვნა-თესვით და საყდართა მაშენებლობას ქრისტიანობაც უწყობდა ხელს, და ოვსებსაც ახალისებდა ამისთვის. როგორც ქართლში, ამ დროდამ იწყო აღორძინება ბევრმა რამ საკეთილო საქმეთა მისწრაფებამ, რომელთაც ყოველთვის თან სდევდა ელინთა და რომაელთა დიდი ზედ გავლენა.

ოსების ესეთი წარმატება III და IV საუკუნეებში უამისობა არ შეიძლებოდა, რადგანად ქრისტიანობის გაცნობის დროსვე, ოსეთში ბიზანტიური სკოლებიც დახსნეს, ოსებმა სწავლაც დაიწყეს წიგნით. IV საუკუნიდამ ოსეთი ითვისებს დროის შესაფერს კულტურას, რასაც ოსებზედ მეტად დიდი ზეგავლენა აქვნდა, სამწუხაროდ ესევე აღორძინება ხდება ზოგიერთ მეზობელთ ერთათვის საშურველად, ამიტომ ამ ერს V საუკუნის ნახევარს ევლინება უბედურება და რისხვა, იგი იმუსრება სხვა და სხვა მთის ერთა მთავართაგანაც.

ამიტომ ოსეთის ერის ისტორია V საუკუნიდამ ღირსია ყურადღების, რადგანაც ამ დროს მათში მოხდა დიდნი ისტორიული ბრძოლანი, მასთან მოსწყდა ურიცხვი ჯარიც. V საუკუნის ბოლოდამ კი ოსების მეფე და ერი ქართლის ერთან ერთობ მორიდებით სჩნდებიან, ფრთხილ და ქართლის მეზობლობას გარეშე ხშირ მისვლა-მოსვლასაც იწყებენ. აფხაზებ და მეგრელებსაც დაუმეგობრდენ. ამათი მეგობრობა V საუკუნიდამ დაწყობილი, შემდეგ საუკუნოებშიაც იყო დიდის წარმატებით განმტკიცებელი, როგორც ქრისტეს სწავლით, ისევე ბერძენთა და რომაელთა კულტურის და ცივილიზაციის მიღებით. აფხაზეთში გადასვლა და მეგობრობა როგორც ოსებს ახალისებდა, ეს გარემოება როგორც მათ ცხოვრებას რთავდა კარგად და ესენი სიჩაუქით, წინაურდებოდნენ, ისევე თვით აფხაზებს ემარჯვებოდათ ოსებთან მისვლა-მოსვლა და მეგობრობა.

აფხაზეთი ხშირად იყო ბერძენთა და რომაელთა გავლენის ქვეშ, აფხაზეთს და შავ ზღვის ნაპირებს ოვსეთამდის ხშირად ამათი ლაშქარიც იკავდა, ასევე იყო აფხაზეთის საქმე

ბიზანტიის ხელში, ბიზანტია აფხაზეთის ფლობის დროს ოსეთსაც ისევე იცნობდა. როგორც აფაზეთს, იგინი თვის ქვეშევრდომთა წყალობით ოვსებსაც ისე იცავდენ მტერთაგან როგორც აფხაზებს და სხვათაც. ხშირად ბიზანტიელთ და რომაელთ აფხაზეთში თვისი ლაშქარიც ჩოჰყვანდათ და მით ამტკიცებდნენ და მაგრად იცავდნენ ოვსთა საზღვრებს და ინტერესებს. V საუკუნიდამ, ოვსებმა მეგობრობა და მეზობლურის განწყობილებით აფხაზებთან დაიკავეს კაი კავშირი, აფხაზებს ნატვრით ეკედლებოდნენ, ამათისავე საშვალებით ვითარდებოდნენ საქრისტიანო დედა აზრების მოთანხმე სწავლითაც. ოვსთა მეზობლური სალამი შემდეგ აფხაზებთან გახდა მის საშუალებათაც, რომ ბაგრატოვანთ გაბატონების შემდეგიდამ ოსნი მტკიცეს სულიერის ძალით დაუკავშირდნენ ქართლს, სატახტო ქალაქს მცხეთას და მის დედა ეკკლესია სვეტი-ცხოველსაც. რის წადილი მათში დაშთენილი იყო თითქმის იმ დღიდამ, როცა III საუკუნეში, საქართველოს და ოვსეთს წმ. ნინო მოევლინათ. ოსების ქართლთან დაახლოვების მთავარ სახსრად ჩვენ აფხაზეთს და მათ მეფეთა ჭკვიანს გავლენას ვსთვლით, აფხაზთა რჩევით არამც თუ ოსნი დაემეგობრნენ ქართველთ, არამედ თვით ქართველნიც შაერთდენ ერთად, ერთს სამეფოდ გამოცხადდენ, რომელთა მეფესაც ქართველთაგან გურგენ მეფეთ მეფე ეწოდა, ბიზანტიის მწერლებთაგან კი კეისარი—ანუ იმპერატორი.

ვიტყვით რომ რაც იყო საქართველოს ეკკლესია ქართველთათვის, იგივე იყო ოსთათვის. საქართველოს ეკკლესიის ბერძნის ეკკლესიასთან დამოკიდებულების დროს, ოსეთიც ისევე დამოკიდებული იყო ბიზანტიის ეკკლესიასთან ერთად, მერე როცა განთავისუფლდა ეს ეკკლესია და მან მიიღო თავისი ავტოკეფალია V საუკუნის ბოლოს, ამავე ავტოკეფალიის მფარველობის ქვეშ მოთავსდა ოვსთა ერის სასულიერო და საეკკლესიო საქმენიც. ცხეთა ჯერეთ არმაზის დროს ოვსთა-

თვის იყო ისეთი შუა გული, ისეთი ცენტრი რჯულისა, სადაც წელიწადში ერთხელ უნდა მოსულიყვნენ ოვსთა მეფენი, ხალხი და ქართლის მეფესთან ერთად უნდა მიეცათ ღმერთ-კერპთათვის სალამი, წელიწადში ერთი საერთო დღე მოსდიოდათ, როცა მთელი ქართლის და ოვსეთის ერი აქ უნდა შეყრილიყვნენ და თავიანთ ღმერთთათვის საერთოდ უნდა ეცათ თაყვანი. ყოველი ოსი ცოდვად მიითვლიდა და სულის წაწყმენდად, რომ წელიწადში ერთ ელ თუ არა, თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ მისულიყო ცხეთაში და არ ენახა ღმერთნი გაცი, გაიმი, დიდი კერპი არმაზი, ანაინა, დანაინა და მათთვის არ შაეწირა საღმრთო ზვარაკი. რომელ ოსიც ამას ვერ მოახერხებდა, იმას თავის თავი ცოდვილად და უბედურად მიაჩნდა ღმერთთა წინაშე.

მცხეთა რაც იყო ოსეთის ერისთვის ქრისტეს სწავლის წინედ, იგი ისეთივე კერა გახდა თვით ქრისტეს სჯულის მიღების დროსაც, რადგანაც ცხეთაში მოვიდა წმინდა ნინო, აქ განავრცო სწავლა იესოსი, აქ იწამეს ქრისტეს სწავლა მეფემა და დედოფალმა, იქვე იწამა ეს ერმა, აქ მოინათლნენ პირველად ქართველნი, რომელთ მონათლულებში ოსებიც მრავლად ერივნენ. აქვე აღშენდა ვრცელი ტაძარი სადაც ინახებოდა კვართი ქრისტესი, იქვე დაფუძნდა VI საუკუნის დამდეგიდან საქართველოს საკათალიკოზო კათოლიკოზთა ტახტი. ქართულმა ეკკლესიამ თავის ავტოკეფალიის მიღების შემდეგიდამ, დააფუძნა მეფეთა და კათალიკოზთა კურთხევის ტახტი, აქვე იკურთხებოდა მირონიც და იკურთხებოდენ მეფენი და კათალიკოზნიც, რაისა გამო ცხეთა წოდებულ იქმნა ახალ იერუსალიმად. ამ ცნობათა საქმეებსაც მეტად დიდი გავლენა აქვნდა ოსებზე, მათში დიდის ქება-დიდებით და საოცარის ცნობებით მოუთხრობდენ ურთი-ერთ ცხეთის სიწმინდეთა ამბებს, წმინდანების მოსვლას, წმ. ნინოს ცხოვრებას, ქართველთ მონათვლას, ცხეთის ტაძრის აღშენებას, მირონის

კურთხევას და სხვანი. ამ საქმეთა საუბარი ოსებში დიდის ცნობის მოყვარეობას სძრავდა, მირონთან დაახლოვებას.

ცხეთის არ დავიწყების გარემოებას მათში აფართოვებდა ის გარემოებაც, რომ VI საუკუნიდამ, რადგანაც საქართველოს ეკკლესიის განთავისუფლების, ანუ ავტოკეფალიის მიღების შემდეგიდამ, ოსთათვისაც საეკკლესიოდ იგივე წესები იქმნა გამოცხადებული რაც ქართველთათვის. VI საუკუნიდამ გაჩდნენ ოსთა ეპისკოპოსნიც, როგორც მაგალითებრ ნიკოზელნი, ფოსტაფორელნი და სხვანი.

ცხეთაში უნდა კურთხეულიყვნენ ოსთა მეფენიც, მთავრებიც აქედამ იღებდენ თავიანთ შესაფერს ლოცვას. ოვსთა მეფე აქ თუ არ ეკურთხებოდა, ის შეიძლებოდა რომ ერს ხმალ შემოკრულ მეფედ არ ეცნად, ოსებს ცხეთაში არ ნაკურთხი მეფე მეფედ არ სწამდათ.

მეორე: ოსთა მღვდელ-მთავარნიც აქ უნდა კურთხეულიყვნენ. აქ უნდა მიეღოთ მღვდელ-მთავრობა ცხეთის კათალიკოზისაგან, უამისოდ მღვდელ-მთავარს არ შაეძლო ოვსეთში ეპისკოპოზის ადგილის დაკავება.

მესამე: კათალიკოზს შაეძლო ოსთა მღვდელ-მთავარი გაეკვეთა, გადაეყენებინა. ოსეთში მღვდლებს, მთავრებს და სხვა სასულიერო პირთა აკურთხევდენ თვით ადგილობრივ ოსთა მღვდელ-მთავარნი, ანუ ეპისკოპოზნი.

მეოთხე: მირონის კურთხევის დროს ოსთა მღვდელ-მთავრებიც იღებდნენ მონაწილეობას. ყვავილის კრეფითაც. ოვსთათვის მათ მდვდელ-მთავრებს მცხეთიდამ მიჰქონდათ მოსანათლავი მირონი და სხვაც ამგვარნი საეკკლესიო საჭირო ნივთები. ჯვარი და ხატები. სახარებას უკითხავდენ ბერძულად, მერე იქვე ოსურად უხსნიდნენ.

მეხუთე: ყოველი საქმე ხალხის ცხოვრების შესახებ ქრისტიანობის მხრით, მაგალითებრ მთიელთ-მონათვლა, ქორწინება, განქორწინება, რაც მაშინ ერთობ იშვიათი იყო, ქადაგება, ეკკლესიათა მაშენებლობა, საეკლესიო საქმეთა პატივისმცე-

მელთ მოხსენება და მათ სახელთა სახსენებლად კონდაკის შედგენა დამოკიდებული იყო თვით ოვსეთის მღვდელ-მთავრებზედ.

რომ შორს არ წავიდეთ, ჩვენ აქ მოვიყვანთ „ქართლის ცხ.“ ერთ ადგილს, რომელიც ზემო ხსენებულ კითხვებთა სინამდვილეს თვით ოვსეთის მეფეთა და ეპისკოზთა კურთხევის დამოკიდებულებას დაასაბუთებენ. აი ესეც:—„ამიერიდგან განთავისუფლდა, რამეთუ კათოლიკოზი ქართლისა ხელქვეით არ არს პატრიარქისათა და არა იკურთხებიან პატრიარქთაგან, არამედ თვისის სამწყესოს მიტროპოლიტთა, მთავარეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთაგან იკურთხებიან. რამეთუ თავისუფალი არის და მოციქულთა მაგიერი და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიარქი, თავი უოველთა ეკკლესიათა, წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკკლესია სვეტი ცხოველი და აქვს უადრესობა და ხელმწიფება კათოლიკოზსა უოველთა ზედა და მის მიერვე მიეცემის უოველთა მადლი და კურთხევა შეკრვისა და გახსნისა, და იკურთხეოდენ მეფენი და მთავარნი, მთავარეპისკოპოსნი, და მიტროპოლიტნი, და ეპისკოპოსნი და არის სამწესო და ხელ-ქვეითი ქართლის რანი და კახეთი. ოგსეთი, სვანეთისა და ჩერქეზის. მზღვრამდე, სამცხე-საათაბაგო ბოხტას ზღვამდე და დარუბანდის ზღვამდე“. ოვსეთი ეხება ორივე მხარეს ოსებისას, რადგანაც IV საუკ. დამლევს ოსები სულ გაქრისტიანდნენ.

ეს ადგილი მიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ მით მკითხველმა იცოდეს, თუ ცხეთის ტაძარს და კათალიკოზს რა კავშირი აქვნდა ოვსებთან და ან ოვსები როგორ არიან დაკავშირებულნი საქართველოს ავტოკეფალიურს გამგეობასთან VI საუკუნიდამ. ამას კარგად აჩვენებს ზემო ცნობათა და საგანთა შორის მოხსენებულ ოვსეთის საქმეც. ჩვენ ვხედავთ, რომ ოსეთის ერის ქრისტიანობა არის ისეთივე ძველი, უხუცესი, როგორც ქართველის, ისევე ოსის, ამ ორივ ერის ეკლესია არის იგი, ორივ ერთ ღვიძლი ძმანი—ემბაზნი. ვგონებთ, ამ გარემოებას ვერც ერთი ოფიციალურ პედაგოგ და მეისტორიენი უვარს

ვერ ჰყოფენ, VI საუკუნეში ოსებს ველურ, ანუ ურჯულო. კაცი ჰამია ხალხათ არავინ დაასახელებს, ეს როგორც აქამდის ბევრს აქვნდათ ჩვეულებათ გამხდარი.

ოვსებს ქართველებთან აკავშირებდა ის გარემოებაც რომ ნიქოზის ტაძრის აღშენებამ თვით ვახტანგ მეფისაგან და მას ზედ მღვდელ-მთავრის დადგენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვნდა ოვსეთის ერზედ. VI საუკუნიდამ ნიქოზელნი საკმარისად დაწინაურდენ, მათ ოვსეთის ერზედ დაჩი მეფისაგან მიენიჭად დიდი უფლება და სახსარი ქონებრივად, რათა ნიქოზელთ ეპატრონად და ემწყსათ ოვსთა ქრისტეს მოსავთათვის. VI საუკუნის ნახევარს, როცა მოვიდნენ 13 მამანი, მქადაგებელნი ქრისტეს რჯულისანი და განწმენდელნი და გამასუფთავებელნი „სახარების“ მცნების ქართლში, თვით ამათისავე შრომით და მეთაურობით ამაღლდა ოსეთს ნიქოზი და ნიქოზელთ მღვდელთ-მთავარნი.

მართალია, რომ ოსეთში 13 მამათაგანის არავინ დასახლდნენ, მაგრამ მაინც ნიქოზს არ მოჰკლებია თავისებური მაღალი სამქადაგებლო მნიშვნელობა ოვსეთის ერის წინაშე. 13 მამათაგანის აქ არ დასახელების და განდეგილურის კილოთი არ ქადაგების მიზეზი ის იყო, რომ ნიქოზებს ეკედლებოდა მთელის ოვსეთის საქრისტიანო ერის ვრცელი მხარე და მიტომ მისი კარ ჩაკეტა არ გამოდგებოდა, ანუ განდეგილური ბერთ ცხოვრება, მოქმედეაა და შრომა. მთის ერი აცას ვერ შეიმშვნევდა. ნიქოზელნი იყვნენ გამგენი ოვსეთის საეკკლესიო და საერო საქმეების. მასთან განიბჭობდენ ყველა ის საერო საქმენი, რასაც კი კავშირი აქვნდა საეკკლესიო წესებს და მის კანონდებულებასთან, ერთის მხრით ნიქოზი იყო ოსების სინოდიც.

ტაძარს აქვნდა თავის სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ ოვსთა შვილებს წერა-კითხვას ქართულს ენაზედ, ოსურს ენაზედ, ბერძნულს, ასურულს და რომაულს. ამზადებდენ დროის შესაფერის სწავლით და ვისაც სურდა ეკკლესიის მსახურება, იმათ მღვდელ-მოქმედებისა და საეკკლესიო საქმეებში ოსურის

ენითაც სწურთვნიდენ. შემდგომ სწავლის და გამოცდის ნიქოზელი აკურთხევდა და ნიშნავდა ამიერ და იმიერ ოსეთში სამსახურად. მღვდლებს, მთავრებს და დიაკვნებსაც.

აქვე ასწავლიდენ კარგად ქადაგებას ოსურს ენაზედ ქართულის და ბერძნულის ენებიდამ თარგმანით.

წირვა-ლოცვა სრულდებოდა თვით IV საუკუნის დასაწყისიდამ ქართულს ენაზედ, ხოლო მღვდელი წირვის შესრულების შემდეგ, მრევლს უხსნიდა ოსურს ენაზედ ლაპარაკით მთელს წირვა-ლოცვის წესებს.

რადგანაც ქართველთათვის ფარნავაზ მეფისაგან შემოღებული მხედრული ანბანი იყო იგივე ანბანი ოვსთათვისაც, ამიტომ ოსებიც ყოველივეს წერას და კითხვას ქართულის მხედრულის ასოებით სწავლობდენ, სწერდენ და კითხულობდენ ყველაფერს. მაგალითებრ სიტყვებს ოსურად ახმარებდნენ და ასოებს კი მხედრულ ქართულად- იმავ თავიდანვე, ანუ ქრისტეს წინედ ფარნავაზის დროდამ, ოვსთა დიდებულნი, მეფენი, მთავარნი და მცირებულნი ასე ამ ანბანით სწავლობდენ და სწერდენ და კითხულობდენ, ასევე სწავლობდენ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ოვსთა მღვდელნი, დიაკონნი, მთავრები, ბერები და ყველა სასულიერნო პირნი. სასულიერო პირთ გარდა ოვსთა მეფენიც ამ ასოებით სწერდენ ურთიერთ შორის მოკითხვის წერილებს, განაჩენთ, სიგელთა და გუჯრებსაც ქართველ მეფეთა მსგავსად ამავე ასოებით ადგენდნენ. ზღაპრებს, ლექსებს, შაირებს და სხვებსაც ასევე. ეს გარემოება ოვსთა და ქართველთ დიდად აკავშირებდა და აახლოვებდა. ოვსეთის დიდებულნი მეფენი და სხვა და სხვა პირნი სულ ამ ანბანის ცოდნით იყვნენ განსწავლულნი. როგორც ვსთქვით, V საუკუნის შემდეგ, VI საუკუნე ოვსეთის და ოვსთა ერისთვის არის საყურაღღებო იმ მხრითაც, რომ ასურეთიდგან მოსულ ქართველ მამათაც კარგად იგრძნეს ოვსეთის მოსამზღვრეობა და იქ ქრისტიანობის საქმის ვითარება. თუმც ეს მამანი ოვსეთში არ შევიდნენ, მაგრამ მაინც უმეტეს მათგანნი ქართ-

ლის ისეთ კუთხის სოფლებსა და უდაბნოებში დასახლდენ, სადაც ქართლის ამიერ და იმიერ კუთხეთა ოვსებს ერთობ ხშირად შეხვდებოდნენ.

„ქართველ მამათა ცხოვრება“ გვამცნებს, რომ თუმც მეათცამეტე მამათაგან ოვსეთში არვინ გადვიდაო, ხოლო სტეფანე წმინდას დასახლდა ტათძ მქადაგებელიო. ნიქოზს ხომ იყო დასაფლავებული სპარსთაგან წამებული თვით ვახტანგ გორგასალის ნათესავი რაჟდენიო. ამათ გარდა თვით იოანე ზედაძნელსაც ხომ ერთობ ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონია როგორც ოვსებთან, ისევე ოვსებს მასთან, და მისგან მოუსმენიათ სიტყვა და ქადაგება ქრისტეს მცნების. სათქმელია, რომ რა მნიშვნელობაც ოვსთათვის ნიქოზს და ნიქოზელთ აქვნდათ, სწორედ იმაზედ მეტი თუ არა ნაკლები არ აქვნდა სტეფანე წმინდის ტაძარს, სადაც ყოველთვის წარჩინებულ ქართველთ მწიგნობარ მქადაგებელ მღვდელ-მთავარნი ისხდნენ და საიდამაც განაგებდნენ, ოსებზედაც მათ დიდი საქრისტიანო ზე გავლენაც აქვნდათ.

ასეთის დიდის ზე გავლენით იწყება VI საუკუნე ოვსეთისათვის და ეს გავლენა მათზედ სასარგებლოდ შთება მით უფრო, რადგანაც ამ დროს, საქართველოს მთლად და კერძოდ აფხაზეთს დიდს ყურადღებას აქცევდა ბიზანტია, მათ დიდი გულის ყური აქვნდათ აფხაზეთზედ მიპყრობილი. ამას გარდა მათ ქართველ მეფეს კაი დახმარება მისცეს ბიჭინტვის ტაძრის აღშენებაში, ისევე აღაგეს სხვა ტაძრებიც. ვახტანგ გორგასლანის ქრისტიანური გავლენა იყო მეტად ძლიერი, ეს გარემოება რამდენათაც ახარებდა რომაელთ ორივ მთავრობას და ბიზანტიელთ, ამდენათვე იგი აფიქრიანებდა სპარსელთ. ამიტომ სპარსთა ოსებზედ დიდი ძალა მოიტანეს, ქართლს რომ ვერა დააკლეს რა, მერე ოვსებს დაუწყეს ფულით შესყიდვა დაყვავება და ამ სახით ოსები გადაჰყავდათ ცეცხლ თაყვანის საცემ რჯულზედ. ეს სჩანს უკვე VI საუკ. ნახევრიდამ.

ოსების ასე მიბირების ცნობებმა რომსა და ბიზანტიაშიაც

მალე მიაღწია, ეს გარემოება სპარსთაც მალე შეიტყეს, ამათ თავიანთ მეზობელ სომეხთ მიმართეს და შველა სთხოვეს, საქმე ისე მოეწყო, რომ სპარსთა სომხების დახმარებით ბიზანტიელ-რომაელთ ომი აუტეხეს. ამ დროს, რომაელთ მეტად დიდი გავლენა აქვნდათ ლაზისტან, კოლხიდა-აფხაზეთზედ. აქ მალე მოვიდა ბიზანტია-რომაელთ ჯარი. გაიმართა ბრძოლა. ამ ბრძოლაში სპარსელებმა დიდი ძალი ჯარი გამოგზავნეს, ჯარს 60 ათასი ოსთა და ალანთ მეომრებიც მოაყოლეს თან. ესენი მოვიდნენ და დაბანაკდნენ ლაზისტანსა და აფხაზეთში, რომაელთ მათი გაძევება აქედამ მოუხდათ, ამ კუთხეების შიში აქვნდათ. ამ ბრძოლაში, ოსებმა გამოიჩინეს დიდი გონიერება და ესენი თავიანთ შემსყიდავთა წინააღმდეგ წავიდნენ და უცბათ მიემხრნენ რომაელთ ლაშქარს, რის ძალითაც ძლეულ იქმნენ სპარსნი. ეს მოხდა 540 წ.

ამის შემდეგ ოსები პატივცემულ იქმნენ რომაელ-ბიზანტიელთაგან. ოსებში ხშირად იწყეს შემოსვლა რომაელთ მქადაგებელ ნასწავლ კაცებმა და ცხოვრება. მათ თან შემოჰქონდათ თავიანთ სწავლა-განათლებაც. ამათის ცდით, ოსებმა VI საუკ. მშვენივრად იცოდნენ რომაულ-ბიზანტიური ენები. ასეთ შნოს გარდა, ოსებს იუსტინიანე იმპერატორმაც დიდი ყურადღება მიაპყრო, იგინი დაინახა ღირსეულ მეომარ მხნე ხალხათ. გარდა ასეთის ღირსების ოსნი სხვა მხრითაც იქმნენ გამოჩენილნი, ამიტომ ოსებს დიდი ყურადღება მიაპყრეს VI მსოფლიო კრებაზედაც.

VI საუკუნე ოვსეთისთვის სხვა ფრიგათაც არის შესანიშნავი და საყურადღებო, რომ ამ საუკუნეში, საქართველოში, ინდოეთიდამ შემოტანილ ყაპის ანუ აბრაშუმის თესლი, კანაფის ძაფის კეთების ოსტატობა, სელის ზეთის გამოხდა, თაფლისაგან წმინდა სანთლის კარგად კეთება და მრავალიც სხვანი, რაც ქართლიდამ ოვსებშიაც იქმნა გადატანილი, ყოველივე ესე ოვსთა შორის კარგად მოშენებულა. საუწყებელია ისიც, რომ ზემო ხსენებულ საქმეთა ცოდნის გარდა, ქართლსა

და ოვსეთში იმავ დროს შევიდა და განეფინა ინდოურის ნაზის ხელოვნებით ოსტატობა ქსოვისა, კერვისა, რთვისა და ქარგვისა, რასაც ოვსებში იმავ თავიდგანვე კარგი დასაწყისი მიეცა და ოსის ქალები მრავლად მისდევდნენ მუშაობას, და ბევრს რამეს კარგის ხელოვნებითაც ჰკერავდნენ. ოვსთა დედანი ჩვენთ მეფეთა და დედოფლებთა წინაშე ქებულნი იყვნენ სხვა და სხვა სამეფო და სანაქებო ტანთ საცმელთა მკერვალობით. ოვსთა ქალთა ტანთ საცმლით დახატულთ ქართველთ მეფეთა დედოფლებს და ქალებს ხშირად ვხედავთ სხვა და სხვა ძველს ნაშთებში, ყოველივე ესეთი დაწინაურება ოსეთის ერისა იწყება VI საუკუნის ნახევრიდამ, ამ საუკუნის ბოლოს ოსები უკვე კულტურულად არიან ჩენილნი.

შემდეგი დრო, ანუ VII საუკუნე, ქართველთა და ოვსთა გულის დასადინჯებელ მალამოდ მოდის ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტახტზედ გამეფდა ბაგრატოვანთ გვარის წევრთ კურატპალატი გურამ, რომელიც მხოლოდ დედით იყო ნათესავი ვახტანგ გორგასლანისა.

ამიტომ მთელს VII საუკუნეში, ქართველთა და ოვსის ერთა და მეფეთა შორის აღარაფერი ძვირის ხსენება აღარ იყო და ყოველივე მოშენებას ელეოდა და ურთიერთ სიყვარულის დამკვიდრების ცნობას. ამ მშვიდობის დასათესათ, არ შეიძლება, რომ აქ არ დავასახელოთ ის გარემოებაც, რომ მეექვსე საუკუნის მქადაგებელ მამებმა დიდი გავლენა იქონიეს ოვსებზედ, მთიელებზედ, მოხევებზედ, ფშავ-ხევსურ, თუშთ და ქისტებზედაც. ამის მაგალითს გვაუწყებს თვით „ქართლის ცხოვრებაც“, ასე—„ებიბოს, ნეკრესელი ეპისკოპოზი, რომელმან მოაქცივნა მთიულნი, არაგვისა აღმოსავლით“ ეს გარემოება ჩვენთვის მით არის საყურადღებო, რადგანაც იმ ჟამად მთიულნი როგორც სარწმუნოების ერთ ნიადაგზედ არა მაგრა მდგარნი, არც მაგალითნი იყვნენ იგინი თავიანთ თანამოსამზღვრე და მონათესავე ოვსებზედ, როცა იგინი გახდნენ სუფთად მაღიარებელნი ქრისტიანობის და მაგალითნი ოვსთათვის, მაშინ ოვ-

სთაც ჯეროვანი ყურადღება მიაპყრეს მთიულთა ცხოვრებას და უპირველესად მთიელთა საშუალებით და თანა ზიარებით დაიწყეს მეგობრობა, რომელ მთიელთ და ოვსთა კავშირიც არაგვის მხრით ამიერ და იმიერ ოვსეთში, VII საუკუნიდამ, უფრო განტკიცდა. VII საუკუნეში ოვსნი ქრისტიანობის სწავლით ისე მოირთნენ და მოიკაზმენ, რომ მათ ეკკლესიათა მაშენებლობასაც მიჰყვეს ხელი და მრავალს ალაგას ალაგეს მთებზედ ეკკლესიები და საყდრები. ცნობა არის რომ VII საუკ. ოსებმა გააკეთეს ოსეთში 50-მდე საყდარი, პირველი საყდარი ფოსტაფორს, მეორე იმ მთაზედ, სადაც ანდრია მოციქულმა ჯვარი დასვა თვის ნიშნად. ფოსტაფორ ბერძნული სიტყვა არის.

სამწუხაროდ, ოვსების კეთილ აღორძინებამ VII საუკუნეში დიდს ბედნიერების ნიშნად არ ჩაითვალა. ამ საუკუნის ბოლოს, განძლიერდა მაჰმადის სწავლა, უკანასკნელ ქართლში, არჩილ მეფის დროს, მოვიდა ამირ აგარიანი, ანუ მურვან ყრუ, დისწული მაჰმადისა, რომელიც გამოეგზავნა ბალდადელს ამირ მუშლს. ეს ყრუ მურვანი საქართველოში ისეთის ზარით შემოვიდა, რამაც მცხოვრებნიც დიდათ შეაშინა, დააფიქრა, ქართველთ ისე გაუკირდათ საქმე, რომ მათ კავკასიის მთებისაკენ იწყეს გაქცევა და დამალვა, გაუკირდათ და მაშინ უფრო უკეთესად იცნეს თავიანთ მოძმე ოსეთი. მურვან ყრუს ყოველი ქართლი ცარიელი დახვდა, ამიტომ იგი წავიდა მთისაკენ, დაიპყრა დარიალი, შევიდა მთიულეთსა და ოვსეთში. აქაც ყოველთვე დაიპყრა დარუბანდამდის. ამან უწყალოდ აღოხრა ოვსეთი და მოსპო მათში ბევრი რამ ახლად ნაშენნი, და აღორძინებულნი. მერე აქედამ მურვან-ყრუ აიყარა და სამცხეს წავიდა, სადაც გაილაშქრა. ოსების მხნეობა არაბთ ძრიელ ამღელვარებდა. რომაელ-ბიზანტიელ რათ მიემხრენო. ამიტომ მურვან-ყრუმ ოსეთში ქვა ქვაზედ დაადუღა. ყრუმ სთქვა: სამცხეს, ლაზისტანს და აფხაზეთში ბიზანტიელ-რომაელნი ფეხს ვერ გაიმაგრებდენ, რომ მათ ოსები არ ამაგრებდნენო. ამ

დროს, ყრუს ქართლი გადალახული ჰქონდა, ისევ გადავიდა ოსეთში, ოსებში თარეშობდა, აქ ოსებმა მას კარგა სძლიეს, დაამარცხეს და განსდევნეს. დამარცხებულმა ქართლს გადმოვლო და ჯიბრით სოფ. წრომს სპარს რაოდენი აწამა. ამის წამების ამბები ოსებსაც გაუგზავნა. ოსები ამაზედ გაგულისდნენ, მალე ქართლს მომართეს. ქართველებს შველა მისცეს და ყრუ გააძევეს ქართლიდამაც.

ამ დროს, ყრუს დიდი ძალი ახალი ჯარი მოეშველა, ამით გადავლო მან იმერეთი, აქ ლაშქრობის დროს ხელთ იგდო დავით და კონსტანტინე, რომელნიც ბოლოს სოფ. არგვეთს აწამა. ჩ71 წ. შემდეგ იმერთაც სძლიეს. აქედამ ვაემართა სამცხესა და ლაზიკაზედ. აქ მას ჯარი კიდევ მოემატა, ამის საშუალებით სამცხე და ლაზიკა სასტიკად სძლია. ლაზებს ბოროტად მოეპყრა, ამ დროს, ტრაპიზონში მყოფი ბიზანტიის იმპერატორ ლეონის ერთი ერისთავი ძრიელ შეშინდა, ეს ერისთავი ლაზიკიდამ ოსეთში გამოიქცა და აქ შეაფარა თავი ერთ მაგარ ციხეში, სადაც მას ოსნი დიდს პატივს აგებდნენ.

მურვან-ყრუ გაბრაზებული იყო როგორც ოსებზედ. ისევე ქართლზედ, აღმოსავლეთიდამ მას დიდი ძალი ჯარი მოსდიოდა მაშველად. ამითი სხვებს მუსრს ავლებდა, ბოლოს ეს დესპოტი თვითაც დამარცხდა და გაძევებულ იქმნა საქართველოდამ, მის გაძევებაშიც ოსებსაც დიდი ამაგი მიუძღვისთ. ისტორიიდამ კარგად სჩანს რომ ოსებს დიდი ერთობა ჰქონიათ ერთმანეთში, ნამეტურ უცხო ტომთა წინაშე ბრძოლის დროს, მათში ყველა წოდება ერთ ჯგუფს და ერთ ძალას წარმოადგენდა თურმე.

სჩანს კარგად, რომ ოვსეთი არამც თუ მარტოდ თავის შესაფერის ადგილებით იყო სავსე და მოხდენილი, არამედ იგი იყო უზრუნველი თვით ხალხის და მათის სიმამაცით, თორემ ცარიელი თავშ, საფერი არას იქმოდა, რომ მასში მცხოვრებ ხალხი არ ყოფილიყოს გმირი. მეზობლის მიმღები, მფარველი

და სხვანი, VIII საუკუნეში, როცა კი თვით ოვსეთსაც ანია-ვებდა აბულ კასიმი და იკლებდა, მაშინაც კი „ოვსნი ოვსად შთებოდენ, ადგილნი ადგილად, ქვაბნი ქვაბად და ქაროველნიც მათ-თან ითვარვდენ თავს“: და სხვანიც ამ გვარნი. მურვან-ყრუს შემდეგ გამეფდა არჩილ მეორე. რადგანაც ყრუსაგან თუშ-ფშავ-ხევსურეთ და ნამეტურ ოსეთში ქრისტიანობა შერყეულ იყო, ამიტომ არჩილმა მიმოვლო ოსეთი, წუქეთი, ოსთა მთა-ვარს მისცა ვრცელი დარიგება ყრუს შესახებ, ამით ოსთა მთავარი გამხნევდა. არჩილმა ნახა რომ მთის ერი და ნამეტურ ოსნიც ისე არ იყვნენ დაცემულნი, როგორც იგი ფიქრობდა. ყრუს თუ ავნეს რამე ისევ თურმე მთიელთა და ოსებმა და არა ბარის მცხოვრებთა.

არჩილის მგზავრობა გახდა ოსთა და ქართველთ ერთობ-ბის გზა და ხიდათ. ამ გარემოებას „ქართლის ცხოვრება“ ასე ასწერს:—„ხოლო ამიერიდგან არს ესე მაშულობით სამკვიდრებელი ჩემდა (არჩილ) ჯდისურიდგან ვიდრე მდინარედმდე ხაზარეთამდე, სადაც დასწვდების ხევი კაკასიისა ამის“. ამ დროს ოსეთს განა-გებდა ოსთა მთავარი აბელ-ხოსრო, რომელმაც ოსეთი არჩილ მეფის მარჯვენა მკლავათ გახდა არაბთა წინაშე.

მურვან-ყრუმ მალე შეიტყო ქართველთა და ოსთა მტკი-ცე ერთობა, ამიტომ იმედი გადუწყდა ოსების დაპყრობის და მათში ისლამის ვრცელების, ფიქრობდა, ვიდრე საქართველოს არ დავამხობ, მინამ ვერც ოსეთს დავიპყრობო. ამიტომ შეკ-რიბა ჯარი მრავლად და ახლად დაეცა როგორც ქართლს, ისე ოსეთს და დაიწყო ჯერ ქართლის და მერე ოსთა ჟლეტა, მაგრამ ეს ჟლეტა მას იაფად არ დაუჯდა, ოსებმა მთის ერით სასტიკად სძლიეს იგი და გააქციეს დამარცხებული და მოს-პობილი.

ყრუს სიკვდილის წინ მცნებად დაუდვია თანამემამულეთა წინაშე: რომ ოსნი ხელიდან წამივიდა, იგი ქართველებმა მიმ-ხრესო, ამიტომ ქუდზედ კაცი გადით და ოსნი კი უნდა მოსპოთ და ან ისლამს უნდა დაუკავშიროთო. ყრუს აღთქმის თანხმად

ქართლს და ოვსეთს მალე მოეკლინა ახალი მტერი, ეს იყო ჭიჭუმ ასიმი, ყრუს ნათესავი. ამან მთელ არაბეთში გამოსცა ასეთი მანიფესტი: ვინც ჩვენთაგანი ქართლსა და ოსეთში მოკვდება იგი ცხონებული იქნებაო. ჩვენ ოსები უსათუოდ ქართველებს უნდა მოვაცილოდ და მუჰამედს დაუკავშიროთო. ამ ხერხით შეკრიბა დიდი ჯარი და მოვიდა ქართლსა და ოსეთში, ომი დაიწყო ქართლში, მერე ოსეთსაც მიესია.

ოსებმა ასიმს პირველად ხმა არ გასცეს, ოსეთის გზა თავისუფლად დაახვედრეს, ერთგულებაც განუცხადეს. ამავ დროს, ოსები იკრებდენ საომარ ძალას. საომრად ოსთა დედაკაცობაც კი გროვდებოდა. მალე მთელი ოსეთი საომრად ადგა, ერთ დღეს შაებნენ ასიმს, უყვეს ბრძოლა და ისე დაამარცხეს რომ იქ ველარ დარჩა და ქართლისკენ გამოიქცა. ქართლში ამას მოემატა ახალი ჯარი, ამით გაძლიერდა იგი. კვალად შაება არჩილს, არჩილი დაამარცხა, მალე არჩილს რჯულის გამოცვლა მოსთხოვა და მამა პაპეული თვალ-მარგალიტის მიცემა. არჩილმა უარი უთხრა, ამიტომ ასიმა ბრძოლა განაახლა, არჩილი ტყვეთ იპყრა და მერე იგი ქრისტესთვის აწამა კიდეც, რაც ოსებისთვისაც იყო მეტად მნიშვნელოვანი. ამიტომ ოსები მალე ქართლში გადმოვიდნენ, ქართველებთან შაებნენ ასიმს, არჩილის ჯავრით სასტიკათ დაამარცხეს, ერთად საქართველოდამაც დამარცხებული გააძევეს.

ამ დროს, ხაზართა მეფე ხაკანს დრო უპოვნია, არჩილის წამების სამი წლის შემდეგ, ქართლში თავის მთავარი ბდუჩანი სალაშქროდ გამოუგზავნია. ამათ ქართლი აიკლეს, თფილისი დაიპირეს, არჩილის შვილი ჯუანშერი და ქალი შუშანი ტყვეთ იპყრეს, ეს იყო მათი საწადელიც. მერე დაბრუნდნენ შინისკენ და შუშანიც თან წაიყვანეს. ოსეთში გაიარეს გზათ, აქ დაისვენეს. შუშანმა აქ თავი მოიწამლა და მოკვდა, თავის ქვეყნის მტერს არ გაჰყვა ცოლად. ამ საქმეში მას ოსთა მთავრის ქალებიც ეხმარებოდნენ. ბდუჩანი ცარიელი დაბრუნდა თავის მეფესთან, ყოველივე მოახსენა. მეფემ ბოროტებით

თვისი მთავარი სიკვდილით დასაჯა, მიტომ რომ რატომ მკვდარი მაინც არ მოიტანე და არ მაჩვენე მეო. ოსებმა შუშანი დიდის პატივით დაიტირეს, შემოსეს იგი როგორც რიგი იყო, დიდის გლოვით ქართლში გადმოასვენეს და მცხეთაში დაასაფლავეს.

ვახტანგ გორგასლანის გალაშქრების გამო შენიშვნა.

VI.

ძველი ხელთნაწერი წიგნი ალაგ ალაგ სხვა და სხვა ხალხთა ამბებთან, ოსების შესახებ იძლევა ასეთ ცნობებსაც, რასაც ჩვენ ვმარტავდ აქ ისე, როგორც იგი ეთანხმება თვით დედანს და ჩვენს „ქართლის ცხოვრებასაც“.

ოსნი მაღალ მთათა ძენი არიან. მასთან გოლიათნი-მტკიცე ქრისტიანენი, მესისხლეობა და მეშურნეობა მათში არ არსებობს. ოსნი არიან მოყვრის გამტ ანი, მტრის მცნობნი, მე პურმარილენი, მესისხლობის არ მდომნი, მტერთა ამით არ მდევნი, არამედ გოლიათობით და ფალავნობით მებრძოლნი. თვით მოსამზღვრე ახლოურს თუ შორეულ მტრებთან ამათ ბრძოლა იკოდნენ გოლიათობით, ფალევნურად, მეფეთა და მთავართ შორის გოლიათობით შეებრძოდენ და ვინც ვის სჯობდა, მაშინ იგი იყო გამარჯვებული.

სჩანს, რომ ოსთა მეფეებს და მთავრებს უფრო კარგად სცოდნიათ კაცის სისხლის ფასი და მნიშვნელობა, ვიდრე ჩვენის დროის, მაღალ განათლების და განვითარების მექონ ევროპიელთ, რომელნიც თავიანთ ცივილიზაციის და ბროგრესიული კულტურის წინაშე უღმერთოდ ღერიან თვის ქვეშევრდომთ დამონებულთ გაუნათლებელთ მონათა სისხლს — მაშინ კი თურმე თვით გაუნათლებელ მეფენი უფრო უფრხილდებოდნენ თვის გაუნათლებელ მონათა სისხლის დაღვრას.

ოსეთში ასე ყოფილა ყოველთვის საომარი საქმენი. ოსთა

მეფენი ხშირად ებრძოდენ თუშთ, ფშავთ, ხევსურთ, შირვანელთ, ყიფჩახელთ (ყაბარდოელნი) ჩერქეზთ, ჩეჩენთ, პაჭანიკთ (ლეკთ), მაგრამ როგორ ბრძოლით კი არა, მონათა სისხლის ღვრით კი არა, არამედ თვის მეთაურ მეფეთა და ერისთავთა გოლიათობის შეჭიდებით, ბრძოლით და სხვანი, რის მოწამეც გახლავსთ თვით ვახტანგ გორგასლის და ოს ბაყათარის პირველ დღეთა ომები. სისხლის ღვრით ომები ოსეთში V საუკუნის შემდეგ, შემოვიდა ჩვეულებათ, მერე არაბებმა ეს უნაღლეს წერტილზედ აიყვანეს, თორემ ოსებს ამის ჩვეულება არ აქვნდათ, სხვები თუ ინდომებდენ მათთან ომს სისხლის ღვრით, თორემ ოსები ამის მონატრენი სულ არ იყვნენ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ოსთა შორის აღარავინ დარჩებოდა, არც ლეკი, თუში, ქისტი, ჩეჩენი, ყაბარდო და სხვანი, სულ გაწყდებოდნენ. მაგრამ ეს არ იყო ოსებში და მიტომაც მათაც მოაღწიეს ჩვენს დრომდე.

ასეთ წესებს ოსთა მეფენი არამც თუ მარტოდ ქართველებსა და ზემოდ მოხსენებულ მთის ხალხთან იცავდენ, არამედ იგინი ამავე ზომებს ხმარობდენ იმ დროსაც, როცა მათ სპარსნი ატყდებოდნენ და ომს უცხადებდნენ, ესენი სისხლის ასაცილებლად ასეთ საფალავნო წინადადებას აძლევდნენ, თუ იგი მოხერხდებოდა ხომ კაი, მაშინ ხალხს თავიდამ სცილდებოდა სისხლის დერა, თუ არა და მეტი რა გზა აქვნდათ, ველურად ატეხილ გაგიჟებულ მგლებს უნდა შებრძოდნენ ხმლითა და ხანჯლით და სისხლის ღვრით. აქ ამის შესახებ დავსძენთ შემდეგს:

ქართველთ მეფეთაც სცოდნიათ ასე და ესენიც ხშირად შებმიან ოსთა მეფეებს ასეთის ფალავნურის გოლიათობით. ამაების შესახებ ქართლსა და კახეთში, სახალხოდაც არის ცნობები დაშთენილნი, რომ ძველათ მეფეებმა ომის ნაცვლად ფალავნური ჰიდაობა იცოდნენო. ეს იქნება ლეგენდებიც არის, უეჭველია ასეთი ამბები სახალხოთ ოსებშიაც იქმნება გავრცელებულ-დაცული. თვით XVIII საუკუნის ქართველთ

შორის დარჩენილია ცნობები სპარსეთის ყეინის და მეფე ერეკლეს ჭიდაობაზედ, რომელ ჭიდაობასაც საქვეყნო ხასიათი ჰქონია. ნახეთ ამაზედ:—„მეფე ერეკლეს გლეხი გმირები“ მეორე გამოცემა 1910 წ. ასეთ ფალევნურ მაგალითების აღწერას ჩვენ „ქართლის ცხოვრება“. შიაც ვხედავთ, მაგალითია ამის, რაც „ქართლის ცხოვრებიდამ“ ს. ბარათაშვილსაც მოჰყავს თავის ისტორიაში, რომ სამშვილდეს, დებედას წყლის მარცხენა მხარეს, ხუნანის ციხის მახლობლად, ქრისტეს წინედ 60 წლის, მირვანის მეფობაში მოხდა ისეთი ფალევნური ბრძოლანი, რომ თუმცა მირვინი მოხუცი კაცი იყო, მაინც იგიც გავიდა თურმე ფალავნობით და ბარტომის სამი გმირი სძლია, რომელნიც შემდეგ დახოცილნიც იქმნენ.

ესეთი გარემოება რომ არ ყოფილიყო ძველადგან ოსეთში და მაშინ სულ ყოველი ომი სისხლის ღვრით ყოფილიყოს, სადღეისოდ, ვგონებთ ერთი ოსიც აღარ დარჩებოდა, სულ ხელმწიფების წყალობით ომებში გაწყდებოდნენ, დღეს მთელი ოსეთის ადგილები ოსებისაგან ცარიელი იქნებოდა. არა ჰგვანან XIX საუკუნის განათლებულ ევროპიელთა, რომელთაც კაცის სისხლის ფასის ღირსება სულ ვერ შეიგნეს. მეფენი და მთავარნი თავიანთ ქვეშევრდომთ სრესენ შეუბრალებლად, უღვთოდ და უსამართლოდ.

რაკი ერთხელ ატყდენ აღმოსავლეთის მუსულმანები ქართლსა და ოსეთზედ, მის შერე იგინი აღარ ისვენებდენ, ნამეტურ არაბები უფრო გაბრაზდნენ რჯულის გამო. არაბნი ნასწავლი ხალხი იყო, მათში ყველა მეცნიერება წინ იყო წასული, ამიტომ მათ ბრძოლის შნოც კაი ჰქონდათ, ვიდრე სპარსელებს. არაბთა განათლებას წინ გადაეღობა მაჰმადის სწავლა, ამან დასძლია ბუნებითი მეცნიერებას, ამიტომ არაბებმა დააქციეს თვისი უნივერსიტეტები, ვარსკვლავთ მრიცხველური ობსერვატორიები და მასთან ყველა მეცნიერებანიც მოსპეს, რად განაც მაჰმადი ბრძანებსო, რომ ყველა ესენი ჩემი სწავლის წინააღმდეგიაო. ჩვენი სწავლა „ყურანიდამ“ უნდა იყოსო.

იმასაც ამბობდნენ არაბნი, რომ სწავლა ქრისტიანებისა არის და ჩვენი ხმალიაო.

ასეთის ფანატიზმით ალიბორგნენ არაბნი, ამიტომაც იგინი გახდენ ღრმა ფანატიკები რჯულისა, ამის ძალით, მათ ქართლსა და ოსეთზედაც უღმრთოდ უწყეს გამოთერიშება და ყოველივე ოსთა და ქართველთა აკლება და მოსპობა. ამ ხალხთა მოსპობა მათ სამღვთო მცნებათ დაიდვეს, ამისთვის იგინი დიდს ბოროტებასაც ჩადიოდნენ, ტაციობას, ქურდობას და სხვათაც რასაც ყოველივეს მაჰმადის სწავლით საღმრთოდ სთვლიდენ, ყოველივე ესეთი საქციელი მართლდებოდა მათის ფიქრით. ბოლოს კი თვით არაბნიც დაეცნენ და გაქრნენ ყოველნაირ სამეცნიერო ხელოვნებით.

მაგალითი: მერვე საუკუნის ნახევარს, არაბებს ქართლი და ოსეთი მაგრა ეკავათ, ამათ მაშინ თფილისში სამეცნიეო სკოლები და ობსერვატორიებიც აქვნდათ დახსნილი. ყოველივე ეს შეიშურა არაბთა ხალილა იზიდეზძემ, შეკრიბა დიდი ჯარი და გამოემართა საქართველოსა და ოსეთზედ, აზრი აქვნდა, რომ ქართლს თუ ვერა, ოსეთს მაინც დავიპყრობ და ჩვენ რჯულზედ მოვიყვანო. ან არა და სულ მოესპობ მათ და ქართველების რჯულზედ კი არ დავტოვებო. მართლაც ამან ყოველივე კიდენი დაიპყრა მაგრად და მასთან დასვა თვისი ემირებიც. ხალილას ოსები არ შეუშინდენ, წინააღმდეგ გავიდნენ და ოსეთიდამ გამოაძევეს დამარცხებით. ოსებმა ჯარი ისე გაუწყვიტეს რომ მას თურმე აღარავინ დარჩა.

ხალილა ოსეთიდამ დაბრუნდა, ფეხი გაიმაგრა თფილისში, მალე მოიშველია ახალი ჯარი და კვალად შეესია ოსეთს. ოსნი თავიანთ მთავრის პირით ეუბნებოდენ: მოგვასვენეთ, ჩვენ ოსნი ვართ, აქ არ დაგტოვებთ, ჩვენ, თქვენ ხარკს გაძლევთ, მასთან ერთგულებიც ვართ თქვენი, სხვა რა გინდათ ჩვენგან, ჩვენ ოსურ რჯულს რათ ეხებით, ამაზედ ძალას ნუ გვატან. ოსებმა მძლავრად შეაშინეს, აუწყეს: გავსწუ-

დებით სულ და შენ კი არ დაგმონდებითო. ხალილა დარწმუნდა ოსთა მთიურს ძლიერებაზედ, პირობა ჩამოართვა მორჩილების, ოსებს დაუდგინა თვისი ემირები და მერე ქართლზედ გამობრუნდა თფილისში დაშთა ცოტა ხანს, ქართველებსაც ასევე ჩამოართვა პირობა და მის მერე თვით კი ისევ არაბეთს გაემართა თავის ჯარით. ამის შემდეგ ქართლსა და ოსეთსაც განაგებდენ ხალილას ემირები.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ქართველნი, მთის ერნი და ოსები კარგად გამაგრდნენ, მერე აუჯანყდნენ არაბთა ემირებს და სულ დაამარცხეს, ოსებმა ჰერეთის გზით სულ გამორეკეს არაბნი, ბევრიც დახოცეს. არაბთა ქართლში გაიმაგრეს ფეხი და მალე ხალილას აცნობეს ხალილა ამაზედ გაწყრა, ამიტომ მოკრიბა დიდი ძალი ჯირი, მალე მოვიდა ქართლში. ამ დროს ქართველნი და ოსნიც შეერთებულ ერთად იყვნენ. ხალილამ უთხრა ოსებს:

თქვენ ჩენი ჯარი დაგიხოციათ, ეხლა მე უნდა დაგხოცოთ თქვენა.

დაიწყო ომი, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, თვით იქმნა სასტიკათ ძლეული, საქმე ისე წაუვიდა, რომ ეს სვავი თვითაც კი იქმნა ამ ომში დაკოდილი.

ხალილა როცა ოსებში შევიდა, ოსებმა უთხრეს მას:

— ხარკს გიხდით, სხვა რა გინდა ჩვენგან, დაგვანებე თავი.

მან არ შეისმინა, გაჯიუტდა მეფურად, მიტომ თვითაც იქმნა მოსპობილი ქართველთა და ოსთაგან, ხალილას მოკვლა არაბებს დიდათ ეწყინათ, მათ განიძრახეს ქართლისა და ოსების სრულიად მოსპობა დედამიწის პირზედ. ეს გარემოება ოსებმაც შეიტყეს, მერე ქართველებთან ერთად მიმართეს არაბეთის ამირ მუმლს და აუწყეს ასე:

ჩვენ თქვენ გემორჩილებით, ვასრულებთ თქვენს ყველა ბრძანებას, მასთან გიხდით ხარკს, სხვა ჩვენგან რაღა გინდათ, ნუ გვეომებით რჯულის გამო, თორემ არა იქნება რა, ყო-

ველთვის ასე დაგიხოცავთ ხალხს, ამით ჩვენც ვიზარალებთ ღა თქვენცა.

მუმლმა ყოველივე შეისმინა და ბოლოს უთხრა. ყველაფერი შეიძლება, მაგრამ თქვენ თუ ჩვენი ერთგულები ხართ, მაშინ ჩვენი რჯულიც უნდა მიიღოთო. ქართველ და ოსებმა ეს არ ქმნეს, უარი შეუთვალეს, ამიტომ მუმლმა შეყარა დიდი ძალი ჯარი, მეთაურად დაუნიშნა ტირან ბუღა თურქი და მალე გამოუსია ქართლს და ოსებზედ. ბრძანება მისცა ბუღას; რომ ოსები ან სულ მოსპე და ან ჩვენს რჯულზედ მოიყვანე, ოსები ქართველებს კი მოაცილეო. ბუღა თურქი მალე მოვიდა ქართლში. ხფილისში მან არაბთა ერთი ამირი სიკვდილით დასაჯა, რადგანაც ხალხს ადვილად ვერ იმონებ შენაო.

მართლაც ბუღა თურქმა გაიმარჯვა ქართლზედ, აქედამ მერე ოსეთს მიმართა, ოსებს დაუწყო დევნა, რადგანაც ხალილას მოკვლას მათ აბრალებდა. ბუღა თურქის განზრახვა ოსებმაც იცოდნენ კარგად, ამათ მიიშველიეს მთის ერნი, მათთან აფხაზებიც. ამ დიდს ომში ბუღამ სძლია, აფხაზებიც დვალეთის გზით განაძევა, ამით აფხაზებს დიდი ზარალი მოუვიდათ. აფხაზთა გმირობამ კი ისე შეაშინა ბუღა თურქი, რომ იგი გაკვირდა ამაზედ და მათის ქვეყნისკენ გალაშქრებასაც თავი დაანება. ბუღამ როგორც იქმნა ოსებში გაიმაგრა ფეხი და მასთან ოსებსაც დაუწყო ოსტატურად დევნა და დამარცხება.

ოსების ასეთი აწიოკება არაბთაგან ყველგან შეიტყეს. ამ უბედურობის დროს, არაბთა ემირებს გარეშე, ქართველთ- ოსებს თავიანთ ტომის და რჯულის ბატონებიც ჰყვანდათ. ან დროს, განაგებდა აშოტ კურატპალატის, ძე გვარამ მამფლის, ბაგრატ კურატპალატის ძმა. ამან მოიმხრო ჰაოსიანებიც. ამ დროს, ჰაიასტანიც არაბებს ეჭირად. ეს ამბები და ნამეტურ ოსთა წადილი არაბთაც კარგად შეიტყეს. ბუღამ მალე მუმლს აცნობა, მუმლი გაგიჟდა ამაზედ, მინამ მუმლის პასუხი მოვიდო-

და, ოსებნა უკვე ბუღა გამოაძევეს ოსეთიდამ. ბუღა ქართლში გამაგრდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბუღამ არაბეთიდამ დიდი ძალი ჯარი მოეშველა. თან მუმლის მოეწერა, რომ ოსებს თუ ვერ ‘ოიყვან ჩვენს რჯულზედ, მაშინ სულ გაწყვიტე იგინი, ზოგი აჰყარე და აქეთ იქით დაფანტე, ზოგნი აქეთ გადმოასახლეო. ამ ბრძანების შესრულებას შეუდგა ბუღა. ამან მიიმხრო ახალად გათათრებულ შირვანელნიც, და ასეთის შეერთებულის ძალით შევიდა ოსეთში, აქ წელიწადი დარჩა, მაგრამ ვერას აწყობდა, თუმც ოსებს სასტიკათ კი ამარცხებდა და სტანჯავდა.

ოსთა ბედზედ ბუღას ჯარს ჭირი გაუჩნდა, ამას გარდა ჯარის ცხენებსაც რაღაც სენი მოედო, იგინიც იხოცებოდნენ, ამანაც დიდი ზარალი მისცა. ეს ამბავი მან მუმლს აცნობა, ამისგან მაშველად მოუვიდნენ ექიმნი და სხვა ახალი ჯარიც. ამ ახალის ჯარით მან დიდი ძალა მიიღო, ოსებს უფრო სასტიკად დაუწყო დევნა, ამ დროს, მას შეიძლება ვერაფერი გაეწყო, მაგრამ მას ემეცდინა და ოსებთაგან შინათ გამცემი კაცები შეესყიდა, ამ შინათ გამცემ ოსთა საშუალებით იმაგრებდა ფეხს, ოსებსაც ძრიელ ფაუჭირდათ, შიმშილი და უბედურება ამათაც მოევლინათ.

გაჭირებულ ოსთა გარემოებით ისარგებლა დესპოტ ბუღამ, თავის დიდის ჯარით ოსებს აყრა დაუწყო და აქეთ იქით გადასახლება, ამით სურდა მათი მოსპობა. ბუღამ თუმცა ისრული გული ოსეთზედ, მაგრამ მაინც გულს არ იწმენდდა მათზედ, რომ ჩვენს რჯულზედ ვერ მოვიყვანეო. გარდა ამის ყველა უბედურებას ოსებს აბრალებდა, მაგალითებრ. მის ლაშქრის ცხენებმა რომ იელის ბალახი მოძოვეს, მით მოიწამლნენ, დაიხოცნენ, მის ჯარში რომ შიმშილობისაგან ჭირი გაჩნდა და დაიხოცნენ, სხვაც ბევრ რამ უბედურებას სულ მათ აბრალებდა, ოსები რომ ჩვენს რჯულზედ მოსულიყვნენ, მაშინ ჩვენ ესე ოდენი დბედურება არ მოგვიხდებოდაო.

გაბრაზებულ ბუღას, ამ დროს კიდევ მოემატა ლაშქარი,

ამ ახალის ძალით იგი ოსებს მეხივით დაეცა, ხელთ ნაწერი წიგნის ცნობის ამბავი გვაუწყებს: „ბუღამ აჰყარნა ოსთა უმრავლესნი სახლნი ათი ათასი და გადაასახლნა თვის ქვეყანა. და დაასახლან იქ და მერედ ჰხვეს ყველა იგინი მაჰმადიანად“ ამათ გარდა აუყრიად მრავალნი კვალად და ზოგი შირვანს და ზოგიც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში გადუსახლებია. 3000 სახლზედ მეტი აუყრია და გადმოუსახლებია სამშვილდეს, დმანის და შანქორს დაუსახლებია. ერთი სიტყვით ბუღამ გული ისრულა თურმე. მის შემდეგ, ამან თფილისის მთავარ ვეზირად დაადგინა ხალილას ძე მოამედი და თვით კი დააპირა არაბეთში წასვლა.

შენიშვნად ვიტყვით შემდეგს: არაბეთში ოსთა გადასახლების ერთ მიზეზად ისიც გახლდათ, რომ ოსნი იყვნენ მშვენიერი, ლამაზი მთის ერნი, და არაბნი კიდევ ამათ დიდათ ეტანებოდნენ, არაბეთში თურმე ოსის ქალებს დიდი ფასი აქვნდათ არაბნი ამით ამშვენებდენ თვის მოდგმას. კარგად სჩანს, რომ ამ დროს, ოსეთიდამ ბუღას კარგა ბევრი ხალხი უნდა აეყაროს და გადაესახლებინოს სხვა და სხვა კუთხეში მაგალითებრ: სამშვილდეს გადმოსახლებულთ ოსთა 3000 კომლში უეჭველია 30,000 სული მაინც იქნებოდა, რადგანც მაშინ ოსების გაუყრელი ოჯახები იყო და მასთან თითო ოჯახში 40—50 სული სცხოვრებდა.

ოსეთის ამ უბედურ დღეებზედ ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ალაგ-ალაგს მოგვითხრობს:

„ადიეკვანეს მთიელთაგან მძეკვალი კაცი სამასი და დამოდა შესვლად ოვსეთად, და შეეიდა ცხოვატამდის: ხოდო ამუჯბაზს სომეხთ ერისთავმან და გვარამ მამფალ და აშოტის ძმან, ძმამან კურატპალატისამან მიეთხრეს მთიელთ: რათა არა შეეშვან, ხოდო მათ განიხარეს და განწირეს მძეკალი მათნი, უშველა ღმერთმან, რამეთუ მოვიდა თოვლი. დაუდგეს წინა და შაებნეს; და მოსცა ღმერთმან ძლევა, და მოკვდა სარკინოზოთაგან ურიცხუ და ცხენმან მათმან მოძოვა იელი, დაიხოცა ფრიადი, ხოდო სიმრავლისაგან დაშქრისა. არა

ჩნდა, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ას ოცი ათასი". ესეთი მარცხის შემდეგ ბულამ მაინც ბარდავს დაიზამთრა და გაზაფხულზე ასტეხა ომი და ისრეულა გულის წადილი, ამ ამბავს ასე აგვიწერს:—«შემუსრა გასლაბანი, განაღო კარი დარუბანდისა, და გამოიყვანა თაზირნი, სახლი სამსი, და დასხნა იგინი შანქორს, და დარუღით, გამოიყვანნა ოვსნი, ვითარ სახლი სამი ათასი და დასხნა დმანის და ენება შესვლა ზაფხულს ოვსეთად". ბულამ ქართლში გადმოსახლებულ ოსები შეისყიდა თურმე. იგინი ისლამზედ გადიყვანა, ამიტომ ქართლში კაი მამულის ჩუქებას ჰპირდებოდა, იგინი მიტომ დაასახლა სამშვილდეს. მაგრამ ასე ვერ მოუხდა ბულას საქმე, მცირე ხანს შემდეგ, ოსებმა ისლამი დასტოვეს, ბულას მიერ დადგენილი მეთაურიც გააძევეს, აიყარნენ კვალად და ისევ ოსეთისაკენ გადასახლდნენ, რაც მათთვის არ იყო იაფი, მაგრამ რას იქმოდენ, ამიტომ სამშვილდეს დღეს ოსთა კვალი და ხსენებაც არ არის დარჩენილი. ოსებს ისლამს აძულებდა ის გარემოებაც, რომ რაჟდენთან და არჩილთან ზოგი მებრძოლ ოს გმირებიც უწამებიათ, რომელ ოსთა წამებულთა სახელებს მატთიანე არ გადმოგვცემს.

არაბნი ოსებს და ქართველებსაც უფრო მიტომ მტრობდნენ, რომ იგინი აქ ისლამის ვრცელებას ვერ ახერხებდნენ, ნამეტურ ოსები უდგნენ მაგრად. VIII საუკ. როცა შირვანი სრულიად დაუკავშირეს ისლამს, ოსებს-კი ვერა ავნეს რა ამით. მერე, არაბთა თავიანთი ცდა შესცვალეს. ოსეთსა და ქართლში თუმცა ქართველთ და ოსთა მეფენი და მთავრებიც განაგებდნენ, აქ ამათ გვერდით არაბთ ემირებიც იყვნენ და მცდელობდნენ ისლამის გავრცელებას. ამათ ქართლში ცდას თავი გაანებეს. ოსეთის მთავრებს დაუწყეს დაახლოვება, მაგრამ ვერც მათში აწყობდენ რამეს, რადგანაც ოსებს აფხაზეთში აქვნდათ მისვლა-მოსვლა, აქედამ იმერეთს და ლაზისტანს, იქ არაბნი არ იყვნენ, მათზედ დიდი გავლენა ბიზანტიას აქვნდა და ამიტომ ოსნიც ქრისტიანობით მტკიცედ შთებოდნენ ყოველთვის.

უნდა ვსთქვათ, რომ ოვსეთიდგან 3000 ათასი სახლის გამოყვანა ადვილი არ უნდა ყოფიოიყოს. უეჭვალია ამ სამი ათას სახლში, 30,000 სული მაინც იქმნებოდა. რადგანც მაშინ თითო ოვსის ოჯახში 20—30 სული სცხოვრებდა, ეს ქართლშიაც ასევე იყო. ბუღამ დმანის რათ დაასახლა ეს ოსნი, მიზეზი ამის ის იქმნებოდა, რომ პირველი ოვსებს შეამცირებდა დარიალის გზით, მით შესვლას გაიადვილებდა და მეორე დმანისისკენაც ამათ ქართველებს გადაჰკიდებდა, მითიც თვით ისარგებლებდა, მაგრამ ეს ველარ მოუხდათ, მესამედ ოვსეთს შესვლას ველარ ელირსა, უკან დაბრუნდა, ვერც დმანის დასახლებულ ოსნი დასცა და გაათათრა. ცხადია შემდგომ ბუღას წასვლის დმანისის ოვსნი უკანვე დაბრუნდებოდენ ოვსეთს, რადგანც ოსნი თურმე დიდის მძულვარებით იყრებოლნენ თავიანთ სამშობლო ოსეთიდამ.

ვიტყვით იმასაც, რომ თუმცა ქართველნი, აფხაზნი, ოვსნი და სომეხნი ხშირად გრძნობდენ მტერთაგან თვის შეჭირვებას, რაისა გამო სჯულისა და ქვეყნის გულისთვის მტერთა წინაშეც იწოდნენ და იბუგებოდენ მრავლად, მაგრამ დრო და დრო, სამწუხაროდ, მათ შორის, სჩნდებოდენ ისეთ-თავ-მოყვარე პირნიც, რომელნიც თავიანთ კერძო სარგებლობის მაგიერ ურთიერთ შორის დავას სტეხდენ, უბრალო რამ სამთავრო საქმის გულისთვის ხშირად ერთმანერთსაც ებრძოდენ. ამის მაგალითია ის გარემოება, რომ აფხაზეთის მეფედ ყოფილ ბაგრატ დემეტრეს ძემ ვერ ითმინა ადარნასე მეფისაგან აფხაზეთის დამორჩილების საქმე, ამიტომ ეს მეფენი და მთავარნი აირივნენ ერთმანერთში, მერე საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ერთმანეთში ომიც დაიწყეს, ომი ჰყვეს მტკვრის პირს, თავიანთის გაუგებრობით ძმა ძმას ჰკლავდა. ასეთ ძმათა ომსა და უბედურებას „ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს.

„დაჰყვეს ბრძოლა და ომი დიდ ძალი მტკჳარსა ზედა და შეეწია დმერთი მცირეთა ამათ ადრიანეს კერძთ და იძლიყნეს ნასრი და ათხაზნი, და ბაყათარ, მთავარი ოსი და მეოტ იქმნეს, და შეაბურეს

ნასრ და მოკლეს ხეკსა შინა სამცხისასა, სოფელსა, რომელსა ეწოდების ასპინძა“ ნასრე ბაგრატიონთ ძე გურამ მაფლისა, ადარნასეს მხრით მიტომ შაუერ-დენ აფხაზთ, რადგანაც მათ მოკლეს ადარნასე და ამ სამწუხარო ვაებაში ოვსნიც გარიეს. აი ასეთი გარემოებანი უფრო ღუპავდა ქართველთ, აფხაზთ და ოვსთა ცხოვრების და საქრისტიანო საქმეებს. აქ, ამ ცნობაში მოხსენებულ ბაყათარ ოსი მთავარი ყოფილა,—იმ დროის ოვსეთის ერისა. სახელწოდება ბაყათარი ოვსებში ძველადგანვე ქებული იყო, რადგანაც ამ სახელის მექონი გმირნი და ფალევანნი მათში ერთობ ხშირად გამოდიოდნენ. ამიტომ ოვსთა დიდებულთა მეფეთა და მთავრების ოჯახებში ხშირად არქმევდენ ამ სახელს მათს მომავალ თავობათა ყმაწვილებს. ასე რომ ბაყათარ სახელი ოვსთა მთავრებთა, მეფეთა ოჯახებთ შორის კი არა და თვით მხვნელ მთესველ მეოჯახეთა შორისაც კი ხშირად არქმევდენ ამ სახელს მონათვლის დროს. ოვსეთში, ძველადგანვე მრავალ ნაირი ცნობები არსებობდა V საუკუნის გმირს გოლიათის ბაყათარის შესახებ, რასაც ოვსნი ურთიერთ შორის დიდის ქება-დიდებითათ მოხრობდენ ერთმანერთს და რო მთელ ბიზანტიელთ ფლობის დროს, არაგვის ხეობაზედ გაშენებულ იყო ქალაქ თეინვალი, ამ მცხოვრებთ რიცხვი VII საუკ. 40 ათასი კომლი ყოფილა, მასში ერთი ნაწილი ოსნი ყოფილან. ამ ქალაქში ბიზანტიელ რომაელთ ვაჭრობაც აქვნდათ, მთიელთა და ოსთაგან იგინი ყიდულობდნენ მატყლს, ბამბას და აბრეშუმს. ოსთაგან ამ ქალაქში მრავლად ყოფილან ფეიქრები, სხვა და სხვა ხელობის ხალხნი და ვაჭრებიც. ოსებს მაშინ ვაჭრობა და ფულის ხმარება კარგად ჰქონიად, შეგნებული. აქვე ხშირად სცხოვრებდა თამარ მეფე, ოსთა მთავრებიც ხშირად ეწვეოდენ ამ მეფეს ჟინვალში. ჟინვალი მოისპო XV საუკ. დღეს აქ მარტოდ ნასაყდრალები-ღა არის.

კარგად სჩანს, რომ ოსებში როგორც ყოფილან სხვა და სხვა ხელოსნები, ისევე ვაჭრებიც.

ოსებს ხუთნაირი წოდება ჰქონიად: მეფე და მთავრები.

ამათ შემდეგ ერისთავნი და ამათ მინაგვარ მფლობელნი. აზნაურნი და მეფის და მთავართა მოხელენი, გაკეთებული სოფლის მცხოვრებნი, კაჰარნი და ხელოსანნი. საერთოდ ოსთა გლეხობა, დაბალი წოდება. ეს ხუთი წყობა სჩანს. მეექვსე არის ოსთა მონანი, ესენი არიან სოფლის ღარიბ ღატაკ ოსნი. ეს მეექვსე ნაწილი ღარიბ ღატაკ ოსთა ოსეთში გაჩენილა რომაელთა კვალად, წინედ ოსები ორ წოდებად გაიყოფოდა თურმე, რომაელთ ფლობამ, გავლენამ და მათმა მიბაძვამ ორი წოდება ჯერ ხუთად შექმნა და მერე მას მეექვსეც მიუმატა.

ოსებში, ოსთა შორის, აქ ხსენებული ექვსი წოდება XIII საუკ. გასვლამდის სჩანს, მის მერე კი, მონგოლების გავლენით, ოსებში ისპობა ბევრი რამ და მასთან ექვსი წოდების მაგიერ არსდება სამი. ოსეთის მთავრები, კეთილშობილნი. გაკეთებული გლეხნი და ვაჰარნი და მათ ხელქვეით მონანი მუშაკ გლეხნი. ხარკის გადახდა მათშიც ისე სცოდნიათ როგორც საქართველოში. ოსთა თავად-აზნაურნი ქართლის თავად-აზნაურებში გაითქვიფნენ XIII საუკ. შემდეგ, მერე მოისპნენ სულ.

ნათქვამია: — „გვარში ერთი მახინჯი არ დაიდგეგო“ თუმცა ქართველ, სომეხთ, აფხაზეთ და ოვსთა შორის ხშირად სჩნდებოდენ ასეთი მახინჯნი, რომელნიც ერთმანერთს ხოცდენ და ჟლეტდენ გაუგებრად და შორიდამ თვის მტერს სეირსაც აყურებინებდენ, მიტომ იყვნენ თითო ოროლა ისეთნიც, რომელნიც ასეთ სივარაგეს შორს გაურბოდენ და შეძლების და გვარად სცდილობდენ რომ ქვეყნისა და თვის მეზობელთათვის რამე სარგებლობა მოეტანად, ხანდისხან ასეთ პირნიც რომ არ მოგვლენოდენ, მაშინ თქვენი მტერი ჩვენი და ჩვენ მოსამზღვრე სომეხთ, ოვსთა და აფხაზთა საქმე იქნებოდა. ამის მაგალითია სუმბატ კურატპალატის ძე გურგენი, რომელიც მეფედ იქმნა წოდებული არა მარტო ქართველთ და ოვსთაგან, არამედ ბიზანტიელ მწერლებთაგანაც, რომაელ-სპარ-

სელ და სომეხთაგანაც. ამ მეფემ თვის მოსამზღვრე მეზობელთა და ნამეტურ ოვსთა მეგობრობა და ძალა საოჯახო მცნებად დასდო და ამიტომაც იგი მომავალში განმტკიცდა.

ამავე მცნებას ეტრფოდა ამისი შვილი ბაგრატ (IX საუკ.) კურატპალატი და მიტომაც იქმნა, რომ გურგენ მეფეთ მეფისაგან დაწყნარებული ჯიქეთი, შირვანი, ვიდრე გურგენადმდე მოხარკედ ჰყო, რაც ბაგრატი ქართველთა აფხაზეთის მეფე იყო IX საუკუნის ბოლოს, ისეთისავე თვისების აღმოჩნდენ ამის შვილი გიორგი და ძე გიორგისა ბაგრატი X საუკუნეში, რომელიც შემდეგ დიდებულ იქმნა და სახელოვანი სიბრძნის მოყვარეობით, მწიგნობრობის პატივისცემით, ეკლესიების შენებით, სკოლების დახსნით, წიგნებთა მთარგმელებთა მოხმარებით და ქართულს ენაზედ სხვა და სხვა წიგნების გამრავლებით, რასაც თავის დროის კვალად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორი ბრძენიც ბაგრატი იყო, ისეთივე აღმოსჩნდა ამის შვილი გიორგი მეფე და ამის მეუღლე მარიამი, სომეხთა მეფის ასული. ერთიცა და მეორეც იყვნენ თავიანთ დროის კვალად განათლებულნი, მწიგნობარნი და მცოდნენი ბერძულის, რომაულს, ასირულის, სპარსელის და სომხურის ენების და მწიგნობრობის. გიორგის და მარიამს დიდი სიყვარული და მეგობრობა აქვნდა ოსების მეფის, მთავრების და ერის, რაისა გამო მათში საურთიერთო კავშირი და მეზობლური განწყობაც იყო დაცული მკვიდრად. გიორგი და მარიამი არიან გამომხატველნი. ქართველთ, სომეხთ, აფხაზთა, ოვსთა და სხვათა ერთობის და კავშირის X საუკუნის დამლევიდამ მთელს XI საუკუნის გასვლამდე. ოვსთა და ქართველთ ერთობას გარდა მარიამი იქამდის მაღალის განსვრეტის იყო, რომ მას ხშირი მისვლა მოსვლა აქვნდა თვით ბიზანტიის იმპერატორის წინაშე თამამი მეგობრობა. მარიამის რჩევით ბაგრატ მეოთხემ ცოლად შეირთა ბიზანტიის იმპერატორის ახლო ნათესავი ელენე. ეს ქალი თვით მარიამა მოიყვანა კონსტანტინეპოლედამ.

რაც კი ოვსთა ერთობის გამოსახატავად სჩანს ბაგრატ მესამე და ამისი ძე გიორგი, იგივე არის გიორგის ძე ბაგრატ მეოთხე, რომელიც საქართველოს ისტორიაში დიდის დიდებით არის აღწერილი და რომელსაც მრავალ ნაირი ცდა და ღვაწლი მიუძღვის ქართველთ ტომის წინაშე და ოვსთა ერთობის განმტკიცების საქმეებშიაც. ამ ბაგრატის დროს ბრწყინავდნენ ქართველთ მთარგმნელნი გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე ქართველი და იოანე ათონელი. რომელთაც განაშვენეს და სთარგმნეს ბერძნულის ენიდამ თითქმის მთელი საღმრთო-წერილის წიგნები. ყოველივე ამათი შრომა და ცდა ბაგრატ მეოთხის პატივისცემით ჯილდოვდებოდა. ამ მთარგმნელთა მოქმედებას ოსებზედაც დიდი გავლენა აქვნდა, რადგანც მათ ოსებთაგანაც წაიყვანეს ათონს ოსთა შვილები მოწაფეთ. რომელთაც იქ ზრდიდნენ. პირველი მეუღლე ბაგრატ მეოთხეს, ელენე, მალე გარდაეცვალა, მისგან დარჩა ერთი შვილი— გიორგი. ზოგნი ამ გიორგის მეორე ცოლს აწერენ.

პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ მეფემ ისურვა მეორე ცოლის შერთვა, საცოლოდ მათ ღირსეულად და საპატიოდ დაინახეს ოვსეთის მეფის ასული ბორენა, ოვსთა მეფის დურღულის დაჲ. შეუღლების ცნობა ოვსთა მეფემ დიდის პატივით მიიღო, ქორწინებაც მალე მოხდა, რასაკვირველია ქვრივის კაცის ანუ მეფეთა წესით. სათქმელია, რომ ოვსთა მეფეთა ოჯახი XI საუკუნეს იქამდის ზომიერის ბრწყინვალებით ყოფილა გარემოცული, რომ მათ ასულის შერთვას არ დარიდებია ბაგრატ მეოთხე. თუ სახეში მისაღებია ბაგრატ მეოთხის ოჯახი დიდებით და სიბრძნის და მწიგნობრობის შემძლებლობით, ასევე უნდა მივიღოთ ოვსთა მეფეთა ოჯახიც. ბაგრატ მეფეს ოვსეთის მეფის ასულის ბორენისაგან რამდენიმე ასული მიეცა ერთი ამათგანი იყო ვაჟი დემეტრეც. რადგანაც ბაგრატ მეფის შემდეგ სამეფო ტახტი პირველს შვილს გიორგის ეკუთვნოდა, ამიტომ ბაგრატის მეუღლე ბორენამ,

თავის პატარა დემეტრე აღსაზრდელად მისცა მამა მძუძეს და გააბარა ანაკოფიას.

ესეთი გარეშოება დემეტრეს გაბარებისა გამოიწვია იმ გარემოებამ, რადგანაც ოვსთა მეფის ასული ბორენა დედოფალი მეტად გონიერი ადამიანი იყო, ფიქრი აქვნდა, რომ ვაი თუ ჩემს გერს ჩემი ნაშობის შესახებ რამე შური ჩაენერგოს, ამაზედ მითქმა-მოთქმა, სამეფოს ტახტის მეკილებლად მიიღონო, ამიტომ დემეტრეს ადრიდგანვე მოვაცილებ და ავღზრდი მას ისეთის ხასიათებით, რომ მერე გიორგი მეფესთან სადავო არა ეძმნეს რაო. ესე მოისაზრა ბორენა დედოფალმა და ეს ასეც აღასრულა, თვისი ნაშობი სხვაგან მისცა აღსაზრდელად და თვით ყოვლის ღონის ძიებით სცდილობდა, რომ ბაგრატ მეფის შემდეგ პირმშო ძე გიორგი გამეფებულიყოს და არა მისი ნაშობი დემეტრე. დიდ-ბუნებოვან ადამიანმა იცოდა ქართული ხასიათები და ვითარება, მიტომაც მოიქცა ასე. ასეთმა საქციელმა მართლაც კარგი ნაყოფი გამოიღო. ბაგრატის შემდეგ გამეფდა ძე მისი გიორგი, რომლის გამეფებისა და გაძლიერებაში დიდს მონაწილეობას იღებდა ოვსთა მეფის ასული ბორენა, მეუღლე ბაგრატ მეოთხისა.

ეხლა აქ მოვიყვან „ქართლის ცხოვრების“ ცნობის ბაგრატ მეფის, მის მეუღლის ბორენას და მათ შვილთა შესახებ. —„ბაგრატ მეფემან შეირთა ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფის ასული, და დადგა დურღულელისა. ხოლო ამისა შემდგომად სხვა ძე დარჩა გიორგი მეფესა, ანაკოფიასა შინა, ოვსთა მეფეთა ასულისა, მეორესა ცოლსა თანა გიორგი მეფისასა, და აზნაურთაგან იყო მათ შუა მიდამო საუბარი და ურმა მცირე იყო სახელით დემეტრე: ვერცა გაამეფეს, თუმცა ვის გულხ ედვა, და ვერცა გამოიხდვეს ბაგრატ მეფემან დედამან მისმან და არცაღა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა, და ვერდარა დაიდგნა, და წარკიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარეტანა თანა ანაკოფია, და მიერითგან წარუხდა ანაკოფია მრავალჟამამდე აფხაზთა მეფესა“. ეს ცნობა დემეტრე მეფის ვითარებას სხვაფერ გადმოგვცემს და მეორე

ცნობა ჩვენის მატთიანისა ზემოურად გვაუწყებს, როგორც ჩვენ მოვიხსენეთ. უფრო კი პირველი ცნობა არის სახეში მისაღები, რადგანაც ბორენა დედოფალი თავის ბერს გიორგის დიდის პატივით მზერდა და ბაგრატ მეფესთანაც კარგი, სათნო განწყობილი ცხოვრება აქვნდა, უშფოთველი და წყნარი, საქართველოს ერის და სამეფოსთვის სასარგებლო და ხელსაყრელი.

ბაგრატ მეფესთან ოვსთა ერთგულებას და მის დედინაცვლის ბორენას კეთილ ქცევას და განწყობას მუდამაც ვხედავთ, რომ როდესაც ბაგრატ მეოთხეს ქართლში ებრძოდენ არაბთა ფადლონ და მის მომხრენი, რადგანაც თფილისში მათი ემირი იჯდა და თავისებურად განაგებდა, ბაგრატი კი განძისა და თფილისის არაბთა ემირი, წინაალმდეგ საომრად ემზადებოდა, მათი გაძევება სურდა და ქართლ-კახეთის გათავისუფლება. ამიტომ მტკვრის პირას შაებნენ მტერს ქართველნი, კახნი, აფხაზნი და ოვსნი. საამწუხაროდ ამ ომში ოსთა მეფის ერთმა მონათაგანმა მოკლა კვირიკე მეფე კახეთისა, მესისხლეობით, რადგანაც ცას ზედ წინედ, ომის დროს, კვირიკე მეფეს შეცდომით მოეკლა ოვსთა მეფე ურდურე. ამ ამბავს „ქართლის ცხოვრება“ ასე მოგვითხრობს:—„მოადგნენ დაშქარნი კახნი და ჰერნი, მას უამსა მოკლულ იყო დიდი კახთა შეფე კვირიკე, ოვსისა ვისიმე მონისაკან, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურ მოეკლა კვირიკე კახთა მეფესა, ამისათვის მოეკლა კვირიკე მეფე მესისხლეობითა: ნადირობასა შინა, ფიდარზის გორასთან ოვსისა მონისა მიერ“. ოვსებს რომ დემეტრი მეფის გამო ბორენა დედოფლის შეულლი ჰქონიყოთ, მაშინ ხომ ოვსნი არ მოეშველებოდენ დიდის ფადლონის, განძი ემირის დამარცხებასა და განდევნაში. ბაგრატ მეოთხეს ოვსნი დიდს დახმარებას აძლევდნენ, ამათს შრომასა და ამაგს დიდი ადგილი და მნიშვნელობა უნდა მიეცეს ბაგრატ მეოთხისაგან საქართველოს გაძლიერების საქმის წინაშე.

აქ საყურადღებო ერთი ის არის, რომ „ქართლის ცხოვ-

რება“ ოვსის მეფის ერთ მეომართაგანს, ოვსთავე მეფის მონად აღიარებს. ოვსთა მონებთა შესახებ თუმცა ბევრი არა ვიცით რა, მაგრამ აქედამ სჩანს, რომ ოვსეთშიაც ძველადგანვე მონებაც ყოფილა, მონათ მონებიც, ბატონყმობაც ყოფილა და ყოველივე ამის მსგავსი ყოფა-ცხოვრება მდაბალთა და მშრომელთა ისევე, როგორც იგი ქართლ-კახეთშიაც იყო. ბაგრატ მეფემ რომ ოვსები დიდის პატივისცემით უმზერდენ, ამას გამოაჩენს შემდეგი გარემოებაც, რომელიც ჩვენს ისტორიაში თამამად გახლავსთ მოთხრობილი.

ფადლონის განდევნის შემდეგ, ბაგრატ მეფე, აფხაზეთს იყო წასული. ამით ისარგებლა ფადლონმა და ხელ ახლა გაინიძრახა საქართველოზედ მომატებულის ლაშქრით წამოსვლა, მალე წამოვიდა კიდეც, ქართლის საზღვარზედ გადმოვიდა, ეს ამბავი ბაგრატმა მალე შეიტყო, იგი მალე დაბრუნდა ქართლს, მოიშველია დორღაელი, მეფე ოვსთა, ორმოცდა რვა ათასითა ოვსის მეომრით, ბაგრატმა ამ ჯარს მისცა მხედარ მთავრად თვისი შვილი გიორგი, წარტანა თანა და აბრძოლა. მტერზედ გაიმარჯვეს ქართველთა ოვსთა დახმარებით, მტერი გადევნეს, ბევრი ქონებაც წაართვეს. ოსებს რომ ბაგრატზედ მტრობა ჰქონიყოთ, მაშინ იგი ოსთა ლაშქრებს გიორგი კურატპალატს არ წარატანდა სალაშქროთ. ამ ბრძოლის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს:—და წაიხვნა აგარანი და გამოიყვანა დორღაელი, ოგსთა მეფე, ორმოცდა რვა ათასითა, და წარიყვანეს ძე მისი გიორგი კურატპალატი და მოაოხრეს განძა და აღიღო ტყვე და ნატყვენავი ურიცხვნი და გაგზავნა თავის სამეფოდ. ამისა შემდგომად აღირიცხვიდა დიდმან ოვსეთის მეფემან დურღუელმან, დის სიძისა მათისა ბაგრატ სევასტოსიანისათვის, და ითხოვა დარბაზობა ბაგრატისაგან, ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წამოემართა ოვსთა მეფე, და მოვიდა ქუთაისს და ნახა დაჲ მათი დედოფალი დედა გიორგი კურატპალატისა“. მეფე ბაგრატ დიდის დიდებით მიეგება ოვსთა მეფეს და ლაშქარს, ნახეს ბორენა დედოფალი, დაჰყვეს თორმეტი დღე და ამ ხნის განმავ-

ლობაში იყო დიდი წვევა მათი. ზამთარმა დააჩქარა ოვსთა მეფე და ერი, თორემ ესენი კიდევ დარჩებოდენ ქუთაისს, ბაგრატ მეფის კარზედ. ასეთი დიდი სიყვარული აქვნდათ ოვსთა და ქართველთ. ქართველთა და ოვსთა ურთიერთ თანხმობას აცხადებს ბაგრატ მეოთხის გარდაცვალების დღეთა აღწერა და გიორგი კურატპალატის გამეფება.

მეფე ბაგრატ სამშვილდეს გახდა ავათ, იგი ტრახტევანით ჩამოიტანეს თფილისს, მან სიკვდილი წინათვე იგრძნა და ამიტომ ისურვა წინადვე თავის შვილის გიორგი კურატპალატის გამოცხადება მეფედ. ამ დროს, ანუ ბაგრატის გარდაცვალების ჟამს თანი დამსწრეთა ცნობას „ქართლის ცხოვრება“ ასე აგვიწერს:—და მოიყვანეს ქართლს მეფე, და ეოვედნი დიდებულნი მისნი შენ მოვიდეს, და მოვიდა დედა მისი, მარიამ დედოფალი, და ცოდი მისი ბოერნა, და ასულდი მისი მარიამი და შემდგომად მტირედთა დღეთა მიუთვალა ძე მათი გიორგი კურატპალატი მეფედ, დიდებულთა ამის სამეფოსათა და ეოვედნი შეევედრა მასა, რქვა დედასა თქსსა:—„დედაო მეწყინვი შენ“ რამეთუ ეოვედნი შობილნი შენნი წარგვიქცეენ წინა და ეგრეთვე შენ მოკვდები და შემდგომად ამისა გარდაიცვალა მეფე ბაგრატ“. მეფე ბაგრატ რამდენათაც დიდებული მთავარი, გამგე იყო ქართლის, იმდენათვე ოვსეთის ერის, რასაც ვერც ერთი ოსი უარს ვერა ჰყოფს. ბაგრატის სიკვდილის წუთს, არაბთა კვალად გაიმაგრეს ფეხი თფილისში და განძის ემირის დახმარებით თფილისის ემირმაც დაიწყო მოქმედება.

ეხლა აქ ვიტყვით ბაგრატ მეფის ძის დიმიტრი მეფის შესახებ, რომელიც იყო ნაშობი ბორენა ოვსთა მეფის ასულისაგან. ბაგრატ მეფის და დედოფლის ბორენას სურვილით დიმიტრი ანიკოფსიას აღიზარდა, იქ მიიღო სწავლა-განათლება, მერე კონსტანტინეპოლსაც იყო ბიზანტიის იმპერატორთა კარზედ, იქ მან დროს შესაფერი სწავლა მიიღო.. შემდგომ სწავლის საბერძნეთიდამ დაბრუნდა საქართველოში, საქართველოდამ იგი გადავიდა ოვსეთში, თავის დედის ბიძებთან,

იქ დამკვიდრდა, იქ მიეცა ცხოვრებას, მერე იქვე დაცოლ-
შვილდა, ცოლად შეირთა ოვსეთის მეფის უახლოეს, ერთი ნა-
თესავ ქალთაგანი. მის მერე ისე მოეწყო საქმე, რომ ოსეთის
სამკვიდრო მეფეთა შორის შთამომავალნი შემცირებულან და
მიტომ სამეფო და საგამგებო ტახტზედ დემეტრე მეფე დამდგა-
რა, ან ამისი შთამომავალი, ეს არა სჩანს. ხოლო ის კი უწყებე-
ლია რომ ოსთა მეფედ ითვლებოდა დემეტრე და შემდგომად
მის XII საუკუნის საშუალს, თამარ მეფის ქმრად გამოსული
ოსთა მეფე დავით სოსლან ბაგრატოვანი. ამ დიმიტრის შთა-
მომავალი ყოფილა, რომელიც მეექვსე თავობად ითვლებოდა.
ესე იგი ბაგრატის შვილი იყო გიორგი, გიორგისა ბაგრატი,
ბაგრატის კვალად გიორგი, გიორგის დავითი, (აღმაშენებელი)
დავითის დიმიტრი, დიმიტრის გიორგი და ამის ასული თამარი
იყო, მათში ნათესაობის ხანმა უკვე განვლო საქრისტიანოს
წესით.

მხოლოდ ჩვენ არ ვიცით ის კარგად, თუ დემეტრე მე-
ფის გამეფების და გამთავრების შემდეგ, ოსთა მეფეთა ტახტ-
ზედ ვინ მეფობდენ ოსთა მეფეთა შთამომავალნი თუ დემეტრე
მეფის შთამომავალნი. ის კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ
XII საუკუნეში, ოსთა მეფეთა სახლისშვილებთ შორის, უპი-
რატესობა დავით სოსლანს უნდა ჰკავებოდა, იგი ისეთის დი-
დების სახელით და ოჯახის შვილად მოიხსენება და ღირსეულ
ადამიან თამარ მეფის საქრმოდ, რაისა შემდეგ ეჭვი აღარ უნ-
და გვქონდეს მასზედ, რომ დემეტრე მეფის შემდეგ, ოსთა
სამეფო ტახტზედ სხვა გვარის წევრთაც სჭეროდესთ უპირა-
ტესი სამეფო ტახტი და ადგილი. გარემოებას ისე მოუწყვია
საქმე რომ დემეტრე თუ მისს შთამომავალნი ოსეთის სამეფო
ტახტზედ ძალით კი არ გამეფებულან, არამედ ნებით, რადგა-
ნაც დრო მოსულა ისეთი, რომ ოსთა მეფეთ რიცხვი მოს-
პობილა, ამოწყვეტილან და დემეტრეს მომავალთ კი მომრავ-
ლება დაუწყვიათ, რაისა ბედით მათ რგებიათ ტახტი და გამ-
გეობა ოსთა მეფეთა.

ვფიქრობთ ასე, მაგრამ ამის დასკვნას ოვსეთის მეფის ხუდანის ქალის, ბურდუხანის გიორგი მეფეზედ გათხოვება კი ეჰვს გვაძლევს, რადგანაც გიორგი დიმიტრის ძე მეხუთე თავობად უნდა ჩაითვალოს დემეტრე მეფის შემდეგიდამ, ამას ჩვენი საეკლესიო კანონი კი არ იზავდა. მაინც არ ვიცით ამის ვითარება, იქმნება მეხუთე თავობათა შეუღლებაც შეიწყნარა ეკკლესიამ და ნება მისცეს შეუღლების, თუ ეს ასეა, მაშინ თამარ მეფეს ხომ არ მიეცემოდა ნება თავის დედისავე მონათესავეზედ გათხოვების.

ვინ იცის, ამ გარემოებას კაი ისტორია აქვს, ხოლო ამ ისტორიის ცნობები დროთა და ჟამთა მიმდინარეობის წყვდიადშია ჩაფლულ-ჩამარხული. ოსებმა და თვით ჩვენმა ისტორიამაც კარგად არ იცის ამის ცნობა, თუ რა პიროვნება იყო ურდოორე ოსთა ცხოვრებაში, თუმცა იგი სჩანს შემძლე სახელოვან პირად.

ურდოორეს ბორენას გარდა ჰყავს ვაჟი შვილი დურლა, ანუ დურლულე. ხუდინის სიკვდილის შემდეგ ეს გამეფდა ოსეთში, ხუდანის ოჯახის და ღირსების შესახებ აი რასა სწერს დიმ. ბაქრაძე; — „ბერეველის ცოლის დედოფლის ელენას, გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატმა იქორწინა ბორენაზედ, ასუჯზედ შემძლებელის ოსეთის მეფისა, რომლისა სამფლობელოც იმ დროს შეიცავდა დიდსა და მცირე უბარდოს“.

აქ უნდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზედ, რომელიც „ქართლის ცხოვრებით“ გარკვეული არ არის და რასაც უსათუოდ ჯარგი ახსნაც სჭირია, იქნება ჩვენ ვართ შემცდარი. ჩვენ აქ ვასახელებთ, რომ ბორენა, ოსთა მეფის ურდოორეს ქალი იყო მეუღლე ბაგრატ მეოთხისა, რომელიც ბაგრატმა შეირთა პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მეორე ცოლად, ვისგანაც ბაგრატს მიეცა ერთი შვილი, მეტი არავინ.

ამ გარემოებას ასაბუთებს „ქართლის ცხოვრებაც“ ვახუშტის ისტორია, დიმ. ბაქრაძე და თითქმის ყველა ქართულ

მეისტორიენი. ისტორიულადაც თქმულია და ჩვენც ვსწერთ, რომ დავით სოსლანი არის შთამომავალი იმ დემეტრე ბაგრატოვანის, (ბაგრატ მეოთხე. დიმ. ბაქრაძისა გამოც. 1880 წ. თფილ.) რომელიც ბაგრატს უშვა ბორენა დედოფალმა და რომელ ყმაწვილიც ბაგრატისავე სიცოცხლეში პატარა დემეტრე მამა მძუძეს მისცეს და ანაკოფსიას გაბარეს აღსაზდელად. მერე, ბაგრატის სიკვდილის შემდეგ, ეს ყმაწვილი დედამ წაიყვანა და ოსეთში გადასახლდა, სადაც დაშთა საყოველთაოდ. აქ გამრავლდენ დემეტრეს მოსადევარ ბაგრატიონები. დავით სოსლანიც სწორედ ამის შთამომავალიც უნდა გახლდესთ, რადგანაც ოსეთში სხვა ოჯახის ბაგრატიონების გვარის წევრნი ჩვენ არავინ გვეგულება.

ბაგრატის ბორენაზედ ქორწინება ეკუთვნის 1049 წ. ჩვენდა საბუთაროდ, ამ გარემოებას „ქართლის ცხოვრება“ მეორე ალაგას სხვა ნაირად გადმოგვცემს და ის რაც შეეხება ბაგრატ მეოთხეს და მის მეუღლე ბორენა დედოფალს, ყოველივე იმას სხვა მეფეს აწერს, სულ სხვა დროის პირთ და ამით ირევა საქმე და საგანი გაურკვეველი რჩება, ამაზედ ჩვენ არ უნდა ვისაუბროთ, მაგრამ მას „ქართლის ცხოვრებაში“ ისეთი ადგილი უკავია რომ ჩვენგან მაზედ გაჩუმება არ ივარგებს „ქართლის ცხოვრება“ აი რას სწერს:

„ქუთაისსა შინა, ბაგრატ მეფემან შეირთა ბორენა დედოფალი, ასთა მეფის ასული, და-ჲ დურძულელისა“, ეს ხომ ასეა და სხვაგანაც სწერია ასე, საიდამაც ჩვენც ვისარგებლედ. ახლა ცოტა ამ ცნობის ქვემოთ, იგივე მატიანე აი რას სწერს ამავე ბორენას შესახებ:—„ხოლო ამასა შემდგომად სხვაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა, ანაკოფიასა შინა; ოსთა მეფეთა ასულისა, მეორესა ცოლსა თანა გიორგი მეფისა და აზნაურთაგან იყო მათ შუა მიდამო საუბარი და ყრმა მცირე იყო. სახელით დემეტრე, ვერც გაამეფეს; ვერცა ვის გულს ედვა და ვერცაღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან დედამან მისმან და არცაღა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოისათა“ და სხვანი. მერე კიდევ:

ბაგრატის ძმათ სჩანს ვინმე დემეტრე, რომელიც ჯერეთ ანაკოფიას სცხოვრებს, მერე კონსტანტინეპოლს. საქმე ისე ეწყობა, რომ დემეტრე მეფე თავის ძმა ბაგრატს ებრძვის და აფხაზეთს ართმევს. ამათში დიდი სისხლიც იღვრება.

ერთგან „ქართლის ცხოვრებით“ სჩანს: რომ ბაგრატის მამა გიორგი გარდაიცვალა, და მას, ბაგრატს გარდა დარჩა მეორე შვილი დემეტრეც, რომელიც შემდეგ ებრძვის ბაგრატს. ამგვარივე ცნობა და სწორედ ასეთივე სახელის პირთა ამბები გადატანილია ბორენასაგან ნაშობ დემეტრეზედ, თქვენ აღარ იცით, ეს ორი გარემოება როგორ გაარჩიოდ და როგორ ახსნათ. ყოველივე ეს და ამ ხსენებულ პირთა ამბებიც თითქმის ერთ დროს ხდება.

ყოველივე ეს აქ მიტომ მოვიყვანეთ, რადგანაც „ქართლის ცხოვრებაში“ ასე არევ-დარევით არის ანუსხული, თუმცა ჩვენ კი იმ აზრზედ ვდგევართ, რომ ბორენას ნაშობი დემეტრე არის ძე ბაგრატისა, რომელიც დედას, ბორენას გადაჰყვა ოსეთში და აქედამ ეს სხვაგან აღარსად წასულა. ამას გარდა თუ კონსტანტინეპოლს მყოფი დემეტრეც გახლავსთ ბაგრატისავე დროს, იგი შეიძლება ნამდვილ ბაგრატის ძმა იყოს, გიორგის შვილი. ისიც შეიძლება ვსთქვათ, რომ გიორგი მეფეც თავის შვილი ბაგრატივით დაქვრივდა, ამასაც ჰყვანდა მეორე ცოლი, ვისგანაც ეშვა მასაც მეორე შვილი დემეტრე, რასაც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს. ეს დარჩეს ასე, იგი გაარკვიონ შემდეგ დროის მკვლევართა.

რაც შეეხება ხუდანის ოჯახის შესახებ, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ურდურე მეფემ მთელი ოსეთი შტოებათ და სამეფოებათ დაყოფილი 1019 წ. ერთ სამეფოდ შეაერთაო. თუმც იმ დროდამ ოსეთში ერთი მეფეღა იყოვო. ეს ვგონებთ, რომ დროებით უნდა ყოფილიყოს, სულ ათი წლის განმავლობაში, იქმნება ცოტაც მეტ ხანს, გინდ ოცი წელი, მერეკი, როგორც ეტყობა იგი მოშლილა და ამ მოშლის მიზეზებიც რასაკვირველია არაბები იქმნებოდნენ. ამას ჩვენ მი-

ტომ ვფიქრობთ, რადგანაც XI საუკუნის ნახევრამდის ოსეთი უკვე დანაწილებულია. ერთი მეფის დროს, ოსეთის მეფედ სამი მეფე სჩანს, სამივ ოსეთის მფლობელნი.

მხოლოდ ის კი არ ვიცით თუ ეს მეფენი ვინ არიან, ერთმანერთში ნათესავობა აქვსთ თუ არა, ერთი გვარისანი არიან თუ სხვა და სხვა გვარისანს და იქმნება მათ ნათესავობაც არა აქვსთ ერთმანერთში, ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს ასეც იქმნებოდა მათში და ოსთა მეფეებს ერთმანერთში. არც ნათესავობა ექმნებოდათ და არც ერთი გვარის იქმნებიდნენ, ეს იქიდამაც შეიძლება ვიფიქროთ, რადგანც ოსთა მეფის ქალებს ისე ხშირად ირთავდნენ ქართველთ მეფენი, და რა მოხდა, რომ იმ ხნის განმავლობაში, ქართველთ სამეფო ოჯახს ვერ დაენათესავდენ ოსთა სამეფო ოჯახის წევრნი. მაგრამ თქმულა და კიდევაც ვიტყვით. რომ ოსეთში მეფობდნენ რამდენიმე გვარის წევრნი და მიტომაც მათში ქართველთა ნათესავობაც მალე არ ხდებოდა. გარდა ამის ისიც შეიძლება ითქვას, რომ ერთი გვარი მეფისა, მაგალითებრ ხუდანის იყო ძველი, ძველის ძველი და დანარჩენნი კი იცვლებოდნენ, როცა ვინმე სადმე გაიმარჯვებდა ომში, ან საომარ ფალავნობაში, მაშინ იგი გახდებოდა ოსთა მეფეც.

ამიტომ აქ ცნობებს მოვიყვანთ ისევ ბორენა დედოფლის ცნობიდამ, რადგანც ეს გარემოება ნებას გვაძლევს რომ ვისაუბროთ, როგორც ქართველ მეფეთა ოჯახის ოსებთან და ნათესავებზედ, ისევე იმ გარემოებაზედაც, თუ ოსებს ერთ დროს რამდენი მეფე უნდა ჰყოლიყოთ. ამას გამოაჩენს თვით მსჯელობათა დაკვირვება და ისტორიულ საგანთა გარკვევა. მაგალითის ანუსხვასაც აი აქედამ შეუდგებით: საჭიროა ეს მით რფრო, რადგანაც ქართველთ ნათესავობა კარგად აჩენს თუ ოსებს ერთ დროს, ოსეთში ერთი მეფე ჰყვანდათ, თუ ორი და სამიც.

ოსეთის ერის ისტორიის შესახებ ბევრი რამ არის გასარ-

ყველ გასაცნობი. ოსთა მეფეებს გარეშე, სხვა ცნობები ჩვენ ოსებზედ არა გვაქვს რა. რაც არის დარჩენილნი, ისინიც გაურკვეველ არიან. ამიტომ გასარკვევია „ქართლის ცხოვრების“ ოსეთის ისტორიის შემდეგი ცნობანიც:

ბორენა დედოფალი ბაგრატის მეუღლე, ამისაგან რამდენი შვილი მიეცა ბაგრატს. ბაგრატის შემდეგ, საქართველოს ტახტზედ ვინ ავიდა მეფედ, ბორენას ნაშობი, თუ პირველის ცოლისაგან ნაშობი, რომელიც ბერძენთა იმპერატორის ძმის წული იყო.

ვინ არის ბაგრატის დედა, ბაგრატის მამაც იქმნება დაქორწინებული იყო, იქმნება ამის პირველი ცოლიც ოსის ქალი იყო და მეორე სომეხთა მეფის ასული—მარიამი.

ვინ არის დემეტრე მეფე, ვისი ნაშობი და ვისი ძე, რომელიც ბაგრატს ებრძვის. ვინ არის და სად არის ოსთა ბორენასაგან ნაშობი დემეტრე და ივი სად სცხოვრებს. ოსეთში თუ ქართლში, აფხაზეთიდამ ეს ებრძვის თავის ძმას, თუ ბაგრატ მეოთხეს თუ ბაგრატ მესამის ძმა—გიორგი.

ვფიქრობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა არევ დარევით არის გარდმოცემული. ვფიქრობთ, რომ ბაგრატის ორივე შვილები—ვაჟები ბორენას ნაშობნი უნდა იყვნენ. გიორგიც და დმეტრეც. თუმც ჩვენ ზემოდ სხვა გვარ დავსწერედ. ხოლო კონიერმა ბორენამ თავის მცირე წლოვან შვილი უფროს ვაჟს მოიცილა და ჯერედ ანაკოფსიას გააბარა და მერე ოსეთში გადიყვანა, რომ ქრმის სიკვდილის შემდეგ, გამეფების დროს, უმცროსი მისი ნაშობი ვაჟი უფროს მისავე ნაშობს ვაჟს, ტახტის მემკვიდრეს არ შესცილებოდა, ჩხუბი არ მოსვლოდეთ ტახტის გამო.

ამას ჩვენ შემდეგი გარემოებაც გვაფიქრებინებს: ფადლონის გამეფებაში, ბაგრატმა თავის ცოლის ძმა, ოსთა მეფე დურღულს სთხოვა. ოსთა მეფემაც შეყარა დიდი ძალი ჯარი და ქართლში გადმოვიდა თავის სიძე ბაგრატის საშველად. ბაგრატმაც მისცა ჯარი, მხედარ-მთავრად თავის შვილი გიორ-

გი კურატპალატი გააყოლა. ამათ სძლიეს განძის ემირი და გააძევეს. ამ ომში დურღულმა ოსთა მეფემ დიდი გმირობა გამოიჩინა, დიდი სიმდიდრეც იშოვნეს, დურღულმა თავის ნაშოვნის ყოველიეე ოსეთში გაგზავნა.

მერე ოსთა დიდმან მეფე დურღულმა, ისურვა თავის დის და დის წულის გიორგის ნახვა, ამისთვის ითხოვა ნება ბაგრატ მეფისაგან. ბაგრატმა ნება დართო სიამოვნებით. ოსთა დიდი მეფე დურღული თავის რჩეულის თავადებით, აფხაზეთის გზით შემოვიდა ქუთაისში, სადაც ცხოვრებდა ბაგრატ მეფე და მისი ოჯახი. აქ ოსთა დიდმან მეფე დურღულელმან ნახა თავის დაჲ ბორენა და დის წული გიორგი კურატპალატი. ოსთა მეფე ქუთაის დარჩა თორმეტ დღეს და იყო თურმე სიხარული დიდი.

ეს ცნობაც ამას გვაუწყებს, რომ გიორგიც და დემეტრეც ორივ ბორენას ნაბოძები არიან, მაგრამ რადგანც ხელნაწერი ოსების ცნობა სხვა გვარ მოიხსენებს, ამიტომ ჩვენც ისე დავსწერედ და აქ ჩვენი მოსაზრებაც დავრთეთ, დანარჩენის მეფეთა ცხოვრების ძიებისათვის მე გული არა მაქვს, ეს სხვებმა გაარკვიონ მიტომ კი არა რომ იგი მეფეთა ცხოვრებას ეხება, არამედ ნაწილი არის იგი ოსების ერის ისტორიის. რომელ ერის ცხოვრების საქმენიც დაბნელებულია ოსთა ცხოვრებასა და ისტორიაში. საფუძვლად ამის არის შემდეგიც.

„ქართლის ცხოვრება“ მოიხსენებს ოსთა დიდს მეფე დურღულს, მის დიდს, რჩეულ თავადის შვილებს და მათს დიდს სიხარულს და ქეიფებს, ხოლო ოსეთის ერს კი არ ახსენებს, თუ ამ დროს, როცა დურღული თავის თავადებით ქუთაისში ქეიფობდა და სიხარულში იყო, ამ დროს, ოსეთის ერი როგორღა იყო და არაბთა ზეგავლენისაგან როგორ სცხოვრებდნენ, იქ ამაზედ არაფერია მოყვანილი. ამიტომ ჩვენი ოცნებაც ცარიელი ჩონჩხია, იგი მარტოდ ოსების მეფეთა ცნობებს შეეხება და სხვა არაფერს.

ბორენა დედოფლის გამო შენიშვნა.

ისტორიული ცნობების დასკვნას გვაძლევს ვიფიქროდ და თამამად შემდეგი:

ოსებს ორი მეფე უნდა ჰყოლოდეთ, ერთი კავკასიის აქეთა მხრის, მეორე იქითა მხრის. ამათ გარდა ოსებს სხვა და სხვა თავად ერისთავებიც უნდა ჰყოლოდესთ.

ვფიქრობთ, რომ ოსთა აღმოსავლეთ კუთხის მეფეს დასავლეთ კუთხის მეფესთან იქნება ნათესაობაც არ აქვნდათ. იქმნება ერთის მეფის გვარი სხვა იყო და მეორესიც სხვა. ეს აი რაზედ მყარდება: ბორენა დედოფალი ოსთა მეფის ურდოორეს ქალი გახლავსთ, ამ ქალს ირთავს ბაგრატ მეოთხე. აქედამ ურდორეს და ბაგრატის ოჯახში სჩნდება ნათესავობა. ეს ხდება XI საუკუნის 25 წლებს.

ამის შემდეგ გადის მცირე ხანი, ბორენა ქვრივდება, იგი გადადის ოსეთში, თავის ძმა ოსთა მეფე დურღულთან და თან მიჰყასს თავის ნაშობი მცირე წლოვანი ბაგრატის შვილი.

ბორენა სახლდება ოსეთში, მისი შვილიც ოსეთში იზრდება, შემდეგ დროში, ამის შთამომავალი დავით სოსლანი ირთავს თამარ მეფეს, ამის ქორწინების შესრულებას საეკლესიო კრებაც ნებას აძლევს, რადგანაც იგინი ბაგრატიონების გვარში მეშვიდე თაობა არიან და მათ ნება აქვსთ ქორწინების. ამის შემდეგ ხდება კიდევ, რომ გიორგი მესამეც ირთავს ოსეთის მეფის ქალს ბურდუხანს, რომლისაგანაც იშვა თამარ მეფე. როგორ ხდება ეს, რომ თამარ მეფის დედას, ოსეთის მეფის ქალს, ბურდუხანს გიორგიზედ ნება მისცეს ჯვარის წერის, საქმის სჯაშიაც არ შავიდნენ და ამის შემდეგ კი როცა თამარ მეფე თხოვდებოდა, მაშინ კი საქმე გამოიძიეს, რადგანაც ნათესავობის შიში აქვნდათ და მხოლოდ გამოძიების შემდეგ მისცეს ნება ქორწინების.

თუ ამის შიში იყო, მაშინ ბურდუხანის გიორგი მესამეზედ ქორწინების უფრო უნდა ჰქონიყოთ ფიქრი, რადგანაც

ბურდუხანი მეშვიდე კი არა და იქნება არც მეექვსე თაობა იყო, მაგრამ ამ დროს სულ ა-აფერი იყო ამ გვარი.

აქედამ ვფიქრობთ, რომ ბურდუხანი უნდა იყოს ხუდანის შთამომავალთა მომდინარეთა ასული და დავით სოსლანი კი უნდა იყოს ბაგრატ მეოთხის შვილის დემეტრეს შთამომავალი, თორემ თუ ასე არა, მაშინ გიორგი მესამეს ნებას არ მისცემდენ ბურდუხანის შეუღლების. მიტომ რომ მათში ნათესაობა ჯერედ დრო შეუსრულებელი იქნებოდა.

ამიტომ ასე უნდა იყოს: ოსეთის სამეფოს განაგებდენ მეფენი: ერთი შტო იყო ხუდანის წინაპრების და მეორე ოსთა მეფენი უნდა იყვნენ ბაგრატიონების გვარის წევრნი, ბაგრატ მეოთხის შვილის დემეტრეს შთამომავალნი. იქმნება ამ ორ მეფეთა გვარს ერთმანერთში ნათესავობაც არ აქვნდათ.

დავით სოსლანის გარდაცვალება მიეწერება 1220 წელს, არც გვიან, არც ნაკლება, ცნობა არის, რომ დავით სოსლანი ოსეთში, ოსთა მეფეთა ოჯახში მოკვდა, აქედამ დასკვნა გამოგვყავს მის შესახებ, რომ XIII საუკ. ნახევრამდის, ოსეთში, ოსთა მეფეთ ბაგრატიონთ ოჯახის რიცხვი სჩანს, ამათ გარდა, ამ დროს, ხუდანის შთამომავალნიც იყვნენ და მეფობდნენ ოსეთში თუ არა! ამაზე კი არა სჩანს რა. მონგოლების შემოსევის დროდამ, ოსეთში უკვე ჩდებიან სხვა მფლობელნიც, ოსთა მოწინავე გვართა სხვა მეფენიც.

ქართველთ ბაგრატიონთ ნათესავობა ოსთა მეფეთა ოჯახებთან ჩვენ ისეთ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, რაისა გამო ეს შენიშვნაც უნდა მოვიყვანეთ. თორემ ოდესმე მეისტორიესათვის ასეთი ნათესავობის საქმე საეჭვოთ დაშთება, ვინაიდგან ქართველნი ასე ხშირად ირთვენ ოსთა მეფეთა ქალებს, ეს როგორ იყო მათში, რომ მათს ასეთ ხშირ შეუღლებას ქრისტიანური ეკკლესიის წესებიც ნებას აძლევდა, ისიც ქართული და ოსური ეკკლესისაო.

ისტორიულის ცნობებით კარგად სჩანს, რომ ქართველთ

მეფენი და ბატონიშვილები ოსთა მთავართა ქალებს არც შემდეგ საუკუნოებში სტოვებდნენ უყურადღებოთ და თვით იმ აურ-ზაურის და გახრწნის დროსაც, როცა საქართველოს მუსულმანები იკლებდნენ, მაშინაც კი ქართველნი ძრიელ ხშირად ირთავდნენ ოსის ქალებს. თვით XVIII საუკ. ვახტანგ მეექვსემ, ჩერქეზ ბატონის ქალი შეირთა ცოლად, მეფე ირაკლი II-ის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილიც ოსთა მთავრის ქალზედ დაინიშნა, მაგრამ ქორწინებამდის ქალს ყვავილი შეხვდა, თფილისში მოსული გარდაიცვალა, საქმე მით მოიშალა.

ეს ცნობა ჩვენ მოვიყვანედ მაგალითად, თორემ ჩვენ მაინცა და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევთ იმას თუ ეს მეფენი ვის ირთავდენ და ან ვის ქალებს ეტრფოდენ. ეს ცნობა არის ნიშანი მის, თუ ქართველთა და ოსებს როგორი ერთობა ჰქონდათ ურთიერთ შორის ბოლომდე.

XI საუკუნეში, ბაგრატ ეოთხის დანათესავებამ ოსებს დიდი სარგებლობა მოუტანა. ამ დროდამ ბიზანტიელთ ოსეთი უფრო უკეთ გაიცნეს, რადგანაც მათ სიძეთ ყოფილ ბაგრატ კურატპალატი ოსებს დაენათესავა. მართალია ამ დროს, საქართველო და ოსეთი არაბებს ეკავად, მაგრამ ქართველთა და ოსთაც საკმარად ჰქონდათ თვისი სულის ძალა. არაბებს ესენი მარტოდ ხარკს აძლევდენ. ბაგრატმა ოსეთს დიდი ყურადღება მიაპყრო, ოსეთში ოსებს არაბული სწავლა არ აკმარა. მრავლად დაუხსნა სხვა და სხვა სახის სკოლები, მასწავლებლად დაუნიშნა ქართველნი და ბერძნებიც. ბაგრატ მეოთხემ მალე ოსეთი კარგად გააქვეყნა ბიზანტიის წინაშე.

ამავ ბაგრატის მიხვედრით, ოსთა შვილების რიცხვმა გამრავლება იწყო შიო მღვიმის სასწავლებელში, აქ ბაგრატი მოესწრა იმისაც, რომ შიო მღვიმიდამ გამოსულ ოსის ნასწავლ ბერებს ნიშნავდენ ოსეთის სკოლებში და ეკლესიებში მასწავლებლებად. მაშინ შიო მღვიმე იყო ოსთათვის იგი რაც ათონი და ათინა ქართველთათვის. ამის შესახებ თვით შიო მღვიმის სვინაქსარიც მოწმობს. ოსებს სწავლის ჩვეულება XI საუკ.

თვით XVIII საუკ. შერჩათ. ამ დრომდე აქ ოსნი განუწყვეტლივ გადმოდიოდნენ და საღმრთო სწავლას იღებდენ. მერე ოსებში ბრუნდებოდნენ, სამღვდელო პირთ ნიკოზელი აკურთხებდა ხოლმე 1740 წლებამდე, ოსების სემინარია შიო ღვიმეში გახლდათ, რომლის დაარსებაც ბაგრატ მეოთხეს ეკუთვნის ოსთა ძეთათვის.

სწავლა ქადაგების და ქრისტიანობის აზრით ოსთა სახელი დიდათ განითქვეს, ამათ სახელი მალე იქმნა ბიზანტიაში გიორგი მთაწმინდელის წინაშეც ცნობილი. გიორგი მთაწმინდელმა ოსები მთელ ბიზანტიას კარგად გააცნო. ამ დღიდან ოსთა შვილებმაც იწყეს ათონზედ სწავლის მისაღებად წასვლა. გიორგი მთაწმინდელის ერთი მოწაფე, მწიგნობარი გიორგი მცირი ოსთაგანი გახლდათ, მთელს ბიზანტიაში ოსეთი ცნობილი იქმნა როგორც ერთი მაგარი კუთხე ქრისტიანობისა. ოსეთის ასეთ ღირსებას იქამდის მიუღწევია, რომ იმავ დროს, ბიზანტიელთ ოსეთში ხშირად უგზავნიად სხვა და სხვა მწვალებელ მამანი. ესეც კაი ნდობა არის საქრისტიანო ისტორიაში ოსების მხრივ ბიზანტიელთ წინაშე.

გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ ბიზანტიაში XI საუკ. გაჩნდა ერთი ვიღაც სეეროსი, ქრისტეს სწავლის ავად მქადაგი. ამის სწავლას აუყოლიებია ხალხი და თვით ბიზანტიის იმპერატორიც. საქმე ისე წასულა, რომ იმპერატორი თურმე სასტიკათ სჯიდა იმ ბერებს, ვინც სეეროსის სწავლის წინააღმდეგი იყო. იგივ გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს შემდეგს:

სეეროსის წინააღმდეგი ყოფილა ასკეტი ბერი მაქსიმე განკაფული და ამის მოწაფენი ანასტასი პირველი, ანასტასი მეორე. იმპერატორის ბრძანებით ეს პირნი შეუპყრიად, ჯერედ უცემნიად, მერედ ციხეში ჩაუყრიათ. შემდეგ აფხაზეთში გამოურეკიად და აქედამ ოსეთში დასაპატიმრებლად. მაქსიმე განკაფული დაუპატიმრებიათ ოსეთის ციხე ჰიმრას. მოგვითხრობენ, რომ ეს ციხეც ოსეთის საზღვარზედ არის. ანასტასი პირ-

ველი ჯერედ კოდორის ციხეში ყოფილა და მერე ოსეთში და ანასტანი მეორე დაუპატიმრებიათ ოსეთის ციხე შუკელს. ეს ციხეც ოსეთის საზღვარზედ სძევს.

ამავე დროს, ოსეთში მოსულან მქადაგებელნი მამანი კვირიაკოს. ამ მქადაგებელს ოსეთში ადვილად მოუღწევია და XI საუკ. უქადაგნია კიდეც. მერე ოსეთიდამ გადასულა ადგილს ზინეაპოს და იქ მიცვლილა ოსეთში. ამავე მქადაგებლის დროს, ოსეთში მოსულა მეორე მქადაგებელი ლონგინოზი. ესეც ოსეთში დარჩენილა, აქ უღვაწნია და აქვე გარდაცლილა.

აქ საკვირველი ერთი ის არის, თუ ამ დროს, ოსეთში რა გვარად იყო ქრისტიანობის სწავლა გავრცელებული, მართმადიდებლობასთან სწორე, თუ წინააღმდეგი. სჩანს, რომ ოსეთი მაშინ მართლ-მადიდებლობით სწორე იყო და ოსეთში მიტომაც გზავნიდნენ ექსორიად სეეროს სწავლის მიმდევართ. ესეც ერთი ბეჭედი არის XI საუკ. ოსეთის ერის საქრისტიანო ისტორიის. ამ დროთა ოსთა ცხოვრების და სახემწიფო მართვა გამგეობის შესახებ ჩვენ ზოგიერთ მეისტორიენი სხვა და სხვა ნაირად აღგვიწერენ. მაგალითსაც მოვიყვანთ.

ოსეთის ახალ დროის მეისტორიე, მოცემული დოქტ. პაფი სწერს, რომ 1019 წ. ოსეთის სამთავროები ერთად შეაერთა ოსთა მეფე ურდორემ. ამ მეფემ შექმნა ერთს ფეოდალურ სამეფოდ ოსეთის ერიო. ამ დროს, ოსეთის მეფეს ჰქონდა თავის სატახტო ქალაქი, ჰქონდა ადმინისტრაცია და მასთანვე კანონიერი სახელმწიფო ცხოვრებაო. ამავ პირის თქმით, ამ დროს, ოსეთი დიდს მეგობრობასა და მორჩილებაში ყოფილა ბიზანტიელთ წინაშე. ოსთა მეფის ორი ქალიც კი ბიზანტიაში გათხოვილან. ამით ოსებს დიდათ უსარგებლნიად. ბიზანტიური წესები შეუსწავლიად, რასაც ოსების ცხოვრებაზედ კარგი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენაც აქვნდაო. ეს პირი თავის ისტორიაში, ოსებზედ ბაგრატის დიდს ნათესაობას, ზეგავლენას და სხვა რამ ისტორიულ საქმეებს კი თითქმის მალავს, არ ახსენებს.

ამ აზრის შესამოწმებლად მოვიყვანთ შემდეგ ცნობას, რაც კი ოსეთის XI საუკ. საქმიანობას შეეხება.

საქართველოს ისტორიულის ცნობებით სჩანს, რომ ოსებს მთელს ოსეთში V საუკ. ერთი მეფე ჰყოლიად და მის გარდა წვრილი ერისთავები, ეს ერისთავები განაგებდნენ თურმე თავ-თავიანთ საბძანებლებს. ერთი ერისთავი ამათში მთავარივით ყოფილა, რომელიც ოსთა მეფეს ინახულებდა და ყველა ერისთავთა მართვა-გამგეობის საქმესაც მოახსენებდა. ცნობა არის იმაზედაც, რომ ვითომც ქართლის ერისთავნი სულ ამ ერისთვების ჩამომავალნი გახლავან. ამას ოსებში ზეპირათაც ლაპარაკობენ.

არაბებმა როცა საქართველო და ოსეთი დაიმორჩილეს და ვეხარკედ გახადეს, მის შემდეგ კი ოსეთში ერთ მეფობა ოსების დაამდაბლეს. მაშინ არაბებს როგორც ოსთა მეფე ისევე მის ერისთავნიც, ხარკს ცალკ-ცალკე უხდიდნენ. ვინც მეტს ხარკს მისცემდა, იმას იგინი თვით ოსთა მეფეს უთანასწორებდნენ, ვინც ისლამს მიიღებდა, იმას კიდევ გადასახადს უნახევრებდნენ, როგორც ოსთა ერისთავს თევდორე და აფრასიონს უყვეს ისლამის გამო სიკეთე, იგი ოსთა მეფეს შეუდარეს. არაბების წყალობით VIII საუკ. ოსეთი გაივსო სხვა და სხვა მთავარ ერისთავებით.

ესეთი წესები ოსეთის ერს დიდათ ხრწნიდა და ღუპავდა, ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია ოსთა მეფე ურდოარემ. ამან იგრძნა მის მნიშვნელობა, ამიტომ მან იმეცადინა და ოსთა წვრილმან მთავარ ერისთავები ისე დააყენა, რომელთაც მეფეზედ აღარავითარი საწინააღმდეგო აღარა შაეძლოთ რა. მათ წინ ოსთა მეფე წინანდელის უფლებით და პატივით განცხადდა. ეს გარემოება არაბთაც შეიწყნარეს.

ურდოარე მეფემ 1029 წ. მოსჭრა თავის ფული, ძველი ხელთნაწერი ოსურ ფულის მოჭრაზედ შემდეგ სიტყვებს ამბობს: რაც მოგვყავს აქ. „ფულს ერთ მხარეს აქვნდა. არაბული წარწერა მეორე მხარეს ხუცური ასოების: ო:. მ: უ: და

შუაში ჯვარი. ფულის არაბული წარწერის ასოები მათ ხალიფას სახელს სახავდა. როგორ და რამდენ ხანს იჭრებოდა ოსური ფული ამის ჩვენ არაფერი ვიცით, მხოლოდ ისიც კი არის ნათქვამი, რომ ოსთა სხვა მეფენიც სჭრიდენ ფულს VII საუკუნიდამაო.

ურდურე გონიერი კაცი იყო, ეს თურმე შეიშურეს არაბებმა, ამათ ისურვეს მისი დამცირება და დაუძლურება, ამის ოსტატობასაც შეუდგნენ, იგი გადაჰკიდეს ჯერეთ თვის მოსამზღვრე, მთის ერს, ჩერქეზთ, ჩეჩენთ და ლეკთაც, მაგრამ იქ ოსეთის საენოდ არა იქმნა რა. ყველგან ურდორე იმარჯვებდა. არაბებმა მერე სხვა ხერხი მოიგონეს, ურდორე მეფე გადაჰკიდეს კახეთის მეფე კვირიკეს. ამას ითხოვდა არაბთა პოლიტიკა, რომ კახეთი გაერთიანებულის ძალით არ დაწინაურებულიყოს, არამედ ყოველთვის რყევაში ყოფილიყოს. ასე ყოფნა მათთვის საჭირო იყო. შემცდარმა ურდორე მეფემ დაიწყო კახეთზედ ნავარდობა, გალაშქრება, ხალხის ხოცვა, ურდორეს ჰკითხავდენ ამის მიზეზს, იგი არას ამბობდა, ხოლო არაბთაგან კი ოსებს შემდეგი ამბავი ეძლეოდათ.

კახთა მეფე კვირიკე გვთხოვს, რომ ჩვენ მის საქმეებში არ ჩავერიოდ, იგი აპირებს, რომ ოსეთზედ გადავიდეს, დაიპყრას ოსნი, მერე კახეთიც და ოსეთიც ჩვენ შეგვ-ერთოს რჯულით, შემდგომ ოსეთის ესევე კვირიკე დაიპერს ქართლის ხალხს, თფილისსაც, ამ ხალხის გათათრებასაც გვპირდება. ესე ასმენდნენ ოსებს კვირიკეს შესახებ, კვირიკესაც რასაკვირველია ამ გვარად ატყუილებდნენ. საქმე ისე ოსტატურად ეჭირათ არაბებს, რომ ამას ვერც ოსნი მიხვდნენ და ვერც კახელნი.

ჩვენდა სამწუხაროდ, ოსთა და კახელთა გაურკვევლობით, კახეთსა და ოსეთში ბევრი რაჰ უბედურებანი ხდებოდა არაბთა გავლენით და მოტყუილებით. მაგრამ ბოროტებას არსაიდამ შეტყობა არ ეძლეოდა. არაბთა მოხერხებამ იქამდის მიახწია, რომ ბოლოს კახთა და ოსთა მეფე ურდურე მსხვერპლნიც

იქმნენ,—ერთმა მეორე მოკლა, მერე მკვლელი მეფე კიდევ მოკლულის მონამ მოკლა და ამით გაიმართა არაბებისათვის სანატრი კახთა და ოსთა ბრძოლა და სისხლის ღვრა. XI საუკ. არაბთაგან ბევრი რამ ხდებოდა კახეთსა და ოსეთში.

მათ ნაქნართ საქმეების შესახებ ყველაზედ ვერ ვისაუბრებთ, მოვიყვანთ ზოგი რამ ცნობათა ახსნას და ნამეტურ ერთ გარემოებას, რაც კი ოსეთის XI საუკუნის ისტორიას შესახება.

ოსეთისავე ისტორიკოსი სწერს, რომ ოსეთი გაერთიანდა ურდორე ოსთა მეფისაგან 1019 წ. ამ დროს, ამით ოსები დაწინაურებულან. ამას გარდა, იმავ დროს, ოსეთში შემოვიდნენ საბერძნეთ ის მქადაგ ბერები და ოსთა ერიც გაანთავისუფლეს საქრისტიანო მწვალებლობისაგანაო. ამას გარდა ესევე პირი სხვა საგნებსაც ეხება და ყოველივე ამ საგნებთა ცნობიერების ისტორიიდან ოსებს ქართველებთან ძრიელ შორს აყენებს.

ოსები შორს არიან ქართულს ეკკლესიურს გამგეობასთან, შორს სდგანან ცხეთის საკათოლიკო სინოდისაგან, შორს არიან ქართველ მეფეთა ნათესავობისაგან. შორს არიან ქართველთ ყოველ ნაირის მისვლა-მოსვლა—მეგობრობისაგანაც, ამავ დროს, მისივე აზრით, ოსებს არა აქვსთ ანბანი, იგინი სწავლობენ ბიზანტიურს ანბანს და მხოლოდ მას ხმარობენ ერთმანერთში მისაწერად. ოსეთის ისტორიაში თუ სადმე ქართველობას ახსენებს, იმასაც თავის და ძალაუნებურად, რადგანც ისტორიულის ცნობებით სხვა გზა არა აქვს, მაგრამ რა, იმასაც ყალბათ, ბოროტად. რას ნიშნავს ასეთი სიცრუე, ასეთი ისტორიული სიყალბე. განა შესაწყნარისია და მისაღები ის უკლებლობა, რომ საქართველოს ახლო მდებარე ოსებს იგოდენ შეუგნებლობა აქვნდათ, რომ მათ შეგნებულ ქართველთ მეზობლობის მნიშვნელობის სულ არაფერი ესმოდათ. ამიტომაც ოსებს ქართველებთან არავითარი კავშირი და მისვლა-მოსვლაც არ აქვნდათ, ოსები ისეთ უგუნურებაში იყვნენ

ჩავარდნილნი, რომ მათ ვისთანმე მიმართვის და შველის დავლების თხოვნის შნოც არ აქვნდა. ეს დასკვნა არის ამ ისტორიის.

ამიტომაც ოსებს, საბერძნეთიდამ მოუვიდნენ ვიღაც მქადაგებლები და ამათ აღადგინეს თურმე ოსებში დაცემული ქრისტიანობაო. ოსებში რომ არსებობდეს განათლების მექონი ინტელიგენცია, თავიანთ ქვეყნის ისტორიის მცოდნენი, მაშინ ასეთ პირთა ოსეთის ისტორიის ასპარეზად ნავარდობის ნებას არ მისცემენ, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ დღესაც ეს ოსთა შორის არ გახლავსთ, ამიტომაც ეს ოფიციალური მსწავლულნიც სარგებლობენ, რაც სურთ და უნდათ იმას ავრცელებენ ოსეთის ერის და ისტორიის შესახებ.

ამას გარეშე, ეს მეცნიერ მეისტორიე, აქეთ სცემია, იქით სცემია და რაკი ოსთა ძველ საყდრებზედ ქართულ. ანბანის ასოებს გარეშე სხვა ვეღარა უნახავს რა, ამიტომ გული გახეთქია, მერე ეს ცილი მოუგონია, რომ ვითომ ოსების საყდრებზედ ქართული წარწერები ქართველებისაგან ძალათ იქმნეს დაწერილები, ვითომ ქართველები ისეთი. კაცი ჰამიები იყვნენ და ტომთაყლაპიები, რომ ესენი თავიანთ ახლოს მყოფ პატარა ხალხებს მუსრს ავლებდნენ და აქართველებდნენ, ყველას ძალა-უნებურად ქართულ ანბანსაც ახვევდნენ თავზედო. ეხლა ის ანბანი, რომელსაც ქართველები ოსებს ახვევდნენ, იგი ქართველების არის და არა ოსების—ოსურიო. მიტომაც გამონახეს და შეუდგინეს ოსებს ოსური ახალი ანბანი. ოსეთში, საბერძნეთიდამ ოსური ენის არა მცოდნე მისიონერები მოდიან, ესენი შერყეულ ოსებში ქრისტიანობას ამაგრებენ, ამ დროს კი, ოსთა მეზობელ და მასთან მათ მონათესავე ქართველებს კი, რომელთა მისიონერებმა ოსური ენაც იცოდნენ, ოსებსაც კარგად იცნობდნენ, ამათ კი გულზედ ხელები დაუკრებიათ და სძინავსთ. ასე გამოდის ამ ყალბ მსწავლულ მეისტორიეთა ნაწერების დასკვნა.

თვით ქართველთ მამათა ცხოვრება გვამცნევს, რომ მართალია ქართველნი, ისიც მარტო ქართლ-კახეთი და სამშვილ-

დე, არაბთ მეხარკენი იყვნენ, მაგრამ იმავ დროს, ქართველებს, ჰქონდათ ძრიელი ეკკლესია, ძლიერი კათალიკოზის საყდარი, ქრისტიანობის მქადაგნიც მრავალნი, რომელნიც მთასა და ბარში დადიოდნენ და არაბთა მეშურნეობის გამო, ცხარედ იცავდენ არა მარტო ქრისტიანობას, არამედ გვაროვნულ ცნებასაც, ოსთათვის საბერძნეთიდამ მოსულთ ბერძენთ მქადაგებელთ საქმე მოგონებული ჭორებია ყალბ მეისტორიეთაგან. რა არის, ამით ქართველების ერთობა და გავლენა ოსებს მოაცილონ. ასეთ მომაკვდავ პირები ასე სჩადიან, ოსებს ქართველებისაგან მკაცრად აცალკევებენ, მაგრამ ისტორია და მისი მასალები კი ამ ორ ერის ერთობას მაგრად იცავს, რის წინააღმდეგაც ასეთ მამაკვდავნი ვერაფერს აწყობენ.

მართალია ის გარემოებაც, რომ არაბოაგან საქართველო და ოსეთი გაპირებულ ხანაში ჩავარდა, რაისა გამო აქ ქრისტიანობის საქმენიც ცოტათი მდაბლდებოდა, მაგრამ ისიც კარგად სჩანს, ამ დაულძლურების დროსაც კი ქართველები და ოსები არაბთაგან სწავლობდნენ სხვა და სხვა არაბულ მეცნიერებას, სწავლას, არაბულ ენას, მათებურ ხელოსნობას, ვაჭრობას, ვარსკვლავთ რიცხვას, მკურნალობას და სხვათაც ბევრ რამეს, რაც კი შენიშნული იყო იმ დროის არაბთა შორის.

არაბები გვფლობდნენ, ხოლო იგინი ჩვენს საქმეებში არ ერეოდნენ, ოსეთი მათ ხელში ისეც არ იყო დაცემული, როგორც ზოგი ერთნი ფიქრობენ, და ამის შესახებ სწერენ კიდეც ყალბ ისტორიულ ცნობებს. არაბთაგან ქართველებთან ერთად ოსები სწავლობდენ როგორც ავს, ისევე კარგსაც. ესა სჩანს შემდეგის გარემოებიდამაც: ქართველნი და ოსები ისეთი მონები და დაცემულები რომ ყოფილიყვნენ, როგორც ზოგი ერთებს ჰგონიათ, მაშინ დავით აღმაშენებელის მეთაურობით ქართველნი და ოსები ხომ არაბებს ვერ დასძრავდენ, ვერ გააძევებდენ, საქართველო და ოსეთი ვერ გათავისუფლდებოდა. ქართველთ და ოსებს მაშინ მრავლად აქვნდათ უმაღლესი სასულიერო და საერო სასწავლებლები, ჰყვანდათ მრავლად გა-

ნათლებულ მასწავლებელნი და მწიგნობარნი, მრავლად შენ-
დებოდნენ შესანიშნავი ტაძრები, ქართველნი და ოსნი ასეთ
წარმატების გარდა დაწინაურებულები იყვნენ შინაურის საქ-
მეებითაც, მათ ცხოვრებას თავის საკუთარი სახე და აგებულე-
ბა აქვნდა, არაბთა ემირებს იგინი მარტოდ ხარკს აძლევდნენ.

ჩვენი მატთიანე ამბობს, რომ ოვსეთი მტერთაგან შეუ-
ვალი იყო, ხშირად მას გარეშე მტერი ვერას აკლებდა. ეს
თუმცა ასე იყო, მაგრამ იმასაც არ დავფარავდ, რომ ოსთა
სამწუხაროდ, თვით ოვსთა დიდებულთა შორის სჩნდებოდნენ
ისეთნი პირნიც, თვით მათ მთავართა და დიდებულთა შორის,
რომელნიც ერთობ ადვილად სთესავდენ ურთიერთ-შორის შფო-
თებს, ომებს და სისხლის ღვრას, ამის მაგალითები ოვსებში
არამც თუ ერთხელ და ორჯელ ხდებოდა საუკუნეთა განმავ-
ლობაში, არამედ ოცჯერ და ორმოცჯერ, თითქმის ყოველ
წელს და დროს, მათ ელოდათ შინაურ დიდებულთაგან ერთ-
მანერთზედ სულ უბრალო რამის გამო ატეხა და ომის დაწყე-
ბა. ამისთვის კმაროდა თუნდ ერთი ქალის გათხოვების მაგა-
ლითი, თუ ამა და ამ სახლის ოჯახიდამ ქალი ცოლად შენ
რად შეირთე და არა მეო.

ოვსებს მართალია მთელს თავიანთს არსებობასა და ისტო-
რიაში, ქართველებთან მხოლოდ V საუკუნის ნახევარს მოუხ-
დათ მტრობა და სისხლის ღვრა, მასზედ წინედ და შემდეგაც
ეს მათში არას დროს არ ყოფილა და ვახტანგის ძიდამ მო-
ყოლებული დავით აღმაშენებლამდე სულ იმას სცდილობდენ,
რომ ოვსებთან როგორმე სიყვარული ჰქონიყოთ და ყოველ-
თვის მათში მეზობლური და ამხანაგური კავშირი ყოფილიყოს
დაფუძნებული.

ჯერეთ არაბთა ფლობამ დააფიქრა ქართველნი და ოსნი,
ესენი მიხვდნენ იმ გარემოებას, რომ მათთვის შუღლი და უბ-
რალოდ ომები აღარ გამოდგებოდა, რადგანაც ხშირად ორივ
ერნი ერთ ტაფაზედ იწოდნენ. ოსებს ქართველებზედ უმეტესი

ნათესავობა სხვებთან აქვნდათ, მაგრამ ქართველთ უსიამოვნებას კი ერიდებოდნენ და ამ ნათესავობაში კი უფრო ხშირად იმართებოდა მათი აურ-ზაური. მაგილითებსაც მოვიყვანთ:

ყაბარდოელნი, ოსთა მახლობლად მცხოვრებნი და ნათესავნიც მათი, ხოლო ოსთა ხშირად მებრძოლნი სჯულ ქრისტიანობის მხრივ, რაისა გამო მათ ხშირად ოსები მუსრს ავლებდნენ, რადგანც ოსნი მათ სჯობნიდნენ ყველაფრით. ყაბარდოელნი ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ ყიფჩახელებათ მიგვაჩნია.

ჩერქეზებს, რომელთაც ოსნი „ქესაქს“ უწოდებენ, ამათანაც ხშირად უხდებოდათ ისეთი ბრძოლანი, რის მსგავსი ქართველებთან V საუკ. შემდეგ არას დროს არ მოხდენიად. ოსნი კი ჩერქეზებს ყოველთვის სძლევდნენ.

ჩეჩნებს, რომელთაც ოსნი „ცაცანს“ უწოდებენ, ამათანაც თითქმის განუწყვეტლივ აქვნდათ ომ-ანობა. ბრძოლაშიც ყოველთვის ოსნი სჯობდნენ მათ, რადგანაც ოსები მათზედ გაცილებით მაღლა იდგნენ შევნებით, საომარის მოწყობით, ადამიანობითაც კი და სხვაფრივათაც.

ლეკებს, ანუ შირვანელთ, რომელთაც ოსნი „ყუმიყს“ უწოდებენ, ამათა ხშირათ ისეთ ბრძოლანი გადახდენიად თავს; რის მსგავსნი ოსებს ქართველებთან სულ არ მოხდენიად. წარმოიდგინეთ, რომ თუმცა ლეკთა რიცხვი ოსებზედ ყოველთვ-ს მეტი იყო, მაგრამ ოსები მათ სასტიკათ ამარცხებდენ, რადგან-ც ოსები ამათზედ გაცილებით ყველაფრით მაღლა იდგნენ.

ქისტები, ამათ ოსები „მყალებს“ უწოდებენ, ამათანაც ხშირად ჰქონიად სისხლით ბრძოლა და ესენიც მრავლად უმარცხებიათ ხოლმე. ყველა ამ ხალხების წინაშე ოსნიც ყოველთვის მძლავრნი და სახელოვანნი იყვნენ.

ოს ბმა, სისხლით ბრძოლა არ იცოდნენ ქართველებთან, მოხევებთან, თუშებთან, ხევსურებთან, ფშაველებთან და სხვ-ასეთ ქრისტიანთ ქართველთ ტომთა მონათესავებთან. XI

საუკ. შემდეგიდამ, რასაც უცხო ტომის მეისტორიენი უმეცრულის თვალით უმზერენ და ქართველთა და ოსთა მივიწყებას სწერენ, მტრობას და სხვებს, სწორედ ამ დროდამ იწყება ქართველთა და ოსთა მეგობრობა და სიყვარული, რაც XII საუკ. შემდეგ ხომ უფრო მტკიცედ დამყარდა. ოსებმა კარგად იცოდნენ ქართველთ ღირსება, ამიტომ იგინი ქართველთ მეგობრობას დიდათ აფასებდნენ.

როგორც ვსთქვით, ოსები თუ მტრობდნენ უმეტესად ზემო ხსენებულ ხალხებს მტრობდენ უფრო. ოსები მათ მტრობას მით უფრო არ სტოვებდნენ, რადგანაც ხშირად თვით იგინი სტეხდნენ უბრალოდ და უსაგნოთ ოსების წინაშე ბრძოლას, ოსებთან უსიამოვნებას იგინი არ ერიდებოდნენ თვით ისეთ დროსაც, როცა ოსები სამეფოს წესებით მძლავრად იყვნენ დაწინაურებულნი. XI საუკ. შემდეგ, ოსეთის ისტორია XII საუკ. დიდათ უკავშირდება დავით აღმაშენებლის მეფობას, ამიტომ მივალთ XII საუკ და დავითის მეფობაზედ. დავითმა იმერთ-აფხაზეთში მეფობის დროს, მსწრაფ გამოიჩინა დიდი გარდამეტებული სამეფოს აღდგენის ნატვრის მხნეობა. ამიტომაც იგი შემდეგ იწოდა „აღმაშენებელი“ იგი დიდი მონატრე იყო ქართლ-კახეთის ერთავისუფლების, ასევე ოსეთის. ოსებს და ოსეთს იგი გარდამეტებულის პატივისცემით უმზერდა, ნამეტურ დაბალ ხალხს. დღე და ღამ სცდილობდა მათს ერთობას საქართველოსთან, ჭეშმარიტის სიყვარულით, გულ ახსნით, თავ-დადებით და სხვანი, რის მაგალითებიც ოვსთაგან დავით მეფემ უადვილესად სცნა, ამიტომ მან ღმერთს მადლობა შესწირა, ოვსთა მეფე და ოვსის ხალხი მიითვალა თვის მარჯვენა მკლავად.

ოსთა ერის პატივისცემაში დავითი არ შესცდა. ოსთა მეფე და ერი მას დიდს პატივისმცემლებათ გაუხდნენ. ოსების ესეთი აზრი დავითმა წინადვე იცოდა, რადგანაც ოსები მას იმერეთშიაც შველოდნენ ჯარის მოგროვების დროს. ქართლში ხომ პირველ ერთგულებათ ესენი გაუხდნენ. ოსების დიდი იმედი

ჰქონდა დავითს, მან ადვილად დასძრა არაბ-თურქნი და გააძევა ქართლ-კახეთ და ოსეთიდამაც.

დავით აღმაშენებელს ოსები ძმად შეეფიცნენ, დადეს დიდი საერთო სიყვარულის მცნება, მის შემდეგ დავითმა საქართველოს მიჯნები დასდვა, აღმოსავლით გურგენის ზღვა, ასევე დასავლით ტრაპიზონამდის, ჩრდილო-დაღისტან-ოსეთ დახვა კუთხენი. სამხრით არმენია. ასევე ოსთა სამეფოც შემოფარგლა თვის მოსამზღვრე-ყაბარდოელ, ჩერქეზ, ჩეჩენთ, ინგუშებ და ლეკებთაგან, ოსეთის სრული სამეფოს სამთავროების საზღვრებიც დაარსა. მართალია ამ დროს, ოსებს გონიერი მეფე ზურაბი და ყავდინა ჰყვანდათ, ვგონებთ, ბაგრატიონთ გვარის თუ ხუდანის მომდევარნი, მაგრამ დავითმა ამ ოსთა მეფეთა სიკარგე არ იკმარა, მას, როგორც ქართველი ერის გონიერებით დაწინაურება სურდა, ისევე ენატრებოდა ოსეთის წარმატება, ოსთა ძეთა განვითარებაც. (ძ. ხელ.).

ამიტომაც ათინაში სასწავლებლად გაგზავნილ ქართველთ შორის, ერივნენ მთიელნი და ოსნიც. ამას ასაბუთებ-მოხევის გრიგოლ ჩახრუხაძის ცნობაც. ამას გარდა თვით რუისის კრებაც მიტომმ ოხდა, რადგანაც დავითის აზრი ის იყო, რომ ამ ალაგს მთის ერნი და ოსნიც უფრო ადვილად დაესწრებიან, ივის ქვეყნის და ერის ცხოვრების ნაკლთა შესახებ თავისუფლად ილაპარაკებენო. ეს იყო მიზეზი, თორემ უამისოდ რუისის კრება უნდა მომხდარიყო თფილისში, ან ცხეთაში, რადგანაც ეს ალაგებია საქართველოს შუა გული.

რუისის კრებას პირდაპირ მთიელთა და ოსთა ცხოვრების საქმენი აქვნდა სარჩულად დადებულნი.

კრების მუხლებთა საგანნი ერთნაირად ეხებიან როგორც ქართლს, ისევე მთიელთ და ოსებსაც, რადგანაც მსჯელობის საგნის კილო სჯული, ქრისტიანობის მხარეც იყო, ამას კი ქართველთ გარდა მთიულნი და ოსნიც აღიარებდნენ, მთიელნიც და ოსნიც ქართლის კათოლიკოზს ექვემდებარებოდ-

ნენ. ოსები ქართველებს მარტოდ რჯულის მხრით ექვემდებარებოდნენ, სხვა ყოველივე მათი იყო.

ისტორიით ვიცით, რომ კრების ზრუნვა მიტომ იყო საერთოდ მიმართული ქართველებზე და ოსებზედაც, რადგანაც არაბებმა მთის ერსა და ოსებზედ უფრო დაასვეს თვისი ცხოვრების ბეჭედი, მათში ზოგი თუ სასარგებლო იყო, ზოგიც მავნებელი, ოსთა ერის ცხოვრების წესების გამფუჭებელი. მაგალითებრ ოსებს შეურყიეს მცირედ ქრისტიანობა, ამას გარდა, არაბებმა ოსების ცხოვრებაში სხვაც ბევრი რამ მოთხარეს და არაბულს ყაიდაზედ გადააკეთეს. ამას დიდი ისტორია აქვს. არაბებმა იმეცადინეს და ოსის ქალები დაიახლოვეს, ყოველი არაბი მოხარული იყო, რომ რამე ხარკში ოსის ქალი მიეღო, ან ეყიდნა ვისგანმე, რასაც მათ ოსებიც კარგად შეაჩვიეს.

არაბნი ყოველთვის სცდილობდნენ და ოსთა ქალებს მრავლად ყიდულობდნენ და მერე მათ არაბეთში ამგზავრებდნენ. ოსების მტრობა მათ მიტომ უფრო აქვნდათ, რადგანაც ოსნი ქართლ-კახეთის ქართველებზე უფრო თეთრი კანიანი და ლამაზი ხალხია და ამათ კი არაბნი ვერ იმონებდნენ ადვილად. ყველა არაბთა დიდ-კაცებს სახლში, ყმაწვილების გამზრდელათ ოსის ქალები ჰყვანდათ ძიძათ, მათი ფიქრი იყო, რომ არაბის ყმაწვილი თუ ოსის ქალის რძეს მოსწოვს, მაშინ იგი სხვა სისხლის გახდებაო.

არაბებმა ოსის ქალებს ასწავლეს პირის პარსვა, ან ლამაზათ მოკაზმვა. ამას გარდა ისწავლეს მათგან სახეზედ წითელ და თეთრ უმარილის წასმა. თმის გაშვება, ნაწნავების მხრებზედ ჩამოშვება. ისწავლეს „ჩირქის“ კეთება, ფერ-უმარილის და სხვაც ასეთნი. დავით აღმაშენებლის ერთ საფიქრელს მხოლოდ შეადგენდა ყიფჩახელთა საქმე, რომელნიც ოსთა მოსამზღვრენი იყვნენ. დავითს დიდად სურდა როგორც ოსების სიკეთე და არაბთაგან განთავისუფლება, ისევე ყიფჩახელების ყირიმელ დამეგობრება, რადგანაც ამ დროს, ყიფჩახნი, არაბთაგან თავისუფალნი იყვნენ. იქ არაბთა ფეხი ვერ მოიკიდეს.

დავითმა ყიფჩახელების დამეგობრების საქმეში ოსთა მეფესაც სთხოვა. ოსთა მეფემ სიამოვნებით მიიღო დავითის დავლება; ოსთა მეფეც ჩაერია ამ საქმეში, მალე გაიბა საუბარი და ერთობის სიყვარული ქართველთა, ოსთა და ყიფჩახელთა შორის. ამ საქმის გამო დავითი ოსეთში იმერეთიდამ ხშირად გადადიოდა. ოსთა მეფისაგან დავითმა კარგად გაიცნა ყიფჩახელნი, ასევე მათი ცხოვრება, ამას გარეშე ოსის მეფემ დავითო გააცნეს კარგად თვით ყიფჩახელთა მეფეთა ოჯახის შინაური საქმენი და ის გარემოებაც, რომ მათ მეფეს ჰყავს კარგი მხედრობა, ომებში უძლეველნი, მასთან მხნენი და ნიჭიერნი, რაც ცნობილი იყო თვით არაბთათვისაც. არაბნიც ამიტომ შორიდამ ფლობდენ მათ, სამხედრო საქმეებს გარეშე, ოსთა მეფემ დავითს კარგად გააცნეს ყიფჩახთა მეფის ოჯახის საქმენიც, ამასთანავე აცნობეს ისიც, რომ ყიფჩახელთა მეფეს ჰყავს ერთი ასულიც, გასათხოვარი, ეს ქალი არის კარგად გაზრდილი და ღირსეული დედოფლობის, ურჩია ოსთა მეფემ დავითს, რომ კაის ინებებთ თუ ამ ქალის შერთვას ისურვებთ თქვენა, მაშინ ჩვენსა და მათ შორის დიდი ერთობა და სიკეთე ჩამოვარდებაო.

ოსთა მეფის რჩევა დავითს დიდად მოეწონა. ამაზედ მადლობა უთხრა. ეს ჭკუიანი კაცი მიენდო ოსთა მეფის სიტყვას, მალე ყიფჩახთა მეფე ათრაქა შარაღანის ძეს კაცები გაუგზავნა და თვისი ასული გურანდუხტ ცოლად სთხოვა. ესეთი თხოვნა ყიფჩახთა მეფეს დიდათ ესიამოვნა, ამისთვის გაიმართა კაცების გაგზავნ-გამოგზავნა, წერილების წერა. ოსთა მეფეც სცდილობდა. ყიფჩახთა მეფემ დავითს სთხოვა, რომ ოსთა მეფისაგან ნება აიღეთ, რომ ჩვენ ამ საქმისათვის მათს სამეფოზედ თავისუფლად ვიაროთო. ოსთა მეფემ სიამოვნებით დართა ნება ორივ მხარეს თავისუფლად სიარულის. ამ გარემოებამ ქართველთა, ოსთა და ყიფჩახთა სიყვარულს კაი საფუძველი დაედო. საქმე მოეწყო, დავითის ქორწინებაც მომზადდა, ამ საქმეშიაც ოსთა მეფე დიდს მონაწილეობას იღებდა.

ამ დროს ყიფჩახთა მეფე ქრისტიანი ყოფილა, ასევე ზოგი ხალხნიც, ზოგს ისლამი ჰკავებია და ზოგს თვისი ძველი რჯული. დავითმა ქორწინების შემდეგ დიდი ყურადღება მიაქცია ყიფჩახელთ, მათ ათასობით იწყეს გაქრისტიანება. XII საუკ. ნახევარს მთელი ყაბარდო ქრისტიანობას აღიარებდა, მერე კი მათ ეს დაკარგეს, ისევ ისლამს დაუკავშირდნენ. დავითის შეულების გამო ისევ „ქართლის ცხოვრებას“ ვალაპარაკებთ, რადგანაც ამ საქმის მეთაურნი ოსთა მეფენი გახლდნენ.

—„ამისათვის წარავლინა კაცნი სარწმუნოჩი, და მოუწოდა ყიფჩახთა სიმამრსა თჳსსა, ხოლო მათ სიხარულითა მიითჳალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაკენ. ამისათვის აიძულა მეფემან და ბრძანა წასვლა ოვსეთსა და სიტევისამებრ თანა წარემართა და თანა წარიყვანა გიორგი ჭეონდიდელი, მწიგნობართა უხუცესი თჳსი, სრული ეოვლითა სიკეთითა, სულისა და ხორცისასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი. სვიანი, ფრთხილი, და საქმეთა და ღვაწლთა მისთა, შევიდეს ოვსეთსა და მოეგებნეს თანა ადზრდილი პატრონთა, და თანა კანკაფუული ეოველთა გზაითა და საქმეთა და ღვაწლთა მისთა, შევიდეს ოვსეთს, და მოეგებნენ მეფენი ოვსეთისანი, და ეოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა, აიხვნეს მძევალნი ორთაგანვე ოვსთა და ყიფჩახთა და ესრედ ადვილად შეაერონა ორნივე ნათესავნი, და ჰაჯ შორის მათსა მშვიდობა და სიყვარული, ვითარცა ძმათა, აიხვნა ციხენი დარიელისა, და ეოველთა კახთა ოვსეთისათა და კავკასიის ძისა ოანა და შექნნა გზანი მშვიდობისა, ყიფჩახათვის, და კმოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი თვისნი და არცა ცუდად დაშვრა, არცა უსაქმოდ მათი გამოუვანა, არამედ მათითა ხელითა მოსრა სრულიად სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ეოველთა მეფეთა ქვეყანისათა და მათითა საქმითა თანა ეოველითა ქმნნა საქმენი დარწმუნებულნი“.

ეს ამოდოლი ამონაწერი აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველი დარწმუნდეს მაზედ, თუ XII საუკუნეში, ოვსებს რა ძალა და მეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონიყოთ ქარ-

ოველებთან. როგორც ზემოთაც ვსთქვი, ჭეშმარიტად, რომ დავით აღმაშენებლის მხრით ოვსთა წინაშეც დიდი საქმე არის ეს, დავითმა ოსები, ყიფჩახნი და მთის ერნი სიყვარულით დაიკავშირა თურმე.

დავით აღმაშენებლის მგზავრობა ოვსეთში მით არის კიდევ შესანიშნავი, რომ მას თან გაჰყვა ოვსეთში მწიგნობართ უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი, კაცი ბრძენი და გამოჩენილი თავის დროის სამეცნიერო და საღვთისმეტყველო მხრით, გიორგი ჭყონდიდელის მგზავრობა ოვსეთში უნდა ჩაითვალოს დიდს საქმეთ ოვსეთის ისტორიაში, ასეთი ბრძენი, სამღვთო მეტყველი, რიტორი, ფილოსოფი და მქადაგებელი პირი ოსეთს და მის ერს ერთობ იშვიათად სწვევიად ხოლმე, გიორგი ჭყონდიდელი ძველს ქართულს მწერლობაში კაი მშრომელ პირად ირიცხება. ამ ფილოსოფმა ოვსეთში ისეთი საქმენი ნახა რაისა გამო თავის სიცოცხლე და მოქმედება იქ ისეთ საჭიროდ შერაცხა, რომ ოვსეთში თავის მეგობარს მეფე დავითს თავი დაანება, ოსეთში დარჩა, საქართველოში არ წამოჰყვა, ოვსთა შვილებთათვის დაარსა სასწავლებლები, დაუწყო მათ აღზრდა, გამოწურთვნა. გიორგი ჭყონდიდელი ოვსეთის ერის წინაშე გიორგი მთაწმინდელად უნდა ჩაითვალოს. ამან ეცადა ოვსეთში ოვსური ენის შესწავლას და მასვე დროს ზოგი რამ საჭირო ლოცვების ოსურათ თარგმნას, მას აზრი აქვნდა რომ ოსურს ენაზედ ეთარგმნა „სახარება“ „დავითნი“ „სამოციქულო“ და სხვანი, ყველა საჭირო საეკლესიო საქრისტიანო წიგნები. რასაკვირველია ქართულის მხედრულის და ხუცურის ასოებით იწერებოდა ყოველივე მაშინ.

სამწუხაროდ, გიორგი ჭყონდიდელს, ამ ნიჭიერს მღვდელ მთავარს ჰაზრი ვერ განუხორციელდა. იგი ვერ შაესწრა ოვსთა ენაზედ სალმრთო წერილის თარგმნას და მწერლობის დაარსებას ოვსთა ძეთათვის. ოვსეთში დამკვიდრების და მოქმედების დაწყების შემდეგ მერვე წელიწადს ავად გახდა და ოვსეთშივე მიიცვალა. გიორგი ჭყონდიდელის სიკვდილი ყოფილა მოუ-

ლოდნელი, თავზარდამცემი თვით დავით აღმაშენებლისთვისაც, რადგანაც მეფეს სცოდნია დიდებული წადილი გიორგი ჭყონდიდელის შესახებ, ვისაც კი სცოდნია გიორგი ჭყონდიდელის შრომის დაწყების საქმე, იმას დიდათ გულს სტკენია მისი უდროოდ სიკვდილი. ამ მღვდელ-მთავრის სიკვდილს „ქართლის ცხოვრება“ ასე აღწერს:

„ხოლო მაშინ, ოვსეთს ეოფასა მიიცვალა გიორგი ჭეონდიდელი, და თავ-ადგა სიყრმითაგანთა პატრონი მსახურებათათჳს, და პატივითა დიდითა წარმოგზავნეს მონასტერსა ახალსა, და მუნ დაემარხა, რომელი იგლოვა ეოვეღმან სამეფომან, და თჳთ მეფემან ვითარცა მამა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის ეშვა ვახტანგ, რომლისა სახელითა დახსნა გლოვა“.

გიორგი ჭყონდიდელის ვანძრახვა ოვსთა მეფესა, მთავართა და დიდებულთაც კარგად სცოდნიად, მათ უფრო უგლოვიად ეს ადამიანი, შესაფერის გლოვით მოუსვენებით დავით აღმაშენებლის წინაშე და დაუსაფლავებიათ ახალს მონასტერს. ეს პირი ისე არავის დააკლდათ, როგორც ოვსებს, გიორგი ჭყონდიდელი რომ ისე მალე არ გადაცვლილიყო, მაშინ, ოსურს ენაზედ საეკკლესიო წესების შესრულება ადვილად მოეწყობოდა, ოსეთის საყდარი ოსური ენით ჩაიდგავდა სულს, მისი ხმოვანება და ოსური ძალებიც დედა ენით გაისკროვნდებოდა, გიორგი ჭყონდიდელის ოსურ ნაშრომ ნათარგმნთ დედნებიც დაილუპნენ და დაიფარნენ დროთა მიმდინარეობის ჯურღმულში. ამ უბედურებას ქართულთ მემატეიანენი უწოდებენ „წაღმართისათვის—უკუღმართს მოვლენას“ როგორც ხალხი იტყვისო.

საღმრთო ფილოსოფ გიორგი ჭყონლიდელ დიდათ სურდა ოსურ ენაზედ საღმრთო წერილის დაარსება. იგი ამის სასარგებლოდ შრომობდა, ამიტომ ეს პირი მწიგნობრობისთვის დაუცხრომლად ეუშავობდა. ხშირად სთარგმნიდა ბერძულის ენიდამ წიგნებს, ამათ გარდა თვითაც სწერდა საკუთარებს ქართველთა და ოსთა შესახებ. სწორედ ამის მიზეზი იყო ის გა-

რემოება, რომ გიორგი ჭყონდიდელმა ქართლის მონასტრებიდამ გაიწვია ნასწავლ მწიგნობარ ბერები, ოსეთშე დახსხა აუარებელ სამრევლო სკოლები, ეს ბერები მასწავლებლებად დანიშნა, რომელნიც ოსთა შვილებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ, გიორგი ჭყონდიდელი იყო ისეთი მწიგნობარი პირი, რის შრომიდამაც, შემდეგ დროთათვის, ჭყონდიდელთათვის დაიდო მწიგნობრობის მიმდევრობა მცნებად, მასთან საღმრთო ფილოსოფობა. საქმე ისე დაწინაურდა, რომ ჭყონდიდლები მკურნალობასაც კი აქცევდნენ ყურადღებას და შემდეგ დროს, როცა ნუქარდინ სულთანი დავით სოსლანმა გააძევა და ყარსი დაიჭირეს, მაშინ აქ მტრის ჯარში ხელთ იპყრეს ერთი არაბული კარაბადინი, რომელიც მალე მწიგნობართ ჭყონდიდელის მოწონებით და თამარ მეფის ბრძანებით ეს „კარაბადინი" ხოჯა ყოფილმა ქართულადაც სთარგმნა, რის თარგმნის ცნობა დავით სოსლანსაც კარგათ აქვნდა თურმე შესმენილი.

ასე, ცნობა არის, რომ გიორგი ჭყონდიდლის, ნასწავლ ქართველ ბერები ოსეთში მკურნალობასაც მისდევდნენ და ამ სახით იგინი უფრო მოქმედებდენ ოსებზედ. გიორგი ჭყონდიდლის თავმსნობით, ქართველთ ბერებთაგან ოსებში მისიონარული ნიადაგიც დამკვიდრდა, ამის დროდამ, ქართლ-კახეთ, იმერეთიდამ ოსეთში ხშირად გადადიოდნენ სხვა და სხვა მისიონერები და ქრისტიანობას ჰქადაგებდენ. ეს გარემოება გამოიწვია იმან, რადგანაც არაბებმა X საუკ. დაღისტნელნი უკვე ისლავს დაუკავშირეს. ოსების შიშიც აქვნდათ. გიორგი ჭყონდიდლის შემდეგ, ქართლიდამ ოსეთში ხშირად მიდიოდნენ და მისიონერობდნენ. ნამეტურ ათონის მთიდამაც მოდიოდნენ ნასწავლ ქართველთ ბერები.

ასეთ მისიონერთა რიცხვი ოსეთში ერთობ დიდი იყო XII და XIII საუკ. ნახევრამდე. ასეთ ქადაგებელ მამები თავდადებით შრომობდენ, ამათ გაასუფთავეს ოსეთი თვისის ცდით, უზრუნველ ჰყვეს ოსეთში ქრისტიანობა, ასევე შემოფარგლეს ქრისტიანობის უშიშრობით თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი და

ბელექანი. დაღისტანშიაც გადავიდნენ და აქაც შრომობდენ. XIII საუკ. იყო ერთ ასეთ მქადაგებელ მისიონერთაგანი პიმენ სალოსი, ათონის მთის ქართველთ სასწავლებელში გაზდილი, რომელიც ოსეთშიაც შრომობდა და ჰქადაგებდა ქრისტეს სწავლის სიმტკიცეს და მწიგნობრობას. ოსეთში ამასაც აქვს შრომა დადებული. ეს გარდაიცვალა XIII საუკუნის ბოლოს ოსეთისაკენ. ამის შემდეგ კი ოსეთში ყოველივე ასეთ სამისიონარულო ცდას და შრომას ბოლო მოეღო, რადგანაც XIV საუკუნიდამ, როგორც ქართველთათვის, ისევე ოსთათვისაც იწყება მეტად შავი და ბნელი დღეები მუსულმანთა ტომთაგან.

შემდეგ დროს ოვსთათვის დავით აღმაშენებლის მეფობას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც ოვსეთში შესვლისას, ისევე შემდეგ დროის დიდებულების ცნობათ საკმარისია დავასახელოთ ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელმა ოვსების დახმარებით მოსპო და დამდაბლნა ლეკნი და სხვა მათ მოსამზღვრენი ისე, რომ მათ ქურდობა აღარსად შაეძლოდ, რადგანაც იგინი იმ დროს განითქვნენ ქურდობით და ტაციობით. ამაზედ „ქართ. ცხოვრება“ ასე მოწმობს:—„დავითმან აღავსნა ქეთიდითა სიბოძერითა ქურდნი, ლეკნი და თათარნი“ კვალად: — „დარუბანდსა და მოსწყვიდენ ქურდნი, ლეკნი და ეიფჩაუნი დარუბანდელსანი“ და მრავალიც ამ გვარნი, რასაც ოვსთათვისაც იგივე მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რაც სხვათათვის, თუნდ საქართველოსთვისაც, რადგანც საქართველოს მოსამზღვრე ქურდთა ალაგმვ იყო იგივ ოვსთა ქურდთა და მტაცებელთა ალაგმვა, რომელნიც ოვსეთსაც ხშირად ეკემოდნენ და აწუხებდნენ. დავით მეფემ ოვსეთის მეფესა და ერთან ისე დაიჭირა კავშირი და მეგობრობა, რომ მის სიკვდილის დღემდე, ოვსნი არამც თუ მარტოდ დავით აღმაშენელთან, არამედ მის აჩრდილთანაც კი იყვნენ შაერთებულნიო.

სამეფო თუ ფარსაგია, ხალხის მომხრე და მოყვარე, მაშინ თვით სამეფოც ძლიერია და შეძლებულ, თუ სამეფო ხალხის მცარცველია უკანონოდ და მგლეჯავი, უზომოდ ხარჯის მტა-

ცავი, დიდათ მაშინ ესეც ღარიბია, ღატაკი, ამას ხარჯის მიცემა არ ძალ უძს და ამიტომ ღარიბდება თვით სამეფო და კოტრდება. ხალხის შემაწუხებელი სამეფო თავის დღეში ვერ იბოგინებს, ანუ უზომოდ ხარჯის მკრეფი და ომების ამტეხი. უნდა ითქვას, რომ ოსეთის სამეფოს ამის შნო არ აქვნდა, მათ ქართველებივით, ჯარის შენახვა არ იცოდენ. როცა საქმე გაჭირდებოდა, მაშინ დაიძახებდნენ ქუდზედ კაცს, ან მდევარს. სხვა რამ დიდება ოვსეთის სამეფოსი და მის ხარჯებისა ერზედ დიდს ტვირთად ასაფერი იყო გაწერილი. ამიტომაც ცხადათ სჩანს, რომ XII საუკუნეში, ოსეთის სამეფო გამგეობა ხალხის ცარვის მცნებით არ შეიძლებოდა წინ წასულიყო, მათში ხალხთა ღადრეა საძმობ საქმეთ გარდიქცა, ოვსთა მეფენი და ერნი ურთიერთ-შორის გაჰყვნენ შეთანხმებულს ცხოვრებას, ბაძვას. ქართველ მეფეთა საოჯახო სიბრძნის და მწიგნობრობას. ხალხის წინაშე არა ცარცვა-გლეჯით, თარეშობით და ოვსთა მონათა და გლეხთა ყვლეფით, არამედ გონიერებით.

ოვსთა მეფენი ერს თუ ართმევდენ რამეს ის იყო საჭირო მხოლოდ საყდრების საშენად, კოშკების და ციხეების. სხვა რამ გადასახადი ოვსებმა მათ მეფეთათვის პურით, ღვინით და საკლავით იცოდენ. ოსებმა, სამეფო ხარჯის გადახდა, გვამცნევს ძველი ხელთნაწერი, ფულითაც იცოდნენ იმ დროსაო, როცა ოსთა მეფენი ფულს სჭრიდენო, ფულს სჭრიდენ არა მარტო სპილენძის და თითბრის, არამედ გარეულ ნადირის ტყავისაგანაც. გადასახადი რასაკვირველია ზომიერებით იყოვო. ოსურ ტყავის ფულის შესახებ არაფერი ნიშნებია დაშთენილი, გარდა ამ ცნობის. რაკი ესეთი ცნობეპი არსებობდა ძველად, ამიტომ მათი რიცხვიც იქმნებოდა ოსეთში, ამიტომ აქ ვიტყვით კიდევ შემდეგს:

ოსური ფულის შესახებ ეჭვი არავინ სთქვას. არაბების დროს, იჭრებოდა ქართული და ოსური ფული, ამ ფულებს ერთ გვერდზედ ხუცური ასოები აქვნდა და ქრისტიანული ნიშანი, მეორე მხარეს არაბული ასოება იყო. ეს ფულები

ყველას ქართული ჰგონია, მაგრამ მათში ზოგი ოსებისა ირის. ამას ჩვენ ვიპოვნით ქართულ-ოსურ ნუმიზმატიკაში, გინდ ბარათაშვილის ნუმიზმატიკურ წიგნში. „ნუმიზმატიური ფაქტები ქართული ფულის“. ბარათაშვილის, პეტერბურგი 1848 წ. ოსების ცნობათა წიგნში ერთ ალაგას ეს ცნობა იყო მოყვანილი: ბაგრატ მეფეს ოსთა მეფემ მისცა ასული თვისი, მასთან დიდი მზითევი, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და ფული ოსური. ამ ოსურ ფულს ეს ბერი ორგან ახსენებს. არის კიდევ ცნობა: დავით აღმაშენებლის შემდეგ გაბრწყინდა დედა ეკკლესია მცხეთის, აქ მოვიდოდნენ ოსთა მეფენიც, კათალიკოზისაგან ლოცვა-კურთხევას მირონს იღებდენ.— სვეტიცხოველს სწირავდენ ძვირფას განძეულობას და ფულს ოსურს, ოსეთიდამ მოტანილს. ასევე დიდი ზითევი და ოსური ფული მიუცია ოსთა მეფე ხუდანს, როცა თვისი ქალი ბურდუხანი გიორგი მესამემ შეუღლა.

ფარნავაზ მეფიდამ დაწყობილი ქართველთ მეფენი ხშირად ირთავდენ ოსის მეფეთა ქალებს, ქართველთ მეფეთა ოჯახში ოსის დედათა ღირსება დიდათ ამაღლდა, ბორენა დედოფლის შემდეგ ოსის ქალებმა განაცისკროვნეს ქართველთ მეფეთა ოჯახნი, მით სახელოვან ჰყვეს. ამის მაგალითია, რომ მეფე დავით აღმაშენებლის შვილის შვილმა დიმიტრი მეფემ თავის საყვარელ შვილს, გიორგი მესამეს შერთა ოსთა მეფის ხუდანის ქალი ბურდუხანი. ეს დედოფალი გახლ ესთ დედა თამარ მეფისა, ცნობილი ადამიანი საქართველოს ისტორიაში.

ბურდუხანი აღზრდილია ოსთა დიდებულის მეფის ხუდონის ოჯახში, ამ დროს, ოსთა ქალებს თურმე კარგად ზდიდნენ, ნამეტურ ხუდანის ოჯახი ნაქები ყოფილა, მის ოჯახში თურმე ოსთა სხვა და სხვა მთავრის ქალებსაც ზდიდნენ და სწურთნავდენ. ხუდანის მეუღლეც გონიერი ქალი ყოფილა. ეს ოსთა ქალებს ასწავლიდა წერა-კითხვას ქართულს, არაბულს და ბერძულსაც. მასთან ჭრა-კერვას, ოქრომკედს, ქსოვას და საეკკლესიო შესამოსელთა მოქარგვას. ყველა ამ საქმეთა ცოდ-

ნა ბურდუხანს ქართლში, გიორგი მესამის ოჯახში, თავიანთ ქვეყნიდამ მოჰყვა, ოსეთიდამ. ეს ქალი გიორგის ოჯახში დიდის დიდებით. აღმოჩნდა, ოსთა დედათა შნო მკერვალობის, ქსოვის, ქარგვის და კერვის საყურადღებო იყო მთელ საქართველოში.

ამ მანდილოსნის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ აი ერთ ალაგას რას გადმოგვცემს.

— „ამის მამამან, კეთილად მოსახსენებელმან დიმიტრი მეფემან სიცოცხლისავე თჳსსა, მოგვარა ცოლი, ასული ოვსთა მეფისა ხუდანისა, სახელით ბურდუხან, რომელი ჭმატა სიკეთითა ყოველთა დედათა. მისებრი სძალი არ ეხილვა ქართლისა თემსა, ესე თვით შესატყვისი ქრმისა თვისისა ჰირი მზისა, ტან ლომისა, თვით მზეზეთა შვენებათა და მოშვენებათაცა, ვითარ ოქმის, ცოდვილთა და მართალთა ზედა, რომელი ჭეკროდა მარიალთა და სწყალობდა ბრალეულთა ამისათვის არა ვიტყვი სახელ გარეშეთა, გინა თუ ვეთმე სატრფიალოთა, რომელი ამათგანცა არა უსაწილო იყო. არამედ ყოველი შეენიერება და ხორციელი სიტურფე გარდამეტებულად იხილვებოდა მის შორის, არამედ თვით მის ქრისტე შემოსილებით ვსთქვა, რომელი ემსგავსებოდა ეკატერინე, ანუ ჰელენოჰის წილ ირინე წოდებულსა, ნუ უკვე ზესთა გარდამეტებითა მოუძღურდეს სიტყვა, ანუ მაბრალებდეს ვინ მარჯულ, ანუ მარცხულ გარდაქცევისათვის, არამედ ყოველი ძალისაებრ შეწუნარებულ არს. არამედ ესე ხოლო ხმა იყო ქებად, რამეთუ დედა იქმნა შჯლისა ნათელ შემოსილისა, თვით გორგასლისა ვახტანგისა, აღმავსებელი აღგილისა, და წინასწარმეტყველისა დაკითისა, მამად ოჯახ ღვთისაგან ქენებით აღთქმულისა, აღდგინებად ტომთაგან მათა, მისებრ ჰურობილი, აღმოსავლეთისა, თამარს ვიტყვი, მეფედ ცხებულსა, რომელი ქ�mორე სიტყვამან სატნაურ ჭეოს“.

ეს ამოდელი ამონაწერი აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ ზემოდ ჩვენ მიერ ნათქვამ ოვსთა მეფეთა ოჯახის ღირსებად ეტვი არავინ იქონიოს, მეფე და მთავარნი რომელიც მისდევენ ხალხის ცარცვა, გლეჯას და შეწუხების, ისინი თავიანთ შვილებს ვერ აღზრდიან ისე, როგორც დიდებულის ხუდან მეფის სახლში ბურდუხანი აღზრდილა. დააკვირდით თუნდა ამას:—

„რომელიც ჭეშარიტებდა მართლთა და დასწყალობდა ბრალეულთ, ანუ შესაბრალის“. ანუ კიდევ „მის ქრისტე შემოსილობით ყოთქვა“ და სხვანიც მრავალნი ასეთნი, რომლითაც გატაცებულია მემატ-ტიანე.

ბურდუხან დედოფალს ერთი ქალის მეტი სხვა შვილი არ მიეცა, გიორგი მეფემ სიცოცხლითვე მომავალ მეფედ თამარი დანიშნა, ამის თქმულება და ანდერძი მან წინადვე დაამტკიცა. რადგანაც ვაჟი არ ჰყვანდა თამარის მეფედ დასმის დროს, მოუწოდა თავის დიდებულთ და ეს დავალება მისცა. აქაც ბურ-დუხანი დიდის დიდებით არის აღწერილი. ამიტომ მოგვყავს თვით ეს ადგილიც. —„ესე მოუწოდა ცოდსა თვისსა, დედოფალსა დედოფალსა ბურდუხანს, რომელი იყო ასული ოვსთა მეფისა, რომელი ჭმატა სიკეთითა ყოველთა დედათა, სიბრძნითა და გონიერებითა და სიტურფითა და შვენიერებითა, რამეთუ მისებრი სძალი არ უნი-ლავს ქვეყანასა ქართლისასა, და ვითარ იგი ჭმატა ყოველთა სიკეთე-თა. ეგრეთვე დედობითაცა თამარისათა უმეტესი იყო ყოველთა და თანა განმზრახითა და გამორჩეულითა მისითა და უფრო-სად განგებითა ზენისა მის ყოველთა შარვანდედთა მინიჭებითა“ დედოფალის ბუ-რდუხანის მაღალს შემძლებლობას ქართული მატიანე გან-ცვიფრებულის ქებით აღწერს, ამ ქალს მოიხსენებენ ისე, რომ მის მსგავსად მთელს ქართულს ისტორიაში დედათაგანი არა-ვინ მოიხსენება, ასეთის მაღალის ღირსებით და გონიერე-ბით დიდი მაგალითია ბურდუხანი.

სხვათა შორის „ქართლის ცხოვრება“ ამ დედოფლის გა-რდაცვალების ჟამს ერისა და მეფე გიორგის გლოვნას ასე აღ-წერს: —„და მიიცუალა. დედა თამარისა, ოვსადითურო სიკეთე ადმ-ტებული, დედოფალი ბურდოხსნ; და თუ ვითარნი ვაჟანი და ტეე-ბანი იქმნეს, ჟამსა მას, შეესგავებულნი მოსაწყალისა მათისა, სიტ-ყვით კაოთქმა შეუძლებელსა და აღწერად შეუკადრებელ და საწუა-ნო მსმენელთათვის. ხოლო მეფესა, გეგეუოსა მეოთხესა, უთხრეს ეს ოდენნი ამბავნი ზარის სასტიკელსი, ამფხვრელმან თმათა და წკერთა-მან, აღისწრაფა ძეურა საუკარლისა თვისისა, ესე ვითარისა დედისა-

კან უსამშობლოდ ქმნილისა ტკბილისა, შვილისა თვისისა თამარისა. რომელსა ნათელ ცისკროვნება ჰაერისა მისისა სიმრუდე კარდაქტეო-და, ხოლო ნაკლულნი ცრემლთა მათთანი ურიოერთ არს ხვევნ:სა შინა. ოთხთავე თვალთაგან, სახედ ხამოთხისა, მდინარეთა, გეონი-საებრ მცენარეობდეს და ვეოარცა წესისაებრ ოგლოდეს ეოველთა ქარ-თველთა".

ბურდუხანი დიდი საძირკველი იყო ქართლში. მეფეთა ოჯახში ხშირად გადმოდიოდნენ ოსეთის წარჩინებულ ოჯახთა ქალები და ბურდოხანისაგან წგრა-კითხვას და ოქროთ-ქსოვა ქარგვას სწავლობდნენო. ბურდუხანი ყოველნაირ ცდას ხმა-რობდა, რომ ოსთა დედანი წერა-კითხვის მხრით დაეწინაურე-ბინა. ამიტომაც იგი ოსთა წარჩინებულთა ქალებს მრავლად ზრდიდა თვის ოჯახში, ოსების სწავლის საქმე მაშინ ქებული. იყო. ბურდუხანმა იზრუნა და ოსეთში, ერთს მონასტერში გახსნა დედათა მონასტერი, სადაც ხშირად თვითაც დაბრძან-დებოდა და მოწესე ოსთა მოლოზნებს თვით სწვრთნიდა წერა-კითხვასა და საღმრთო წერილში, ქართულად ნაკითხ წიგნებს დედათა-დედა ოსის დედათა მოლოზნებს ოსურად უხსნიდა. ამ სანატრელმა დედოფალმა, ოსთა მოლოზნები ისე გამოწურთნა, რომ მალე მათ ოსურად ზოგი რამ ლოცვების გალობანიც დააწყებინა, რომელ კეთილ საქმეში ქართლის კათალიკოზიც ეხმარებოდა დედოფალთა დედოფალს. (ძვ. ხელთ.).

ოსთა მოლოზნები სცხოვრებდნენ ბურდახან დედოფლის დახმარებით და იმ მამულების შესავლიდამ, რომელიც დედო-ფალმა მათ მიუბაძა საკუთრებათ. ამის სანაცვლოდ ოსთა მო-ლოზნები მგზავრობდნენ მთელს ოსეთში, დადიოდნენ თვით მიუვალს აღგილებშიაც და ოსთა დედათა შორის ავრცელებ-დნენ წერა-კითხვას, ოსურ ლოცვებს, გალობას, ჭრა-კერვას, ქსოვას და ქარგვას. ესენი მათ მთელს ოსეთის ქალებში საკმა-რისად განავრცეს. ბურდოხანის სიკვდილის შემდეგ ამ მონას-ტერს დიდს დახმარებას უწევდენ თამარ მეფე და მისი მამიდა რუსუდან დედოფალიც. თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ ამათ

დავით სოსლანიც ეხმარებოდა. XIII საუკუნის შემდეგ ეს დედათა მონასტერი დაქცეულ იქმნა, მერე მოლოზნებიც მოისპნენ, რადგანაც მათ მომხრე არავინ ჰყვანდათ.

როგორც სჩანს, XII საუკ. ოსთა მეფეთა მონათესავეთა რიცხვი საქართველოშიც კარგად გამრავლებულან ოსები საქართველოს დედა ქალაქ თფილისში ხშირად გადმოდიოდნენ, აქ სცხოვრებდენ, აქვე იძენდენ ქართველებთაგან ყველა იმ ცოდნისა და ცხოვრების წეს ჩვეულებას, რაც კი ბარის ხალხში არსებობდა და ეს ოსეთში, მთაში კი არ იყო. ამ გარემოებას მოჰყვა მრავლად ისიც, რომ ქართველთა და ოსთა მთავრებმა და დიდებულებმა ხშირად იწყეს ერთმანეთში ქალების გათხოვებ-გამოთხოვება ამას ოსის და ქართველთა მდაბიოებიც ხშირად და ადვილად მისდევდნენ, ოსის ქალები ქართველებზედ თხოვდებოდნენ, ასევე ოსები ირთავდენ ქართველთ ქალებს. ამას მათში ქრისტიანობა ჰქმნიდა. ოსეთში ქართველ ქალთა გათხოვების მაგალითი გახლავსთ შემდეგი:

რუსუდან დედოფლის გათხოვება ოსეთში, ოსეთის მეფის ერთს მონათესავეზედ, რომელიც ბაგრატიონთ გვარს ნათესავად არ მოხვდებოდა. რუსუდანი იყო გონიერი ადამიანი, ბურდოხანის სიკვდილის შემდეგ რუსუდანი უკვე ოსეთში იყო გათხოვილი, რადგანაც თამარის მამამ მეორე ცოლის შერთვა არ იკადრა, რადგანც ბურდოხანის მსგავს დედოფალს ვერ ვნახამო. ამიტომ ობოლ თამარს რუსუდან დედოფალი ზდიდა, ხან რუსუდანი სცხოვრებდა თემარ მეფესთან და ხან თამარი გადაჰყვებოდა ოსეთში და იქ ოსთა ოჯახში სწრთვნიდა თამარს.

რუსუდანი იყო გონიერი ადამიანი. აღმოსავლეთის ერთა პოლიტიკას იგი კარგად იცნობდა, ასევე იცოდა არაბული ენა, სპარსული, ბერძნული, ქართული კარგად და ოსურიც. ამას გარდა იყო მწიგნობარიც, მწიგნობრობას გარეშე იყო კარგი ხელსაქმის მცოდნე, ჭრა-კერვის, ქარგვის და სხვა ასე-

თების, რასაც ეს დედოფალი ოსეთის ქალებშიაც ავრცელებდა მრავლად. ამ ადამიანს მეტად დიდი გავლენა აქვნდა ოსეთზედ, ოსეთის ერზედ და ნამეტურ ოსთა მეფეთა და მთავრებთა ოჯახებზედაც, რადგანაც თვითაც წარჩინებუო ოჯახის რძალი იყო. ისტორიკ ვიცით, რომ ეს გონიერ ადამიანი უშვილო ყოფილა, ამის დროს თურმე ოსეთში სცხოვრებდა ერთი მთავარი გვარად ბაგრატიონი, რომელსაც შვილი ჰყვანდა პატარა დავითი, შემდეგ სოსლანი, ქმარი თამარ მეფისა.

ამ დავითის მამად ზოგნი ოსთა მეფე ბაყთარს ასახელებენ. ზოგნი ოსთა მეფე ჯანდეროზს ზოგნი სოსლანის ძეთ. ე. ი. მამა დავითის სოსო ყოფილა. სოსო სოლომონი. ამ დროს, ოსთა სამეფო კარის წინ ყოფილა ერთი სასწავლებელი, სადაც თურმე დავით სოსლანი სწავლობდა. დავითი ისე კარგად სწავლობდა, რომ მისი ქება ხალხშიაც გაისმოდა. ეს ამბავი შეიტყო რთსუდან დედოფალმა. ამან იშვილა დავითი, და ეს დედოფალი ზდიდა მას. მერე ხომ საქმე ისე მოეწყო; რომ ამ დედოფლის რჩევით თამარი დავითზედ გათხოვდა კიდეც. სამწუხაროდ, ხშირად ამ ადამიანის ცხოვრებას „ქართლის ცხოვრება“ ცუდათ ძეებდა ამიტომ აქ ამის შესახებ ვიტყვით ცნობას.

„ქართ. ცხ.“ ცნობით, რუსუდან დედოფალს იცნობენ მთელს აღმოსავლეთში, მას დიდს პატივს სცემენ. იგი არის სხვა და სხვა ენათა მცოდნე ამ რუსუდან დედოფალს თხოულობს შირვანის სულთან. რუსუდანს ამ სულთნისაგან შვილები ეძლევა. პირობის ძალით ამის შვილები ქრისტიანები არიან და თფილისში სცხოვრებენ. მერე სულთანი კვდება და რუსუდანი რჩება ქვრივად, ამას მოიხსენებენ „სულთანის ცოლ-ყოფილად და მასთან თამარ მეფის მამიდათაც. მაგრამ ეს ყალბი უნდა იყოს, რადგანაც თამარ მეფის მამიდა ოსეთშია გათხოვილი და იგი უშვილოდ არის ხსენებული და შირვანის სულთნის ცოლი რუსუდან კი შვილების გატრონი და მასთან ხშირად სამშვილდეში სცხოვრებს.

ეს ორი რუსუდანი ჩვენ სხვა და სხვა პირებად მიგვაჩნია, იქმნება მატიანე სახელებში სცდება. ან იქმნება რუსუდანი მერე მეორე ქმარზედ ოსეთში გათხოვილა და იქ უშვილო იყო. ამის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა. ამიტომ ისევ დავით სოსლანს ავნუსხავთ. დავითი რუსუდანს აღუზრდია თავის დროის კვალად. შეუსწავლებია ყველა იმ დროის სწავლა და განათლებანი, რასაც კი ასწავლიდნენ მაშინ მეფეთა შთამომავალი შვილებს. მატთიანეს თქმით დავით სოსლანი ყოფილა ნიჭიერი და ყველა სამასწავლებლო ცნებათა კარგი შემთვისებელი დავით სოსლანს საქართველოს ისტორიის მწერლები დიდის ქება დიდებით მოიხსენებენ. მათის სიტყვით იგი არის ოსთა მეფის ბაგრატიონის შვილი, მასთან კარგად მომზადებული, ნასწავლი, თავის დროის კვალად განათლებული. მას შესწავლილი აქვნდა ყოველივე ის, რითაც კი მაშინ ოსეთის ერი სუნთქავდა.

ოსებს ქართველებთან დიდი ნათესავური კავშირი აქვნდათ, ამათში ეს კავშირი XII საუკ. უფრო განცხოვლდა, ნამეტურ იმ დროს შემდეგ, რაც დიმიტრი მეფემ თავის შვილს გიორგი მესამეს, ოსთა მეფის ხუდანის ქალი შერთა. ამ გარემოებამ ქართველ და ოსნი ძრიელ დააკავშირა და დანათესავა. ბევრს ალაგას გვითქვამს და აქაც ვიტყვით, რომ ოსეთში რამდენიმე გვარის მეფენი უნდა ყოფილიყვნენ, გვარითაც იქნება ისეთნი, რომ ერთმანეთის ნათესავობაც არ აქვნდათ თორემ ის ნათესავობა შეუძლებელი იყო რომ მომხდარიყო ქართველთ და ოსთა მეფეთა ოჯახებთ შორის, რაც კი ხდებოდა XI—XII საუკუნეში.

მაგალითებრ ბაგრატ მეოთხე ირთავს ოსის მეფის ქალს ბორენას, ამის შემდეგ გადის დრო და გიორგი მესამე ირთავს. ოსეთის მეფის ქალს, ცოტა ხნის შემდეგ ახლა თამარ მეფე თხოვდება ოსეთის მეფის შვილს დავითზედ, ასევე რუსუდანი არის გათხოვილი ოსის სამეფოს ერთს ნათესავ მთავარზედ, ამათ გარდა სხვანიც უეკველია რომელთაც ისტორია

არ მოიხსენებს. ამიტომაც ასე უნდა ითქვას, თორემ ეს ხშირი გათხოვება და შერთვა მათში არ იქნებოდა. გიორგი მესამე დიდი მეგობარი იყო თავის სიმამრის ხუდონის. სიმამრისა მეუღლის ბურდოხანის ისეთი პატივისცემა აქვნდა, რომ პირველ ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მან მეორე ცოლი აღარ შეირთა. მას სამეფოდ მარტოდ თამარი ჰყვანდა, ერთი ასული.

ამიტომ თამარ მეფეს ისე სდიდა მისი მამა და მამიდა რუსუდანი, რომ მას ქვეყნის წინაშე მეფობა უნდა შესძლებოდა, ამ დროს, თამარი ხშირად სცხოვრებდა ოსეთში, თავის მამიდასთან. გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზედ დაჯდა თამარი. შემდეგ თამარ მეფედ წოდებული. თამარ მეფეს პატარაობიდამვე დიდათ უყვარდა ოსეთის ერი, ამიტომაც იგი ნახევარზედ მეტი ოსეთში სცხოვრებდა. იგი კარგად იცნობდა ოსებს და ოსეთს, რადგანაც მაშინ ოსები გამოჩენილნი ყოფილან მრავალ ნაირად და მასთან დიდათ მოსაწონნიც. მთელ საქართველოშიც კარგად იცოდნენ, რომ თამარ მეფეს დიდი, პატიოსანი შეხედულება აქვნდა ოსებზედ.

ჩვენი მატთიანე ამ დროის XI ანუ XII საუკუნის ნახევარ დროის ოსებს ასე ახასიათებს, რაც თამარ დედოფლისთვისაც ყოფილა დიდათ სახელოვანი.

ოსნი, XII საუკუნეში, არიან მტკიცე ქრისტიანები, მართლ-მადიდებლობაზედ მტკიცედ მდგარნი.

ოსები ღრიან ღირსეულ ხალხნი, ნათესავის გამტანი, მეგობრის მცნობნი, მტრის შემტყობნი, ყველასთან შესაფერის საქრისტიანობით კავშირის დამჭერნი.

ოსნი არიან მეამიტნი, არა შეკმარნი არა ცბიერნი და ნატყუარნი, ტყუილი ფიცი მათ სძულთ, დალატი, ბოროტება და სხვასაც ასეთებს, ოსნი ერთობ ეკრძალვიან.

ოსნი არიან მეზობელთა და ყოველთა მოყვარე, მასთან ჰეპურმარილენი, განურჩევლად, დიდნი თუ მცირენი, მდი-

დარნი თუ მცირებულნი მათში პურ მარილის დროს ერთნი-არიან.

ოსები არიან სახელმწიფოდ კარგი მეომარნი, კარგი მართველნი, ხელის შემმართებელნი. მათ იციან კარგად საომარი იარაღის ხმარება, ომი, ომში ერთ პირი, მეშურნეობა და ღალატი არა.

ოსებმა იციან კარგად ომის დროს ჯარის გაწყობა და მასთან აქვნდათ ყოველნაირი გამჭრიახობა ომიანობის მოწყობის გამო. რაც მათ კარგად ისწავლეს არაბთაგან.

იცოდნენ კარგად ციხე-კოშკების კეთება, ანუ აღშენება, ხიდების, ბოგირების და სხვაც ბევრი ასეთების, რაც კი მეომარ ხალხს ხშირად მოუნღებოდა

ოსებში იცოდნენ კარგად ეკკლესიების შენება, სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთების გამოყვანა.

ოსებმა იცოონენ კარგად მჭედლობა, ზეინკლობა, ფურგლობა, კალატოზობა, მეჭურჭლეობა, ფეიქრობა, ხარაზობა, თერძობა და სხვა.

ოსებმა იცოდნენ ოქრომჭედლობა, მასთან სხვა და სხვა იარაღის კარგად კეთება, ხლმის, ხანჯლის შუბების, ხიშტების, ჯაჭვის პერანგების, მუზარადების და სხვაც ასეთნი რაც კი მაშინ იხმარებოდა.

იცოდნენ კარგად ცხენზედ ჯდომა, ჯირითი, ბურთი, მოისპარეზობა, ლხინი, სიმღერა, თამაში და სხვანი.

იცოდნენ გოდები, ტირილი, გლოვნა, მწუხარებაში დიდი მონაწილეობ.ს მიღება, ჭირისუფალთ ვაების შემსუბუქება.

ოსნი იყვნენ მეურნენი, სოფლის მუშაკნი, ოსეთში მოდიოდა მრავლად პური, ქერი, ფეტვი და სხვანი. საკლავი მრავალი. რძე ბევრი, ერბო კარგი ყველი ქებული. ხილი მშვენიერი. ოსეთის ერი იყო ისეთი მეურნე, რაისა გამო ოსეთში ხალხს მოსავლი ყოველთვის სჭარბობდა.

ყოველივე ამაებთან ოსნი იყვნენ ბრძენ კაცთა პატივის მცემელნი, მღვთის მეტყველთა და მწიგნობართა, იცოდნენ

პატივისცემა უფროს კაცთა და მოხუცებულთა. მოხუცი პატივისცემის ნიშნები დღემდე არის მათში დაშთენილი.

ჩვენი მატიანე, აი ასეთის ღირსებით სახავს და ხატავს ოსეთის ერს იმ დროს, როცა თამარ მეფე მეფობდა საქართველოში, და დავით სოსლანიც სახელოვნებდა ოსეთში. ასე გადმოგვცემს ჩვენი მატთიანე, რაც აქ მოვიყვანე, ეს ყველაფერი იქ არის მოხსენებული. აქ ჩვენი ცნობის არაფერია მოყვანილი, რადგანაც ძველი მატიანის ცნობაც საკმარისია ოსეთის ერის შესახებ.

ზოგნი იტყვიან: ეს ოსების ქება არისო, ეს ოსების ლაქუცობა გახლავსთო. შეიძლება სთქვან, მაგრამ ამასთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, რადგანაც აქ მე ეს ცნობები ძველის მატიანიდამ მომყავს. მე არაფერს განხილვას და კრიტიკას არ უშვრები. ეს მკითხველმა იცოდეს და მათ იქონიონ ამის მსჯელობა.

ოსეთის ერი ასე სახელოვნებდა იმ დროს, როცა ბევრი თათბირის შემდეგ თამარ მეფე რუსეთის ანდრია ბოღოლუბსკის შვილზედ გათხოვდა. თამარ მეფე ამ პირველ ქრმის ხელში დიდხანს არ დარჩა; ქმარი გიორგი არა საკადრისი აღმოჩნდა. ამიტომ თამარ მეფე განქორწინებულ იქმნა. ამას დიდი ისტორია აქვს, მიზეზათ გიორგის გარყვნილებას ასახელებენ, ეს გარყვნილება არის სამეფოდ საზოგადო, ამ გარყვნილობაში იხრობიან ყველა მეფენი და მათი მხევალნი და ჭაბუკნიც. ეს მათი საკუთრება გახლავსთ.

პირველ ქრმის განქოწინების შემდეგ, თამარ მეფე სცხოვრებდა მშვილდათ და წყნარად, დროს ატარებდა უმეტეს ქვრივის მსგავსად. ასეთ გარემოებაში მყოფ თაბღრისთვის დაღონებულ იყვნენ ქართველნი და არ იცოდნენ თუ რა ექმნათ. ამ დროს, ოსეთში სახელოვნებდა, და განაგებდა ეფრემის ძედ წოდებული დავით სოსლანი, ოსეთის მეფის შთამომავალთაგანი, გვარადაც ბაგრატოვანი.

დავით სოსლანს, თამარ მეფეც კარგად იცნობდა ადრიდ-

განვე, მათ ერმანეთში მეგობრობაც აქვნდათ და იქმნება პატივისცემა და სიყვარულიც. მაგრამ აბა ერთმანერთს როგორ რას გაუბედავდენ, როგორც ნათესავნი და ერთი გვარის წევრნი. მაგრამ როცა მოხდა შემთხვევა და თამარი განშორდა პირველ ქმარს, მის შემდეგ კი, რაკი იგი ქვრივად დარჩა და ბოლოს რაკი მამიდის რუსუდანის რჩევით გათხოვება განიძრახა. მის შემდეგ კი საქმე სხვა ნაირად წავიდა.

გონიერმა მამიდამ, ოსეთში გათხოვილმა რუსუდანმა, თამარ მეფეს ქრმად თვისგან გაზრდილი დავითი დაუსახელა. ეს განცხადება მოეწონა მთელს ქართველობას, მასთან თანახმა იყო თვით თამარ მეფეც. ეს გარემოება დავით სოსლანმა წინადვე იცოდა თავის დედობილის რუსუდანისაგან. იგი თანახმა იყო თამარის შეუღლების. რამდენიმე ხნის განმავლობაში საქმე მოეწყო, გაიჩარხა, თამარი და დავითი პირის-პირ თანხმანი გახლდნენ შეუღლების. ამ საქმეს ხელს უწყობდა და მართავდა გონიერი რუსუდან დედოფალიც.

რამდენიმე ხნის განმავლობაში, საქმე გათავდა, მოეწყო, ყოველისფერი სამეფოდ გაირკვა. აქ ამ დროს, როგორც ქართველებისთვის, ისევე ოსთათვისაც აღარაფერი იყო ხამი და უცნობი. ერთნიცა და მეორენიც კარგად იცნობდენ როგორც თამარ მეფეს, ისევე დავით სოსლანს. ბევრი თათბირის შემდეგ გათავდა, დავით სოსლანი თფილისში უნდა გადმოსულიყო და თამარ მეფეზედ ჯვარი დაეწერა, მეფური ქორწილი უნდა გადაეხადნა.

ბევრის სამზადისის შემდეგ, დავით სოსლანი გამოემგზავრა თფილისში, თამარ მეფის სასახლეში, ჯვარის დასაწერად. მაშინ თფილისი ისე დიდი იყო, რომ მას ეკავა ვერა, თაწმინდა, კალა, სოლოლაკი, გარეთ-უბანი, სიოდობდი, ორთაჭალა, ნათლუხი, შავ-სოფელი, ავლაბარი, ჩულურეთი, კუკია, დიდუბე და სხვა ადგილებიც. ქალაქი ისე დიდი იყო და გაშლილი, რომ მთელი ეს მიდამოები მცხოვრებთ ეკავად. თამარ

მეფის სასახლე დიდუბეში გახლდათ, სადაც მის კარის ეკლესიაში მათი ქორწინებაც მოხდა.

დავით სოსლანი ოსეთიდამ ქართლში დიდის სამზადისით წამოვიდა, დიდის სამეფოს დიდებით, დავითმა ოსეთიდამ თან წამოიყვანა ყველა ხელოსანთა ამალა. იგინი ამშვენებდენ დავითს, იგინივე ამაღლებდენ ოსთა ერის ღირსებას და ცოდნას მთელ საქართველოს ერის წინაშე. ამის შემდეგ ოსნი საქართველოში გახდნენ გამოჩენილნი და პატივცემულნი.

დავითის თფილისში გადმოსვლასა და სარწმუნოებაზედ არის შემდეგი ზეპირ ამბები, რასაც მოვიყვანთ აქვე: დავით სოსლანის თამართან შეუღლების შემდეგ, თფილისი გაივსო ოსთა დიდებულთა რიცხვით, ოსთა მუშებით, ხელოსნებით და ვაჭრებით. ვაჭრებმა ოსეთიდამ იწყეს სხვა და სხვა საქონლის შემოტანა, ვაჭრობა, ოსთა ასეთ ხელოსანთა და ვაჭართა ამალამ დავით სოსლანი დიდათ ასახელეს მთელის ქართველობის წინაშე.

მეტად უცხო სანახავი ყოფილან დავით სოსლანის ოსთა მეჩანგენი, მგოსანნი, მოშაირენი, მოთამაშენი, მოსპაროზენი, მეჯირით-მებურთენი და სხვაც ამ გვარნი, რასაც მაშინ თურმე ოსებში და ნამეტურ ოსთა დიდებულთ შორის კარგად ყოფილა გაჩაღებული. ქებით ამკობენ ოსთა სასიმღერო კილოთიც და XII საუკ. ოსებშიაც თურმე სახალხოთ სიმღერებს ისე იტყოდნენ და იმღერდნენ, როგორც ეს მაშინ ქართველებს სცოდნიათ. დავით სოსლანს მომღერალთა გუნდიც თურმე სანაქებო ხმოვან მომღერალთა კაცთაგან შესდგებოდა თურმე.

ერთის სიტყვით, დავით სოსლანმა თამარ მეფის და მთელი ქართველების წინაშე ბაგრატიონთ გვარის შესანიშნავი ღირსება გამოაჩინა. საკადრისი და შესაფერი ორივ მნათობთა ბაგრატიონთ გვარისაო. ასე ამკობენ ძველნი მეჩანგენი მემუტრიბენი, მგოსანნი, მეჩანგენი და მოშაირენიც. ამ გვარსავე ამათ შესამკობელ სიტყვებს „ქართ. ცხოვრ.“ ვხედავთ დავით

სოსლანის ქორწინების წინედ მოსულა თფილისში, ამიტომ ქორწილის სამზადისში ოსებიც, ანუ დავითის ამალაც იღებდა მონაწილეობას ქორწინების სამზადისში და რიგს აწყობდნენ ქორწილში ოსთა დიდებულთა დამცირებულთა შესანიშნავად და ზრდილობიანათ შეასრულეს საქორწინო ვალი. ამათაც დიდი ყურადღება მიიპყრეს მათ ქართველთაგან.

ნამეტურ კარგი სანახავობა ყოფილა ოსეთიდამ დავით სოსლანის ნათესავთა და მათ დიდებულთა ოჯახიდამ ოსის ქალების გუნდი, რომელნიც ოსეთში რუსუდან დედოფალმა დაპატიჟა და თვითვე გადმოიყვანა ეს ქალები თბილისში. ოსის ქალები იყვნენ შესანიშნავათ მორთულნი, მოკაზაულნი სულ ძვირფასად ნაკერ ნაქსოვ ტანთ საცმელში, რომელთა ხილვაც თურმე სანაქებო იყო მათვე, ოსის დიდებულთა ოსის ქალებმა თამარ მეფეს მოართვეს ძღვნად კარგაღ და ძვირფასად ნაკერი სამეფო ტანთ საცმელი, რომელ ტანთ საცმელის ხელოვნებით გატაცელებულნი იყვნენ მნახველნი. ყველა ამაებმა ოსეთის ერის ცხოვრებას კარგი სახე, კარგი ცნობიერება მისცეს, მთელმა ქართველობამ გაიცნა კარგად ის ღირსება, რომ ოსებსაც ჰქონიად კარგი ცხოვრების წესებიო. თორემ მინამდის ქართველნი ოსებს მარტო ქალების თხოვნით იცნობდენ. სხვა რამ ასეთ ღირსებათა შესახებ წარმოდგენაც არ აქვნდათ, რადგანაც ოსებს ერთის მხრით ოსეთის ადგილ მდებარეობათა პირობების გამო ცხოვრების კარი თითქმის დაკეტილი აქვნდათ. აქამდის ქართველებში ბევრნი იტყოდნენ, რომ ოსის ქალებს ქართველ მეფენი და ბატონიშვილები სილამაზისთვის ირთავენო. ახლა კი საერთოდ დარწმუნდნენ მასზედ, რომ ოსებს სილამაზესთან სხვაც ბევრი რამ ღირსებაც ჰქონიად და სწორედ ეს სანაქებო ღირსებაც გახდა მის მაგალითად, რომ ახლა ჩვენი თამარ მეფე მითხოვდა ოსის მეფე პატიოსან დავით სოსლანსაო. ხალხი იტყოდა, თურმე: ალბათ ესენი განგებამაც შეჰყარა ერთადაო.

თამარ მეფის და დავით სოსლანის ქორწილი (მ. ჯანა-

შვილით 1192 წ.) დიდის დიდებით შესრულებულა თფილისში.. სახალხო გარდმოცემა ამბობს, რომ საქორწილოდ ასი ძროხა დაუკლავთ და ორასი ნიშა ხარი. ასე იტყვიან ლექსად.

„ასი სული ძროხა დაკლა
და ორასი ნიშა ხარი“.

საქორწილოდ დავით სოსლანსაც დიდი ძალი სანოვაგე მოჰყოლია: ძროხა, ცხვარი, ტყის ნადირ საკლავნი, ყველი და სხვაც ბევრი რამ, რასაც თურმე ოსებს წერილი სულ უყრმებით უზიდავდნენ ოსეთიდამ. ოსეთიდამ ქორწინების შემდეგ, დავითმა თანხლებელთაგანის ბევრნი აღარ გაუშვა ოსეთში და თფილისში დაიტოვა. ამათ გარდა შემდეგ სხვა ოსნიც მოიმატა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ოსთა გადმოსვლას არა მარტო თფილისში, არამედ მთელ საქართველოში, რადგანც ოსებს აქ ეგულებოდათ მეფედ თვის მფარველი ოსი დავით სოსლანი. მართლაც დავით სოსლანი ოსეთის ერს ასეთ გადასვლა გადმოსვლაში კაი მფარველობას უწევდა. ამიტომაც მაშინდელი თფილისი გაივსო ოსების ხელოსნებით და ვაჭრებით, რაც მაშინ ოსეთში აყვავებული იყო. შემდეგ საუკუნოებამ კი სამწუხაროდ, ოსეთში, ჯერ მონგოლების შემოსევამ, მერე სპარსთა გალაშქრებამ და ხშირად ლეკების თავ დასხმამ ოსებში დაამხო ოსთა ხელოსნობა და ვაჭრობაც. ამათ გარდა დაამხო და მოსპო თვით მეურნეობაც.

რადგანც ოსთა ერის შესახებ ბევრი რამ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, ამიტომ აქ ვიხმაროდ ზეპირ ცნობებიც. ქართველებში დარჩენილია ასეთი გარდმოცემა: თამარ მეფემ გასცა წყალობა მთელ საქართველოში ღარიბებზედ, ქვრივს ობლებზედ, უსინათლო და დავრდომილებზედ. უქონელნი მან აღავსოვო. ასევე დავით სოსლანს გაუცია დიდი წყალობა ოსთა ღარიბ-ღატაკებზედ, სნეულ-დავრდომილებზედ დი ობოლებსა და ღარიბ ქვრივ-ოხრებზედ. ოსეთის ღარიბ-ღატაკ მო-

ნანიც დავითს აღუვსია თვისის ᲩᲝწყალებით. ასეთია სახალხო გარდაოცემა, ამას ᲪᲝტათი ქართული მატიანეც ახასიათებს ასე.

„დავითის შეუღლება თამართან იყო ოსთითვის დიდი სახელოვნება. ამ გხრემოებამ ოსეთის ერის ცხოვრებიდამ ბევრი რამ გამოაქვეყნა და ერთი ასეთია ოსთა მდედრობით სქესის სიმარᲯვე, მხნეობა, მამაკაცებთან გათანასწორებით მოქმედება როგორც მოვლად სამეურნეო საქმეში, Ყანაში, მკაში, საქონლის მოვლაში, ისევე ოᲯახში, ისევე თუ გაᲨირება იქნებოდა ომშიაც. ომში თურმე სახელოვნად იᲪოდნენ ოსის ქალებმა მონაწილეობის მიღება. მათი ომიანობის შნოება ქართველებმა სულ არ იᲪოდნენ. მაგრამ დავითის დასიძავებამ ესეც გამოაჩინა ოსთა ქალების. როცა დავით სოსლანმა ტურქების წინააღმდეგ ᲧარსᲬედ გაილაშქრა და ამ ქალაქიდამ განდევნა იგი და გაანთავისუფლა თურმე, მაშინ დავით სოსლანთან ომში ოსეთის Ჯარიც იღებდა მონაწილეობას, რომელ Ჯარს თურმე წინ ოსეთიდამ მოსული ოსთა მეფე წინამძღვრობდა.

ოსთა Ჯარში მრავლად რეულან თურმე ოსთა მეომარნი ქალებიც, ვაჟკაᲪურად საომარს ტანთ საᲪმელში გამოწყობილნი და მორთულნი ესენი თავიანთ ნებით წამოსულან ომში დავით სოსლანის პატივ-საᲪემად და სადიდებლად ასე მოწმობს ხალხური ამბები. ეხლა ჩვენ კიდევ მივმართავთ თამარის ქორწინების საქმეს, რაც კი ისტორიულად არის დასაბუთებული, ეს გარემოება ხსნის იმ უხერხულობას, თუ თამარ მეფე რა გარემოებით გათხოვდა რუს გიორგიზედ და ან მაშინ ოსთა დიდებულნი რა გვარ მონაწილეობას იღებდენ ამ გარემოებაში. ჩვენ ეს საქმე ისეთ მაგალითად მიგვაᲩნია თამარ მეფის ცხოვრებაში, რაისა გამო ახლა აქ კიდევ უნდა მივმართოთ „ქართ. ცხოვ.“ Ცნობებს.

გიორგი III სიკვდილის შემდეგ გამეფდა თამარი. ამის მეფობის დროსაც, ოსებს დიდი მისვლა-მოსვლა აქვნდათ ქართველებთან და ნათესავობა. როცა თამარს პირველი საქრმო

უშოვნეს რუსი გიორგი ბოლოდუბისძე, მაშინ ოსთა მთავრის შვილებმა ეს გარემოება ვერ დაითმინეს, ეწყინად, მათში რამდენიმე შესაფერი ვაჟკაცნი შეიკრიბნენ და თფილისში ესახლნენ ქართველთა და მოახსენეს, რომ თამარ მეფე ნუ გათხოვდება სხვაზეო, ჩვენთაგანი რომელიც მოეწონოს ის ამოირჩიოს და შეირთოსო. ესეთი რჩევა ვერ მოეწყო და არჩიეს დიდის რუსეთის მთავრის შვილის შერთვა, რათა ქართველთ ჰქონიყოთ ერთობა რუსებთან. ხოლო მოტყუვდენ ამაში, გიორგი არ აღმოჩნდა ფარსაგი და სამეფოს ნიჭის მქონი. ოსეთიდგან მოსულთ მშვენიერთ ვაჟკაცთ ჯავრი მოუვიდათ და უკმაყოფილნი დაბრუნდნენ ოსეთისკენ. ერთს ოსის მთავრის ჭაბუკთაგანს თამარის დიდი სიყვარულიც ჰქონიყო, ამას სწყენდა უფრო რე და გზათ მიმავალს სევდა ისე განუცხოვლდა რომ თურმე გზაში დაიბნედა და ნიქოზთან ახლოს გარდაიცვალა საბრალო, ეს მსხვერპლი ხიყვარულისა, ნიქოზის ტაძარში დაფლეს რომელიც დაასაფლავა ნიქოზელმა. ასე მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“.

ოამარის პირველ ქრმის განქორწინების შემდეგ, ქართველთ ერი დიდს შეჭირვებაში ჩავარდა, რადგანაც თამარ მეფე უძეო იყო და ესეთი გარემოება ერს დიდათ ადარდებდა. შეიკრიბა მთელის საქართველოს ერი ითათბირეს თამარის გათხოვების და საქრმოს მოთხოვებაზედ. ბევრის თათბირის შემდეგ აირჩიეს თამარის საქრმოდ, ოსთა მეფის შვილი დავითი. რომელიც გვარად ბაგრატოვანი ყოფილა და რომლის მამათ მთავრათ ითვლება დემეტრე მეფე.

რუსუდან დედოფლის მონაწილეობით და შუამდგომლობით მალე მოხერხდა დავით სოსლანი და თამარ მეფე დიდუბეში აქორწინეს. დავით სოსლანს „ქართლის ცხოვრება“ აი როგორ ასწერს:—„იყო სახლსა შინა რუსუდან დედოფლისსა ძოუმე ეფრემისა ძეთაგან, რომელი არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ესე ვინა ვინადგან დედოფალსა რუსუდანსა თვის ეუოდა მამიდისა მისისა დავითის ასულისა, ოსეთს გათხოვი-

ლობისა მიზეზითა, რამეთუ ოვსთა მეფისა შვილი იყო ურმა იგი და გვარადაც ბაგრატოვანი, რაშეთუ დიმიტრიდ, ძე გიორგი მეფისა, რომელი დაშთა ოვსთა მეფისა ქალისაგან, მის დიმიტრის მეექვსე ნათესავი იყო, ძეთაგან მისთა, და რუსუდან უშვილო იყო და იგი მოეუვანა ადასზრდელად სახლსა შინა თვისსა ურმად, ფრიად შვენიერი, ვითარცა შვენის მეფეთა შვილთა და იხილეს მუნ მიმავალი, რამეთუ მოუმე იყო ნაკვლად კარგი, ბეჯ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი და ორთავე კერძთა გვართაგან სახელმწიფო. სხვითა კვლა ზრდილობითა კეთილად ზრდილი და წვრთილი. მხნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდოსნობითა უსწორო შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა; ამისი ინებეს ყოველთა შეეერთება თამარისა და საქმე ტმერთსა მიანდეს, ჭკადრეს და მოახსენეს დედოფალსა რუსუდანს მკვიდრთა ამას საქმეოსათა, იგი განაღამცა ნების დამრთველი, ვაზირთა და დიდებულთა თანა შეწევნითა მოხსენებულნი, მოჰკვეს ექმნეს თამარს და უტყოდეს:— „შკეთუმცა არა იყო ზენა, განგება ამისა მოქმედებასა შინა ჭეშდავს შარვანდედობა თქვენი თუ ვეკუთნი და რაოდენნი რაოდენ გზის მოუმენი მშვენიერნი და დიდებულნი შვილნი ხელმწიფეთანი, ბერძენთა და რომთანი, სულთანთა და მკვიდრთანი, სპარსთა და ოვსთა, მცდელნი ნამართალთაებრ, უკუნ არდვიგნა ბრძანებამან მღვთისამან, რამეთუ თვინიერ ნებისა მისისა ვერა რაჲ კრულ იქმნების“.

თამარმა პირველად იუარა, მაგრამ მერე თავის მამიდის რუსუდანის ხათრით შეისმინა ერის მუდარება და ნება განაცხადა დავიოზედ ქორწინების. მალე მოიყვანეს დავითი თფილისში ოსეთიდგან და დიდებულ აქორწინეს ქორწილის საქმეებს და საერთოდ მთელს სამეფოს. ამ ლროს რუსუდან დედოფალი განაგებდა. ამის გამგეობას „ქართლის ცხოვრებასა-დის დიდებით აღწერს დავით სოსლანის ნიჭიერებას და ცოდნასაც ასე გადმოგვცემს:—„ესე დავითი წელიწადსა მოქცევამდე ესრედ წაემჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მკვირცხლსა და მოსპარეზსა, მწიგნობართა ყოველთა ნასწავლთა, ხელთა სიკეთიცა ვითა დღეს სჩანს, რაშელ შინათ ვინ ეოფილა ამისი მსს-

წავლეჯი და ოანამოსწავლე და თუ გარეთთა ქვეყანათა მოსრულა, ვერა სადა გამოჩენილა მისებრი».

აქ ჩვენ ესეთი ქება ცოტა მოვიყვანეთ, მაქებარი გატაცებულია დავითის ზე აღმატებულებით. ყოველივე ეს კიდევ ნიშანია. ოსეთის ერის სიბრძნე, გონიერების და დროის შესაფერად ყველა სამწიგნობრო სამეცნიერო და სამამაცო საქმეთა ცოდნის. დავით სოსლანის ქორწინებამ თამარზედ მტკიცე გზა მისცა ოსებში როგორც ქვეყნის სამეფოს სიმაგრის საქმეს, ისევე ხალხში წერა კითხვის და განვითარების შეტანას. დავითი და თამარი ოსეთში ხშირად მგზავსობდნენ. ამ გარემოებამ თამარ მეფე ოსებს საერთოდ შეაყვარა, თამარ მეფემ დავით სოსლანისაგან თამარმა ოსური ენაც მალე ისწავლა. თამარ მეფის სახელს ოსებში ისიც ავრცელებდა, რადგანც მგზავრობის დროს, სოფლებში ეკკლესიებს შინჯავდა, შეწირულებას აძლევდა, ეკკლესიების გვერდით სასწავლებლებსაც ახსნევინებდა; ზანვე დავით აღმაშენებლის მსგავსად ოსეთში რამდენიმე ქსენონიც გახსნა. ისტორიულად ცნობილია, რომ თამარ მეფის ქორწინების შემდეგ, დავით სოსლანი და თამარი იწოდებიან ოსეთის მეფეებათაც.

ამიტომაც არის ამათ შესახებ ოსებში აუარებელი ზეპირამბები და ლეგენდები გავრცელებული, თამარ მეფე დავით სოსლანთან მშვიდათ და კარგად სცხოვრებდა. ყოველ სასიკეთო მხარესთან ღავით სოსლანი მწიგნობარიც გახლდათ. ესენი როგორც ქართველ ერს პატრონებდნენ ისევე ოსებს, ამიტომ თამარ მეფემ ოსეთში ისე გაითქვა სახელი მთელმა ოსეთმა იგი ისე შეიყვარეს, რომ ოსეთში სახლი არ იქნებოდა სადმე რომ იქ თამარ მეშის შესახებ ქება-დიდებით ლაპარაკი არა ჰქონოდესთ. ამიტომაც არის, მთელს ოსეთში თამარ მეფის შესახებ შოფენილი. (ლეგენდები ნახეთ ამაზედ ვასილ თედეშვილისაგან შეკრებილი ძველებური ამბები ზადმოცემები და ლეგენდები).

თამარ მეფემ ოსეთში ბევრს ალაგას განაახლა ძველი ტაძ-

რებით, ბევრს ალაგას აღაგო ახალი ეკკლესიები. ამას გარდა გააშენა ოსეთში სასულიერო სკოლები. ბევრს ალაგას გაიყვანა არხები. წყაროები, რუები და სხვა ამგვარნი. ობოლთა და უპატრონოთა მიუჩინა მზრუნველნი და პატრონნი.

ოსნი თამარზედ არა ნაკლების პატივისცემით და დიდებით მოიხსენებენ დავით სოსლანს. (ნახეთ ამაზედ წიგნი თამარ მეფეზედ ოსური ამბები და ლეგენდები დავით სოსლანზედ შეკრებილი ვასილ თედეშვილიდგან). ომის შესახებაც ოსებში ბევრი რამ ძველებური ამბებია დარჩენილი, ლეგენდები, თქმულებანი, გარდმოცემანი, ამათ შესახებ ოსების ძველებურის ამბებიდამ მთელი წიგნი დაიწერება. ლექსები და სხვანი კარგად სჩანს ისიც, რომ ოსებს თუმცა ამათ დროს თავიანთ მეფეც ჰყოლიად, მაგრამ ამათიც დიდი პატივისცემა ჰქონიად ოსებს, რადგანაც თამარი და დავითი ოსთა მეფეთა თანხმობით აკეთებდენ ყველაფერს. ამას გარდა უმეტეს ნაწილსაც თამარი და დავითი ოსთა მეფის ოჯახში სცხოვრებდენ ოსეთში ყოფნის დროს.

შემდეგი დროის თამარის და დავითის ცხოვრება არის ჩვეულებრივი, ისე, როგორც სცხოვრებენ მეფენი, დავით სოსლანისაგან თამარს მიეცა ორი შვილი; ვაჟი, ლაშა-გიორგი სახელი „ლაშა“ აფხაზურ ენაზედ „მშვენებას“ ნიშნავს, მეორე ასული, რუსუდანი ამ შვილების შემდეგ თამარ მეფემ მიმართა დავით სოსლანს შემდეგის სიტყვით:—„რაც საკრო იყო ტახტისა და ოჯახისათვის, ეს ის მოვეც. ამიტომ ვითხოვ რომ, დღეიდან სარეცელი ჩემი უნდა იქმნეს ხელ შეუხებელი“. დავითი თანახმა გახდა, რადგანაც თამარ მეფეს ამაზედ მასთან გარკვევით წინედ აქვნდა საუბარი, იგინი გაზავდნენ მეგობრულის განშორებით, უცნობი წიგნიც ასე მოკვითხრობს. თამარი მოლოზნობას აპირებდაო. რაისა გამო დავით სასლანს ნება მიეცემოდა სხვა ცოდის შერთვისო. მაგრამ დავითმა ეს არ ინდომა, რადგანაც იგიც თავმომწონე, გმირი კაცი იყო სიტყვის შემნახავიო.

დავითი განშორდა თამარს, შვილები ლაშა და რუსუდანი თამართან დარჩნენ. დავითი ოსებში მიეცა ცხოვრებას, ხან-

დისხან ომებშიაც იღებდა მონაწილეობას, ეს ჯერეთ ცოლთ მოშორებული არ იყო, რომ თავის ძლიერი ჯარით ყარს მიადგა და ოსმალთაგან დაიბრუნა. ნუქარდინი ამან დაამარცხა, ჯარში მრაველად ოსებიც ჰყვანდა. ამას იაკობ გოგებაშვილიც ასაბუთებს. დავით სოსლანმა თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ, სხვა ცოლი არ შეირთა. დავითი გარდაიცვალა 1230 წ. დასაფლავებულია ნიქოზს.

დავით სოსლანმა ოსეთში ცხოვრების დროს, ოსთა ძეთათვის გახსნა კარგი სასწავლებელი, ოსთა მეფეთა და მთავრის შვილებს თვითაც კი ასწავლიდა წერა-კითხვას და სხვა და სხვა სწავლა-განათლებას. ამას გამოუზრდია თვისი ძმის წულები ზურაბი და ყავდინა. დავითის ცნობას და გვარს ბროკგაუზის ენციკლოპედიერი ლექსიკონიც ასახელებს, რომ დავით-სოსლანი იყო ძე ჯანდეროზ ბაგრატიონისაო. ოსებიც ასევე ასახელებენ ჯანდეროზს. ამას დიდი ოჯახი ჰქონია. ძმები და ძმის წულები, ბაგრატიონები. ესენი XIII საუკ. გასულს თითქმის სულ გაწყვეტილან მონგოლთ ბრძოლაში. ხელთნაწერი წიგნიც ასე ამბობს: — ოსთა მეფენი და მათი ძენი ამოწყდნენ მონგოლთა ბრძოლაში, რაც მოხდა რუსუდანის დავითის ძის მეფობაშიო. (II ტ. ენციკ. ლექთი ასო ბ.).

„ქართ. ცხოვრ.“ დავით სოსლანს ოსეთის მეფეთა ძედ ასახელებს, ამიტომ შეიძლება, ზოგმა სთქვას რომ ოსეთის მეფის ხუდანის ქალი ბურდოხანი გიორგი მესამის შვილი იყოვო და ამავ ქალის შვილს თამარს ოსეთისავე მეფის ძე დავითს ირთავსო. ეს შეუძლებელი იქნებოდაო. ამას ჩვენც ვეთანხმმბით ხოლო ვიტყვით შემდეგსაც.

ხუდანი ოსთა მეფე უნდა იყოს რომელიც მეფობდა ოსეთის დასავლეთ ნაწილში, ანუ კავკავის იქითა მხრის ოსებში, რომელსაც თავის ძატახტო ქალაქიც აქვნდა, ჰყვანდა ჯარი და ფულსაც სჭრიდა ეს ხუდანი უნდა იყოს მომდინარე ოსთა მეფის დურღულის და ურდოორესი. ოსეთის საერთო მეფედ ეს უნდა ყოფილიყოს. როგორც საქართველოში ქართლის მეფე იწოდებოდა მეფედ და კაცთა და იმერთა კი ბატონიშვი-

ლებად, ოსეთშიაც ასევე უნდა ყოფილიყოს. ერთი იყო მეფე დანარჩენი ოსთა ბატონიშვილები.

დავით სოსლანის სახელი და შთამომავალთ რიცხვი კი XIII საუკუნის გასვლამდის სჩანს, ეს ანგარიში გამოვა მხოლოდ ნიშინ, თუ დავით სოსლანის შვილს ლაშა გიორგის ოსათ ვახსენებთ, რადგანაც იგი ოსის შვილი იყო, ასევე ამის შვილი დავითიც თუ ოსად მივიღეთ, მაშინ ამათ რიცხვი XIII საუკ. ნახევარს აქეთ გამოსჩნდება რადგანც დავით სოსლანის შვილის შვილი დავითი. 1269 წ. კვდება.

თამარ მეფის და დავით სოსლანის შვილების შესახებ აქ ვიტყვით ცოტა ცნობას: ნათქვამია სახალხოდ, რომ კარგ დედმამას კაი შვილები არ გამოუვლენო. სამწუხაროდ თამარსა და გიორგის არ გამოუვიდათ კარგი შვილები „ქართ. ცხოვრ.“ ლაშა გიორგის ასე ასწერს:

„ლაშა გიორგი იყო ტანით ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადირობაზედ შინა მოსწრაფე, ლაღით და თვით ბუნება. უმეტეს განლაღებულ იქმნა. ხოლო ვითარ განისვენებდა ნადირობათა და სიხარულთა, მიდრკა სიბოროტესმდი. და სმასმდა და სვასმდა და აღსდგეს სიმღერად. შეიყვარა თანა მოასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოითა თანა ადრეეთ. ოდესმე მსმელი ფრიადისა დვინისა ტფილისს მეოფი, წარიყვანეს რაინდთა თანა, რათა განიდონ სიბილწე თვისი და სხვაც ასეთნი. ეს გახლავსთ მშვენება მშვენება ვაჟი თამარ მეფის და დავით სოსლანის. ვნახოთ ახლა ამათ ასული, რუსუდანიც, რომელსაც მარტოდ მამის დის სახელი — რუსუდანი ერქვა. ამაზედ აი რას გვამცნევს „ქართ. ცხოვრ.“ „რუსუდან დედოფალი, რამეთუ ჩვეულებათა წესსა ძმისა თვისისა ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა, იწყო უძღება და განცხრომა და სხვანი. აქ მეტს აღარას ვიტყვით. ეს რუსუდანი გათხოვდა ორტულიშვილზედ, ზოგნი ამ ორტულიშვილს ოსად ასახელებენ. ზოგნი მესხათ, რადგანც ამ სახელის ორტელი სოფელი არის მესხეთის ფოცხოვის ხეობაში.

იქმნება მკითხველმა სთქვას, რომ ალბათ თამარი და დავითიც ასეთნი იყვნენო. რაც დედ-მამა ის შვილებიო. ანუ როგორც იტყვიან: — „დედა ნახე, მამა ნახე შვილიც ისე გამონახეო“ — აქ მეორე გადმოცემასაც მოვიყვანთ რასაც ხალხი ამბობს: „ერთის ხიდამ ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო“. თვით ჩვენს დროშიაც იყო, არის და იქნება მაგალითები: რამდენ რიგიან დედ-მამას ისეთი შვილები გამოუვიდნენ, რომ მათმა შვილებმა აყვავებული ოჯახები დანთქეს და შეჭამეს, რამდენ უხეირო დედ მამას კაი შვილები გამოუვიდნენ, ეს გარემოებაც უნდა ვიქონიოდ სახეში მაშინ როცა თამარსა და დავითზედ ვიფიქრებთ რამეს.

ამათ გაერაგებას ჯერ ხელი შეუწყო მონგოლების მოლოდინმა, მათმა შიშმა, მერე მათ შემოსევამ და მასთან სხვა მტრების და ჯალალ ედინის მოსვლამაც. თამამად ვიტყვით, რომ ლაშა და რუსუდანის ასე დავრდომას რამდენათაც შინაურ პირობებს აქვს მხიშვნელობა, იმათზედ მეტად მონგოლებს, ჯალალ-ედინს და ასეთ სხვა დაგეშილ მტრებს ყოველი უბედურება ქართველთა და ოსთა მაშინ უფრო აზვავდა, როცა ჩვენ გარეშე მძლავრი მტერნი მოგვევლინენ. ჩვენს წახდენას რამდენათაც შინაური პირობები ბოდავდა, იმაზედ მეტად გარეშე მტერი უფრო აზვავებდენ მათ. ყოველ ჩვენს ბოროტებასა და უხეირობასთან, ოსთა და ქართველთ შორის, ჯერ მონგოლებმა და მერე სპარსებმა XIII საუკუნის ბოლოდამ, საშინელი მტრობა დანერგეს, ოსები ქართველებს შეაძულეს, ისევე ოსებს ქართველები, ეს ორი ნათესავი და მეზობელი ერთ ერთმანეთს წაჰკიდეს, ამავ დროს, ჩვენს ბედზედ ოსთა და ქართველთ შორის იყვნენ თითო ოროლა ისეთი პირნიც, რომელნიც ამ გარემოებას კარგად გრძნობდნენ.

გარეშე მტერთა ძალამ, ოსეთზედ ისეთი ბოროტება იხმარეს. რაისა გამო XIII საუკ. ბოლოს 1305 წლამდე, ოსეთ შეფის ოჯახი თითქმის სულ გაწყვიტეს გარდა პატარების, ხელთნაწერი წიგნი ამბობს: გადარჩა მარტოდ აფხაზი და და-

ვითი, რომელთა აღზრდასაც სამარყანდელნი თათრულად ფიქ-
რობდენო. ამას გარდა XIII საუკ. ამისავე სიტყვით, ოსეთი
დაეცა ძრიელ, ხალხი გალატაკდა, მოსავალს ხან მონგოლები
სტაცავდენ, ხან სამარყანდელნი, ხან სპარსელნი. მთელის
ოსეთის ერისათვის XIII საუკ. ბოლო არის უძლურების და
გალატაკების ხანა, საქმე ისე ცუდათ წავიდა, რომ მთელს
ოსეთში სახლებიც კი აღარ დარჩა მთლად, მტერი რომ ოსე-
ბის მორევით ვერას ხდებოდა, მერე სახლებსაც უნგრევ-უქ-
ცევდა, ყანას, ბაღს, ბოსტანს და სხვა და სხვა სანოვაგეთა
და საქონლებთა ქარხნებსაც უმუსრავდა, ნაბეტურ საფეიქ-
როებს.

ამით XIII საუკ. ბოლოს ოსეთის ერი ისე დაეცა, რომ
არსად საფეიქრო არ დარჩა, აღარსად სხვა რამ ასეთ ქარხნები,
ხალხი გატიტვლდა, დაეცა თითქმის ყველა ხელობანი ოსეთის
ერისა, ოსები გახდნენ მარტოდ მხვნელ-მთესველნი და დანარ-
ჩენი დრო და მეცადინეობა ამათი იარაგებოდა და ფუჭდებოდა
ცხადსა თუ ჩუმს ბრძოლაზედ. დიდი უძლური ხანა დადგა ოსე-
თის ერისთვის. მათ აღარც მშველელი ჰყვანდათ და აღარც
წინამძღოლი. ქართველებსაც ძრიელ სჭირდათ, ამიტომ ოსთა
შველა შეეძლოთ, ასეთი გარემოება ბევრის ოსისთვის იყო
გულსაწვავი, რადგანც ეგინი თავიანთ თვალით მზერდენ
თვის სამშობლოს განადგურებას, ამაზედ მტერსაც ემდურე-
ბოდნენ ეგინი.

მტერმაც იცოდა ესეთი უკმაყოფილება ოსეთისა და ამი-
ტომაც მათ 1303 წ. ოსთა მეფეთა და წარჩინებულ გვარის
კაცთა მოსპობა, ასეთ პირთა მოსპობისათანავე სპობდენ თან
ოსების ყოველივეს სოფლებს, დაბებს, ქალაქებს და ყოველი-
ვეს რაც კი მოხვდებოდათ და ნახავდენ, ოსთაგან ყოველთვეს
ჯერეთ წართმევა უხდებოდა, წინააღდეგ შემთხვევაში შემუს-
ვრა, მოკვლა. მოტაცვა, დაწვა და სხვა ამ გვარები, ასეთი
რისხვის მიყენებას ოსები თითქმის მიეჩვევნენ XIII საუკ. ნა-
ხევრიდამ, როცა ოსებს ჯალალ-ედინი და ჩინგის ყაენი დაეც-

ნენ და აიკლეს. მაინც ოსებმა ირეცადინეს და 1320 წ. ოსეთის მთავარი დაიყენეს. ვინ იყვნენ ეს ასიოდ დადგენილ ოსთა მთავარი, ამისი არაფერი სჩანს, ხოლო უნდა ვიფიქროდ, რომ იგი მთავარი იქმნებოდა ის ოსთა მთავრის შვილი, დედამამაც მტერმა 1303 წ. მოსპეს და მარტოდ მცირე წლოვანები დასტოვეს, შეიძლება სხვაც მაგრამ ჩვენ ასე ვფიქრობთ ოსეთის გარემოებას 1330 წლიდამ, გიორგი ბრწყინვალემ მიაპყრა დიდი ყურადღება. 1325 წ. გიორგი ბრწყინვალის დახმარებით, ოსთა მეფემ. ოსეთის ერის ცხოვრების საქმე ისე მოეწყო, რომ დღისით და ღამეც ჩალა,—ქათამიც არავის დაეკარგებოდა თურმე.

ოსებმა იწყეს მოშენება, მოღონიერდა ცოტათი ხალხი, მტერს მოურიგდენ და დაპირებისამებრ ხარკს უხდიდნენ. ამას გარდა შენებას მიეცა დაბა და სოფლები, ოსებმა იწყეს სოფლების გაშენება, სახლების კეთება, ბაღ-ბოსტნეულობის გავრცელება, მეურნეობა, ხელოსნობა და სხვაც ბევრი რამ რადგანაც მტერმა მათი ქვეყანაც ცოტათი მოასვენა, წინანდელათ აღარ მტრობდენ და აქცევ-ანგრევდნენ, რადგანც ოსეთის მეფეს და ერს გარს უვლიდა. მფარველ ამხანაგათ ისეთი მეფე, როგორიც გახლდათ გიორგი ბრწყინვალე, ოსების ასეთ მშვიდობის დამყარების დროს, თითო ოროლა მათ შორის იყვნენ ისეთნიც, რომელნიც უცხო მტერთა მეოხებით გაფუჭებულ იყვნენ, და ოსეთსაც მტრობდნენ. ამიტომ ამ გარემოებას გიორგი ბრწყინვალემ დიდი ყურადღება მიაქცია, ოსთა მეფეს ეწვია და ყოველივე მტერი მოუსპო.

ამას გარდა ოსეთში მოკრიბა ყოველივე ოსთა მეამბოხენი, ოსთა მეფის წინააღმდეგნი მოწინავე კაცნი, ამათ გარდა მოკრიბა ოსთა ხევის ბევრნი, დეკანოზები და სხვაც ასეთნი, რომელნიც ოსებს ყოველთვის ქართველებთან მტრობით რაზ. მავდნენ და მით ასრულებდნენ მტრებთა დავალებას. ყველა ეს პირები გიორგი ბრწყინვალემ თფილისში გადმორეკა გასაწურთნავად, დასამშვიდებლად. ამ დღიდამ ქართლმაც მოი-

სვენა ოსთაგან. ეს იყო 1337 წ. ყველა ამაზედ ეხლა ჩვენ აქ მოვიყვანთ ალაგ ალაგ „ქართ. ცხოვრ.“ ცნობებს:—„გიორგი ბრწყინვალე მერმე შეკიდა და შემუსრა კავკასსა, (ოსები) შინა მეოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა, და მოსარკე ჭეკნა ეოველნი იგი, და დაამშვიდა ქართლი ოსთაგან, ვინადგან გზანი ეოველნი თვით დაიხურა“ შემდგომ ამის ეხება კიდევ სხვა საგანთა და საქმეთა მეთაურ კაცთა საქმეთაც, რომელნიც ოსეთში იმყოფებოდნენ და ოსების ცხოვრებას თავასებურად ახდენდენ. ამათზედ აი რაღას ამბობს:—„მერე კვალთ განიხილა მეფემან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონი იქმნებოდეს, შემოიკრიბა სპანი, შეკიდა და დაიმორჩილნა ეოველნი, უმეტეს ჰარგელისა კავკასსა შინა მეოფნი. მენიდამ ჩამოვლო ცხრა ზამსა ზედ, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანნა მუნ რომელნი კავკასთასა შინა ქრისტიანენი იყვნენ თავნი მათნი. და ხვეის ბერნი; შემოვიდა ტფილისს, და შემოიტანა იგინიცა და განუჩინა მათ სამარადისო და წესნი დაუსხნა წიგნითა რითა ჭეოფდენ წელმართ ეგრეთ“.

ასე დაიმორჩილა თურმე ოსეთი. მართალია აქ ოსეთი ცალკე არ იხსენიება, მაგრამ იგი „კავკავს“ ახსენებს, ეს სახელი კი ხატავს როგორც ფშავს, ხევსურს, თუშს, მოხევეს, ისევე ოსეთს და ოსებს. ამისაგანვე შედგენილი „ძეგლის დებაც“ რამდენათაც ფშავ, ხევსურ თუშებს, ქისტებს და მოხევებს ეხება, იმათზედ მეტად იგი ოსებსაც ეკუთვნის. იმის ცნობაც არის, რომ ამავ გიორგი ბრწყინვალემ გამოსდევნა თავად-აზნაურები როგორც თუშ, ფშავ-ხევსურეთიდამ, ისევე ოსეთიდამაც. ოსეთში აღარც ერთი ოსის თავადი და აზნაური აღარ დასტოვა. ყველანი თფილისში გადმოიყვანა. ამით მოისვენა ოსეთმა და ოსეთის მეფემაც. როგორც ამ მეფემ ხსენებულ მთის ერთ ფშავ, ხევსურ, მოხევ, ქისტთ და თუშთ მისცა ტყეები და მამულები საკუთრებათ, ასევე ოსთა მეფემ მოუბოძა ოსებსაც მთელი ოსეთის მამულები საკუთრებათ. ყველა ამ მთის ხალხებში და ოსებშიაც არსებობდა „მამულის საკრთო მფლობელობა“. ხოლო მოსვენებული დრო ოსეთის თვის არ იყო დიდის

ხნის ბედნიერება. გიორგი ბრწყინვალის სიკვდილის შემდეგ (1346 წ.), ოსთა სამეფოს, მოევლინა ჩვეულებრივი უბედურება. კვალად ეცნენ სპარსნი, თურქნი და სხვანი და ოსებს უწყეს აოხრება და მოსპობა.

ოსეთის და ოსების სწავლა განათლების საქმე ძველადგანვე XIII საუკუნემდე.

I

ოსებს ჰქონდათ. სკოლები ძველის ძველადგან არ ხოლო რაკი ფარნავაზ ქართველ მეფემ ქართული ანბანი მოიგონა და ამანვე ოსის მეფის ასული შეირთა ცოლად, ამიტომ ოსეთში იმავ დროს ქართული ანბანი იქნა გავრცელებული. IV საუკ. რაკი ოსებმა ქრისტიანობაც მიიღეს, მის შემდეგ, ოსეთში შეტანილ იქნა ბიზანტიური სწავლაც. V საუკუნის ნახევარს, ვახტანგ გორგასლანის ომის შემდეგ, ოსეთში სკოლებიც დახსნეს, როცა ოსთა შვილებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ქართულს, ბერძნულს და ოსურსაც ქართულის ასოებით. ამავ საუკუნის ბოლოდამ, ოსებში ლათინური ენა და სწავლებაც იქნა შეტანილი.

VI საუკუნიდამ, ქართველთ ათცამეტ ასურელ მამათაგან ოსეთში გამრავლებულ იქმნა სასწავლებლები ამ სასწავლებლებში ოსთა შვილებს ასწავლიდნენ სამღთო სჯულს და ქრისტიანობას, მასთან ენებს ბიზანტიურ, ლათინურს, ქართულს და ოსურს ქართულის ანბანით. XIII საუკ. დამდეგიდამ, რაკი ოსებზედ არაბებმაც იწყეს გავლენა, ამიტომ ოსთა სკოლებში არაბული ენაც იქმნა შეტანილი და სასწავლოდ დადგენილი. არაბთა გავლენით სკოლების არსებობამ ოსეთში გასტანა XII საუკ. ვიდრე საქართველო და ოსეთი დავით აღმაშენებელის ცდით განთავისუფლდებოდა. ამის შემდეგ კი, ოსებში სკოლებმაც იმატა. „მთელს ოსეთში

გაიხსნა სხვა და სხვა სახის ჩკოლები XII საუკ. ნახევარს, ოსები სწავლა განათლების მხრით ქართველებთან თანაბარნი იყვნენ.

ამას გვიმტკიცებენ შემდეგი მაგალითები: XI საუკ. ბაგრატ მეოთხის მეუღლე, ოსეთის მეფის ქალი ბორენა იქამდის მომზადებულ და ნასწავლი აღმოჩნდა, რომ მან კარგად იცოდა ბიზანტიური ენა, რომაული, ქართული მწიგნობრობა და ისტორია და მასთან ოსურიც ეს ჭკუიანი მანდილოსანი ოსეთში აღიზარდა ისე, რომ მას სხვა ქვეყნები თვალითაც არ უნახავს. ოსეთში ოსურ სკოლებში მიუღია მას სწავლა-განათლება. მაშ თუ ოსთა დედოფალი უსწავლელი იყო, ნუ თუ ამ უსწავლელ ქალს ცოლად შეირთავდა ისეთი მეფე, რომელსაც პირველ ცოლად ბიზანტიის იმპერატორის და ჰყვანდა მეუღლედ. არა გვგონია, რომ ბაგრატს მეოთხეს უსწავლელი ტყის ნადირი შეერთა.

მეორე მაგალითი: ოსთა მეფის ხუდანის ქალი ბურდუხანი, იქამდის განათლებული იყო და ამით ისეთ სახელოვანი, რომ მას ოსეთს გარდა მთელ საქართველოშიაც იცნობდენ. ბურდუხანმა იცოდა ბერძნული ენა, ლათინური, ქართული, ოსური და მასთან ქართული მწიგნობარიც გახლდათ. ამ ქალის ქება დიდება „ქართლის ცხოვრებაში“ განცვიფრებით არის აღნუსხული. ბურდუხანსაც სწავლა განათლება ოსეთში ქონდა მიღებული, ოსურ სკოლაში ოსთა მასწავლებელთაგან.

მესამე მაგალითი: დავით სოსლანი, ბაგრატიონი გვარად, ძე ჯანდიროზ ოსთა მეფე ბაგრატოვანისა, აღიზარდა ოსეთში, მიიღო ოსეთშივე სწავლა-განათლება. იცოდა ბერძნული, ლათინური, თათრული, ოსური და ქართული ენაც. იყო ქართულ მწიგნობარიც და მასთან მწერალიც. სწავლა-განათლებამ იგი გახადა ღირსი თამარ მეფის ქრმობისა. დავით სოსლანმა დიახ, ოსეთში მიიღო თავისს შესაფერი განათლება. ამას ჩვენი მატიანეც ასაბუთებს, ვგონებთ ეს სამი მაგალითი კმარა, რომ ოსეთის ერის შეხახებ ითქვას, რომ ამ ერს აქ ეს თავის

წარსული, თავის ისტორია, იგი არის დამოუკიდებელი ნაცია.

მართალია ისიც, რომ ოსებს ქართული ანბანი აქვნდათ მიღებული სახმარებლად, მაგრამ ითქმის ისიც, რომ ეს ქართული ანბანი რამდენადაც ქართველების იყო, იმდენად იგი ოსების საკუთრებასაც შეადგენდა, ამიტომ ჩვენ შეურაცხყოფად მიგვაჩნია ოსეთის ისტორიის წინაშე, რომ ზოგიერთ მეისტორიენი ოსებს წარსულს დროში წერა-კითხვის მწიგნობრობის, სკოლების და სწავლა-განათლების არსებობის ცნობებს უქარწყლებენ. ეს გაქარწყლება არის უსაფუძვლო, რადგანაც ოსებს სკოლებიც აქვნდათ, ოსთა მასწავლებლებიც ჰყვანდათ და სწავლა-განათლებაც არსებობდა, რის მაგალითად ჩვენ აქ სამი განათლებულ ოსთა მეფეთა წევრნიც დავასაბუთებ.

დაეცა საქართველო, გაიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამ დრომდის ქართველთა და ოსთა შორის არსებობდა მტკიცე მეზობლური და ნათესავური კავშირიც XIV საუკუნიდამ, ეს კავშირი ოსთა და ქართველთა სასტინკათ დავარდა. ქართველთა და ოსთა მტერთა ნატვრასაც ეს შეადგენდა. მათი შრომაც ყოველთვის ამისკენ იყო მიმართული, მათ მიახწიეს თავიანთ პოლიტიკას, ქართველებს ოსები დააშორეს, მოსპეს სასტიკათ მათში ყველაფერი საერთო, თუმც ქართველთა და ოსთა გარეშე მტერთა ნატვრას ეს შეადგენდა, მაგრამ ოსებსა და ქართველებში საუკუნოების განმავლობაში დანერგილს ნათესავურ კავშირს და მისვლა-მოსვლას კი ვერ მოსპობდნენ.

ოსები და ქართველები როგორც იბრძოდნენ დროს და თავიენთ მტერს დროებით მაინც გარეკავდნენ, მის უმალ თვის შორის განაახლებდნენ მისვლა მოსვლას, ნათესავობასა, კავშიყს და მთელის ოჯახობით იკოდნენ ქართლში, ხატობას გადმოსვლა სალოცავად. ასეთ გადმოსვლას გარდა ოსები ქართლში მთელი სოფლობითაც კი მოდიოდნენ და სახლდებოდნენ ქართლში ამათგან მთელი სოფლებიც შენდებოდა. ოსებს ქართლში ცხოვრება ქართველებთან ერთად ძრიელ ეადვილე-

ბოდათ. ამათს კარგს დამოკიდებულებას ასაბუთებს შემდეგი გარემოებაც. საქართველო როცა რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, მაშინ ქართლში აი რომელ სოფლებში სცხოვრებდნენ ოსები, ეს რიცხვი ოსების და სოფლის სახელები ცნობილი არის ოფიციალურად და ანუსხული 1801 წ. შეიძლება ზოგ მეტ ნაკლები იყოს, მოგვყავს როგორც მართველობისაგან ანუსხული.

ოსების სოფლები ქართლში.

ოსები სცხოვრებდნენ სოფ. ძევერას, ცხინვალს, სვერს, ერედვს, კორდს, დიცს, აწერის ხევს, ჩარბეთს, სნეკვს, ბელოტს, საწუენის, ვანათს, ზარდიან კარს, მერეთს, კორბს, არბოს, მეჯვრის ხევს, მეჯვრისხევს II-ეს, მეჯვრისხევს მესამეს, ძველეთს, კირბალს, ბერშათს, ჭაჭას, კორნის, ტბეთს, კუსირეთს, სამაჩაბლოს, ღვთის. პოტორის, მაღრანდვალეთს, ჭარიევს, მგრიევს, ნატიხარს, კულბითს, ლამის-ყანას, მჭადის-ჯვარს, ჩინგილარს,, მუხრანს, კონდას, კოპის-აჩხატი, ტრუსოხები-მანა, გუდა-ოსნი, ცხრა-ძმისა ჩამურს, ჩურუკეთს, იკოთს, ხრომის-წყარო, სტეფანე-წმინდას, სნოს, სოონს, შუახევს, მთიულეთს, გუდა მაყარს, ხორს, რანდოს, ჭარტალს, ბავლეურს, ციხის გორს, ავნევს, სართიჭალას, ლილოს, ავლევს, მუხრანი, მჭადის ჯვარი, ანანურს, კირის ხევს, აში აახავი, ჩონტი, ჟინვალს, არალის, არაგვის პირს, კთვლის, იორს, ყვავლს, არგუნს, ბოდორნას, საშაბუროს, მაზალეთს, ჭრემის, ხევს, ტონჩას, ებნისი, ჩილურტს, ოსიაურს და სხვა სოფლებშიაც 1801 წელს.

აქ მოთვლილ სოფლებში, ოსები არ შეადგენდენ მთელს სოფლის მცხოვრებთ რიცხვს, ზოგ სოფელში რამდენიმე კომლი იყო: ზოგში ცოტა, ზოგში ბევრი. სადაც კი სცხოვრებდნენ ოსები ყველგან ქართველებთან კარგი განწყობა და ნათესავობაც ხშირი იყო და ეს დღესაც ასეა მათში. მე კი არ ვიცი და ზოგი ერთ ოსებმა სთქვეს, რომ აქ მოხსენებულ ზოგს სო-

ფელში დღეს ოსების აღარაფერია დაშთენილიო. ეხლა სხვა და სხვა სოფლებში სცხოვრებენ თურმე.

დღეს, ოსთა რიცხვი ქალაქ ალაგასაც მრავლად არიან, ოსები ქართლის სოფლებში 1800 წლამდე თფილის, ბორს, ცხინვალს, კავკავს, ქუთაის, ბათუმს, ბაქოს, თითქმის საქართველოს ყველა ქალაქებში სცხოვრობენ. უმრავლესობა მდაბიოთა მისდევს მზარეულობას, მხერხაობას, სხვა და სხვა საქმეთა მუშაკობას, ხელოსნობაშიაც იჩინეს თავი. ინტილიგენციაც არსებობს თფილისში.

ქართლში, როგორც ქართლის გლეხობა არის დაჩაგრული, ისევე ოსები გახლავან, საკვირველია, თვითქოს ქართველ და ოსთა გლეხობას პირი აქვთ მიცემული, რომ მათ ერთნაირად, მამაპაპურად იცხოვ-ონ. სამწუხაროდ ქართლის ოსთა სოფლის გლეხობა ძლიერ დაცემულნი არიან. მათი ცხოვრების შესახებ მთელი წიგნი დაიწერება და არა ორიოდ სტრიქონი. ჩვენ მაინც მოკლედ ავნუსხავთ.

ქართლის სოფლების ოსთა გლეხობა, როგორც ქართველების, არიან გაუნათლებელნი. ოსის გლეხობაც ქართველებივით სცხოვრობენ მიწურ სოროებში. სახლის მოწყობილობა აქვსთ ცუდათ, ბარგიც ცოტა, ლოგინი ჭუჭყიან-ზინტლიანი. ტანთ საცმელი ქალსა თუ კაცს უბრალო, მასთან ჭუჭყიანი, კაცს ვიდრე ტანზედ პერანგი და მის ამხანაგი არ გაუცვდება, მინამ იგინი მას არ გაიხდის. როგორც ქართველ გლეხნი, ესენიც ასევე უმეცრებაში, უსუფთაობაში ატარებენ საყოველთაოდ დროს.

ოსეთი XIII საუკ. ანუ მონგოლების შემოსევის შემდეგ.

თუმცა ზემოთ XII საუკუნიდამ XIII საუკუნეზედ გადაველთ და მერე მცირედ XIV საუკ. შევეხეთ გიორგი ბრწყინვალემდეს, ხოლო აქ კვალად მიუბრუნდებით ოსეთის ისტორიას XIII საუკუნიდამ და ნამეტურ მონგოლების შემოსევას ლა ოსეთის ამბებს, ამაზედ მთელი წიგნი დაიწერება, სახელ-

ლობრ:—„მონგოლების შემოსევა ოსეთზედ“ ჩვენ კი აქ ასე მოკლედ ავნუსხოდ. ჩვენი მატთიანე მონგოლების შესახებ ასეთ ცნობებს გადმოგვცემს:

ოსის ქალთა ცხოვრების ცნობები XIII საუკუნემდე.

XIII საუკუნის ნახევრიდამ, როგორც სჩანს, ოსთა ქალებს უცხო ტომთაგან კაი. ფასი უნდა დასდებოდა, ამას კათოლიკის მისიონერებიც მოგვითხრობენ XVII საუკ. უნდა ითქვას, რომ არაბნი, მონგოლნი, სპარსნი, თურქნი და სხვა ასეთი ტომნი, ოსთა ქალებს ირთავდენ ცოლებათ, ამას გარდა ხასათაც ჰყვანდათ. როგორც ვის რა სურდა, ოსის ქალს იგიც ისე ხმარობდა. ხასათა შესახებ რომ მართალია და ეს ოსთა ქალებში ძალიანაც უნდა ყოფილიყოს გაძრიელებული, ესა სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ ხსენებულ საუკუნეში ოსთა ქალები მრავლად იფანტებოდნენ როგორც მონგოლებისაგან, ისევე სპარსთაგანაც. ცნობა არის, რომ თვით სპარსთა ჰარამხანებსაც სულ ოსის და ჩერქეზის ქალები ჰყვანდათ.

იმის ცნობაც არის, რომ ძლიერ ხშირად, როცა კი ოსეთს სპარსეთი იპყრობდა, მაშინ იგინი ოსთ მეფეს ხარჯის გადახდის სამაგიეროდ, ოსთა ქალებს სთხოვდნენ, ოსთა მეფენიც რასაკვირველია კრეფდენ ამ გადასახადის ნაცვლად ოსთა ქალებს და აძლევდენ თვის მახლობელ მტრებს. ასეთი განაცემ ქალთა რიცხვი XIII საუკ. მეტად დიდი სჩანს, ამისივე მაგალითია შემდეგი გარემოება. 1275 წ. თფილისში მოსულან ორი მანდილოსანი, რომელნიც ბერქა ყაენს ხასებათ ჰყოლია. ამ ორს დედაკაცთ თან მოუყვანიათ ორი ყმაწვილი, ერთის ნაშობნი: ერთს რქმევია ფარენჯ და მეორეს ბაყთარ. (ქ. ც. 581 გვ.) თვით ეს სახელებიც კი ცხად ჰყოფს, რომ იგი ქალები ოსები უნდა იყვნენ, ყმაწვილებისთვისაც მიტომ უწო-

დებიათ ოსური სახელები, თორემ ფარეჯან და ბაყთარ სხვა ტომთა ხალხთა შორის აღმოსავლეთში ეს სახელები არ იხმარება.

ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს ის გარემოება, რომ ოსები სადღეისოდ ასე ცოტანილა არიან. მათი რიცხვი XIII საუკუნის ნახევრამდე უნდა იყოს 2 მილიონი, ხოლო მის შემდეგ მათ იწყეს კლება, რასაც ყოველთვის თან სდევდა მტერობა თავ დასხმა, ომები, ხოცვა, ჟლეტა-წყვეტა, გადასახლება, ტყვეთ წაყვანა, ქალების მოტაცება, ნებით ხარჯში გამორთმევა, ამათი ფულით შესხიდვა და სხვა მრავალ ასეთნი, რაც ოსის ტომს ერთობ ვნებდა, ამცირებდა და მასთან სპობდა კიდეც.

ოსური წიგნის გამო.

დავით გარესჯის ხელთნაწერ წიგნში, ერთ ალაგას ესეთი ცნობაც იყო მოყვანილი:—„ოსთა საეკლესიო არის ქართულ ხუცური, ხოლო სახმარ ანბანი წიგნის ქართული, ოსნი პირველ დროს, ეკლესიებში ბერძნულად სწირავდნენ. მერე ქართულად დაიწყეს წირვა ლოცვა, ენა ვინადგან იგივ ქართული ოსურიც არის ასე იტყვიან ქართველ წმ. მამანიც. რამეთუ ანბანი ქართული არის ანბანი ოსურიც. ანბანში მიტომ იხმარიან ისეთ ხმათა ასონიც, რომელნიც ოსთა ხმათა გამოხმაურებას ეთანახმებიან, ქართულს კი იმოდენად არა. აქედამ სჩანს, რომ ქართული ანბანი რამდენათაც არის ქართული, იმდენად იგი გახლავსთ ოსურიც. განაგრძობს კვალად. რომ ოსნი ეკლესიებში კითხულობდნენ, მერე ოსურად ხსნიდნენ, მერმე ეს ახსნანი განიხილვენ, ქართლის კათოლიკოზთაგან და ოსთა საყდრებში სახარება და დავითნად იგინი იკითხებოდნენ. ყოველივე ესეთ ახსნანი ქართულის ასოებით იწერებოდნენ, ვინაიდგან ქართველთა და ოსთა ანბანი ერთი არის და იქნებაო უკუნისამდე.

ზოგიც ეხლა ნახონ ამის მთავრულ და დამწერლებმა.

ქართული წირვა ლოცვა ოსებში ვახტანგ გორგასლანი ომების შემდეგ დამკვიდრებულა, მინამ ბერძნულად ყოფილა.

ე. ი. ავტოკეფალიის მიღებამდე, ვგონებთ, რომ ქართულ ეკკლესიებშიაც მინამდე ბერძნულად სწარმოებდა წირვა ლოცვა სახარებაც ბერძნულად იკითხებოდა VI საუკ. სირიიდამ მოსულ ქართველთ ცამეტ მამების მოსვლიდამ კი ყოველივე ქართულად დამყარებულა, ასევე ოსებშიაც ამათის ცდით ოსურად მორთულა, რადგანაც ამ მამათა შორის ყოფილან ისეთნიც რომელთაც ოსური ენაც კარგად სცოდნიათ. მაშინ შიო მღვიმეს, გარესჯას და ნეკრეს სახარება და დავითნი ოსურს ენაზედაც უთარგმნიად. VI საუკ. ქართველ მამებს, ოსთათვის სხვაც ბევრი რამ წიგნები გადუკეთებიათ ოსურს ენაზედ, მათგან ნათარგმ „დავითნიც“ უნდა იყოს, რომელიც პირველად ოსურს ენაზედ დაბეჭდა XVIII საუკუნის ნახევარს, ქართულ ხუცურის ასოებით. ამ მეათცამეტე მამებს ოსებშიაც ხშირად უცხოვრიად და ქრისტიანური წესები უსუფთავესათ და უქადაგნიად. ამათ ისე დაიახლოვეს ოსები, რომ მერე ოსთაგან ხშირად გადმოდიოდნენ და სწავლობდნენ შიო მღვიმეს, ნიქოზს, გარესჯას, ნეკრეს და სხვაგანაც. VI საუკ. ოსურს ენაზედ ნათარგმნ „დავითნის“ წიგნი დავით გარეჯაში ყოფილა დაცული. აქედამ გადუტანიათ და დაუბეჭდიათ. ყიზლარის სტამბაში 1771 წ. უმეტესი ნაწილი ოსურის თარგმანებისა XIV საუკ. შემდეგ მოსპობილან, ვინაიდგან ოსთა და ქართველთ კავშირიც გაწყდა მუსულმანთა მახვილისაგან.

ახალ დროის, ანუ XVIII საუკ. ნათარგმნ ოსურ ლოცვებს, დავითნ და სახარებასთან უსათუოდ რამე კავშირი ექმნება VI საუკ. ქართველთ მამათაგან ნათარგმნთ ხელთნაწერებს. ქართულ ანბანში, ერთი ასო XVIII საუკუნის კი არ უნდა იყოს მოგონებული ანტონ კათოლიკოზისაგან, ვითომც ხმოვანების გამოსახატავად არამედ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი VI საუკუნის უნდა იყოს შედგენილი. თანხმად ოსურის ხმოვანების, რაც მარტოდ ოსურად ნათარგმნ და ქართულად ნაწერ წიგნებში იხმარებოდა, რადგანაც ამას მოითხოვდა ოსური ენის ხმოვანება, სხვა ქართული ენის ნაწერებში კი ამას არა

ხმარობდნენ. ეს ასო ამიტომ ანტონ კათოლიკოზმაც შეიტანა თავის გრამატიკაში, რაც მერე სხვებმა მას მიაწერეს, რომ ანტონმა შეადგინა ოსების ხმოვანების გამოსახატავადო. ეს ტყუილი არის.

ოსებმა და ქართველთ ველარ მოითმინეს, პირი შეკრეს რუსუდან დედოფლის დროს, ჩინგის ყაენის ლაშქარს შაებნენ, მათი გაძევება სურდათ. ოსთა შეერთებას ქართველებთან ასე მოიხსენებს „ქართლის ცხოვრება“, რუსუდანმა გაგზავნა კარნი დარიალისანი და გამოიყვანა ოსნი და დურძუკნი და შეკრიბნა ყოველნი მთიელნი და შეკრბეს ნაჯარმაგევს ურიცხვნი ერნი“ და სხვანი. რუსუდანმა ეს მოახდინა იმ დროს, როცა ჩინგის ყაენის ჯარის ორი ნაწილი რუსეთისკენ იყო სალაშქროდ წასული.

ჩინგის ყაენის გარდაცვალების შემდეგ, ოსეთი მაინც მათსავე ფლობაში რჩება. ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაენად იქმნა ძე მისი ოკროფა. ეს კაცი „ქართლის ცხოვრებაში“ სიტყვით:—„რომელი იყო კაცი კეთილი, დიდათ უხვი და მოსამართლე“ ესეც ბატონი და პატრონი ოსეთის როგორც მამა, შვილიც ისევე ფლობდა ოსეთს. მცირე ხანს შემდეგ ეს ყაენიც მოკვდა, მის მაგიერ ყაენად დასვეს ძე მისი ქუჭ. ესეც რამდენიმე ხნის შემდეგ გარდიცვალა, ამის მაგიერ ყაენად იქმნა ძე მისი მანგუ მატთიანეს თქმით, აქამდის ქართველნი და ოსნი-არას დროს ძლეულან ასე. ეს პირველი მაგალითია, რომ ერთის და მეორის სამეფო და სამხედრო დროშები დაიფლითნენ. ეს გარემოება „ქართ. ცხ.“ თავ ზარდაცემით არის მოთხრობილი. ასეთ დროს, საქართველოს და ოსთ მეორე მტერიც მოეელინა ეს გახლდათ ჯალალ ედინ სულთანი. ესეც კაი სვავი იყო. ამან სძლია მონგოლებს საქართველო და ოსეთი დაიკავა. მერე აქედამ საბერძნეთს გაემგზავრნენ.

ამით ისარგებლა ჩინგის ყაენმა, ამან გამოგზავნა თავის ერთი შვილი გამოაყოლა დიდი ძალი ჯარი, მათ აიღეს თურონი, სათურქეთი, ყოველი ხვაროსანი, ამის შემდეგ, დაიპ-

ყრეს მთელი კავკასიც მასთან ოსეთიც „ქართ. ცხოვრ.“ ამ დაპყრობას ასე მოიხსენებს: — „ჩინგის ყაენმა მისცა ღაშქართშვიდსა თვისა და წარგზავნა დიდსა მახ ყიფჩახელსა ვიდრე ბნელგთამდის, ხაზარეთს, ოვსეთს, რუსეთს ბორდოლეთამდე, სერბთა და კავკასთა და ჩრდილოთ ყოველთა მკვიდრთა“ ყველა ამ ადგილებს მძლავრად ფლავდენ, ესენი“ ხალხსაც რასაკვირველია კეთილს არ აყრიდნენ, მონგოლთა მოვლენა საქართველოში და ოსეთში პირველი მაგალითი იყო. „ქართ. ცხ.“ თქმით, ეს ხალხი ჩვენს ქვეყანაში აქამდე არვის უნახავს და არც ძველ წიგნებში შეგვხვედრია მათი აღწერანიო. საქართველო ჩინგის ყაენმა მიწაზედ გაასწორა, ხოლო ქართველთ მეფობა მაინც ვერ მოსპო. საქართველოს ერის ხოცვის საქმენი „ქართ. ცხოვ.“. სისხლის ცრემლით არის ანუსხული და დატირებული. ამ გარემოებას ოსეთის მეფე და მთავრებიც კარგად ხედავდნენ.

ჩინგის ყაენი მალე შევიდა ოსეთშიაც, თან შეიყვანა 400 ათასი ჯარის კაცი. ოსებმა თავი დაუკრეს, მაგრამ მტერმა ეს არ იკმარა. მისი ჯარი მთელ ოსეთს კალიასავებ მოედნენ და ყველგან პურს თხოულობდენ, საქმელს და სასმელს. დამშეულმა ჯარმა მთელი ოსეთი აიკლეს და სიმშილისაგან ოსებს აღარაფერი შეარჩინეს. მატიანე შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს: — „ხოდო ესენი მცირედთა საჭმელთა განეშორებოდეს, რაშეთუ ყოველსა სულიერსა სჭამდეს ხორცსა კატისა, ძაღლისა და ყოველსავე ასეთსა“ ოსებს ამათი საქციელი არ მოსწონდათ და იგინი ერთობ სძაგდათ კატის, ძაღლის და ასეთ ცხოველის ჭამისთვის თუმცა ამ დროს, იგინი ოსებს არას ერჩოდნენ მაგრამ ოსებს მაინც სასტიკათ სძულდათ იგინი.

ჩინგის ყაენს ცოლები მრავლად ჰყვანდა, ამათგან მას ოთხი ვაჟი ჰყვანდა ხატაფეთს (ჩინეთი) მყოკმა ჩინგის ყაენმა თავის უხუცეს შვილს თუბის მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა დიდსა ყიფჩახელს, ოსეთს და რუსეთს. ვიდრე თუბი საქართველოსა და ოსეთში შემოვიდოდა, მინამ აქ გაჩნდა ხვარაზამ შაჰი, მტერს მტერი მოემატა. ამის ჩინგის ყაენის ლაშ-

ქრის და სულთნების გაძევება სურდა, რომ ახლა მას ეკრიფა ხარჯი ქართლსა და ოსეთისაგან. ამ გარემოებამ ჩინგის ყაენის შვილი თუბი ხვარაზამ შაჰის შაება იგი სასტიკათაც დაამარცხა. ამ დამარცხებამაც ოსეთის ხალხის ცხოვრებაზედ იქონია მეტად ცუდი შედეგი. ამ დროს, მთელის მათის დიდის სამეფოს პატრონი ბათო ყაენი გახლდათ, ამის ხელქვეით ყოფილა ოსეთი და დიდი ყიფჩახეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა.

შანგუ ყაენიც გარდაიცვალა, ამის შემდეგ ყაენად იქმნა ძე მისი უუბურ. ამ ყაენს ქართველნი და ოსნი სპარსეთში ეახლნენ და თეირანში მიულოცეს ტახტზედ ასვლა, რადგანაც ამ დროს იგი სპარსეთში სცხოვრობდა. ამავ დროს, მთელ ამ საყაენოს ფლობა და გამგეობა ოთხს ნოინს ეკავად. უუბურ ყაენზედ სრულიად უფროსი ყენი ულო ყენი ყოფილა. ყველაზედ უფროსი ყაენი ბათო იყო, რომელიც მთელ სამფლობელოში უფროს ყაენად ითვლებოდი. ამ ყაენმა ისურვა მთელი თვის სამფლობელო ქვეშევრდომთ აღწერა ასევე უნდა აღეწერად ოსეთიც, აღწერა მიანდო სამართლის მოყვარე მწერალ ირლუნს. ამან აღწერა მთელი სამფლობელო მათი და ასევე აღწერა ოსეთიც საქართველო დაწერილებით და მერე ოსეთს ამ აღწერის შემდეგ, მათ ერთობ დიდი ხარჯი დადეს, როგორც ქართველთ ისევე ოსებს, მაგალითებრ. რაკი ქართველნი და ოსნი ჩინგის ყაენთ გარდასახადს უკლებლივ უხდიდენ, ამიტომ იგინიც როგორც ქართველთ, ისევე ოსთა მეფეთაც აღარას ერჩდენ. ამიტომაც მოხდა ლაშას ძე და ქართლის ტახტზედ გაამეფეს. ჩინგის ყაენმა ესეთი პატივი მით უფრო დაინახა საჭიროდ, რადგანაც თუ ასე არა, ოსთა და ქართველთ მეფეს სპარსნი ჰპირდებოდენ მფარველობას, ოღონდ ჩვენ მოგვემხარით, რომ ჩინგის ყაენი გავაძევეოთო. და მერე ჩვენ თქვენს ხალხზედ გაგამეფებთო. ამ დროს, ქართველნი და ოსნი საბრძოლად წაიყვანეს ეგვიპტეს. იქ ამათ დიდათ გამოიჩინეს სახელი. აქვე იმყოფებოდა დავით მეფე ლაშას ძე-

იმანაც ასახელა თავი. ბოლოს ყაენს სთხოვეს თავისუფლება რადგანაც დიდი ხანია აქა ვცხოვრებთო. ყაენმა გაანთავისუფლა იგინი. მალე წამოვიდნენ, მოვიდნენ ადრაბაგანს, სპარსეთს და იქიდან საქართველოში. ჩინგის ყაენთა წესით დავითმა იპყრა ქართლი და ოსეთიც.

ამ დროს, დავითს მეუღლე ჰყვანდა ოსის ქალი, სახელით „ჯიგთა ხათუნი", მაგრამ იგი უძეო იყო. ხალხი სწუხდა ამაზედ. ამაზედ «ქართ. ცხოვრ.» აი რას მოგვითხრობს: — „ამთა ჟამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულ მეფისანი, რამეთუ ჯიქთა ხათუნ არა უშვა შვილი. ამისთვის ანება მეფემ მოყვანებად, შვილიერებისა ძლიერ, ქალი ქმნულ კეთილი, სახელით ალთუნ, მეუღლე თვისად, ალმოქმედმან, უკეთუ მიეცეს ერმა წული, არღარა შეიწუნაროს, არამედ განუტევოს. და ვითარ წარხდა მცირედი ჟამი, მუცლად იღო ალთუნ ძე და ჰშვა და უწოდეს სახელად გიორგი, რომელი აღითქვა და შეიყვანა შვილად ჯიგთა ხათუნ. და შემდგომად მცირედის ჟამისა კვალად მიუდგა და ჰშვა ასული, სახელით თამარ, აქა შინა განიშორა საყვარელი თვისი ალთუნ, ნათესავი ოსი».

ამ სახით, XIII საუკუნის შემდეგ დროის ქართველთ მეფენი გახლავან ოსის ასულის ალთუნისაგან მოშენებულნი. ასე იყვნენ ოსები ყველას წინაშე სარგებლობის მიმცემნი, ოსთა სამსახური და თავის დადება ყველა მფლობლების წინაშე განთქმული იყო, ხოლო ხშირად ბედშავნი ოსები კი სულ ვერ სარგებლობდნენ ამით და მათი ღვაწლი შრომა ხშირად უსახელოთ და უპატიოთაც შთებოდა. ნამეტურ იმ დროს, როცა მათ არაბნი, მონგოლნი და ასეთნი ჰფლობდნენ. ასეთის ამაგით და პატივისცემით ემსახურებოდნენ ოსები ყველას ვისთანაც კი დამოკიდებულება აქვნდათ, ან ვისიმე ფლობის ქვეშ თუ იმყოფებოდნენ. მაშინ ოსნი მათ აძლევდნენ ყოველნაირ გადასახადს.

საშუალ საუკუნოების დამდეგიდამ, რაკი მუსულმანთა ტომნი, საყოველთაოდ საქართველოს და ოსეთს ვერ იპერ-

დნენ, ამიტომ მათ ამ ხალხთა ქვეყნებში და ნამეტურ ოსებში გაამრავლეს ქურთები, რომელთაც იწყეს საქართველო და ოსებზედ დაცემა, ქურთულად პარვა. ამ ფანატიკმა ერმა ისე აიწყვიტა თავი, რომ ტაცვისაგან აღარ იცოდნენ თუ რა ექმნათ. ამიტომაც მათ ქართველთაგან დაერქვათ ქურდი, რაც ნიშნავს ქართულად მპარავს. ისტორიით სჩანს, რომ აქ ქურთებს ოსებზედაც ერთობ დიდი გავლენა ჰქონიად. ქართველებზედ უარესად ქურთები ოსებს ეცემოდნენ, სტაცებდნენ ცხენებს, ძროხებს, სხვა და სხვა საქონელს და თვით ქალებსაც კი და მერე ყველა ამაებს თვისკენ მიერეკებოდნენ. XIV საუკუნიდამ, ამათ ოსები მოაბეზრეს ასეთის მტაცებლობით. უკანასკნელ ოსები იმ ზომამდის მივიდნენ, რომ მათაც დაუწყეს ქურთებს უკან დევნა, მოტაცებულთ წართმეულის,—წართმევა, უკან დაბრუნება. ამ გარემოებით ოსები შემდეგ საუკუნოებშიაც არ იყვნენ ქურდებისაგან მოსვენებულნი. ამიტომაც, ოსთა შორისაც ჩვეულებათ გადაიქცა მტაცებლობის სიადვილე.

ალექსანდრე ყაზიბეგი და სხვანი რომ სწერენ ოსები ქურდობას დაჩვეულები არიანო. ამის მიზეზებს კი იგინი არ ეხებიან, მასზედ არას უჩვენებენ. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ოსების ასეთ ბრალდებას თავის დასაწყისი და მის მიზეზებიც აქვთ, ოსები XIV საუკუნის გასვლამდისაც კი არსად არიან მოხსენებულნი ისე, რომ ვითომც იგინი ქურდობას კი არა და თუნდ საომარ თავ დასხმას მისდევდნენ, მაშინ მთის კაცის და ნამეტურ ოსისთვის სირცხვილი იყო ასეთი საქმე. მაგრამ რაკი ოსეთი მუსულმანთა ზე გავლენით დაეცა და ისლამის მექონ თათრებმა იწყეს მათზედ ნავარდობა, მის შემდეგ, ოსებშიაც ჩვეულებათ გაქცეა ის, რასაც მათზედ მძლავრად ქურთები ჩადიოდნენ. ამას გვეუბნება ოსეთის ერის ისტორიის მასალები.

ამიტომ სხვა და სხვა მწერლების მოთხრობებსა და საგაზეთო წერილებში, ოსების ქურდებათ გამოყვანას უნდა ერი-

დებოდნენ. ის გავლენა რაც კი ხსენებულ მტრებს ოსებზედ აქვნდათ, მით კარგია, რომ გაბოროტებულ ოსები სულ კაცის შემჭმელებათ არ გადაიქცენ. მონგოლებმა, სპარსთა, ოსმალთა, ქურთებმა, ლეკებმა და სხვებმაც ოსეთი XIV საუკუნის ნახევრიდამ სწორედ ველურ სამოქმედოთ გადააკეთეს, ამიტომ კიდევ კარგი, რომ ოსები აქამდისაც მათის წყალობით სრულიად ქურდებივით არ გახდნენ. ოსეთში თუ დღეს რამე ქურდობის არსებობს, ამის დასაწყისი ზემო ხსენებულ ხალხებთაგან არის შემოტანილი ოსებში და გავრცელებული. ქურთებს რომ ოსებზედ დიდი ასეთი ზე გავლენა, აქვნდათ, ესა სჩანს არამც თუ XIV საუკ. არამედ ამასვე ასაბუთებს XII საუკ. თვით დავით აღმაშენებლის ცნობა. შემდეგ, ანუ *XVII* საუკ. როცა ოსეთი სულ დასცეს და მიწაზედ გაასწორეს, მაშინ ხომ ოსებში ისლამის გავრცელებასთან ეს ჩვეულებაც გაადვილდა, რასაც მუსულმანებიც უწყობდნენ ხელს.

ოსთ თავად-აზნაურობა.

ვახტანგ გორგასლანის დროდამ, ოსებს უკვე კარგად უჩნდა თავად აზნაურობა. ეს წოდება მათში ხან მაღლდებოდა და ხან ისე ვარდებოდა, რომ მთლად ისპობოდა. დღეს მათში სახელოვნებენ შემდეგნი: რომელნიც შეადგენენ ოსეთის მეფეთა და თავად-აზნაურთა მომდინარეთა წევრთა რიცხვს, მაგალითებრ: დიგორის მთებში: თავადნი: თუღანოვები და სხვანი. აზნაურები ყუბატოვები. აბისალოვები, ჩერქეზიანები, ბასიანები და სხვანი. თაგლურის თემში პირველ თავადნი დუდარვები—იგივ სალონიანები. აზნაურნი, ალიქოვები და სხვანი. ქურთაულის ხეობაში საზოგადოთ თავად-აზნაურთ უწოდებენ „თაუბებს“. ვალაგირის თემში არიან ოსთა მეფის შთამომავალნი: სიდამონ—ერისთავნი. ცარაზონები, ჭარხლიანები, ოლუზთანები, ნარის და დავლეთის თემში: აზნაურნი ხეთაგუროვები. თომაევები, აბიევები და სხვანი. ასევე არიან გამოლმა

მხარესაც. როკის ხეობას და ჯავის*) ხეობასაც. მხოლოდ მთავრობა არ სცნობდა ამათ, ხალხი კი ასე უყურებს და ასევე უწოდებენ თავადს თავადათ და აზნაურს აზნაურად.

ამ დროს, მთელის მათის დიდის სამეფოს პატრონი ბათო უკანი გახლდათ, ამის ხელქვეით ყოფილა ოსეთი და დიდი ყიფჩახეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა. რომელიც ერთ დროს მანგუ ყაენიც გარდაიცვალა, ამის შემდეგ ყაენად იქმნა ძე მისი უუბურ-ამ ყაენს ქართველნი და ოსნი სპარსეთში ეახლნენ და თეირანში მიულოცეს ტახტზედ ასვლა, რადგანც ამ დროს იგი სპარსეთში ცხოვრებდა. ამავ დროს, მთელ ამ საყაენოს ფლობა და გამგეობა ოთხს ნოინს ეკავად. უუბურ. ყაენზედ სრულიად უფროსი ყაენი ულოყუნი ყოფილა. ყველაზედ უფროსი ყაენი ბათო იყო, რომელიც მთელ სამფლობელოში ოფროს ყაენად ითვლებოდა. ამ ყაენმა ისურვა მთელი თვის სამფლობელო ქვეშევრდომთ აღწერა ასევე უნდა აღეწერად

*) ჯავის ხეობას და სოფელ მსხლებში არიან „დადიანები“ ესენი ენაოესაგებიან მთავარ დადიანებს. სოფ. ეორსეგში ცხოვრებენ თაშარიანები. ბაკრატიონებათაც წოდებულნი. ასეეე ცნობილნიც ზოგ ადგილს და სხვანი.

ოსებს—ზოგნი ჩერქეზებათაც ახსენებენ. ასეა მაგალითებრ ის გარემოებაც, რომ თვით რუსის ჰოეტ პუშკინი და ლერმონტოვიც ხშირად ოსების კეთილ საქმეებს ჩერქეზებს აწერენ და ამათ თვისებით იმათ ხატვენ. ეს შეცდომა არის და ამას ეასათუოდ შემდეგში გასწორება უნდა, ოსურს ენაზედ ჩერქეზნი ნიშნავს „არწივს, ან ორბს“, ამის გამო რუსულ გეოგრაფიებში ოსებს ერთა შორის პირველ ხალხათ აღიარებენ. ამიტომაც პუშკინი და ლერმონტოვიც ოსებში სცხოვრებდენ და მიტომ ოსებსაც შეტოომით ჩერქეზებად აღიარებენ, თორეს ეს ასე არ არის, ასევე ქართველებიც ოსებს ხშირად ჩერქეზებად ასახელებდენ. ქართველებში კი ეს დღეს ასე აღარ არის. თქმულება არის, რომ ძველად, ოსთა ჯარის კაცნი არწივებს **) ატარებდენ, ამიტომაც რუსებსაც აქვსთ არწივებსო ოსებს კი უფრო გულდიდობის გამო უწოდებდენ „ჩერქეზებს“.

**) ლარგასიც ოსურათ არწივია.

ოსეთიც, აღწერა მიანდო სამართლის მოყვარე მწერალ არ-ლუნს. ამან აღწერა მთელი სამფლობელო მათი და ასევე აღ-წერა ოსეთიც. საქართველო დაწვრილებით და მერე ოსეთის ამ აღწერის შემდეგ, მათ ერთობ დიდი ხარჯი დაადეს როგორც ქართველთ ისევე ოსებს, მაგალითებრ.

ოსებმა და ქართველთ ველარ მოითმინეს, პირი შეკრეს რუსუდან დედოფლის დროს, ჩინგის ყაენის ლაშქარს შაებნენ, მათი გაძევება სურდათ. ოსთა შეერთებას ქართველებთან ასე მოიხსენებს „ქართლის ცხოვრებას“, რუსუდანმა განხსნა კარნი დარიალისანი და გამოიყვანა ოვსნი და დურზუკნი და შეკრიბნა ყო-ველნი მთიელნი და შეკრბეს ნაწარმაკვეს ურიცხვნი ერნი“ და სხვანი. რუსუდანმა ეს მოახდინა იმ დროს, როცა ჩინგის ყაენის ჯა-რის ორი ნაწილი რუსეთისკენ იყო სალაშქროდ წასული.

ჩინგის ყაენის გარდაცვალების შემდეგ, ოსეთი მაინც მათსავე ფლობაში რჩება. ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაე-ნად იქმნა ძე მისი ოჯროფა, ეს კაცი „ქართ. ცხ.“ სიტ-ყვით:—„იყო კაცი კეთილი, დიდათ უნდა და მოსამართლე“ ესეც ბატონი და პატრონი ოსეთის, როგორც მანა, შვილიც ისევე ფლობდა ოსეთს. მცირე ხანს შემდეგ ეს ყაენიც მოკვდა, მის მაგიერ ყაენად დასვეს ძე მისი ქუჯ. ესეც რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა, ამის მაგიერ ყაენად იქმნა ძე მისი მან-გუ. ოსეთში ოსებს დაადეს ხარჯი ასე: „სალაშქროდ ცხრას მქო-ნებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი ესე იგი ცხრა კაცზედ ერთი კაცი სალაშქროდ ძღვენი სოფლისაგან. ათასისა მხედრისა მთა-ვარსა კრავი ერთი, და დრაჭანი ერთი, ხოდო ბევრსა მთავარსა, ცხოვარი ორი და მიზდი ცხენისა, თეთრი სამი, გარდა ამის აღწე-რეს დაწვრილებით: კაცნი, პირუტყვნი, ყანა, ვენახები, წალ-კოტ,-ბოსტნამდე და სხვანიც, ყოველივეს გაუწესეს გადასახა-დი, რითაც ოსეთის გლეხებს არა მცირედი ხარჯი დაატყდე-ბოდა თავზედ. ხარჯის გადახდას არვინ სჩივის, უბედურება ის იყო, რომ ამ დროს, აღმოსავლეთში აღმოჩდნენ ქურთის ტომის მოხეტიალე ერნი რომელთაც ოსმალთაგანი ამრაველებ-

ლნენ საქართველოში. ეს ქურთნი სომხის მსწავლულნი ამბობენ რომ იგინი სომეხთ ნათესავნი არიანო. ქურთელი და სომეხთა ენის ერთი გრამატიკაც არსებობს, ქურთულ ენა სომხური ენის კილო კავიაო უკავიაო. არამედ. ქურთების ხელობა იყო ტაცვა, პარვა, ამათ მოაბეზრეს მთელი აღმოსავლეთი და მერე საქართველო, ამიტომაც ქართველნი საქართველოში მპარავთ სახელად ცუდს ამ ერის სახელს ქურდს უწოდებენ, რაც ნიშნავს მპარავს, მტაცავს, მთელმა ერმა ასეთი სახელი დაიმკვიდრა თავის მოქმედებით ქართველებში ესენი მაინც ფეხს ვერ იმაგრებდენ, XIV საუკ. ესენი გადავიდნენ დილის ტონს და ოსეთში დაღისტანსა და ოსეთში ამათ ფესვი მაგრა გაიდგეს, დაიწყეს იქ ტაცობა, პარვა და ბოლოს ამათ ისე გაითქვეს სახელი, რომ მათ ადვილად აიყოლიეს თვით ლეკნი და ოსნიც, თითქმის ამით, მონგოლთა მოვლენა საქართველოში და ოსეთში პირველი მაგალითი იყო. „ქართ. ცხოვრ.“ თქმით, ეს ხალხი ჩვენს ქვეყანაში აქამდე არვის უნახავს და არც ძველ წიგნებში შეგვხვედრია მათი აღწერანიო, საქართველო ჩინგის ყაენმა მიწაზედ გაასწორა, ხოლო ქართველთ მეფობა მაინც ვერ მოსპო. საქართველოს ერის ხოცვის საქმენი „ქართლ ცხოვრ.“ სისხლის ცრემლით არის ანუსხული და დატირებული. ამ გარემოებას ოსეთის მეფე და მთავრებიც კარგად ხედავდნენ

ჩინგის ყაენი მალე შევიდა ოსეთშიაც, თან შეიყვანა 400 ათასი ჯარის კაცი. ოსებმა თავი დაუკრეს, მაგრამ მტერმა ეს არ იკმარა. მისი ჯარი მთელ ოსეთს კალიასავებ მოედნენ და ყველგან პურს თხოულობდენ, საქმელს და სასმელს. დამშეულმა ჯარმა მთელი ოსეთი აიკლეს და სიმშილისაგან ოსებს ღარაფერი შეარჩინეს. მატიანე შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს:—„ხოლო ესენი მცირედთა საჯმელთა განეშორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა სჯამდეს ხორცსა კატისა, ძაღლისა დ ყოველსაცა ასეთსა ოსებს ამათი საქციელი არ მოსწონდათ და იგინი ერთობ სძაგდათ კატის, ძაღლის და ასეთ ცხოველის

ჭამისთვის. თუმცა ამ დროს იგინი ოსებს არას ერჩოდნენ მაგრამ ოსებს მაინც სასტიკათ სძულდათ. იგინი, ჩინგის ყაენს ცოლები მრავლად ჰყავდა, ამათგან მას ოთხი ვაჟი ჰყავდა. ხატავეთს (ჩინეთი) მყოფმა ჩინეთს ყაენმა თავის უხუცეს შვილს თუბის მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა დიდს საყიფჩახეთს, ოსეთს და რუსეთს ვიდრე თუბი საქართველოსა და ოსეთში შემოვიდოდა მინამ აქ გაჩნდა ხვარაზამ შაჰი მტერს მტერი მოემატა ამას ჩინგის ყაენს ლაშქრის და სულთნების გაძევება სურდა რომ ახლა მას ეკრიფა ხარჯი ქართლსა და ოსეთისაგან ამ გარემოებამ ჩინგის ყაენის შვილი თუბი ხვარაზამ შაჰის შეება და იგი სასტიკათაც დაამარცხა. ამ დამარცხებამაც ოსეთის ხალხის ცხოვრებაზედ იქონია მეტად ცუდი შედეგი.

მატიანეს თქმით, აქამდის ქართველნი და ოსნი არას დროს ძლეულან ასე. ეს პირველი მაგალითია, რომ ერთის და მეორის სამეფო და სამხედრო დროშები დაითვლიდნენ. ეს გარემოება „ქართ. ცხოვ.“ თავზარდაცემით არის მოთხრობილი. ასეთ დროს, საქართველოს და ოსეთს მეორე მტერიც მოევლინა. ეს გახლდათ ჯალალედინ სულთანი. ესეც კაი სვავი იყო. ამან სძლია მონგოლებს საქართველო და ოსეთი დაიკავა. მერე აქედამ საბერძნეთს გაემგზავრნენ.

ამით ისარგებლა ჩინგის ყაენმა, ამან გამოგზავნა თავის ერთი შვილი, გამოაყოლა დიდი ძალი ჯარი, მათ აიღეს თეირანი, სათურქეთი, ყოველი ხვაროსანი, ამის შემდეგ, დაიპყრეს მთელი კავკასი, მასთან ოსეთიც „ქართ. ცხოვ.“ ამ დაპყრობას ასე მოიხსენებს: — „ჩინგის ყაენმა მისცა ლაშქარი-შეიდსა თვისა და წარგზავნა დიდსა მას ყიფჩახეთსა ვიდრე ბნელეთამდის, ხაზარეთს, ოვსეთს, რუსეთს ბორდალეთამდე, სერბთა და კავკასთა და ჩრდილოთ ყოველთა მკვიდრთა“ ყველა ამ ადგილებს მძლავრად ფლობდენ ესენი. ხალხსაც რასაკვირველია კეთილს არ აყრიდნენ, ოსეთმა ცოტა ამოისუნთქა და XV საუკ. მკირედ მოშენება და მომრავლება იწყეს, მაგრამ ეს ბედნიერება მცირე დროის აღმოჩნდა.

ოსების და ქართველების უბედურება ერთი ის იყო, როს როგორც ერთ მტერს შეებმოდენ, გააძევებდენ და ქვეყანას გაითავისუფლებდენ, ამ ამბავს რა შეიტყობდენ ესენი, მეორენი, ესენი ამხედრდებოდნენ და წამოვიდოდნენ დასაპყრობათ, რადგანც მტერი გაუდევნიათ, ეხლა თავის უბედურებასთან ამიტომ ჩვენც მათ ახლა თავისუფლად დავიჭერთო. ქვეყნიდამ.

დაჭერას კი ოსეთის და საქართველოს ყველა ელტოდა, რადგანც ეს ქვეყნები მათ წინაშე ქებული იყო მოსავლით, პურით, საჭმელ-სასმელით, ხალხით და სხვა და სხვა სიმდიდრითაც. ჯალალედინის შემდეგ ახლა ქართველ და ოსებს თურქები მოევლინენ სათურქეთიდამ და ახლა ამათ დაიწყეს ბრძოლა და დამორჩილება. ამათმა ბრძოლამ ოსებზედ, XI საუკ. დაიწყო და გასტანა კარგა ხანს, თითქმის 1664 წ. ვიდრე ოსმალთ სამცხე დაიმორჩილაო.

რადგანაც XIII საუკ. იწყება ოსების ისეთი ხანა, იგინი უკვე თავისუფლდებიან სხვა და სხვა ტომთა გავლენისა და ონებისაგან. მის მაგიერ იგინი ეძლევიან ოსმალთ და ისლამის კერძათ. ეს ძალა არის უძველესი, რომელიც ოსმალთ გარდა ვერავინ მოსპო მათში, ცნობებით ვიდრე საქართველოს მეფობა დაარსდებოდა, მინამდის ოსებმა ქართველებთან გამოსცადეს ბევრ ნაირი ტყვეობა.

საქართველოს სამეფო დაარსა ფარნავაზ პირველმა ამ მეფემ შეირთა ოსეთის ზოწინავე მთავრის ქალი. ამავე ფარნაოზის მეთაურობით იქმნა დაარსებული ოსთა სამეფო და დადგენილი მისი ოთხკუთხივ საზღვრები. მინამ ეს მოხდებოდა, მინამ ოსებმა გამოსცადეს ბევრნაირი ტომთა თავ-დასხმა და ზე გავლენა, არც ერთ ტომს არ გაუვლია აღმოსავლეთიდამ ამ კუთხეზედ, რომ მათ ცნობის მოყვარეობით იალბუზის მთასთან არ მისულიყვნენ, იგი არ ენახათ და მის საშუალებით ოსებიც არ გაეცნოდ. ამათ გარდა ხშირად აქ მოდიოდნენ. ისეთ ძველ სახელმწიფოთა ტომნი, რომელნიც ოსეთს და საქართველოსაც იკავებდენ.

ასირიელები. ერთ დროს ესენი იყვნენ სრულნი მეფობით, განათლებით და ვაჭრობა-ხელოსნობით. ამათ ეკავად საქართველო და მასთან ოსეთიც. მთის ხალხებში და ნამეტურ ოსებზედ ამათ აქვნდათ დიდი გავლენა. პურის თესვა, ქერის, ფეტვის და სხვა ესეთების ოსებმა ამათგან ისწავლეს. ოსებში ქვაზედ ქანდაკებაც ამათ ასწავლეს. მცენარეების პატივისცემა და ბაღოსნობაც. ასირიელთაგან—ისწავლეს, ნამეტურ ტყის ნადირთა სახოცავ საშვალება.—კარგი იარაღის კეთება.

ეგვიპტელები. ეგვიპტელებს დიდი ისტორია აქვსთ, მათ საქართველო და ოსეთი კარგა ხანს სპერიად. ოსები, როგორც მთის ერი ისე მოსწონდათ მათ, რომ როცა იგინი ეგვიპტეში ქართველებს ასახლებდნენ, მაშინ იქ ოსები უფრო მრავლად შიჰყვანდათ. ეგვიპტელთ მეტად დიდი გავლენა აქვნდათ ოსებზედაც. ღვინის კეთება ქართველებს და ოსებს ეგვიპტელებმა ასწავლეს, ისევე პურის ცხობა უკეთესად, ხიდების, კეთება არხების გაყვანა. ეგვიპტელნი ცხოველებთ შორის მღვთიურად პატივს სცემდენ სხვათა შორის თხასაც, ეს ოსებშიაც არის დაშთენილი დღემდე, ასევე იგინი კატას სცემდენ პატივს ეს ქართველებმაც იციან, რომ კატის მოკვლა ცოდვა არისო.

მეისტორიეთა თქმით, თვით წიგნის საწერთ ნიშნების ხმარებაც ქართველებს და ოსებს ეგვიპტელთაგან უსწავლიად. ოსებს ქართველებიდან ანბანი ამ დროიდგან სცოდნიად და მიღებულიც ჰქონიად. მაშინ ეს ანბანი ოსური ანბანიც იყო. ფარნაოზ მეფემდის ოსებმა და ქართველებმა ანბანის ხმარება არ იცოდნენ. ფარნაოზმა ოსურ ქართული ანბანი კი არ შეადგინა, არამედ ხუცურიდამ მხედრულად გადააკეთა. რაშიაც ოსებიც იღებდენ მონაწილეობას.

ფინიკიელთა. ფლობაც დასაბუთებულია. ამათაც საქართველოსთან ოსეთიც კარგა ხანს ეკავთ. ამიტომ ძალიან ბევრს მთებს, მდინარეებს, სოფლებს და ქალაქებს ამათებური სახელებიც შერჩენიად თვით ჩვენს დრომდე, მაგალითებრ: ალაზანი, იორი, არაგვი, ტკვარი, ჭოროხი, არაკსი, ლიახვი, და სხვანიც ასეთნი.

ბაბილონელთაც, ანუ ებრაელთაც ეკავათ როგორც საქართველო, ისევე ოსეთი. ამ ერისა და ენის დიდი გავლენა ნამეტურ მთის ერზედ იქიდამაც სჩანს, რომ ზოგიერთ მეისტორიეთა თქმით, ოსურს ენაში, სხვათა შორის, ებრაული სიტყვებიც მოისმისო, ასევე ფინიკური, ეგვიპტური და სხვაც ასეთნიო. ეს მიტომ გახლავსთ ასეო, რადგანაც ოსები მთის ერი იყო, მათი ენა ღარიბი გახლდათ და იგინი რომელ ერის რაიხსაც ნახავდნენ და მათში რამე უცხო სახელებს მოისმენდნენ, იმას თვითაც იძენდნენო, ამიტომაც ოსურ ენაში, ნემეცური ენის სიტყვებიც მოისმისო.

მსწავლულთა თქმით, ასეთ ხალხთა უფლება ოსებზედ დაწყობილი უნდა იყოს ქრისტეს წინედ 15 ათასი წლის წინედო. შემდეგ, ანუ ქრისტეს წინა უახლეს დროდამ, ოსებმა გამოსცადეს ბევრნაირი ტყვეობა. XII საუკ. დავით აღმაშენებლის ცდით კი ოსები განთავისუფლებულ იქმნენ. მათი მეფენი და მთავრები გახდნენ დამოუკიდებელნი. მინამ კი ოსებმა გამოსცადეს შემდეგ ერთა ზე გავლენა და ქვეშევრდომობა, დასაბუთებულია ისტორიულად. ეს არის მეორე ხანა ოსეთის ისტორიისა.

რომაელნი ოსებს ჰფლობდნენ ქრისტეს წინა დროს და ქრისტიანობის შემდეგაც კარგა ხანს, რომაელნი იცნობდნენ როგორც შავი ზღვის ნაპირებს, აფხაზეთს, ლაზისტანს და ქართლს, ისევე იცნობდნენ ოსეთს. ოსეთში რომაელთ მთავარმართებელნიც ხშირად მოდიოდნენ. რომის კეისარი პომპეი საქართველოში მოვიდა, მერე დაიპყრა სხვანიც, მასთან შირვანი. აფხაზეთიდამ ოსეთშიაც გადავიდა, ოსებიდამ მეომრებიც გაიყვანა მიტრიდატის ბრძოლაში. ცხეთის ხიდის, სხვა ხიდების კეთებაში ოსთა ხელოსნებსაც ამუშავებდა. რომაელთაგან ოსებმა ისწავლეს რომაული ენა, მათი ხელოსნობა ოსებში შემოვიდა მათგან საპნის ხმარება, ლუდის, ღვინის და არყის კეთება, პურის და ქერის სუფთად დაფქვა, მკურნალობა, სხვა და სხვა იარაღის კეთება და ლაშქრის მოწყობა რო-

მაულად. ამას გარდა რომაელებთაგან ოსებმა სხვაც ბევრი რამ ისწავლეს.

მღვდ. ვინმე მესხის სიტყვით ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში და ოსეთშიაც იყო. ოსეთში ყოფნის თვით მისივე ცხენის ამბებიც ამტკიცებს. სხვები უარს ჰყოფენ, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ მოსულა არც ოსეთშიო.

ბიზანტიელთაგან. შეისწავლეს მათებური ენა და სწავლა. ხელოსნობა, კლდის მტვრევა, ქვის თლა, სახლების კეთება, აგურისა და კრამიტის ხმარება, თაფლიდამ სამთლის გამოხდა, დანების და კრიალოსნების და სხვაც ამ გვარნი. ნამეტურ ჯამ-ჭურჭლის გამოწვა.

სპარსთაგან ისწავლეს სპაპსული ენა, მღებარობა, ყაზაზობა და ფეიქრობა, კალატოზობა და სხვაც ბევრი რამ.

არაბთაგან. ისწავლეს არაბული ენა, თვლა წელთა, დრო და ჟამთა, ტაროსის მიხვედრა. სხვაც ბევრი რამ სწავლანი მათი.

ქართველთა მონებათ ოსნი არას დროს არ ყოფილან, ერთი მაგალითია მხოლოდ ის, რომ იგინი ვახტანგ გორგასლანმა სძლია, ეს შეცდომა მერე ვახტანგმა გამოისყიდა ოსეთის ერის წინაშე, ნაცვლად ამის, XII საუკუნის დავით აღმაშენებელმა ოსეთი არაბთა ფლობისაგან გაანთავისუფლა. არის ისეთი ისტორიული ცნობებიც, რომ ოსები ქართველებთაგანაც ბევრ რამეს სწავლობდნენ. ასეთ ცნობას გარეშე იმის ცნობებიც არის დაშთენილი, რომ ოსები რომაელთა ლაშქრობიდამ სახლში რომ ბრუნდებოდნენ, მაშინ მათ თან შეჰქონდათ ის სწავლა და ცოდნანი, რასაც იგინი რომაელთაგან იძენდნენო.

უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოსა და აღმოსავლეთში არ ყოფილა არც ერთი ძრიელ სახელმწიფოთა ბრძოლანი, რომ მათში ოსებიც არ რეეულიყვნენ, ოსეთში იყო პომპეის გალაშკრება, მიტრიდატის ომები, ალექსანდრე მაკედონისა,

სპარსთა მეფის დარი ოსის და სხვებისაც მრავალთა. ყველა ამათ მიერ დაწყობილ ბრძოლაში ოსებიც იღებდნენ ყოველთვის მონაწილეობას, პომპეის ოსნი დიდს მგზავრობას უწევდნენ თურმე და აღმოსავლეთისკენაც მისდევდნენ, ნამეტურ სპარსეთზედ, საიდამაც პომპეის ინდოეთის გზა უნდა გაერკვია ვაჭრობის მიზნით, როგორცა სჩანს, ამ დროს, ვაჭრობაში ნებას არც ოსები ყოფილან უკან ჩამორჩენილნი.

ერთად ერთი ოსეთის ერის საზარლად ის ხდებოდა, რომ როცა მათი მფლობელ რომაელნი ბიზანტიელს ან სპარსელებს ებრძოდნენ, ანუ ბიზანტიელნი რომაელთ, ანუ სპარსელთ და ამავ დროს მათ ოსეთიც ეპყრად მაშინ ოსები უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ და არ იცოდნენ თავი როგორ დაეკავად, ვის მიმხროდენ. ეს პირობები მათ ცხოვრებას ცოტად კი არა და დიდათ აფერხებდა. VII საუკ. ოსებზედ მოისპო რომაელთ გავლენა და ფლობა და VIII საუკ. ბიზანტიელთ ფლობა, მიტომ მათ მაგიერ ოსებს ახლა არაბები გაუჩნდენ შოდავეთ. არაბებსაც ოსეთი კარგა ხანს ეპყრად, ოსებზედ ესენიც დიდს ზე გავლენას ახდენდნენ. XII საუკუნეში, დავით აღმაშენებელმა ოსები არაბთაგან გაათავისუფლა. ამიერიდამ ოსები დაშთენ თავიანთ მეფე და მთავრებთ თავისუფლად იმ დრომდე ვიდრე საქართველოს მონგოლები მოესეოდნენ.

საქართველოს დაუძლურების და დაცემის შემდეგ, დაუძლურდა ოსეთიც.

სპარსნი. ჰფლობდნენ მონგოლთა გაძევების შემდეგ ხანდისხან და მასთან ოსებს ხარკს ართმევდენ ქალ-ვაჟებით, როცა სპარსელებს საქართველოდამ გააძევებდენ, მაშინ ოსეთიც თავისუფლდებოდა,

ოსმალთ ოსეთის მცირე ოდენი დაიპყრეს XVII საუკ. აფხაზეთის გზით და დაღისტანიდამ. ამ დროდამ მათ ოსებში ისლამის ვრცელებაც დაიწყეს და მრავლადაც დაუკავშირეს ოსნი ისლამს 1670 წ.

ისლამის მიღებას ოსებში ხელს უწყობდა ის გარემოებაც

რომ იმ დროს, ოსეთში ქრისტიანობა შესუსტებული იყო, სასულიერო პირთა მაგიერობას ოსთა სოფლის მოხუცებულნი, ანუ დეკანოზები და ხევის ბერების მსგავსნი სწევდენ და მიტომაც ოსმალნი ასეთ პირებს უფრო ადვილად იბირებდნენ თვისკენ. ამიტომაც არ უნდა იყოს ჩვენთვის გასაკვირვი ის გარემოება, რომ ოსურს ენაში ხშირად მოისმის სხვა და სხვა ტომთა ენის სიტყვებიდან მათი სიტყვების მიმსგავსებური ხმები.

ყოველივე ამაებს გარეშე, ისიც უნდა ითქვას, რომ ოსები XVII საუკუნემდე. სულ სხვა ხალხი იყო. მინამდის მათ ცხოვრებას ბეჯითად აჩნდა რომაელთ ცხოვრების გავლენა, ბიზანტიელთ და თვით არაბთა საკეთილო საქმენიც. ამ დრომდე, ოსნი მისდევდნენ რომაულ-ბიზანტიურად ხელოსნობას, ვაჭრობას, მეურნეობას და სწავლა-განვითარების საქმეს. XVII საუკუნის შემდეგ კი, რაკი ოსმალ-სპარსთა ქართველებთან ერთად გადასწყვიტეს ოსების მოსპობაც, ამიტომ მათში დავარდა ყოველივე ჩვენგან ზემოთ მოთვლილნი და მათ მაგიერ გავრცელდა ის, რითაც მერე ოსები სახელოვნებდნენ, რასაც XIX საუკუნეში მოჰყვა ის ოსთა ცხოვრების საქმენი, რომ ამ დროსთვის ოსები უკვე ისე დაცემულ იქმნენ, რომ თითქმის განადირებულებს ჰგვანდნენ, მათში ჩაფრების შეტს კაცი ველარას ნახავდა.

ასე და ამ გვარად, ოსების სახელოვანი და ქებული ღირსება XVII საუკ. ისე დაეცა, ისე მოისპო მუსულმანთა წყალობით, რაისა გამო ოსებმა დაიმკვიდრეს უკულტურო ერის სახელი, ანბანის არ მქონის და ათასიც სხვა ასეთების რაც ოსეთის ერის წარსულ კულტურის მექონ ისტორიულს ცნობებს ერთობ ეშესაბამება და ეწინააღმდეგება.

მონგოლებმა. ოსეთი დაიპყრეს XIII საუკუნიდამ, მის შემდეგ, იგინი ჰფლობდნენ ოსეთს. ამათ ოსებს ბევრი გზით მიაყენეს ვნება, შეიტანეს თვისი წესები. ამათვე აღაწერინეს ოსები დაწვრილებით. ხალხით, ადგილებით, ვენახ, ბოსტან, პირუტყვ-საქონელით და ყველაფერ მოსავლით, რაის შემდეგ,

ოსეთს ხარჯიც გააწერეს. ოსებმა ამათგან ისწავლეს ზოგი რამ კეთილად საქნენი საქმენი. თვინიერ ძლიერის გავლენის მონგოლების ოსებს სხვა არა დარჩათ რა. ოსეთის მეფე თავის ერით ემორჩილებოდა მონგოლთა იმ ნოინს, ვისაც ექვემდებარებოდა მთელი აღმოსავლეთი, რუსეთი და სხვანიც.

ოსების სამწიგნობრო საქმე.

ოსნი, როგორც მთის ერნი, ნიჭით სავსენი არიან, მათთვის გარემოებას რომ ხელი შაეწყო, დღეს აგინი საკმარისად იქმნებოდნენ განვითარებით წინ წასულნი. მათი უბედურება ის იყო, რომ მათ ქვეყანას ბევრნი ეპატრონებოდნენ, ამისთვის იმართებოდა ომებიც. ამიტომ ოსებს დრო აღარ აქვნდათ, რომ სამწიგნობრო, ანუ განათლების და მეცნიერებისათვის ემზირნათ. როცა კი ამათ გარემოება ნებას მისცემდა, იგინი მაშინათვე მზად იყვნენ ყველაფრის შეთვისების.

ამის მაგალითია დავით სოსლანის ქართლში დაბინავება, ანუ თფილისში ცხოვრება, დავით სოსლანი მწიგნობრობის მიმდევარი გახლდათ, მან იცოდა ქართული კარგად, ბერძნული, თათრული და არაბული ენა. ენების ცოდნის გარეშე იგი იყო მწიგნობრობის მოყვარე, წიგნების მკითხველი, მასთან ქართველი მწერალიც, ამიტომაც ამის თამართან დასიძავებამ, ხელი შეუწყო ქართული მწიგნობრობის აღორძინებას ოსეთში, დავით სოსლანმა იმეცადინა და ოსებთ შორის განავრცო როგორც ქართული წიგნების კითხვა, ისევე მწერლობაც, ოსნი მიეჩვივნენ ადვილად ქართულად მწერლობას, იგინი სწერდენ ლექსებს, მოთხრობებს და ისტორიულ წერილებს. ისტორიით ვიცით, რომ XII საუკუნის დავით სოსლანის დროს, ოსეთში ოსები მწერლობასაც მიეჩვივნენ, მათ წიგნების კითხვასთან წიგნების წერაც დაიწყეს.

თქმულება არის რომ ოსებმა დავით სოსლანის დროს, ქართულად მწიგნობრობაც დაიწყეს და იგინი მრავლად მის-

დევდნენ მწერლობასაო. სწერდნენ ქართულად ლექსებს მოთხრობებს და ისტორიებსაო. იგინიეე სწერდნენ ოსურადაც, ანბანი ქართული იყო და სიტყვები კი ოსური. სამწუხაროდ ჩვენ დრომდის ასეთ ნაწერებიდამ სულ ვერ მოაღწიეს თითო ოროლა რამ ცნობა არის დარჩენილი XII საუკ. ოსების ქართულ მწერლობის შესახებ და რაც გახლავთ და ვიცით იმასაც აქ მოვიყვანთ. შეიძლება ბევრი რამ დაიწერა მაშინ ოსთაგან, მაგრამ რადგანაც იმ ბევრიდან ჩვენ მარტოდ ესე ვიცით, ამიტომ აქ ამას მაინც ავნუსხავთ. ლექსი: — „ჩვენ ვიყავით“ დაწერილი არის XII საუკ. დავით სოსლანისაგან მართალია. ამ ლექსში ოს ბაყთარი მოიხსენება და სხვაც ასეთნი, მაგრამ ეს არ გვათქმევინებს, რომ ვითომც იგი ძველის ძველია. XII საუკუნის არ იყოს თავის მნიშვნელობას არ უკარგავს. ამიტომ მომყავს ეს ლექსი აქ ნიმუშად. ისიც კი შეიძლება ვსთქვათ, რომ თუმცა ამის დაწერას დავით სოსლანს ვაკუთნებთ, მაგრამ შეიძლება ეს ასე არ გახლდესთ და იგი სხვის იყოს, ესეც შეიძლება, მაგრამ რაკი ოსეთში, ოსთაგან მწერლობის კალმის მწერლობით დავით სოსლანზედ მეტს სხვას არაევის ვიცნობთ, ამიტომაც სხვაზედ არ ვფიქრობთ ამას. აი ესეც ლექსი:

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,
ჩარჯონიძე—ჯარხლიანი;
ოს, ბაუთარ, დავით-სოსლახი,
თითო სამეფოდ შებრძოლანი;
ფიდარიზ, ჯადარიზ, საუურ,—გიორგ
მტერთა რისხვით შემხვედარნი.
გიორგი, ისაკ, რომანოზ—ბასილ,
იქმნენ ქრისტეს კარგი ემანი.
ჩვენ გვიჯირავს მიმავლთა
ოთხივ კუთხის იწრო გზანი.
კასარზე სიმაგრე მაქვს და სიბაყოდ ხიდიხ კარი
აქ მიჯირავს ხიდის კარი,
სიიქიოს მოიმედე,

საქართველოს კარგა მდგარნი;
ოქრონსა და გერცხლის მიწა
იმდენი მაქვს, ვითა წუალნი;
კავკასიონი დავიპყარ,
ოთხ-სამეფოს გაუმკლავდი,
ქართველ მეფეს დაჲ მოვსტაცე,
მამწვდა ფიცით მიდალატა,
მან დაიდო ჩემი ბრალი:
ბაუთარ წუალსა მიეცა,
ადიხოცა ოსთა ჯარი,
ვინც ეს ლექსნი იხიდოთ,
ჩვენი სვით შესინდობარი.

დავით სოსლანის მწერლობის შესახებ, საქართველოს ძველი ისტორიის მცოდნე ნიკ. გამრეკელი შემდეგს გადმოგვცემს თვის მიერ გამოცემულ „ალღეზიანის“ წინა-სიტყვაობაში, რომელ პოემაც მან წიგნად გამოსცა 1897 წ. პოემა თექვსმეტ მარცლოვანია. გამომცემი სწერს: — „ეს პოემა გახდა დიდ მის მნიშვნელობისა, საქართველოს პოეტურ ლიტერატურისათვის იძლევა ახალს ნათელს დახშულ ისტორიის ოსეთის სამეფოის და ვგონებთ, რომ ეს არის დაწერილი თვით მეორე ქმრისაგან თამარ დედოფლისა, დავით სოსლანისაგან იმ დროს, როცა მას უნდა მიედო ნება დართვა დედოფალ თამარისაგან ქორწინების ქმრობის. ამ პოემით დაუმტკიცა სარწმუნოება, ჩამომავლობა და თვისი განათლება“ ამ ცნობის გამომცემელი პოემის შემდეგ თქმულება ზედ აფუძნებს.

„თუ მკითხავთ, მოგახსენებთ, მეფე ვარ ამოსარისა,
მპურობელი დიდთა ქვეყანათ, ძირი დავით მეფის გვარის
ალდუზონ დიდი ხელმწიფე, თვით მპურობელი მიდანქარის,
ბატონი დიდი ოვსთა, ჩერქეზთ, ჩეჩენ, ქისტთ, ნოხთა გვარის
გვარად დიდ ავდუსტიან-პატრონ მთისა და ბარის,
იალბუზის, კავკაზის და მხარეთა მისთა გვარის.

გამომცემელი სწერს, რომ ამ პოემის ხელთნაწერი იპოვნა ოსეთში ნუზალის ეკლესიაში მღვდელმა იოანე რუსიევმაო.

ეს პოემა ისტორიკოს მოსე ჯანაშვილმა რუსულად სთარგმნა და კავკასიის მზრუნველის კრებულში დასტამბა, როგორც მასალა ოსეთის ისტორიის. პოემა თექვსმეტ მარცვლოვანია, ზოგ ალაგას რითმებიც დარღვეულია. ამას გარდა იგი გადაკეთებულიც უნდა იყოს, რასაც კარგად აჩენს თვით ის გარემოებაც, რომ შიგ ჩაწერილებია ევროპიული სახელები: ალღუზონი და სხვა ასეთნიც. თუ მართლა ეს პოემა დავით სოსლანის დაწერილი გახლავსთ, მაშინ იგი უსათუოდ გარყვნილი და გადაკეთებული უნდა იყოს შემდეგ საუკუნოებში გადამწერთაგან.

ამბობენ, რომ თვით „ამირან დარეჯანიანიც“ სულ ოსებში დარჩენილ ძველებურის ზღაპრებისაგან არის შედგენილი და დაწერილიო. ამას მოწმობს თვით „ამირან დარეჯანიანის“ გმირთა სახელები, რაც სულ ოსური სახელებიაო. ასევე სჩანს, რომ „დილარიანიც“ ოსეთის ამბებით და ზღაპრებით უნდა იყოს შემდგარი. რასაც მოწმობს ის გარემოებაც, რომ ამ მოთხრობის გმირთა სახელებიც სულ ოსური. ეს სახელები ოსეთში დღესაც იხმარება. ამას გარდა თვით მოთხრობაში ხშირად და მრავლად იხმარება. როგორც „ამირან დარეჯანიანი“ ისევე „დილარიანი“ რამდენათაც იგინი ეხებიან ქართველთ ყოფა-ცხოვრების საქმეებს, იგი ისევე ხატავს ოსებს და ოსთა ცხოვრებას.

ცნობები არის კიდევ დაშთენილი რომ: ოსეთში ძრიელ იყო გავრცელებული ქართული წიგნების კითხვა და ნამეტურ კითხულობდნენ ხალისით „როსტომიანსო“ ამიტომაც ოსებში ხშირად იხმარება ამ პოემის გმირთა სახელები და ნამეტურ „ბეჟანიანის“. ასევე არის ამათში დაშთენილი ცნობა ქართულის „ეთერიანის“ და „აბესალომის“ კითხვის ცნობები. თვით „ვეფხის ტყაოსანში“ მოხსენებულ ხატაველნიც ოსები არია-

ნო. ასე აქვსთ ძველთაგან ეს ახსნილი, თუმცა ხატაველ ქართველთაგან ჩინეთსაც ეწოდებაო და „ვეფხის ტყაოსნის“ ხატაველი და ხატაველნი კი ოსებს ხატავსო. ამიტომ ეს წიგნიც ოსთა დიდებულთა ოჯახებში თურმე მრავლად იკითხებოდა ძველად.

„სარიდონიანიც“, ძველთაგან ვინმე ოსისაგან არის დაწერილიო. XVIII საუკუნის ამ პოემის ხელთნაწერიც ვილაცა ოს ვაჭარს გადუკეთებია თავისებურად ეს ვაჭარი ყოფილა ოსი ბეწინა, რომელიც კავკავში სცხოვრებდა. სხვაც ბევრი რამ ცნობები არის დაშთენილი ოსთა სამწიგნობრო წარმატების გამო. ჩვენ იმათ არ მოვიხსენებთ, ვაი თუ ზოგს ეს ზღაპარი ეგონოს.

ოსეთში XII და XIII საუკუნეებში კათოლიკის მისიონერები და კათოლიკობის ვრცელება ოსეთში.

რაკი ოსეთი ძველიდგანვე იყო ბიზანტია და რომაელებისთვის კარგად ცნობილი, ამიტომ იგინი ოსებს ყოველთვის ჯეროვნად აპყრობდენ ყურადღებას. ასეთი ყურადღება მათ ნამეტურ მოაპყრეს XIII საუკ. რადგანც ამ დროდამ იწყება ოსეთის სამეფოს განადგურება, ოსების მოსპობა. ამ დრომდე ოსთა რიცხვი იგოდენი იყო, რომ მარტოდ თამარ მეფის ოსეთში მისვლის დროს, ოსთა მეფემ ორას ათასი ოსის მოასპარეზე გამოიყვანა. ესე იგი მოლაშქრენი სათამაშო-საჯირითოთ.

რა არის ეს ქვეყანა, XII საუკუნ. ოსები ისე ყოფილან გამრავლებულნი, რომ მათგან 200 ათასი მარტოდ მოასპარეზე,—მოთამაშე და მეჯირითენი გამოსულან, შემდეგ კი როგორ წარემართა ამ მხნე, გულადი ერის საქმენი, იგინი ისე შემცირდნენ, ისე მოისპნენ, რომ დღეს ის რიცხვიც ძლივს არის ოსთა ერის, რაც მარტოდ XII საუკ. ოსთა მოასპარეზედ

მეომარნი ითვლებოდენ. ოსეთის ერის შემცირების გარემოებას რომიდამ დიდი ყურადღება მიაქციეს. რადგანც ოსების შესახებაც რომის პაპებს ხშირად სწერდნენ წერილებს საქართველოში მყოფი ლათინის მისიონერები. ოსები ასეთის გაჭირებულის გარემოებით, რომში გაიცნეს იმ დროდამ, როცა ჯვაროსანთა ომი მოხდა, ოსები ამ დროს დიდს გაჭირებაში იყვნენ, მაგრამ მათ მაინც მონაწილეობა მიიღეს. ამიტომაც ოსეთს მალე რომის „კონგეგრაციამ" საქართველოსთან ერთად ოსეთსაც მიაქცია ყურადღება, ოსეთში მისიონერებიც გამოგზავნეს საქადაგებლად.

პაპს ჰონორი მესამეს და გრიგოლ მეცხრეს რუსუდან დე დოფალმა წერილებიც მისწერა, ასევე რომის პაპამ მოსწერა წერილი და ლოცვა-კურთხევა. XIII საუკუნის 40 წლებიდამ „კონგეგრაციამ" კარგად გაიცნა ოსეთი, ფშავეთი, ხევსურეთი, თუშეთი და საქართველოც. ამიტომ მათ გამოგზავნეს ოსეთში სხვა და სხვა მისიონერები, რომელნიც ოსეთში მიეცნენ ცხოვრებას, მუსულმანთაგან დევნულ ოსებში კათოლიკობას დაუწყეს ვრცელება. კათოლიკობის ვრცელებასთან იგინი ხმარობდნენ საშვალებათ ექიმობას და ბებიაობასაც, რადგანაც მათ ესენიც კარგად იცოდნენ. ამის საშვალებით იგინი ოსებს მრავლად უკავშირებდნენ კათოლიკობას.

მისიონერებს ოსებში კარგად წაუვიდათ საქმე. იგინი იყვნენ ოსთა მეფე და მთავართ მთარგმნელებიც, მისიონერებმა ისეთი გავლენა იქონიეს ოსეთის ერზედ რომ მათ მალე დაუკავშირეს კათოლიკობას თვით ოსეთის ერთი მთავარიც თავის შვილებით.

ამის შესახებ ლუკა ისარლოვი რომის არქივების ცნობებით აი რას სწერს:—„კათოლიკის მისიონერებმა ოსეთის მეფეს ისე შეაყვარეს თავი, იგი ისე მოამზადეს, რომ ბოლოს ეს ოსის მთავარ მეფე გახდა ევროპის სწავლა-განათლების დიდი ბატიების მტკიცედ და მის მიმდევარიც" და სხვანი. („ქართველ კათოლი-

ქენი საქართველოში'' ლ. ისარლოვისა, თფ. 1891 წ.) კიდევ ამაზედ.

პატრი მიხ. თამარაშვილის სიტყვით, ,,ოსთა მეფე ისეთ ერთგული გამხდარა რომის ტახტის, რაისა გამო მისთვის რომის პაპს გრიგოლ მეცხრეს ლოცვა კურთხევაც გაუგზავნია ოსეთში. (სწერს მიხ. თამარაშვილი:)—,, ოთასუმფე ამით ისე ამხნევებულა, რაისა გამო, მას დიდი დახმარება მიუცია ოსეთში ეკოვრებ კათოლიკის მის ინერებისათვის, XIII საუკ. ნახევარს, ეს ასიონერები ოსეთიდამ ავისუფლად გადასულან ჩერქეზეთში და ასც გაუბერტელებად კათ ოიკობა ჩერქეზებთ შორის''. მასიონერეი მკურნალობით ჩერქეზ სც დიდათ იზიდავდენო. ოსეთში და ერქეზეთში კათოლიკო ისე წავიდა და გავრცელდაო, რომ �ა თფილისში კათოლიკის საეპისკოპოზე კათედრა დაფუძნდა 1313 წ. იმავ დროს, ერთი საეპისკოპოზოც ოსეთში დაფუძნეს და ეორე ჩერქეზეთშიო''.

ამის ცნობები თურმე რომის არქივებშიაც მოიპოვება. ესევე პირნი სწერენ, როცა საქართველოზედ და ოსეთზედ ძლავრად იწყეს მუსულმანებმა გავლენა, მის მიზეზებით საქართველოში და ოსეთშიაც საეპისკოპოზოები მოისპოვო. მუსულმანთა მოსვლის წყალობით ოსეთსა და ჩერქეზეთში კათოლიკების აღარავინ დარჩაო. ზოგნი მუსულმანებმა გაათათრეს და ზოგნიც შიშით აქეთ იქით დაიფანტნენ და მით მოისპო ოსეთში კათოლიკეთ რიცხვი და მათი სჯულის კვალიო. ზეპირ ქმულება არის დარჩენილი, რომ გორის და ცხინვალის კათოლიკობაში ძალიან ბევრნი იყვნენ ძველიდგანვე ისეთ კათოლიკენი, რომელნიც ოსეთიდამ გადმოსახლდნენ და აქ დასახლდნენ, რადგანაც აქ ისე არ იყო კათოლიკობის შიში, როგორც ოსეთშიო.

ქურდობის საქმე ოსეთში.

ზოგიერთ მწერალნი ოსებს ჰკიცხვენ მასზედ, რომ ოსები ქურდები არიან, ქურდობას ადვილათ ჩადიანო. შეიძლება ეს

ასე იყოს, ამიტომ საჭიროა, რომ ამ ქურდობის გავრცელების მიზეზებიც ავნუსხოთ. ოსნი, როგორც მთის ერნი, ძველად-განვე ქურდობას ძალიან ერიდებოდნენ, მაგრამ საშვალ საუკუნეებში, რაკი აღმოსავლეთში, მუსულმანთ ტომთ შორის გამრავლდენ ერთნაირი მოხეტიალე ერნი—ქურდები, მათ გამოჩენის დღიდამ კი ქურდობამ ფეხი აიდგა არამც თუ ოსეთში, არამედ საქართველოშიაც. ამ სენმა სასტიკი სახე მიიღო ოსეთში, ოსები ქურდობისთვის კაცს სიკვდილითაც კი სჯიდნენ, მაგრამ მის გავრცელებას ვერც ეს სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგებოდა, და ვერცარა სხვა ასეთნი, საქართველოში ქურთები ფეხს მაინც და მაინც მაგრა ვერ იმაგრებდენ. მათ თავიანთ ბუდეთ XV საუკ. ოსეთი გაიხადეს. ოსეთში ადვილად ახერხებდენ ყოველივეს დ. მას გარდა იმასაც, რასაც თვით ებრძოდნენ, ოსებსაც ადვილად ასწავლიდნენ, ასე და ამ გვარად, ოსებში ქურდობა XV საუკ. შევიდა და გავრცელდა თვით ამ ქურთების წყალობით.

ამ ქურთებმა სასტიკათ გარყვნეს არა მარტო ოსები, არამედ კავკასიის ყველა მთის ერნი და ნამეტურ ლეკნი, ლეკებს ტაციობა სულ ამათ ასწავლეს. დავით აღმაშენებელმ, ოსეთის განთავისუფლების შემდეგ, ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია, მიტომ მან მოიწადინა ამ ქურდობისგან ქართველ და ოსთა გადაჩვევა და ამისთვის მან ზომებიც მიიღო. ამაზედ ზემოთ 153 გვ. გვაქვს საუბარი და ამიტომ აქ ესეც კმარა, მხოლოდ ვიტყვით იმასაც კი, რომ ოსები როგორც მთის ერნი გავლენიანად იყვნენ მოხდენილნი და სუფთა ხალხნი, ამათში თუ რამ ცუდი არსებობს ეს ყოველივე სხვების შეტანილია ოსეთში და არა თვით ოსებისგან მოგონილი, ან ოსთა გაჭირებისაგან.

ასე, რომ ოსები მაინც დღეს ამ ქურდობისაგან შორს არიან და იგინი ირიცხებიან ქართველ ერთან მშვიდობის მოყვარე გონიერ მხნე ერად, კერძო შემთვეევები კაცმა მთელს ერზედ არ უნდა გადაიტანოს, როგორც ეს ხშირად იციან, რომ ერთი ოსის ქურობის გამო მთელ ოსებს ცხენების ქურ-

დათ ასახელებენ. მე ამით ოსებს საკმელს არ უკმევ, რაც სათ-ქმელია მხოლოდ იმას ვწერ მათ შესახებ, ასეთი ისტორია აქვს ქურდობის დასაწყის ოსეთის ერში.

აქ ამ ქურდების შესახებ უნდა მოვიყვანოდ შემდეგი: საშუალ საუკუნოების დამდეგიდამ, რაკი მუსულმანთა ტომნი, საყოველთაოდ საქართველოს და ოსეთს ვერ იპერდნენ, ამიტომ მათ ამ ხალხთა ქვეყნებში და ნ.მეტურ ოსებში გაამრავლეს ქურთები, რომელთაც იწყეს საქართველო და ოსებზედ დაცემა, ქურთულად პარვა. ამ ფანატიკმა ერმა ისე აიწყვიტა თავი, რომ ტაცვისაგან აღარ იცოდნენ თუ რა ექმნათ. ამიტომაც მათ ქართველთაგან დაერქვათ ქურდი, რაც ნიშნავს ქართულად მპარავს. ისტორიით სჩანს, რომ ამ ქურთებს ოსებზედაც ერთობ დიდი გავლენა ჰქონიად.

ქართველებზედ უარესად ქურთები ოსებს ეცემოდნენ, სტაცამდნენ ცხენებს, ძროხეას სხვა და სხვა საქონელს და თვით ქალებსაცო და მერე ყველა ამაებს თვისკენ მიერეკებოდნენ XIV საუკუნიდამ, ამათ ოსები მოაბეზრეს ასეთის მტაცებლობით. უკანასკნელ ოსები იმ ზომამდის მივიდნენ, რომ მათაც დაუწყეს ქურთებს უკან დევნა, მოტაცებულ წართმეულის, წართმევა, უკან დაბრუნება, ამ გარემოებით ოსები შემდეგ საუკუნოებშიაც არ იყვნენ ქურდებისაგან მოსვენებულნი. ამიტომაც, ოსთა შორისაც ჩვეულებათ გადაიქცა მტაცებლობის სიადვილე.

ალექს. ყაზიბეგი და სხვანი რომ სწერენ ოსები ქურდობას დაჩვეულები არიანო. ამის მიზეზებს-კი იგინი არ ეხებიან, მასზედ არას უჩვენებენ. ამიტომ უნდა ითქვას რომ ოსების ასეთ ბრალდებას თავის დასაწყისი და მის მიზეზებიც აქვს. ოსები XIV საუკუნის გასვლამდისაც-კი არსად არიან მოხსენებულნი ისე, რომ ვითომც იგინი ქურდობას-კი არა და თუნდ სამხედრო თავ დასხმას მიზდევდნენ. მაშინ მთის ,ეაკის

და ნამეტურ ოსისთვის სირცხვილი იყო ასეთი საქმე. მაგრამ რაკი ოსეთი მუსულმანთა ზე გავლენით დაეცა და ისლამის მექონ თათრებმა იწყეს მათზედ ნავარდობა, მის შემდეგ, ოსებშიაც ჩვეულებათ გადიქცა ის, რასაც მათზედ მძლავრად ქურთები ჩადიოდნენ. ამას გვეუბნება ოსეთის ერის ისტორიის მასალები.

ამიტომ სხვა და სხვა მწერლები მოთხრობებსა და საგაზეთო წერილებში, ოსების ქურდებათ გამოყვანას უნდა ერიდებოდნენ. ის გავლენა რაც კი ხსენებულ მტრებს ოსებზედ აქვნდათ, მით კარგია, რომ გაბრაზებული ოსები სულ კაცის მჭამლებათ არ გადაიქცნენ. მონგოლებმა, სპარსთა, ოსმალთა, ქურთებმა, ლეკებმა, და სხვებმაც ოსეთი XIV საუკუნის ხახევრიდან სწორედ ველურ სანადირედ გადააკეთეს და ამიტომ კიდევ კარგი, რომ ოსები აქამდისაც მათის წყალობით სრულიად ქურთებივით არ გახდნენ. ოსეთში თუ დღეს რამე ქურდების არსებობს, ამის დასაწყისი ზემო ხსენებულ ხალხებთაგან არის შეტანილი ოსებში და გავრცელებული. ქურთებს რომ ოსებზედ დიდი ასეთი ზეგავლენა აქვნდათ ესა სჩანს არამც თუ XIV საუკ. არამედ ამასვე ასაბუთებს XII საუკ. თვით დავით აღმაშენებლის ცნობაც. შემდეგ, ანუ XVII საუკ. როცა ოსეთი სულ დასცეს და მიწაზედ გაასწორეს მაშინ ხომ ოსებში ისლამის გავრცელებასთან ეს ჩვეულებაც გაადვილდა, რასაც მუსულმანებიც უწყობდნენ ხელს.

ოსეთი XIX საუკუნის შემდეგ 1850 წლებ.მდე.

საშუალ საუკუნოების შემდეგ, ბევრის დავა დარაბით ოსებმა XVIII საუკუნესაც მოახწიეს, ამ საუ-

კუნეში, როგორც ქართველები, ოსებიც საკმარისად დაწინაურდნენ და მალე რუსეთსაც დაუახლოვდნენ. შემდეგ ამის მოხდა ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება, მერე მთელი საქართველოს დაკავშირებაც მოჰყვა და ამავე დროს ოსეთიც შეუერთდა რუსეთის იმპერიას, ამ გარემოებამ ოსებზედ იქონია ვიწრო გავლენა. ოსებმა ეს დიდი საქმე სულ ვერ გამოიყენეს, იგინი მის შემდეგ, მარტოდ ერთ საფეხურზედ აღმოსჩნდენ საქმის მკეთებლად, ეს საქმიანობა იყო მათში ჩაფრობა, დვორნიკობა, დესეტნიკობა, პოლიციის ბოქაულობა, ყარაულობა, ცხენოსნობა ფეხოსნობა და სხვაც ამგვარნი, რაც ხალხისთვის მაშინ იყო საჭირო.

ცოტა არ იყოს, ასეთ საქმეთა აღორძინებამ ოსები ერთ საქმიანობის საფეხურზედ შეაჩერა, მათში მარტოდ ასეთ საქმეთა მიდრეკილება მიდიოდა წინ და ცოტა არ იყოს, ოსებმა ამით საგმობი და საკიცხი სახელიც დაიმსახურეს. ამით იგინი ისე განითქვნენ. რომ მრავალთაგან დაიმკვიდრეს სახელ-წოდება ველურის ხალხის, უკულტურისი, უსწავლელების და მრავალიც სხვა ასეთების, რაც შეგნებულის ოსისთვის ყოველთვის იყო საწყენი. ესეთი შეხედულება ოსებზედ არამც თუ ძველად ანუ 1800 წლების შემდეგ იყო 1850 წლებამდეც. არამედ ბევრს დღესაც ასეთივე შეხედულობა აქვსთ ოსეთზედ. ეს-კი არ არის სწორე. ამას ბევრნაირი მიზეზები აქვს. კავკასიაში ოსების შესახებ, პასუხად ყველა იმას იტყოდა, რომ ოსები არიან ქურდები, მტაცავნი, მცარცვავნი, კაცის მკვლელნი და სხვაც მრავალ ასეთნი. ასეთის დამსახურებით უმზერდნენ ოსებს ყველანი და მათი ადამიანობის იმედი არავის აქვნდა. მათს ღირსებათ არ-

სად არავისაგან არაფერი სჩანდა. ასეთი იყო სურათი ოსეთის ერის 1850 წლამდე.

მაგრამ გარემოება შეიცვალა, ოსებმა თვალი გაახილეს, ძველებურ გზას აუქციეს მიმოსვლა, თვალთ ხილულს ცხოვრებისთვის მეცადინეობდნენ. ამ დროდამ მათი ცხოვრებაც განახლდა, მათს ცხოვრების მიმდინარეობას მოქალაქური სახე და მიმართვა მიეცა. ოსებმა იწყეს თვალის გახილება, ცხოვრებაზედ ფხიზლად მზერა, მეცადინეობა და ლტოლვა გონივრულად აღორძინებისათვის. რამდენიმე ხნის განმავლობაში მართლაც მათ გამოიცვალეს ცხოვრების სახე და მის მიმართულება.

თუმცა ოსების ერის XIX საუკუნე ასეთის უპირო გარემოებით დადგა, თუმც ოსები წინ სვლის მაგიერ განადირებას და გავერაგებას მიეცნენ, მაგრამ ესეც იყო მათში დროებით, ვინაიდგან ოსნი, როგორც მთის ერნი კარგად გრძნობდენ თვის ნაკლს, ნამეტურ მათ მეზობელთა ყურებაც აფიქრებდათ, ამიტომაც მათ გაღვიძება დაიწყეს, მალე გაახილეს თვალები და მოკლე დროის განმავლობაში ყველა წარმატების გზაზედ გამოდგეს ფეხი. –

ოსური ანბანის ისტორია და საქართველოს კათოლიკოზი ანტონ პირველი.

ანტონ კათოლიკოზი დიდათ დაინტერესებული იყო ოსეთის ერის ისტორიით. მას დიდათ სურდა, რომ ამ ერში ქრისტიანობა მკვიდრად და სუფთად მოფენილიყოს. ანტონ კათალიკოზს ოსების დაწინაურება დიდად სწადდა, ამიტომ მან თავის მოწაფე ბერებთ შორის ოსებიც იყოლია, მათგან ოსური ენაც ისწავლა. ოსურს ენაზედ სურდა ამას, რომ საღმრთო წე-

რილი ეთარგმნა, გალობაც დაეარსებინა. ამის განხორციელებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ. რომ იგი ფრანგობის გამო 1751 წ. საქართველოდამ გაძევებულ იქმნა. ამ გარემოებამ დაშალა ოსური ენის წარმატების საქმენი.

ანტონ კათოლიკოზი რუსეთში გაემგზავრა და იქაც არ დაივიწყა ოსები. იქაც გაიოს ნაცვლიშვილს სულ ოსების საქმეებს ავალებდა. 1764 წ. ანტონ კათოლიკოზი საქართველოში დაბრუნდა, მან კათოლიკოზობა ხელ ახლა მიიღო. ამ დროს კი იგი ისე იყო ოსურს ენასაში მომზადებული, რომ ოსების სასარგებლოთ ყველა საჭირო საქმეს დიდის ხალისით მოჰკიდა ხელი. ამან კარგად გაიცნა ოსური ხმები, ლაპარაკი და თანახმად ამის, მან ქართულ ანბანში ვერ იპოვნა ერთი ხმის გამოსასტავათ ერთ ასო, რაისა გამო მან ეს ასოც მოიგონა და მით შეავსო ოსური ანბანიც, ამის ფიქრით, ეს ხმა თხოულობდა აუცილებლად ასოს საჭიროებას, ამიტომ მან ეს ასოც შეადგინა და მით შეავსო სრულად ქართულა ხედრული ანბანი ოსებისათვის. ეს ასო არის ასეთი, 2, როგორც არაბული ორი.

ვიტყვით, რომ ქართული მხედრული ანბანი, რომ ოსების საკუთრებაც არ ყოფილიყოს, მაშინ ეს ანტონ კათალიკოზს კარგად ეცოდინებოდა და ოსებისათვის ამ ასოს არ შეადგენდა, ხოლო ეცდებოდა და ერთი ასო კი არა და იქნება მთელი ანბანიც შეედგინა, მაგრამ ვიტყვით რომ მაშინ ეს ქართულ მხედრულ ანბანი ოსების ანბანათ იყო ცნობილი და მიტომაც რაც მასში ნაკლი დაინახა, ის ასო მიუმატა, რაც საჭირო იყო ანბანისათვის.

ეს გარემოება ცხადი საბუთია მის, რომ ძველად,

ქართული მხედრული ანბანი იყო ოსების საკუთრებაც. ეს ჭეშმარიტება უნდა იყოს და ამის მოწმად უნდა ჩაითვალოს ანტონ კათოლიკოზიც. მეორე ამის საბუთი ისიც გახლავსთ, რომ ანტონ კათოლიკოზმა თავისაგან მოგონილი ანბანის ერთი ასო მხოლოდ მხედრულს ანბანში შეიტანა და არა ხუცურშიაც. ეს იმიტომ რომ ხუცური მას ხუცურ ქართულად მიაჩნდა და მხედრული ქართულ მხედრულ ოსურად. ამის ისტორია ასე გახლავსთ და ჩვენც მიტომ ასე ვსწერთ ამას.

ანტონ კათოლიკოზი 1764 წ. საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ იგი მაინც დარჩა რუსეთის სინოდის წევრად თვით მის საფლავის ქვაზედაც სწერია სხვათა შორის შემდეგი: და „ჩჯუნი უწმინდესი სინოდისაო“! ამას გარდა ანტონ კათოლიკოზს სინოდშიაც შეუტანია მრავალ ჯერ ოსების შესახებ მოხსენებანი, და ბევრჯელ უცნობებთა ოსების ვითარება რუსეთის სინოდისათვის. სინოდიც ყოველთვის ყურადღებას აქცევდა ანტონ კათოლიკოზის მოხსენებას, ოსების შესახებ განკარგულებაც ხდებოდა.

მაგალითებრ.

ოსეთის საქრისტიანო კომისია რომ დაარსდა 1770 წ. მის მეთაურ პირად ანტონ კათალიკოზი ირიცხებოდა და მის მოწაფე გაიოსი და სხვაც ასეთნი, ზოგნი ოსნიც თვით ანტონისაგან გაზრდილები.

ანტონისავე თავოსნობით გადასწერეს ოსური სამღრთო რჯულის წიგნები ქართულ-მხედრულ და ხუცურ ასოებით და დაბეჭდილი იქმნენ პირველად ოსურს ენაზედ ყიზლარის სტამბაში.

ამ წიგნების თარგმანსა და დაბეჭდაზედ ანტონ კათალიკოზს დაუხარჯავს 1000 თუმანი. მაშინდელი

დაბეჭდილი წიგნების ზოგი დღესაც იპოვება საქართველოში.

პირველ ოსური სტამბის გახსნა.

იქმნება სთქვას ვინმემ, რომ ოსები რა არის და მათი სტამბის გახსნა რაღა უნდა იყოსო, მაგრამ ეს ასე არ არის, ოსური სტამბის ისტორია მეტად საინტერესო არის და მასთან ძველიც. რამდენადაც ოსურის სტამბის გახსნა ჩვენთვის უცნობია, იმდენადვე, იგი საინტერესოც არის.

ოსური სტამბის გახსნის საჭიროების ცნობა საქართველოში დატრიალდა 1764 წ. როცა ანტონ კათალიკოზი რუსეთიდამ საქართველოში დაბრუნდა, როცა მან ქართლსა და კახეთში დაიწყო მღვდელ მოქმედება, კათოლიკოზობა.

თელავის სემენარიაში ანტონ კათოლიკოზმა ოსთა შვილებიც მიაღებინა მოსწავლედ, რომელთაც კარგად უმზერდა იმავე სემენარიის რექტორი გაიოს ნაცვლიშვილი 1770 წ. ოსეთის კომისიის დაარსების შემდეგ, რომელ კომისიის მეთაურ წევრებათაც ანტონ კათოლიკოზი და გაიოს ნაცვლაშვილი ირიცხებოდა, ამათ აღძრეს ლაპარაკი ოსური სტამბის გახსნის საჭიროებაზედ, ამის ცნობა რუსეთის სინოდსაც აცნობეს, სინოდმაც დახმარების მიცემა თავს იდვა.

ამიტომ ანტონ კათოლიკოზმა ოსურ ენის საქმეს მოჰკიდა ხელი, ხედრულის ასოებით დასწერეს ოსური წიგნები, მოამზადეს დასაბეჭდათ, სადაც ასო 2 აკლდა, ის მიუმატეს და მის შესახებ მოზდოკში გახსნეს პირველად კერძოდ ოსური სტამბა 1770 წ. და აქ დაბეჭდეს ოსური წიგნები ქართულის ასოებით.

ოსური სტამბის ერთი ყიზლარს ამბობდა. და მეორე მოსდოკს არსებობდა. ამ ორს სტამბაში დაიბეჭდნენ ოსურს ენაზედ სასულიერო წიგნები. ბეჭდვას დახმარება სინოდმა მისცა და ცენზორად იყო ანტონ კათოლიკოზი და სტამბის ზედამხედველი გაიოს ნაცლიშვილი ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები დღესაც იპოვება ოსებში, ორი წიგნი ასეთები პეტერბურგს სამეცნიერო აკადემიის სამკითხველოშიაც არის თურმე ასე სწერდა პეტრე უმიკაშვილი ოსური სტამბა დაარსებული არის 1775 წ. მაშასადამე ეხლა 140 წელია ოსური სტამბის არსებობის შემდეგ გასული.

ოსური ჟურნალ-გაზეთების გამოცემანი.

ოსების შესახებ სულ უკულტურობას ამბობენ, მაგრამ თუ სინამდვილეს დავაკვირდებით, მაშინ ასეთი ცნობები მას სრულიად გააყალბებს. ოსებში ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაწყების საქმე ერთობ ახალია, მაგრამ მათ მოკლე დროის განმავლობაში ისე აიდგეს ფეხი რომ დღეს უკვე ოსურ ჟურნალ გაზეთობას თავის სხეული აქვს და სულიც უდგას. აქ ჩვენ ყოველსავე ასეთ ცნობებს მოკლედ მოვსთვლით.

პირველი ოსური გაზეთი გამოსცეს 1863 წ. კავკავს, რედაქტორად მოძღვარი ბატ-ევი გახლდათ. კავკავს. მაშინ ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, რომ იმ დროს, ქართულს ენაზედაც კი არ არსებობდა კარგი გაზეთი და აბა ოსურს ენაზედ რაღა იქნებოდა. გაზეთი ეხებოდა ოსთა სასულიერო საგანთ გარდა სწავლა-განათლების საქმეებსაც. იგი რავდენიმე ხნის შემდეგ მოისპო.

გაზ. „ზნგ“ ქართულად „ცეცხლი“ გამოვიდა 1904 წ. კავკავს. რედაქტორად იყო ოსის აზრიანი კაცი, გაზეთის შინაარსიც ცეცხლი იყო. იგი მალე მოისპო.

„ზონდ“ „სიბრძნე“ ჟურნ. იარსება ცოტა ხანს „ნოგ ცარდ“ „ახალი ცხოვრება“ გამოც. თფ. 1905 წ.

გაზ. „ხურთნ“ ქართულად „მზის სხივი“ კვირის გაზეთი, გამოიცა 1905 წ. კავკავს.

გაზეთი განვითარების გავრცელებას ეკუთვნოდა, და ყველა კითხვებს ოსთა შესახებ სინდისიერად იცავდა, მოისპო მეორე წელს.

ჟურნ. „ავსირ“ ქართულად „ჯეჯილი“ გამოვიდა 1905 წ. კავკავს. იარსება ცოტა ხანს.

გაზ. „ნოგცარდ“ ქართულ „ახალი-ცხოვრება“ გამოიცა 1906 წ. კავკავს. ესეც მალე მოისპო!

გაზ. „ირონ გაზეთ“ ქართულად „ოსური გაზეთი გამოიცა 1906 წ. თფილისში. ამ გაზეთმაც ცოტა ხანს იარსება.

ყველა გაზეთების გამოცემას, ოსები სიხარულით ეგებებოდნენ, ხელსაც აწერდნენ. ასე რომ ოსების გაზეთს აქვს კაი მოთხოვნილება, გაზეთის კითხვას ოსებში ყველა წოდების და წრის ხალხი მისდევდა. გაზეთებსაც არა უჭირდათ რა, კარგად გამოდიოდნენ და ოსეთის ერის კითხვებსაც გულ მდუღარედ იცავდენ. მიმართულებით იყვნენ ზომიერნი და მასთან რეალისტები. ოსურს ენაზედ ორი გაზეთი ყოველთვის იარსებებს, ერთი თფილისში და მეორე კავკავს, კავკავს მეტიც შეიძლება გამოიცეს: საბავშვო ჟურნალი და მასთან სხვა ასეთნიც. ოსეთის სამღვდელოებაც საჭიროებს თავის ორგანოს, სამწუხაროდ რაც კი ოსურს ენაზედ ახალი გაზეთები იყო, ყველა იგინი უდროოდ ისპოსოდნენ. მოსპობის მიზეზად კი უმთავრესად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ოსურ დრო გამოცემათა საქმენი იყო ნორჩი, მის გამომცემელ რე-

დაქტორებიც იყვნენ ხამნი და მიტომ უჭირდებოდათ საქმე, სხვა მხრივ, მაგალითებრ მთავრობის მხრით არა მომხდარა რა, თუმცა ყველა, გამოცემანი ყოველთვის ცხარე სიმართლის იყვნენ.

ამ გაზეთების გამოცემათა მნახველთ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ოსებს მომავალში თავისუფლად მოელის ჟურნალ-გაზეთების გამოცემას მომავალი უჩანს, ნამეტურ ქალაქ თფილისს, სადაც ოსთა რიცხვი 15 ათასამდია, ამას გარდა გამოცემის საქმეს თვით ოსეთის ხალხიც დახმარებით ეპყრობა, რაც სასახელოა მათთვის.

ოსური თეატრი.

ჩვენი მოძმე ოსები, ჟურნალ-გაზეთების დაარსებასთან ერთად თეატრსაც დაუახლოვდა, ამ გარემოებამ ჩვენ დიდათ გაგვახარა, ღმერთმა ქმნას, რომ ერი ამითაც დაწინაურდეს და მით მთელი ოსეთი გამოეცალოდ იმათ ყბიდამ, ვისაც ესენი აღებული აქვსთ ყბად და უკულტუროებს უწოდებენ. ოსურს ენაზედ თეატრის გამართვა 1860 წლებს ეკუთვნის, ხოლო მეტად იშვიათად. უკანასკნელ 1900 წ. განალებულხ იქმნა და ოსურს ენაზედ წარმოდგენები დაიწყეს თფილისს, ქავკავს და სხვაგანაც, სადაც კი ოსები სცხოვრებენ.

სცენაზედ ოსური ენა ძალიან კარგი მოსასმენია, სწორედ საკომიკო სასცენო ენა არის. ᲘᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲡ ამ ენის გამოთქმა საკმარისად ამხნევებს. ამ მოკლე დროის განმავლობაში, ოსურს ენაზედ, თფილისში წარმოდგენების გამართვამ, ოსებიხ მთელი ერი აალაპარაკა. წარმოდგენებსაც ყოველთვის ხალხი მრავლად ესწრებოდა. სამწუხაროდ პიესებს კი ვერ სდგამდენ შერჩევით, უმეტეს ნაწილ მდარე პიესებს თამაშობდენ.

ოსური კონცერტი.

ოსურ თიატრს, ოსური კონცერტიც მოჰყვა 1900 წლის შემდეგ. ოსურს სიმღერებს ბევრნაირი ღირსება და ორგინალური ხმები ჰქონია, ამიტომ კონცერტებსაც მომავალი მიეცემა თუ კი ოსეთის ერი იმხნევებს ამისთვის და თავიანთ ხმებსაც შეკრებენ.

ოსურს ენაზედ ლექციები.

თიატრს და კონცერტს ოსურს ენაზედ ლექციების კითხვაც მოჰყვა. ჩვენ ვნახეთ და გვესიამოვნა ის გარეშოებაც დიდათ, რომ უკულტუროდ წოდებულ ოსთა ძენი დიდის პატივის ცემით ისმენდენ ლექტორის საუბარს ოსურს ენაზედ, ყველაფერს გულის ყურადევნებდენ და ლექტორსაც პატივისცემით აჯილდოვებდნენ. ეს მაგალითია მომავლის მექონ ერის.

გვახსოვს ის დრო, როცა ზოგიერთ მწერლები ოსებს ასახელებდნენ უკულტურო ერად, ამბობდნენ, რომ ოსებს არც ისტორია იცნობს, არც თვით იციან ისტორიათ, არც წიგნი აქვსთ და არც მწერლობათ. ვისაც წარსული არა აქვს, იმას არც მოსავალი ექნებათ. ასეთ განაჩენს ჩვენც მწუხარეს გულით ვისმენდით; მწუხარეს თვალით ვუცქერდით.

მადლობა ღმერთს, განაჩენი ასე არ აღსრულდა, განვლო დრომ და უკანასკნელ, ოსთა შვილები უკვე მხნედ გამოვიდნენ საკულტურო ასპარეზზედ და ბევრს ისეთ საქმეს მისცეს აღორძინება და დასაწყისი, რამაც მკაცრად მოსპო იმისი ცნება, რომ ოსებს არც ისტორია აქვსთ და მიტომ არც მომავალი ექნებათ. ეს დღეს ოსის ნაციას თავიდამ აცდენილი აქვს თავ ის მხნე შვილებთა შრომით. ოსეთის სამღვდელოებაც. საკმარისად იღწვის ამის სასარგებლოდ.

აი, ასეთი გახლავსთ დღეს სურათი თვით ლექციების კითხვის დროსაც იმ ერთა შვილების, რომელთა წინა პართაც ზოგნი უწიგნოებს უისტორიოდ უკულტუროდ ასახელებდნენ.

იმედია, რომ ოსურს ენაზედ, ოსთა ძეთათვის უკვე შესაფერად აღორძინდება ლექციების კითხვაც, ამას მომავალი ექმნება, რადგანც ოსები ლექციებს დიდის პატივისცემით და სიყვარულით ისმენენ.

ბატონ-ყმობა ოსეთში.

ბატონყმობა ოსეთში ისე იყო, როგორც ქართლში. ოსეთში ბატონ-ყმური წესები შეიმუსრა მონგოლების შემოსვლის დროს. მის მერე აქ ეს წესები ოსებთ შორის სულ ამოვარდა. ერთ დროს, ოსების ყმობა ისურვეს მათ მებატონეებმა, მაგრამ ოსის გლეხნი არ დაემორჩილნენ. ყმობა უარ ჰყვეს. XIV საუკუნიდამ, რაკი ოსებზედ სპარს-ოსმალთაც იწყეს ნავარდობა, გალაშქრება და ოსებს ხშირადაც იპერდნენ, ამიტომ ისლამის წესებიც არ საჭიროებდა ყმობას და მის მიზეზით ოსთა ყმანიც თავისუფალ იყვნენ როგორც ყმობისაგან, ისევე მუსულმანთა ძალდატანებისაგან, ესენი ოსებს არ აწუხებდენ, რომ პირიქათ ეყმეთ თქვენ ბატონებსო. ისლამის წინაშე ოსი ბატონი და ყმანი ერთნაირად იყვნენ მიღებულნი. ოსის გლეხნი ქართლის გლეხთა მაგალითიც ხდებოდნენ და ხანდისხან იყო ისეთი შემთხვევა: ქართლის გლეხნიც ფიქრობდენ ბატონის ყმობისაგან გათავისუფლებას, მაგრამ იგინი აღას ვერ ახერხებდენ რადგანც ქართლის თავად-აზნაურობა უფრო ძრიელი იყო.

ამიტომაც ქართლის თავადებმა და ნამეტურ ქსნისა და არაგვის ერისთავებმა ისურვეს ოსების დაყმობა და ამისთვის მათ ბრძოლაც დაიწყეს XVII საუკ. მაგრამ ოსთა გლეხნი

წინააღმდეგ გაუხდნენ და არ დაემორჩილნენ, არამც თუ ბატონობა არამედ ფეხსაც არ ადგმევინებდენ ოსეთში.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ, ოსეთში ერთ დროს შიმშილობა ჩამოვარდა, ამიტომ ოსებმა აქეთ იქით იწყეს გადასახლება, უმეტეს მოდიოდნენ ქართლს, გორის მაზრაში და აქ სახლდებოდნენ სხვა და სხვა თავადების მამულებზედ, ამ დროს, ვინც ამათ მამულს აძლევდა, იგინიც მამულის პატრონის თავადის თუ აზნაურის ყმებათ ხდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი მამულს ვერ იშოვნიდნენ, მაშინ ეყმენ ქართლის თავადებს ერისთავებს, მაჩაბლებს, ფალავანდოვებს და სხვათაც ასეთებს.

საქართველოშიაც ასე იყო ქართველთა ყმასაც ყმობა ესპობოდა ყოველ მუსულმანთა გალაშქრების და დაპყრობის დროს, ხოლო ქართლის თავად-აზნაურები იყვნენ ძრიელნი და ესენი კი ახერხებდენ ყმათა ისევ დაყმობას. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ქართლის გლეხ-კაცობა დაჯაბნილია, დაცემული, ოსის გლეხნი კი ასე არ არიან, იგინი უფრო თავისუფლების მოყვარენი არიან და უფრო მოხერხებულნიც. ჩვენ ვიცით ისიც, რომ თვით XIX საუკუნეშიაც, ოსები ძრიელ ხშირად არ ემორჩილებოდნენ თავიანთ ბატონებს და ხშირად ღალასაც არ აძლევდენ, ან სახლში მსახურს და ბევრსაც სხვა ასეთებს, მებატონენი ამათ ყოველთვის ძალით ართმევდნენ, ქართლის გლეხებს კი ყოველთვე მებატონეთა სახლში მიჰქონდათ თავის ნებით. ასეთია ისტორია ოსეთის გლეხკაცობის ყმობისა.

ოსეთის თავად-აზნაურობა. მონგოლების შემოსევის შემდეგ ძრიელ დავარდა, მის შემდეგ იგინი ოსეთის ერის წინაშე თითქმის მოისპნენ, შემდეგ საუკუნოებში თუმც ხანდისხან ოსებს თავიანთი მეფენიც ჰყვანდათ და მთავრობაც აქვნდათ, მაგრამ ოსეთის თავად-აზნაურობა კი ველარ იმარჯვებდა, იგინი ადრინდელ უფლებას ველარ იკავებდენ, ამიტომაც ნელ-ნელა მათ ყველაფერი საისტორიო მასალებიც ხელიდამ წაერთვათ, ყველაფერი მათი დავიწყებას მიეცა.

ხოლო როგორც ოსთა მოწინავე რაზმის წევრნი, ოსთა შეფეთაგან მათ განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭების შეუცვლელობის გამო სხვა გვარი უპირატესობა და პატივი მიეცათ, რითაც იგინი ოსთა გლეხთაგან საკმარისად გაირჩევოდენ. ეს იყო შემდეგი პირობები...

ოსის თავადს ნიშნად ხმალზედ ეძღოდა ნება მზის დახატვის და ტარების.

ოსის აზნაურს ნება აქვნდა ასევე რომ ხმალზედ მთვარე გამოესახა და ის ეტარებინა.

ოსის ყოველ მეომარ გლეხთათვის კი დადგენილი ყოფილა ხმალზედ ვარსკვლავის გამოხატვა და მის ტარებაც, რაც მასთანავე იგი აღნიშნავდა, რომ იგი გლეხი იყო.

ასე და ამ გვარად: ოსის თავადი მზე იყო, ოსის აზნაური მთვარე და ოსის გლეხი ვარსკვლავი.

ოსების განათლება.

ოსების სასულიერო სემინარია და სასწავლებლები (უჩილიშჩები). სემენარიის სწავლას ოსები XVIII საუკუნეს დაუახლოვდენ. XVIII საუკ. ნახევარს, მოზდოკში სცხოვრებდა მღვდელი ბაზალაძე, ამ ბაზალაძემ მოსკოვის აკადემიაშიაც კი მიიღო სწავლა, მერე მღვდლად ნაკურთხი, ოსეთის კომისიის წევრიც გახლდათ და მასთან მღვდლათ კურთხეული და მოზდოკში დაშთენილი მოძღვრად.

ამ მღვდელ ბაზალაძემ დიდი ყურადღება მიაქცია ოსეთის ერის საქმეს, მან ოსთა შვილების რამდენიმე რუსეთის სემენარიებშიაც შეიყვანა მოწაფედ, ზოგი ოსის შვილი მოსკოვის აკადემიაშიაც კი იქმნენ გადასულნი, ამ მღვდელ ბაზალაძის ცნობები ოსთა სასარგებლოდ ჩვენ კარგად ვიცით, ხოლო მისგან გამოზდილთ ოსთა ძეთა ცხოვრების შესახებ კი არ ვიცით რა.

XIX საუკუნეში, ოსები სემენარიის სწავლას დაუახლოვდენ მაშინ, როცა თფილისში გაიხსნა ქართველთათვის სემე-

ნარია, ეს იყო 1818 წ. თფილისის სემენარიას გარდა ოსის ძეთათვის გახსნილ იქმნა სასულიერო სასწავლებელი გორს. იმავ დროს. 1810 წლებში კავკავს, არდონს და სხვაგანაც თფილისის სემენარიაში მრავლად სწავლობდენ ყოველთვის ოსთა ძენი და ზოგნი მათგან აკადემიაშიაც მიდიოდენ სასწავლებლად, აქ ნასწავლი და გამოსულებთ შორის არიან კარგად გონივრულად მომზადებულ ისეთ განათლებულ მღვდელნი, როგორიც გახლავსთ ქრისტეფორე ჯიოშვილი, მოძღვარი, კარგად განათლებული და მასთანვე სამღრთო რჯულის მასწავლებელი და მოძღვარი თფილისის I კლასიკურის გიმნაზიისა.

თფილისის სემენარიის შემდეგ, არდონში იქმნა გახსნილი ოსთათვის სასულიერო სასწავლებელი, სადაც უნდა აღზრდილიყვნენ ოსთათვის სასულიერო პირნი. 1886 წლებს ეს სასულიერო სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა ოსეთის სამისიონერო სემენარიად. მას შემდეგ ეს სემენარია არსებობს დღესაც და იგი ემსახურება ოსეთის ერს. დღეს ოსთა ძენი იზდებიან თფილისის სემენარიაში, და არდონის სემენარიაში და ვალაგირში, გორის სასწავლებელში, ვლადიკავკაზის სკოლის და ყველა იმ ქალაქის შკოლებში, სადაც კი ოსები სცხოვრებენ, ასეთი ქალაქები დარგის ოლქში მრავალია.

თფილისში, ქართველების სემენარია როცა გახსნეს 1818 წელს, მაშინ იგი ოსების სემენარითაც გახლდათ დანიშნული. ასევე, იმავ დროს, გორში გახსნილი სასულიერო სასწავლებელი იყო ოსების სასულიერო სასწავლებელიც, მაშინ ოსეთში არსებობდა ოსეთის საქრისტიანო კომისიის გამგეობა და მის მეთაურად ირიცხებოდა ეპისკოპოსი დოსითეოს **ფიცხელაური**, რომელმაც ოსების სასარგებლოდ საკმარისად იმხობა და ოსების იმ დროინდელი მღვდლები წაახალისა მასზედ, რომ მათ თვისი შვილები გორის სასწავლებელში შეეყვანათ მოწაფედ და მერე იქიდამ თფილისში იქნებოდენ გადმოსულნი სასწავლებლად.

მა მალე შეიგნეს სწავლის მნიშვნელობა.

და თვისი შვილები სიამოვნებით მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში მოწაფედ, გორში სწავლის დამთავრების შემდეგ ოსებმა 1825 წლებს, თფილისის სემენარიაში იწყეს მოწაფედ გადმოსვლა. ასე რომ თფილისის სემენარიაში ოსთაგან პირველად სწავლა დამთავრებულნი გამოვიდნენ 1830 წ.. ცოტა შეიძლება ადრე ორი სამი წელი, ხოლო ამაზედ მეტი კი არა. ნელ-ნელა ოსთა ძეთა საქმე ისე მოეწყო რომ თფილისის სემენარიაში ოსთა რიცხვი მოწაფეთა საკმარისი რიცხვი გარდა, თითქმის ხანდისხან თავის მხვედრს სჭარბობდა კიდეც. თუმცა სასულიერო წოდება ოსთა შვილებს კაი დახმარებას და შეღავათს აძლევდა სწავლის მხრივ, ხოლო ოსებს მაინც დიდათ უჭირდებოდათ თფილისში სწავლის დროს ხარჯის ატანა. ამიტომაც დაიბადა აზრი ოსეთის სამღვდელოების წინაშე საკუთარ სემენარიის დაარსება თვით ოსეთის შუაგულ ალაგას და ამის შესახებ ლაპარაკი და ცდაც დაიწყეს.

ოსეთის სამღვდელოებას ეღირსა და 1885 წ. არდონში გახსნილ იქმნა არდონის სამისიონერო მემენარია. არდონის სემენარიაში მსახურების დროს, დიდათ უშრომნია ამავ სემენარიის ზედამხედველს, ოსთაგან იერომანახს **იოანეს**, პეტერბურგის აკადემიაში ნასწავლს, რომელსაც ოსთა ძე-ა წინაშე დაუცხრომელად უღვაწნია. ადრე, როცა ოსები თფილისის სემენარიაში სწავლობდენ, მაშინ იგინი ქართული ენის შესწავლასაც ახერხებდენ ადვილად, თუმც მათ ეს აღკრძალული აქვნდათ, მათში ზოგიერთი ისე იზრდებოდა, რომ მას ქართულად მწერლობაც შეეძლო თავისუფლად. ეხლა კი ეს ოსთა ძეთა შორის ძალიან იშვიათია. საჭირო კია, რომ ამ გარემოებას ოსეთის ახალგაზდობამ ყურადღება მიაქციოს. ქართული ენის შესწავლა მათ არას აზარალებს.

ოსეთის ქალების განათლება.

ოსების ქალთა განათლების საქმე ძველადგან ასე იყო: ოსებს ქალების სწავლა შინაურულად აქვნდათ მოწყობილი.

ძველთაგან ოსის ქალებს სახლში ასწავლიდენ ქართულ ანბანს და ამ ანბანით დაწერილ ოსურ ლოცვებს, ოსურ ლოცვებთან ერთად სახარების ზოგი რამ სწავლას, სამღრთო წერილს გარდა, ოსის ქალებს ასწავლიდნენ ფეიქრობას, ქსოვას, ჭრას, კერვას, ქარგვას და სხვა ასეთ უსაჭიროესებს. მათში ბევრი რამ ნივთები დიდის ხელოვნებითაც იქარგებოდა, იქსოვებოდა და იკერებოდა. ოსთა დედანი ოსტატურად ჭრა, კერვასა და გარგვაში განითქვნენ ოსის ქალთა გარემოებას პირველად ოსის სამდვდელოებამ მიაქცია ყურადღება, მათ დაიწყეა ამათ განათლების შესახებ შრომა და ცდა, წადილს მიაღწიეს კიდეც და 1860 წლებში, ოსეთში დახსნეს დედათა სასწავლებლები, როგორც კავკავის იქით ოსებში, ისევე კავკავის აქეთა ოსებში.

კავკავში გახსნილ იქმნა რამდენიმე სასწავლებელი ოსის ქალებისათვის, ზოგი ორკლასიანა სასწავლებელი, ზოგი ოთხ კლასიანი და სხვაც ამგვარნი. დღეს ოსის ქალთა სასწავლებელი არსებობს კავკავს, ქ. არდონს, მოზდოკს და სხვა ადგილებსაც. ზოგი დიდრონ დაბა-სოფლებშიაც. აქვსთ ეპარქიული სასულიერო ქალთა სასწავლებელიც. თუმცა ოსთა ქალთა სკოლების დახნსის საქმე პირველი მაგალითი იყო და იმ სამაგალითო საქმეს არც არაფერი ნიადაგი აქვნდა და საძირკველი, მაგრამ ოსთა დედათა შრომა და ენერგიამ ისეთი გონიერება გამოიჩინა, ისეთი ნიჭიერება, რომ მოკლე დროის განმავლობაში, ოსის ქალებმა კარგათ შეითვისოს სამოსწავლო საგნები და სწავლაც ისე კარგად დაიწყეს, რასაც აღტაცებაში მოჰყვანდა თვით მასწავლებელნიც. დღეს უკვე ოსის დედათა შორის კარგად სჩანან ნასწავლ ოსის ქალები, მათ თავიანთ სწავლით ყველა სწავლის ნაწილში გამოდგეს ფეხი, ამით დაასაბუთეს ის გარემოება, რომ მათ ექმნებათ კარგი მომავალი. ამის საბუთი გახლავსთ ის, რაც ამათ ასე მალე თვისი შნო გამოიჩინეს, დღეის შემდეგ უეჭველია მეტის სახელით ისახელოვნებენ, ოსთა ქალთა რიცხვიდამ დღეს მასწავლებლობის ასპარეს-

ზედაც სჩანს რამდენიმე გონიერი ოსის ქალი, რომელთაც თავიანთ საქმეები კარგად და მშვენივრად მიჰყავსთ.

დიახ, ოსთა დედათა სახელს კარგი, ბრწყინვალე მომავალი უჩანს.

ოსის მდედრობითი სქესი კარგი, ბედნიერი წარსული და ისტორია აქვს. იგინი, როგორც მაღალ მთის შვილნი და დედანი, ყოველთვის ნაქები მთის ძენი იყვნენ და არიან კიდეც. ეს მათი ღირსება ძველთაგანვე ყოფილა მთელს აღმოსავლეთში ცნობილი, ამიტომაც იყო, რომ ოსთა ქალებს დიდათ ეტრფოდენ არა მარტოდ საარშიყოდ, არამედ შვილების აღსაზრდელათაც.

როგორც გახლდათ წარსულში, ეს დღესაც ასევეა, ოსის ქალი ქებულია არა მარტო ოსეთში, არამედ მთელს საქართველოში, მასთან საერთოდ მთელს კავკასიასა და რუსეთშიაც, მთელმა თფილისის საზოგადოებამ კარგად იცის ოსის ქალის რძე და მისი სინოყივრე ბავშვების აღზრდის საქმეში ამიტომაც აქამდის მთელი თფილისის შეძლებულ ოჯახებში, ძიძებათ სულ ოსის ქალები გახლდნენ. სადაც კი ყმაწვილები იყვნენ იქ უსათუოდ ოსის ძიძაც იქნებოდა აღმზრდელად.

ოსის ქალებს ისე გაუვარდა ამით სახელი, რომ ოსის ქალებს ძიძათ ნატრობდენ თფილისში რუსები და ევროპიელნიც. თფილისის შეძლებულ სომეხთა ოჯახის შვილების უმეტესი ნაწილი ხომ სულ ოსის დედათა რძით გახლავან აღზრდილნი.

ამ გარემოებამ თვით ოსებიც ისე მოაწყო, რომ ყოველ ოსის ოჯახში, ქალს მომშობიარობის შემდეგ, უსათუოდ თფილისში ელოდა ჩამოყვანა და ძიძათ დადგომა, სიღარიბის, უფულობის და გაჭირების გულისთვის, პატარა ოსის ბავშვს, დედა და დედის რძე ქორფობითვე ეგლიჯებოდა და მისი

დედა სხვათა შვილების გასაზრდელად მიდიოდა სხვაგან და პატარა ოსის ბავშვი კი რჩებოდა სხვა და სხვა პირთა გასაზრდელათ, თხისა და ძროხის რძის ამარა. ძიძების თფილისში ჩამოყვანა თვით ოსის მამაკაცებმა იცოდენ. ქმარს ჩამოჰყვანდა თავის ცოლი, ქუჩა-ქუჩა ატარებდა და საძიძაო ალაგს ეძებდა ეს რომ ასე იყო აქამდე, ვგონებთ თფილისში ყველასთვის იყო აშკარა და ცხადი.

ამ უკანასკნელ დროს კი, მადლობა ღმერთს, ამ გარემოებამ, საკმარისად კლება იწყო. ეხლა ისე აღარ ჩამოჰყავსთ ოსის ქალები თფილისში საძიძაოთ. ამათ რიცხვი აღარც ისე სჩანს ქუჩა-ქუჩა მავალნი და საძიძაოთ სახლის მძებნელნი, ნელ-ნელა ოსის პატარა ბალღებს შინ უშთებათ თავიანთ მშობლები და მათი რძით ეძლევიან აღზრდას. ესეც კარგი შეგნება არის ოსის დედათა წარმატებისათვის დღეს. ღმერთმა ქნას, რომ ოსის ქალი შემდეგშიაც საყოველთაოდ თავის შვილების აღსაზრდელად დაშთეს თავის ოჯახში. იმედია ეს მოხდება, რადგანაც ოსის ქალებმა ეს უკვე შეიგნეს. დღეს ოსის ქალი უკვე თვალხილულად სცხოვრებს და მოქმედებს ოსთა დედათა ასპარეზზედ.

სხვაფრივათაც ოსის ქალები ძრიელ უკან ჩამორჩენილნი არიან, თუმცა მათი ღირსება კი ცნობილია ხელსაქმიანობის გარეშე, სხვითაც ოსის დედანი თვით სამამაცო ხუშაკობასაც ასრულებენ სოფლათ, ტყეში, ყანაში, მთასა და ბარში ესენი მარდათ გადიან სამუშაოთ და მით დიდს დახმარებას აძლევენ მამაკაცებს.

უნდა ითქვას, რომ აქამდის ოსის გლეხკაცობის ცხოვრება ძრიელ დაცემული იყო, მათ დიდი გაჭირება აწვათ კისერზედ და მიტომ იმეტებდენ ოსთა დედებს, ძუძუდამ თვის შვილს გლეჯდენ და თფილისში სხვათა შვილთა აღსაზრდელათ მოჰყვანდათ რა არის ამათ ორიოდ მანეთი აეღოთ და ამით თვისი გაჭირებაც მოესპოთ. ხოლო ხშირად ესეც არ უმართლდებოდათ და ოსის ძიძა ძრიელ ძველადგანვე ადვილათაც იჩაგრებოდა.

კიდეც. მას იმდენს მაინცა და მაინც არაფერს აძლევდენ, რომ ით მათს საჭიროებას რამე შველებოდა. ბევრ ალაგას ხშირად ძიძას ფულიც ეკარგებოდა.

ოსის კაცები კი შინ ისხდენ და ქალები გაჰყვანდათ კარში საძიძაოთ და ფულის საშოვნელად, მადლობა ღმერთს, რომ ეს ეხლა თითქმის მოისპო, ოსებში და ისე აღარ არის, როგორც აქამდის იყო იგი შემდეგისათვის უეჭველია ეს სულაც მოისპობა.

ოსების სახალხო სკოლები.

ოსებს აქვსთ სახალხო სკოლები, როგორც დაბალი ხარისხის, ისევე საშვალო, ხარისხის. სკოლებში ყველგან ბავშვები მრავლად სწავლობენ. ოსის გლეხთა შვილები სწავლისადმი დიდს შნოს იჩენენ, ყველა სასწავლო საგანთ ხარბათ ჰკიდებენ ხელს და, მალეც ითვისებენ. უკმაყოფილონი არიან მითაც, რომ აქამდისაც რათ ვიყავით ასე დაძინებული და უკან ჩამორჩენილნიო. ამიტომაც ყველა სწავლის საქმეს შურის თვალით უმზერენ, მის გამო კარგადაც სწავლობენ.

სულ მოკლე დროის განმავლობაში, ოსეთის ერში, სახალხო განათლებამ ფეხი აიდგა და 1870 წლებამდე, თუ ოსებში, ასში ერთს ნახავდით წერა-კითხვის მცოდნეს, დღეს ასში 20 კაცს ნახავთ მცოდნეს, რაც ოსეთში სულ მოკლე დროის განმავლობაში მოიფინა და წავიდა წინ. ეს გარემოება გვათქმევინებს, რომ ოსებს ამის მხრით დიდი მომავალი ექნებათ და ოსეთის ერი მალე შეითვისებს ევროპიულს განვითარებას.

ოსეთის სკოლების საქმეს რასაკვირველია ხელს უწყობენ დიდათ ოსეთის გულ შემატკივარ მასწავლებელნიც, რომელმაც დაუცხრომელად მოღვაწეობენ ოსეთის ძეთა სწავლა-განათლების სასარგებლოდ.

ამაოდ მორწმუნეობა ოსეთში.

ამაოდ მორწმუნეობა საქართველოს ხალხშიაც არის მოფენილი, ასევე კავკასიის სხვა და სხვა ხალხებშიაც და მასთან ოსებშიაც გახლავსთ ეს გავრცელებული. ოსების ცრუ მორწმუნოება ქართველებისაზედ მაღლა სდგას თავის განუსაზღვრელის უმეცრებით. ამავე სენით გაცილებით უფრო ოსებზედ წინ არიან წასულნი ყაბარდოელნი, ჩეჩნები, ჩერქეზები, ქისტები და ლეკები. აქედამ სჩანს, რომ ოსები ყველა ამ მთის ხალხზედ გაცილებით მაღლა სდგანან შეგნებით და ცოდნით. ანუ კულტურით. უნდა ითქვას ისიც, რომ ოსებში ძალიან არის ეს ამაოდ მორწმუნეობა გავრცელებული, მეტის-მეტად, ამას აქვს თავის მიზეზები.

პირველი მიზეზი ის იყო, რომ ოსები სამწუხაროდ მწიგნობრობას არ იყვნენ ისე შეჩვეულები, როგორც რიგი და წესი იყო. მათში მწოგნობრობა ზღაპრებით, ლეგენდებით, შაირებით და ძველებური ამბებით იყო. ამიტომაც მათში დიდათ ვრცელდებოდა გაზვიადებული ზღაპრების და ცრუ მორწმუნოების ამბების საუბარი, ყოველივე ამას მათი უწიგნობაც ჰბადავდა.

მეორე მიზეზი: ოსების ცრუ მორწმუნოების: საშინლად გავრცელებული იყო ოსეთის მაღალ მთების არსებობა და მის მეოხებით მუდამ ბუნების ბრძოლა, ბუნებისაგან მოვლენა ქუხილის, ელვის, ჟექის, მეხი, ქარიშხალის და სხვა ასეთების, რაც ყოველთვის ოსებს შიშის ზარს სცემდა და მით აფიქრებდა, ოსებს საიქიოზედ და ყველა ამაებზედ, რაც მარტოდ შეუგნებლად შეჰფერისთ, ამიტომაც ოსები სულ ფატილისტები არიან.

მესამე მიზეზი ოსების უმეცრებისბის და ცრუმორწმუნეობის იყო უცხო ტომთა გავლენა და მათ ბინადრობა ოსეთში, ამას ეტყობა თავის ნიშნები, ხოლო ერთი ნაწილი ამის არის ბიზანტია რომაელთა გავლენის ქვეშ და ქრისტიანობის

სწავლის მექონი და მეორე ნაწილი კი ისლამის სწავლა და ოსმალ სპარსთ გავლენა. ამათ გარდა თვით ლეკთა გავლენაც დიდათ ეტყობა. ეს მორწმუნოება ოსებს დიდათ ვნებს დღეს და ღუპავს. ამ გარემოებას ოსეთში ყურადღებას აქცევს ოსეთის სამღვდელოება, ამის წინააღმდეგ იბრძვის თვით ოსთა ახლად ფეხ ადგმული.

ოსეთის სამღვდელოებაში არიან თითო ოროლა ისეთი პატიოსან მოძღვარნი, რომელნიც ამის წინააღმდეგ დიდათა მოქმედებენ, ეკლესიაშიაც ქადაგებენ, საჯაროთაც მწერლობას ასეთ საპატიო პირთა სახელებს ჩვენ სხვაგან დავასახელებთ ეს ცრუ მორწმუნოება რომ ოსეთის ერის ცხოვრებაში საყურადღებო არის, ამას გამოაჩენს შემდეგი აღწერაც, რომელიც ჩვენის დავლებით შეკრიბა ასწერა და წარმოგვიდგინა ვასილი თედეშვილმა,*) რომელიც ამისთანა მასალების შეკრებისათვის დიდათ მეცადინეობს და ჰკრებს და სწერავს, ამისაგანვე შეკრებილი ბევრი რამ ცნობები მე მოვათავსე თამარ მეფის ცხოვრებაში რისთვისაც მე მისი დიდი მადლობელი ვარ.

დავსძენთ ოსთა საეროდ შემდეგს: ამ აღწერას ჩვენ მიტომ კი არ ვბეჭდავთ, რომ ამით ისეც ცრუ მორწმუნე ოსმა წაიკითხოს ეს და აქედამ უფრო გაიმტკიცოს ცრუ მორწმუნოება და მის საზღვარსაც გადავიდეს, არამედ ვბეჭდავთ მას იმ მიზეზით, რომ ოსეთის ერს შევაგნებიოთ თვისი ამაო მოსვენების არარაობა და სიცრუე, ეს არის ჩვენი მიზანი და ამ გარემოებას ხომ ოსეთის სამღვდელოებაც ებრძვით დღეს გულმტკივნეულად.

---

*) ესევე ვასილი თედეშვილი ერთგულათ მეცადინეობს და ოსებში ჰკრებს ზეპირ ამბებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოსთა დღესასწაული და ჩვეულება.

საახალ-წლოდ ოსები გამოაცხობენ ცხვრების და კაცების მზგავსად ჰურებს, ამ ჰურებს წმიდა ბასილებს უწოდებენ.

ამას გარდა ახალი წლისვე საღამოს იციან ეშმაკთა მსხვერპლის შეწირვა; მსხვეპლად ქათმები და თხებია. 1) ასეთს მსხვერპლს ჯიკურთა ჰქვიან, თვით საღამოს—ქოჲდართი ახსავ.

მაშინ ზოგი ქათამს დაუკლავს, ზოგი ინდოურს, ზოგი თხას და სხვა.

ასეთი ეშმაკთა მსხვერპლის შეწირვა ოსეთში ჩვეულობათ არის, თითქო ოსს რამე ვალი ეპართოს წლიდგან წლამდინ, და ვალდებულნი იყვნენ, რომ უსოფოდ უნდა გადაიხადონ. იმ დროს, როცა ქათმებს და თხებს დაკლავენ. 2) მაშინ რასაკვირველია საჭმელ-სასმელსაც მოამზადებენ, ხაჭაპურები, ქადები, არაყი, ლუდი, ბურახი *) და სხვა.

როცა ყველაფერი საჭმელ-სასმელი რიგზე მომზადდება მაშინ ოჯახის უფროსი კაცი ან ქალი ხელში აიღებს ანთებულ კელაპტარს, ერთი ხაჭაპური არაყით ან ლუდით სამსე ხანწი და მთელ ოჯახში მეოთნი ფეხზე დამდგარნი ეშმაკების ევედრებიან:

„მიიღეთ თქვენი შესაწირი და წლამდინ თავისუფალი ყიოთ თქვენგან და თუ წლის შემდეგ სიმდიდრე შეგვემატა თქვენი შეწევნით, მაშინ მომავალ წელიწადს ერთი ამორჩეული სუქან თხას შევწირავთ თქვენთვის, თუ ეხლანდელივით დარიბათ დავრჩით მომავალ წლამდინ მაშინ კი ერთი პატარა ქათამს შემოგწირავთ თქვენ, მეტს არაფერს“.

ოსეთში ეშმაკების შეწირულ საჭმელს უცხო ვინმეს არა დროს არ მისცემენ, ეშმაკებს ეწყინებათო და რამეს დაგვაზარალებენო.

---

*) ბურახი კვასის მზგავსი სასმელია, ოსები ხშირად აკეთებენ.

მოხუცებულნი იტყვიან ხოლმე: ჩვენ ძველ დროში ბევრჯერ გვინახავს რომ ეშმაკებმა ღამე ჩვენი შეწირული თხები და ქათმების ჯოგს მირეკავდნენ.

ასეთი ტყუვილებს და ცრუ ფანატიკური სიტყვებს ხშირათ გაიგონებთ ხოლმე. ზოგიერთ მოხუცნი იტყვიან რომ ჩვენი თავლით გვინახავსო დევი, ეშმაკი, ჭინკა, ქაჯი, ალი და ტყის-კაციო.

ესენი ძველ დროებაში ძალიან ხშირად იყვნენო და სხვა და სხვა სახით მოგეჩვენებოდნენო. ამით ცაზოკადოთ სუყველას რწმენა ხმლის ეშინიათ.

ეშმაკი რომ გზაზე ან სხვაგან სადმე შეგხვდეს, მაშინ თუ თოფი ჰირდაჰირ ესროლე მას არ მოხვდება, მხოლოთ წინ რომ გიდგეს ეშმაკი შენ თოფი უკან უნდა გაისროლო და მაშინ ჰირდაჰირ მოხვდება ეშმაკს.

ახალ-წელიწადს როცა ოსები ეშმაკთა მსხვერპლს ამზადებენ, მაშინ ზოგიერთი კაცები და ქალები საღამოზე ადრე დაიძინებენ ხოლმე, ეშმაკებთან წლის მოსავალისთვის ომი გვაქვსო. და ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვეთ, მაშინ ყველაფერი მოსავალი კარგათ მოვაო, მხოლოთ თუ ეშმაკებმა გაიმარჯვეს მაშინ უნდა იცოდეთო, რომ მთელი წლის მოსავალი წახდებაო.

ესე იგი ეშმაკებთან ომში რისი მოსავლის თესლს მოვიგებთ იმავე წელიწადს ის მოვა კარგათ.

ხან ჰურის თესლს წავართმევთ, ხან ქერის, ხან სიმინდის ან ეურძნის და სხვა, ხან კი ყველაფერს მოვიგებთ, ხან წავაგებთ.

ეშმაკებთან ომში ზოგი ცხენით მიდის, ზოგი სატრით, ზოგი ცოცხით, ან როდინით, ისეიებიც არიან რომ ფრინველით მიდიან, მაკალითად შესხდებიან ორბზე, არწივზე, ყვავზე, ეორასზე, ქერაზე, წერაზე ან მგელზე, დათვზე, ტურაზე, ეელაზე, ზოგიერთი ლორზედაც მიდის, მაგრამ ის კარგად არ ომობს, რადგანაც ლორი მძიმეთ მიდის.

ყველაზე მეტ მამაცობას შალის საქმოვ ედებზე მოსიარულენი იჩენენ, რადგანაც ედები გძელი ფიცრებიდგან შესდგებიან; ამიტომ

შეომარიც დიდი ნაბიჯით მირბის წინ და დიდ მამაცობას და ბეჯითობას იჩენს ადამიანთა და ეშმაკთა ომში.

ეშმაკებთან მებრძოლ ადამიანებს ოსურად ქვრისძაგები ჰქვიან, ისინი რომელ კაცის თავიდგან ერთ ბალან თმას მოგლეჯენ ისიც მათი ამხანაგი და ქვრისძაგი გახდება.

როცა ქვრისძაგები დაიძინებენ, მაშინ სხვამ თითონ არ გაიღვიძებენ მანამ სხვამ არ უნდა გაიღვიძოს თუ არა და ეშმაკებთან ომში ტეგია მოხვედება და დამარცხდება.

როცა გაიღვიძებენ ქვრისძაგები მაშინ ერთ ხარს შემოიყვანენ სახლში და კერა და სახლის დედა ბოძის გარეშემო სამჯერ შემოატარებენ, ორი დიდი ტიგის ხვასტ მოიტანენ ცეცხლის ასანთებათ და ზედ ბავშვები სამჯერ უნდა გადახტნენ თან ყვირიან: ჩვენ რძალს ვაჟი ეყოლოს და არა გოგო.

ამის შემდეგ ერთი რომელიმე ოჯახის კაცი, ან ქალი ერთ სამსე გორდას *) ჰურით, ყვეელით, ერბოთი, ხორცით გარედგან სახლში შემოიტანს ხოლმე, ცალ ხელში ანთებული კელაპტარი უნდა ეჭიროს და ცალ ხელში ხმელი ფოთლიანი წიფლის შტო და ასე იდოცავს:

„ღმერთმა თქვენი ოჯახი გაამრავლოს სიმდიდრით, იმდენ წელიწადს რამდენი ფოთოლი ამ წიფლის შტოზე აბია და მადალმა ღმერთმა ნუ მოგაკლოს სიტკბოება და სიმდიდრე: ჰური, ქერი, სიმინდი, ღვინო, თაფლი, შაქარი, ხიზილალა, ოქრო, ვერცხლი თვალთ-მარგალიტი და სხვა.

ზეგარდამო მადალი და წუალობა მოვიდეს თქვენზე ვითარცა ბაგრატოვანთა დიდებული გვირგვინი, ღმერთმა წმინდა მანანა მოგიგზავნოს ვითარცა მიისის ნამი“, როცა ასე იდოცავენ მემრე რამდენიმე ჰურს, ხორცს, ყვეელს, ერბოს და სხვა საჭმელებს წუალკურთხევამდინ შეინახავენ ქაფეუნდარი **) და დონბედრის მსხვერპლათ.

---

*) გორდა დიდი თაბახია.

**) დომბედრი ზღვის დევიაო, ქაფ-ყუნდარიც ზღვის ვეშაპი ძველებურ დროებაში ოსებს წყლეხის ღმერთებათ სწამდათ.

და წულკურიხევის დიდს ადრე ქალები წაიღებენ იმ საჯმელებს წულზე და იქ ჩაურიან შუა წულში და თან ასე ევედრებიან, უაფ-უენდარო და დომბედრო, დაგვიფარეთ ღვარი და უბედურებისაგან და ჩვენ მსხვერპლს ეოველ წელიწადს შემოგწირავთ. მათი აზრით თუ ასეთი მსხვერპლი არ შესწირეს მაშინ წულები ადიდდება და ხალხი დაიღუბება, ძველებურ დროებაში ბება კოჩიშვილი წულებიდგან ასეთი შეწირული საჯმელებს იპარავდაო, ამიტომ თურმე წულები ადიდდა და სოფლები წალეკესო.

ილიაობა, (ვაჩილაობა).

ოსეთში სუეველა სოფელს თავ-თავისთვის ცალ-ცალკე აქვთ იდია წინასწარ-მეტყველის სალოცავი ხეები *) ან ძველი ნასაედრები, ასეთი სალოცავები უფრო მაღალ მთებზეა აშენებული.

ზაფხულში იციან ოსებმა ამ სალოცავების დღეობა, ვაჩილა (ილიაობა) მაშინ გაამზადებენ სხვა და სხვა ნაირი საჯმელ-სასმელებს, ერთ კარგ თხას დაკლავენ.

ბოლოს როცა ეველაფერს მოამზადებენ მაშინ მთელი ხალხი ფეხზე აღგება და ხევის პერები **) ხელში დაიჭერენ ანთებულ სანთლებს და სასმელით სავსე ყანწებს და ასე ევედრებიან წმინდა ილიას: (ვაჩილა) „დაგვიფარე სეტევა-მეხიდან და უბედურებისაგან და წლის მოსავალი კარგათ მოიეკანე. ბური, ქერი, სიმინდი, ეურძენი, ხილი და სხვა. როცა ხევის ბერები ან ამორჩეული დეკანოზები ასე ლოცულობენ, მაშინ ახალგაზდები ეკირიან ომენ, ესე იგი ამინ ომენ, ომენ.

ბოლოს როცა ხევის ბერები ილოცავენ, მაშინ სანთელს კედელზე ან სუფრაზე დადგამენ, სასმელის ყანწებს და ერთს ყანწურს კი ახალგაზდებს მიაწოდებენ.

და ახლა ისინი ილოცავენ: „ღმერთმა და წმინდა ილიამ შეგ-

*) ხეები კი არ არის სალოცავი, არამედ სალოცავი თვით დიდ, ატეხილ ხეების ქვეშ იმყოფება ხოლმე. **Ი. ბ.**

) ოსურათ ამ უფროსებს „ხისტარ ლაგთა“ ჰქვიან. **Ი. ბ.

ვისრულოს, ის რაც უფროსებმა სთხოვეს უფალს, ჩვენც ამ სამღ-
რთოს გარდა საახალწლოთ კიდევ გავაკეთებთ იდია წინასწარმეტ-
ყველისთვის ბურახს და ხაჭაპურებს და მართალაც თუ წლის მოსავალი
კარგათ მოვიდა, მაშინ მადლობის სახსოვრათ იდია წინასწარ-მეტ-
ყველის სალოცავებში ახალწლის სალამოს მიაქვთ ხაჭაპურები და
ბურახი და ხის ფესოებზე დასხამენ არაყს და ბურახს, თან ყვირიან.
წმინდა იდია მადლობელი ვართ რომ წლის მოსავალი კარგათ მოი-
ყვანე წრეულ, აი ჩვენც მადლობის ხახსოვრათ სხვერპლი მოვიტანეთ
რომ მომავალ წელიწადსაც კარგათ მოიყვანო მოსავალი.

იდია წინასწარ-მეტყველი დიდი წმინდანია და მას ცხვრებს
და ხბოებს უნდა ვსწირამდეთო, მაგრამ რადგანაც ეშმაკებს მეხით
ხოცავს ჯვრის ამიტომ მათ ჯიბრზე თხების მისთვინ აწირავთო. ეშ-
მაკებს მეხის, რომ არ ეშინოდეს მაშინ მთლათ აგვიკლებდნენ. მეხი,
იდია წინასწარ-მეტყველი და წმინდა გიორგის თოფია, თუმცა მა-
კათ გარდა იობის შვილები დაზარია და ზაქარიაც ისვრიან მეხს,
მაგრამ ისინი მხოლოთ ჯაჭვით ისვრიან, იდია და წმინდა გიორგი
კი ტყვიით.

თვით ღმერთიც ისვრის მეხს, მაგრამ ის მხოლოთ დევებს და
გველეშაპებს ხოცავს.

იდია და წმინდა გიორგი კი ეშმაკებს, ქაჯებს, ჭინკებს, ალებს
და ტეის კაცებს ხოცავენ.

ამას გარდა მთელი წლის საზდო მოსავალიც იდიას ხელშია
და თუნდა კარგათ მოიყვანს და თუნდა წაახდენს.

სეტყვაც მის ნება არის, ამიტომაც როცა სეტყვა მოდის, მაშინ
ზარები უნდა დარეკოთ, რომ იდიამ გაიგოს სეტყვა სოფლებზე
მოდის და გააჩეროს.

ეშმაკების ბინა ქვესკნელშია და ნება არა აქვთ რომ ზეგით
ამოვიდნენ, თუ არა და როგორც ამოვდენ ზეით და მაშინვე იდია
და წმინდა გიორგი მეხს ესვრიან, ხშირათ ადამიანები და სოქონ-
ლიც ზარალდება, როცა ეშმაკებს მეხს ესვრიან.

თევდორობა (თუთრთა).

პირველ თევდორობის ორშაბათს ოსეთში მწყემსები შეინახავენ როდინში სავარცხელს და მაკრატელს და ქაშრით და ქუდით მაგრათ შეკრავენ.

და ასე სამი დღე და დამე მწყემსები არც პურსა სჭამენ, არც წყალს სვამენ, მხოლოთ მარხულობენ და თავ-შიშველა დადიან.

როცა მესამე დღე დადამდება, მაშინ გამოაცხობენ ლავაშებს, ბურახსაც გააკეთებენ წმინდა თევდორეს შესაწირათ და ასე ეუბნებიან: წმინდა დიდებულო და ძლიერო თევდორე, დაიფარე ჩვენი საქონელი მგლებიდგან, რადგანაც შენი ძაღლებია მგლები, ამიტომ პირი და უბები ისე შეუკარი, როგორც ეს როდინს პირი ჩვენ შეუკარით".

როდინი მგლათა ეაგო წარმოდგენილი, ქუდი მგლის პირათ, მაკრატელი უბებათ და სავარცხელი კბილებათ.

როცა მათი საქონელი მგლიდგან დაუზარალებლად გადარჩება, მაშინ შემოდგომას თევდორობის საღამოს *) ერთ კარგს და სუქანს ბატკანს შესწირავენ და დაკლავენ მადლობისათვინ წმინდა თევდორეს, რადგანაც მგლიდგან გადაურჩინა მათ საქონელი.

ორშაბათიდგან შაბათამდინ თევდორობის კვირას ხალხი დიდი პატივის ცემით უქმობს მიელი კვირის განმავლობაში დიდი თამაშობა და ხუმრობაში ატარებენ დროს, თვითონ წმინდა თევდორეც დიდი ხუმარა და მოთამაშე იყო, ასე რომ მოელ ანგელოზებს აკვირვებდა ტეკვა თამაშობაშით, თითონ ღვთის ოჯახშიაც პირველი მოთამაშე და ხუმარათ ითვლებოდა.

როცა თევდორობის შაბათი დადგება, მაშინ სხვა და სხვა სამარხო საჭმელ-სასმელებს მოამზადებენ, ეხლა წმინდა თევდორე ზეცაში მიბძანდებოდა, ამიტომ სოფლელები ერთად მოკრებულებიან და წმინდა თევდორეს სამდრთოებს გაუკეთებენ.

---

*) ოსურათ „თუთირთი აღსავ" თევდორობის საღამოს ნიშნავს.

ბოლოს ოქროს ან ვერცხლის კამთელით ითაშაშებენ და თი-თოს რამდენი ნუმერი ერგება, იმდენი უანწით, ან ჯიხვის რქით ასმევენ, ლუდს და არაყს, ნუმრების მაგიერათ ხაზები აქვთ მათი სათამაშო კამაოლებზე.

თვით კამაოლები სამ სამი იციან, ერთი წმიდა გიორგის, მეო-რე წმიდა ნინოსი ან წმიდა ბარბარესი და მესამე წმიდა თევდორეს სახელობაზე.

ძველებურ დროებაში თურმე ციხე კოშკებს თევდორობის კვი-რას აშენებდნენ და რაოდენი სოფელიც უკეთეს ციხე ან კოშკს ააშე-ნებდა, მეორე სხვა სოფლელები ჯიბრით დაუნგრევდნენ: ჩვენ ციხე ან კოშკზე უკეთესი, რათა ააშენოთო, რის გამოც ხშირათ ამას საშანელი, ჩხუბიც მოჰყვებოდაო.

დავზგანან ან მიცვალებულთა საღამო დიდ მარხვაში იციან ოსებმა, ამ საღამოს მიცვალებულნი შორს სადმე ზეცისაკენ მიდიან დაბონის *) მოსატანათ, ერთი კვირა გზაზე დარჩებიან, მეორე ისევ აქ მოვლენ, ამიტომ ამზადებენ მიცვალებულთა საგზალად სამარხო საჭმელ-სასმელს.

ბოლოს როცა ყველაფერს მოამზადებენ, მაშინ სხვა და სხვა საჭმელ-სასმელიდგან ტოტ-ტოტას აიღებენ და როდინის ქვასთან ერთათ ცალკე დადგამენ და თან ასე დოცულობენ: „მიცვალებულნო, წაიღეთ ეს საჭმელ-სასმელი, რადგანაც თქვენთვინ გავამზადეთ საგ-ზალათ, ეხლა ქრისტე ღმერთმა დიაკვნის და მღვდლის ლოცვით და მადლით გაგიმრავლოს ესე საჭმელ-სასმელი, სანამ კავკასიონის მთები კენჭის ოდენათ გადაიქცეოდეს და შავი ზღვა წვეთათ.

ეხლა წაიღეთ თქვენი საგზალი და თუ გზაზე ღარიბი მიცვა-ლებული შეგხვდეს, მაშინ აგერ ცალკე რომ დავწეთ საჭმელ-სას-მელი ის მიეცით, მხოლოდ თუ ძალ-მომრეობით ვინმემ რამე წარ-თმევა მოინდომა მაშინ აგერ როდინის ქვა შუბლზე დაარტეთ.

როცა ასე იდოცავენ მეორე ნახევარ საჭმელს თითონ შეჭამენ, მხოლოდ დანარჩენს ერთს გუდაში ააწყობენ და გარეთ, სახლის

*) დაბონი საიქიოს ხილიაო, ნიერის მზგავსი.

ჯართან ლურსმინზე ჩამოჭკიდებენ, როცა ჩვენი მიცვალებული დაბ ა-ნ.ს მოსატანათ წავიდნენ, ესეც თან წაიღონო.

ასეეე ამზადებენ მეორე კვირის სწორზე, ეხლა ჩვენი მიცვალებული უკან მოვლენო, ცხენოსნები დალალულნი არ არიანო, მხოლოთ ვისაც ცხენი არა ჰყავთ ისინი ძალიან დალალულნია.

და ასე მეორე კვირის სწორზე ხელ-ახლა მოამზადებენ სხვა და სხვა საჭმელ-სასმელებს და ფულებს და ხელ-ახლათ გუდაში დაყწობენ და გარეთ ლურსმანზე ჩამოჭკიდებენ.

ძველ დროში, თურმე იმ მიცვალებულთა საგზალს ვინმე კაფი გერგაშვილი იპარავდა, საჭმელ-სასმელი თავის ოჯახში მიჰქონდა, მხოლოდ ფულით თამბაქოს ყიდულობდა, ამიტომ მიცვალებულებმა წმინდა გიორგისთან უჩივლეს: ჩვენი ნათესავები რომ საგზალს გვიმზადებენ, იმას კაფი გერგაშვილი იპარავს და ჩვენ მშიერი ვრჩებითო.

ამაზე წმანდა გიორგიმ კაფი და მის შვილს იორამს შეხი ესროლა და მოჰკლა.

ნაფის დღეობა ოსეთში.

თებერვალში ალაგირში *) იციან შვიდი დღე ნაფის დღეობა, შაშინ ერთ კვირას ქორწილივით უქმობენ, ასე რომ ძველი დროება თვალ წინ წარმოგიდგება და დიდი ბატიკის-ცეშით ღებულობენ სტუმარს.

როცა ნაფის დღეობა დადგება, მაშინ შვიდი დღისთვის სოფელ სობაში შვიდ დიდ ბურს გამოაცხობენ ასე რომ თითო თუთხმეტ ფუთს უნდა იწონიდეს.

ნაფი დიდი წმინდანი იყოფო და რადგანაც იმისი ქალაგება არ ისმინა ხალხმაო, ამიტომ გაკვირებული მოასხეს ასულა, თოვლის ზვავი გამოუშვა და მთელი სოფელი დაღუბაო.

---

*) ოსურად ალაგირს ვალაგ-ირს ეძახიან, რაც ზემო ოსეთს ნიშნავს. ი. ბ.

ეს ამბავი ხუდან*) მეფის დროს მოამხდარა და მას უკან ხალხი დიდი პატივისცემით უქმობენ.

ბზობას.

უწინდელ დროში მაჰმადიანი ოსები ბზობის დიღას სეფისკვერებს **) კამოაცხობდნენ და შვიდდისრით სროლულობდნენ იმ სეფისკვერებს.

მხოლოდ ახლა თუმცა სეფისკვერებს აცხობენ, მაკრამ შვიდდისრით ადარ ისვრიან.

ბზობას მაჰმადიანი ოსები კუთუკახას უწოდებენ. ქრისტიანი ოსები კი ზასხასანან და მარდიხსავს, ქართულად ნიშნავს იგივე ბზობას, ან და მიცვალებულთა სალამო, მაშინ იციან მიცვალებულთა ტაბლები, ან ქელეხების კეთება.

თათქმის ბზობიდგან დიდი ხუთშაბათამდინ სუფეველგან ტაბლები და ქელეხებია, მხოლოდ დიდი ხუთშაბათს ეზოებში თივით ცეცხლს ახთებენ და ზედ გადახტებიან და თან ეკვირიან: ჩვენი მტერი დაბრმავდეს,***) ჩვენზე მოვიდეს ზეგარდამო წყალობა და ღვთისმიერ მანანა, ვითარცა უფალმა ოდესმე მოავლინა ისრაელთა ზედ წყალობა და მადლი თვისი.

აღდგომა.

აღდგომის ღამეს, ოსეთში, ახალგაზდები მთელ ღამეს სიმღერით სოფელ-სოფელ დადიან და ქრისტეს აღდგომის მახარებლებს ეძახიან; ამიტომ რომელ ოჯახშიაც მივლენ იქ ან უნდა აჩუქონ წითელთა შელებილ კვერცხები, ან ყველს ან და სხვა რამეს.

ზოგიერთ ოჯახში აღდგომის ღამეს არ დაიძინებენ: იესო ქრისტე როცა აღზდება, მაშინ ვინც დაძინებული დახვდება მათ გაუწყრება დიდათო; როცა კათენდება, მაშინ კი გამოაცხობენ ხაჭაპურებს, ქადებს და სხვა საჭმელ-სასმელებს და ეკლესიაში წავლენ.

---

*) ხუდან მეფე ოსეთის, მცხოვრებელია XII საუკ.

**) მაჰმადიანი ოსები სეფისკვერს კუთუს უძახიან.

***) ქართველებში „პიაკოკონობა“ ოთხშაბათ ღამეს იციან:

ვისაც აღდგომის შვილი ეყოლება, იმ ოჯახმა, აღდგომას ეკლესიაში ბატკანი უნდა წაიყვანოს და ღმერთს უნდა შესწიროსო.

ყვირაცხოვლობა.

საყვირაცხოვლოთ სოფლელები გამოხდიან დიდს ქვაბებში ლუდს, შემრე იყიდიან ცხვრებს და ხარებს, საწმელ-სასმელს უველაფერს მოამზადებენ და სამღერთოს გააკეთებენ.

ზოგი სოფლებიდგან ეკლესია შორს არის და ამიტომ ისინი ველი ნასაყდრებში აკეთებენ სამღერთოებს.

თითქმის ოსეთში ყველა სოფელში რამდენიმე ადგილს არის ძველებური ტაძრები და ციხე-კოშკები, ამათ სადხი თამარ-დედოფლის და დავით სოხლანის აშენებულს ხადიან, ამიტომ დიდს პატივს სცემენ. ამ ძველებურს ნაშთებს, როგორც ეკლესიებს, ისე ციხე-კოშკებს და სხვას.

მარიობა და დიდი ქელეხი ოსეთში.

მარიობას მოახლოება ზამთრის მოახლოებასო, მაშინ სუფეველ სულდგმული ზამთრის საზრდოს ეძებს, ჩვენც უნდა ჩვენს მიცვალებულებს წლის მოსაგლით წიდი უნდა მივცეთო.

ამიტომ გამოხდიან არაყს და ლუდს, ღვინოსაც იყიდიან, სხვა საწმელ-სასმელებსაც მოამზადებენ.

ეხლა წლის თავზე დიდი ქელეხი უნდა მოამზადოთო.

ერთი გრძელი ძელს *) ქონს წაუსვამენ, წკერზე რამე ნივთებს და ფულებს ჩამოკიდებენ და მიწაში ჩასვამენ იმ ძელს.

ბოლოს თითო თითო აკლენ იმ ძელსედა, რამელიც უფრო მაღლა აკა, იმას ახუქებენ ხოლმე იმ ნივთებს და ფულებს.

რასაკვირველია ძელია ასეთი წყრილ და მაღალ ხეზე ასვლა და თუ წეერამდის ასვლა უერავინ მოახერხა, მაშინ თოფს ესროვენ.

*) იმ ძელს ბრანყილ-ყაბაყს უძახიან მონახეთ პუშკინის აღწერაში.

ვინც უფრო კარგად ესვრის ნიშანსა იმას აჩუქებენ იმ ძელზე ჩამოკიდულ ნივთებს.

ამავე დროს ორ ბელურ ცხენზე შეჯდება ორი კარგი ცხენოსანი კაცი და რამდენიმე ვერს გზას ცხენ და ცხენ კარბიან მათში, რომელიც ხალხთან წინ და წინ მოვა იმას მასპინძელი და ხალხი საჩუქრით აჯილდოებს ხოლმე.

ამის შემდეგ ხალხი რიგ-რიგად დაჯდება და ხეების ბერები ფეხზე ამდგარნი ცალხელში ანთებულ სანთლებს დაიჭერენ და ცალხელში ლუდით და არაყით სამსე უარწყებს და ჯიხვებს და ასე ლოცულობენ; „ღმერთო, მოხედე საქრისტიანოს და შეეწიე ოსეთსა და საქართველოს, ქრისტეს ნათელში ამყოფე ჩვენი მიცვალებულნი“, მთელი ხალხი კი ქუდმოხდილი ფეხზე დგას და დაბალი ხმით ამბობენ აცხონე უფალო, აცხონე უფალო.

ბოლოს მთელი ხალხი თავის რიგზე დაჯდება და მასპინძელი ერთი ხიდით სავსე გოდორს გამოიტანს და უცებ ეზოში გადაჭერის ხოლმე.

მაშინ უნდა საჩქაროდ, ანუ უცებ ბავშვები მოესევიან, თან ერთი ცხვირ პირის ლეწვა არის, მაოში ჯერ ერთი რომ ხიდის კრეფა უხარიათ, მეორეც ვინც მეტს აკრეფს ხიდს ის სასახელოთ მიაჩნიათ, ამიტომ ისე ხარბათ კრეფავენ ხიდს, რომ ზოგს კლავი კაუტუდება, ზოგს ფეხი და ზოგს ცხვირ პირი და სხვა.

თითქმის უოველდღეობას იცავენ ოსებმა ქელეხის კეთება, მაგალითად, სოფრმოცო, შკიდეული, წლისოავზე, საშობოთ და სხვა: ამადლებას ახალი მიცვალებულების სასაფლაოზე ცხვრები უნდა დაუკლენ და ცხვრის გულს ამოიღებენ და მიცვალებულს გულზე დაადებენ ჩვენს მიცვალებულს გული უნდა გაუკეთოო, თვითონ ამადლებასაც გულის გამკეთებელს უძახიან (ოსურად „ზამოდა ვარან“ ჰქვიან).

ასე წლის თავზე კიდევ ღორი უნდა დაუკლენ მიცვალებულს და ქელეხი გაკეთონ—მაშინ მიცვალებულის ნათესავები თმას და წვერებს მოიპარსავენ. რადგანაც მთელს წელიწადს გლოვის გამო თმა და წვერს ვერ მოიპარსავენ. თვით იმ ქელეხსაც წვერის საპარსავს უძახიან (ოსუ-

რათ: რიხი დასან). ზამთარშიც იციან ქელეხები, ეხლა მიცვალებულების ორთითის ქელეხი უნდა გაუმზადოთო რადგანაც აქამდინ თივის სამუშაოთ იყვნენ და ორთითები მხარზე აქვთ და ძალიან დაღალულნიც არიან, ამიტომ ჩქარა უნდა გავაკეთოთ ქელეხი რომ მოისვენონო.

თითქმის წელიწადში ძალიან ბევრჯერ იციან ქელეხები, მაგრამ შემოდგომის ქელეხი ყველაზე შესანიშნავია.

ზოგი მდიდარი ისეთ დიდ ქელეხებს აკეთებს, რომელსაც ხარნაგას უძახიან ხოლმე.

როცა ვინმე ხარნაგას ამზადებს, მაშინ ურიცხვ საქონელს დახოცავენ, რაძღენიმე ქვაბს არაყს და ლუდს გამოხდიან და ბევრს ხალხს დაპატიჟებენ, ასე რომ მეორე, მესამე მაზრიდგანაც მოდის ხალხი, რის გამო მიცვალებულის პატრონი უზომო ხარჯების გულისთვინ დიდს სიღარიბეში ვარდება.

მაგრამ ისინი ამაზე სულაც არ ნაღვლობენ, რადგანაც დაიმედებულნი არიან, რომ რასაც აკეთებენ სარჯებს, ისინი საიქიოს მათი მიცვალებულებთან მიდიან.

დიდი საუურებელია მაშინ, როცა ხალხი ქელეხში ან ხარნაგაში დათვრება, მაშინ მათში ომი და საშინელი ჩხუბი გაჩნდება ხოლმე.

თვით მიცვალებულის დასაფლავების დღესაც დიდი ხარჯი იციან.

მიცვალებულს ნესამე დღეს ასაფლავებენ, ამიტომ დაკლავენ ცხვრებს, ხარებს, ძროხებს, სასმელსაც ბლომათ მოამზადებენ.

ბოლოს ჯერ ხევის ბერები შემოიტანებენ კუბოს და მიცვალებულს ეზოში გაიტანენ და ლვდელიც წესს აუგებს.

მერე შემოიევანს სოფლის ამორჩეული დეკანოზი, ან ხევის ბერი ერთ კარგს ცხენს და მიცვალებულის კუბოს გარეშემო ერთი ასათი უელის და ამბობს: „მიცვალებულო, აგერ ეს ცხენი შენთვინ მოვიეანეთ იარე ცხენზე, კაი კაჟი-კაცი იყავი, ამიტომ ცხენი იეო შენთვის საკმარო და აი ეს ცხენიც იმიტომ მოეიეანეთ რომ საიქიოს ცხენზე იარო“, და თან შრავალ სიტყვა კაზმული ლექსების ქადაგო.

ამის შემდეგ ხალხი დაჯდება. მხოლოთ ზოგიერთნი როკორც შემოდგომის ქელეხში ბრანეიდ-ყაბაეი და ცხენ და ცხენ სირბილს გამართავენ, ასე იციან მიცვალებულის დასაფლავების დღესაც.

ძველებურ დროებაში, ოსები და მთის ქართველები ციხესავით გაკეთებულ შენობები აქვნდა მიცვალებულების სასაფლაოთ, ზოგზს კი დიდ სახლსავით აშენებული ორმოები, ასეთი სასაფლავოები ოსეთში ახლაც ბევრგან არის. მხოლოთ ზოგან ეტყობა რომ ასეთი სასაფლაოები არა დროს არ იცოდნენ, ამას თვით ძველი და ახალი საფლავებიც ამტკიცებენ.

მთიული ქართველები და ოსები უველაფერით ერთმანეოსა ჰგავან ოჯახობის წესობილობით, ხასიათით დღესასწაულების გარდაცვალების და ქალის გათხოვება და მოყვანაში, ასევე ენაშიაც ძალიან ახლო ნათესავია. ეროი სიტყვით უველაფერში ხასიათში, ზნე-ჩვეულობაში და რწმენაშიაც არაფერი განსხვავება აქვთ მთიულ ქართველებს და ოსებს და თუ რამე განსხვავება აქვთ ძალიან ცოტა ამას უველა დაამტკიცებს მაშინ, როცა მოხეველების, ოსების, მთიულების გულმოდგინეობების, ფშავ-ხევსურების თუშების და სვანების ცხოვრებას დაუკვირდება.

რაც აქ ოსების ზნე-ჩვეულობების ვასახელებ ისინი არამც თუ ოსებს, არამედ მთიულ ქართველებსაც ეხება და თითქმის ჩერქეზეებსაც, ქისტებს და ჩაჩნებსაც.

ასე რამდენიმე ცოცოტათი იმერლები, გურულები, მეგრელები და აფხაზებიც გვანან მთის ქართველებს და ოსებს, თუმცა განსხვავებაც ბევრი აქვთ, მაგრამ მაინც უველა ახლოა ერთმანეერთთან.

უფრო კი მთის ქართველები და ოსები გვანან ერთმანეთს.

შემოდგომის გიორგობა ოსეთში.

შემოდგომის გიორგობის ერთი კვირას უქმობენ ოსები, მაშინ უველა სოფლებში სამლერთოები *) აქვთ. ამას გარდა ვისაც რძალის

*) სამლერთოს ოსურათ ქუკდ, ჰქვიან.

მოუვანა ან გათხოვება უნდათ იმათ ამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოიყვანონ ან გაათხოვონ.

ამიტომ მთელი კვირა განუწყვეტელი თოფის სროლა და გრიალი უგელგან, ასე რომ ევროპის ომი გეგონებათ.

კაცსა და ქალს გვირგვინი წმინდა გიორგმა გაუმწესაო, ამიტომ, ვისაც ქალის მოყვანა ან გათხოვა უნდათ, ისინი გიორგობას უნდა მოიყვანონ და გაათხოვონ, რომ წმინდა გიორგიმ ხელი მოუმართოსო.

ცხენი და თავლიც ეძან გაჩინაო, ამიტომ ვისაც სკები აქვს იმათ გიორგობას ეკლესიაში თოფლი უნდა წაიღონო, რომ უფრო გაუმრავლდეს სკები ღვთისა და წმინდა გიორგის მადლითა და წყალობითა.

როცა ოსეთში ვინმეს ქალის მოყვანა, ან გათხოვება უნდა, მაშინ ნიშნათ პირგელი შერიგება მოლაპარაკებაზე საძეო ტოლის დედ-მამას ერთი ხარი და ძროხა უნდა აჩუქოს, თუთხმეტიოდე თუმანიც ფული ტოლისთვინ ტანისამოსის დასამზადებლათ.

როცა ქალის გათხოვების დრო მოახლოვდება, მაშინ ქალის დედ-მამა სიძეს ოჯახში ურადის *) ამდებლებს გაგზავნის.

მაშინ სიძემ უნდა მისცეს ტოლის დედ-მამას ხარები, ძროხები, ცხვრები, სპილენძეული, ქვაბი. ტაშტი, თუნგი, ხმალი, ხანჯალი, თოფი და სხვა.

როცა უკელაფერს მოამზადებენ, მაშინ სიძე და მაურები ფესათის **). სიმღერით წავლენ ქალის მოსაყვანათ, მხოლოთ როცა წაიყვანებენ რძალს მაშინ თან უნდა მოიტანოს ქმრის ოჯახში საოხე შალები, ბევრი წინდები, ჰაიწები და სხვა და სხვა ტანისამოსი.

როცა მეფე-დედოფალი ოჯახს მოუახლოვდება, მაშინ ერთ ახალგაზდა უმაწვილს დაასძინებენ ტახტზე და შეეკვრე მიუდოცავს ოჯახს:

---

*) ქალის ფასია, სიძე ცოლის დედ-მამას აძლევს ურადს.

**) ფესათი ნადირთა ანგელოზია, ძველ დროებაში კი ნადირთა ღმერთათ სწამდათ ოსებს.

თქვენ რძალს ისეთი შვილები ეყოლოს, როგორც აგერ ეს დაძინებული უმაწვილი და აწ დმერთმა ახალი შვილობა და ბედნიერება მოავლინოს თქვენს ოჯახში, ჩვენი ფეხიც უფალმა კეთილი და შვილობიანი ჭქნას თქვენთვინ, რომ ყველა ერი თქვენი რძლის ბედს შეინატრონდენ და დღეგრძელს ჩვენს აქ ეოფნას.

როცა ასე მიულოცავს შეჯვარე, მაშინ იმ დაძინებულ უმაწვილს აღვიძებენ და სიჩუქრით ისტუმრებენ, მერმე რამდენიმე უმაწვილი სახლის ბანზე ავა და იქ მდერიან: ფარნ-ფარნ ფარნ, ესე იგი, მშვიდობა-მშვიდობა, მშვიდობა, თქვენ რძალს ეყოლოს ცხრა ვაჟი და ერთი ლურჯ თვალა გოგო.

მერმე სახლის ერდოდგან ჩამოუშვებენ ჩანგლიან ჯოხს და მით ზეით გაუგზავნიან ხორცს, მაშინ ეკირიან და თან მღერიან; ხორცი გამოგიგზანიათ, საკუპური არა და ხელახლათ ჩამოუშვებენ ჩანგლიან ჯოხს ერდოდგან და მით ხაკუპურებსაც გაუგზავნიან, ამის შემდეგ სახლის ბანიდგან ძირს ჩამოვლენ.

მეფე დედოფალი კი მეჯვარეს მარჯვენა ხელზე ჩაკიდული კერას გარეშეშო სამჯერ მოუვლიან, მერმე მეფე დედოფალი მივლენ სახლის ანგელოსთან და მეტანიით თაყვანს სცემენ, მეჯვარე კი ხმალ ამოღებული დგას და საკიდელ ჯაკვს ხმლით ურტყავს.

ამის შემდეგ ყველა თავ-თავის რიგზე დასხდება და არა დროს ხალხი არ დაუთმობს რომ უმცროსი უფროსის ზეით დაჯდეს, რადგანაც ეს უმფროსის აბუჩათ აგდება იქნება, მთიულები კი უფროსის დიდი პატივისმცემელნიც არიან.

როცა მთელი ხალხი ქორწილში დასხდება, მაშინ ხევის ბერები ილოცავენ ჩვეულობისაებრ, მერმე ახალ-გაზდები შემოიყვანენ ერთ დორს ან სხვა რამეს, მიმყვანი კაცს კი ხელში უჭირავს გძელი ჩიბუხი, გძელი ბანდიანი ცხვრის ქურქი უნდა ჩაიცვას პირსახეზე, მურს წაისვამს, ხელში უჭერია ქალალდი და ხალხს რაღაც უცნაური ენით ელაპარაკება.

მაშინ მოიყვანებენ მთარგმნელს და ჭკითხავენ: თუ რა უნდა იმ უცბო კაცს? იგი იტყვის! მთაზე გამოვიარე, საშინელი აკვარი შეიქნა

და საქონელი დაშეხოცა, მხოლოთ ცოტა გადავარჩინე და ვთხოვ რომ რამოდენიმე სული საქონელი შემინახოთ სამადლოთო.

მაშინ რამდენი სული საქონლის შენახვაზე მორიგდებიან, ხალხთან იმდენი ჯიხვს და ეანწ სასმელს ასმევენ მაურებს და სტუმრებს.

ახალგაზდები კი ტაშს უკრავენ და სპარსეთის შახსეი ვახსეის ხმაზე მღერიან!

მერმე რომელიმე ქალს ვაჟ-კაცურათ ჩაცმევენ და სხვა ქალთან ერთათ უნდა ლეკურათ იცეკვონ, ამ ვაჟ-კაცურათ ჩაცმული ქალს მეფეს უძახიან, მხოლოთ მის ამხანაგს რომელიც ქალის ფორმაშია იმას დედოფალს, ორივე ამორჩეული მოცეკვარნი უნდა იყვენ რომ ხალხმა და სტუმრებმა სასჩუქრით დაჯილდოდონ.

როცა ამ მოცეკვართ გაისტუმრებენ, მაშინ სიძეს ხელ-შეკრულს შემოიყვანებენ და ბოძზე მიაკრავენ თან ეკირიან ტუსაღი მოვიყვანეთო და კედელს ჯოხით ურტყამენ.

მერე სიძის დედა ძღვენს მიუტანს სტუმრებს და მაშინ, სიძესაც გათავისუფლებენ და მერე ხალხი ხელ-ჩართული კერას და სახლის დედა ბოძის გარეშემო ჩეფენას სიჩქარით და ტეკვით ერთი სასთი უვლიან და ამითი ქორწილიც თავდება; მხოლოთ მეორე დღეს დილაზე ადრე მეფე დედოფალი და მეჯვარე ეკლესიაში. მიდიან თაყვანის საცემლათ.

ამას კარდა დედოფალი და ბავშვების კარდა არა ვის დაელაპარაკება და არც სახეს უჩვენებს ვინმეს ჰირ სახეზე ჩადრი აქვს ჩამოფარებული.

ყვავილები და წითელა ოსეთში.

როცა წითელა ან ყვავილი ოსეთში სადმე გაჩნდება, ანაშინ ხალხი შესამე კვირას სამლოცველოს გადაიხდის, რომ ყვავილთა ინკელოზი შვიდობისთ წავიდესო. ამიტომ იყიდიან ბატკნებს და ხბოებს,

სხვა და სხვა საკმელ-სასმელებსაც მოამზადებენ და სადმრთოს გადაიხდიან, თან სხვა და სხვა სიმღერით ადიდებენ ეკვიდთა ანგელოზს ადარდს, ან წმინდა ბარბარეს.

წმიდა ეკვიდთა ანგელოზო, დიდება შენს სახელს, დიდებულო ეკვიდთა ანგელოზო, მიიღეთ თქვენი შესაწირი და ჩვენი ბავშვები დაიფარე, მხოლოთ ჩვენი მტრის ბავშვები მოკალი და ოჯახი დაუქციე და სამსე ენწ არაეს, ცეცხლზე დასასამენ და ეკვირიან: ღმერთმა ჩვენი მტრის ოჯახი ასე დაქციოს, დასწვას, მერე აბრეშუმის ძაფზე გაკკეთებენ ეკვნებს, თეთრი ფულების ფარებს ბატარა ზარება და სხვა რამე სათამაშოები და სადმე ძველ საყარში, ან სალოცავ ნიშის ხეზე ჩამოჰკიდებენ და ასე ლოცულობენ: „წაბძანდი ეკვიდთ ანგელოზო ზეცაში, რადგანაც შენს გზაზე ია, ვარდი, თვალთ-მარგალიტი, ოქრო, ვერცხლი და ბრილიანტია მოფენილი. ეხლა წაბძანდით ზეცაში, თქვენს ოქროს ტახტზე.

როცა ძაფზე სათამაშო ნივთებს ავიღებთ, მაშინ ეკვიდთა ანგელოზიც წაბძანდებათ.

ასევე ეგებებიან ეკვათმას, ქუნორეშას, ეიფანა-ხველას, ბედნიერს და სხვას.

როცა ეს ავათ-მყოფობანი სადმე გაჩნდებიან, მაშინ ოჯახში, არც ხმა მაღლა ლაპარაკობენ არც წამალს მისცემენ, არც დაგვიან ოჯახს, მეზობლებიც არ ერიდებიან ავათმყოფს, რომ მოგვრიდოთ მაშინ ეკვიდთა ანგელოზი გაგვიწყრებათ, ეკვიდით თუ ვინმე გარდაიცვალა, მაშინაც ტირიდს ვერავინ გაბედავს, აგრეთეკეც დიდათ ერიდებიან დორის ხორცს.

საზოგადოთ მთის ხალხები დიდათ ერიდებიანთ დორის ხორცს.

ზოგიერთი მთის ხატები და ანგელოზები ისეთი ცხოველნი არიან, რომ არამც თუ დორის ხორცს, თავით ქათმის ხორცსაც დიდათ ერიდებიან და თიოქმის ინდოურა, ბატი, იხვი, ქათამი და სხვა შინაური ფრინველის კვერცხსაც.

ამიტომ არისთ, რომ მთიელი ქართველები და ოსები დორის ხორცს ერიდებიან და არც სჭამენ ამ სნეულების დროს.

სახლის ანგელოსი ოსებში.

მთის ოსებმა იციან სახლებში ხატების მაგიერად ბამბები ჯოხებზე ჩამოკიდული *).

ასეთი ბამბით გაკეთებულ ანგელოზები უფრო ძველს დროებაში იცოდნენ.

მხოლოთ ზოგან სხვა ამოდ ჩვეულებასთან ერთათ ესეც გადაკარგა, ზოგან კი ახლაც. სახლის აღმოსავლეთის კუთხეში ძველებურად აქვს და ხშირ-ხშირათ ბატკნებს სწირავენ და თაეკვანსცემენ.

ქართლში და ოსეთში.

როცა ვინმე წყალში დაიხრჩობა მაშინ თხა უნდა დაუკლან და წყალში ჩაგდონ, რომ ეშმაკებმა ადამიანის სულს თავი დანებონო და მის მაგიერათ თხის სული წაიყვანონ.

დიდა დვთისა და ანგელოზებისაო, საღამო კი ეშმაკების, ანგელ ეშმაკების საქონელია, ამიტომ საღამოზე უნდა დაუკლათ მდინარე წყალთან ეშმაკების შესაწირათაო.

გერის ეკლესია.

ეშმაკებს და დევებს. გერის ხატისა ძალიან ეშინიანთო, ამიტომ ბნედიანები და გიჟები ძალიან ხშირათ მიჰყავთ გერში, რომ მოარჩინონ და ეშმაკებიც მოაშორონ.

როცა გიჟებს გერში მიიყვანებენ, მაშინ მნათეები კითხაკენ! შენი ეშმაკების სახელები გვითხარიო? თუ არა გცემთ და კედლიდგან გადაგაგდებთო.

და მართლაც, თუ არ უთხრა ეშმაკიანმა თავის ეშმაკების სახელები მაშინ თოკით შეკრავენ, სცემენ და უზარ-მაზარი კედლიდან გადაუგდებენ, მაშინ ზოგიერთი ეშმაკეული გიჟები ეგირიან კედლიდგან რომ გადამაგდოთ მაშინაც არ გეტყვი ეშმაკების სახელს, რად-

*) ქართველების ბაზმას ჰგავს ესა.

კარსაც კლდის ძირში ბაშბა არის დაფენილი და არ შეშინიან რომ გადაგდოთ ესე იგი შიში ისე აჩვენებს, რომ თითქო კლდის ძირში ბაშბა დაფინეს.

მხოლოთ თუ უთხრა თავის ეშმაკების სახელები, მაშინ მსათეები დაწერავენ ქაღალდზე და შერე ანთებულ სანტეტხლოში დასწვავენ იმ ქაღალდს და მაშინ ღვთისა და წმინდა გიორგის მადლით ეშმაკებიც იწვებიან და ადამიანიც თავისუფლდება მათგან; მხოლოთ თუ არ უთხრა ეშმაკების სახელებიო, მაშინ უნდა იცოდეთ რომ იგი სულიერათ და ხორციელათ მათია, ესე იგი, ეშმაკებისა.

სამას სამოცდა სამი წმინდა გიორგის თავი გერის ეკლესია არისო. როცა წმიდა გიორგს სამას სამოცდა სამი ნაწილათ დასჭრესო, მაშინ თავი გერში მოიტანესო, ამიტომ ეძახიან გერის თავი ესე იგი ცოტა გადასვაფერებული სიტყვა გიორგის თავი, ასევე ითქმება კახეთის თეთრი გიორგის შესახებ. რომელიც გერის ეკლესიის შემდეგ ჩირველი სასწაულო მოქმედათ ითვლება მთელ საქართველოში, ესე იგი, იმის სახელიც გადასხვაფერებულიაო და ნამდვილი სახელი თეთრი გიორგი კი არ არი, თითი გიორგია, რადგასაც წმიდა გიორგის იმ მარჯვენა ხელის თითი იმაშია ნაწილათ მთელ კავკასიაში იმდენი მლოცავი არც ერთ ეკლესიაში არ მიდის რაც გერში და თეთრი გიორგში მიდის, კავკასიაში ისეთი ადამიანი ძვირათ იქნება, რომ ეს ორი ეკლესიის სახელი არ ქონდეს გაგონილი.

ერწოს მინდორი (ხალხური ლეგენდა).

თიანეთის ახლო, ერწოს მინდორი, უწინდელ დროში, ზღვის მზგავსი ტბა იყო და იმაში ბუდობდა დიდი და უზარმაზარი გველეშაპი.

იგი თერმე ხშირ-ხშირათ ტბიდგან ნაპარზე გამოდიოდა და საქონელს იტაცებდა და სჭამდა, სხვათა შორის მოუტაცნია კომბალს ეკლესიის შეწირული ცხვრები და შეუჭამია, ამიტომ კობალს

ეკლესიის ჩატმა თავის შეწირულ კურატს რქებზე ალმასები გაუკეთა და გველეშაპთან საბრძოლველათ გამოუგზავნია.

ამიტომ გველეშაპი შეშინებული გაიქცა მთა გაპეზ, ამის გამო ტბა გამშრალა და მშვენიერი მინდორი გამხდარა და ზედ ხალხი დასახლდა.

ვეშაპი კი იმერეთის და ოსეთის სამზღვარამდინ გაქცეულა და მდინარე ყვირილის სათავეში რომ უზარ-მაზარი ტბა არის იმაში მიიმალა, ამიტომ ამ ტბას და მის არე-მარე სოფელსაც ერწო დაურქმევიათ.

ნინო და მოლევი.

(ლეგენდა).

ყინვანის სოფლის ქვემოთ, არაგვის პირზე, არის ორათ გაყოფილი უზარ-მაზარი ლოდი, ხალხის სიტყვით, ამ ლოდში, შაგნით ოქროს კუბო არის და იმაში და-ძმა ნინო და მოლევი არიან განსვენებული ეს ორი ადამიანი წმინდანები იყვნეს და მტრის ხელში ტყვეთ ჩავარდნენ ამიტომ ღმერთს მფარველობა შესთხოვეს და მანაც ლოცვა შიიღო და ზედ დიდი კლდე დაახურა.

ზოგი კი ამბობს ოქროს კუბოში კი არ არიანო, კლდეთ არიანო კადაქცეული, მხოლოთ მათი სულები ზეცაში ანგელოზებთან იმყოფებიან და მტრედივით ფრიხავენ.

ასევე ამბობენ ეორსევში ერთი კლდის შესახებ ეს კლდე არის მდინარე ფაწას გზაზე.

ამ კლდის შესახებ ამბობენ: იგი სულთან ნუქარდინის ვეზირი იყოო და თამარ დედოფალს სალამი არ მისცა, ამიტომ თამარმა დასწყევლა და კლდეთ აქცია.

ძველ დროებაში როცა ვინმე რძალს მოიყვანდა, მაშინ რომ ამ კლდესთან თამარის სახსოვრათ მსხვერპლი არ მიეტანა და შეტანიით არ მისულიყო, მაშინ ისიც ქვათ გადაიქცეოდა.

დავით სოსლანის ხმალი.

(ლეგენდარული გადმოცემანი და თქმულებანი).

როცა კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება, მაშინ დიგორელები და ფაბარდოელები ამბობენ დავით-სოსლანის ხმაზედ ხმალი ცაზე გამოჩნდაო.

ოსები ამბობენ წელიწადში ერთხელ ისეთი წუთი არის რომ მაშინ ღვთიდგან რასაც ითხოვთ კარგს თუ ავს ყველაფერს შეგისრულებსო, ამიტომ დავით ადმაშენებელმა ტუიბულის მთაზე დააყენა კაცები და მთელი წელიწადი იძახდნენ: ოქროთ იქცეს ეს მთა, ოქროთ იქცეს, როცა შესრულების წუთი მოახლოვდა მაშინ გაკვირებულს უთქვამთ: ნახშირათ მაინც გადაიქეცი და გაშავდიო, ამის გამო შავი ნახშირის მთებათ გადაქცეულა მთელი ტუიბული.

ასეთივე წუთია მაშინაც, როცა ცას კარი გაეღება, ერთხელ როცა ცას კარი გაეღო, მაშინ ერთი კაცს უთქვამს სოფელს სადონში კლდენი ოქრო და ვერცხლათ გადაქეცითო და მის თხოვნა შესრულდა და სადონის კლდეები ოქრო და ვერცხლის მადნებათ გადაქცეულან.

ზეციური ცისკრის დოცვა და ზარების რეკვა. როცა მამლები დაიეიეღებენ, მაშინ ზეცაში ანგელოზები ცისკრის დოცვას შეუდგებიან და ზარებსაც დარეკავენ.

ადამიანიც თუ ძალიან მადლიანი და მლოცველია, მაშინ გაიგებს, უფრო ძველებურ დროებში გაიგებდნენო ადამიანები ზეცის ზარების რადგანაც მაშინ ქრისტიანობა და ღვთის სასოება, სარწმუნოება და სიყვარული უფრო სუფევდა ქვეყანაზე.

წყლების ძილი.

ხანდის-ხან წყლებს და მდინარეებს ერთი წუთით ძილი მოსდით და მოძრაობას შეაჩერებენ. მაშინ რომ ვინმემ წყლიდგან ქვა ამოიღოს ის ნატვრის თვლათ იქცევა და მით რასაც უნდა იმას გააჩენსო.

მონასტრის ბერების ვედრება. რადგანაც წელიწადში ერთი წუთი არის როცა ადამიანს კარგი თუ ავი უსრულდება, ამიტომ ერუსალიმში მთაწმინდასა და დიდი ლავრებში ბერები ნიადაგ დღე და ღამე უფალს ევედრებიანო, უფალო, შეეწიე საქრისტიანოს და რადგანაც ასე დოცულობენ ნიადაგ ქვეყნისათვინ ამიტომ ღმერთიც გვეწევა და საქრისტიანოს საქმე კეთილათ მიდის. თუ იმათ ასე არ ილოცეს მაშინ იმდენი ცოდვილნი, და ბოროტი ხალხი არისო ქვეყანაზე, რომ ხალხის საქმე უკან წავიდოდა და ქვეყანა დაიღუპებოდაო, ასე ამბობს ხალხი,

თამარ დედოფალს ძალა ღვთაებრივ ჰქონდაო,—მდინარე წყლებს ეტყოდა! ზეით გაბრუნდით და ისინიც ზეით გაბრუნდებოდნენ.

ხოფელ ზაუაში თამარ დედოფალმა ისეთი მადნები გაუჩინა, რომ ერთი ბეწვა მიწით ადამიანი რამდენიმე დღეო ცხოვრობდა და სხვა საკვებელ-სასმელი ხალხს არ უნდოდა.

როცა მზე ამოვიდოდა მაშინ მზის სხივებზე ტანისამოსს ჩამოკიდებდაო.

ხალხური ლეგენდა.

დავით აღმაშენებელი III ისეთი ძლიერი მამაცი გმირი იყოვო, რომ დევებს და ეშმაკებსაც უურით იკვრდა, როცა მას გელათის ტაძრის კეთება დაუწყია, მაშინ დევი ჯორის მზგავსათ მოეჩვენა, დავითმა უურით დაიკრა და ბირში ლაგამი გაუკეთა. ზედ შეუდა და მოგზაურობდა, დილით რომ მარტვილში ბიტსის ჩაის სვამდა, საღილად მცხეთას მივიდა და მზის ჩასვლის ხანს კახეთში ალავერდის ტაძრის ამშენებლებს დვანით „ალავერდი თქვენიაო“ უთხრა! ამიტომ ეხლაც ალავერდს უწოდებენ.

საღამოზე კი ისევ ვასშმათ მარტვილში გაჩნდებოდა და მუშებს ეტყოდა მარტვილიო. ამიტომ მარტვილი უწოდეს იმ ტაძარს.

როცა გელათის ტაძარს აშენებდნენ მაშინ ერთს ქვაზე ასი უღელი შეუბეს, მაგრამ ვერ დასძრეს, მემრე დავითი მისულა, ცალ-ხელით აუღია ქვა და ცალი-ხელით სავარცხელით თავს იავარცხნიდა და ისე მოჰქონდა ქვა.

ერთ დღეს ამ ჯორის მზეკავსი დავითმა თავის მოსამსახურისთვის წუალზე კაეტანებინა, მოსამსახურემ ლაგამი აუშვა და მაშინვე დევი ქვესკნელში ჩამძვრალა.

როცა დავითმა ეს ამბავი გაიგო, მაშინ თავისი მოსამსახურე დაწუევლა და უთხრა: შე ეშმაკო და ქაჯზე მეტო.

ამიტომ ეშმაკთა და ქაჯთა გადაქცეულა, ამის შემდეგ აჯამეთის ტყეში დადიოდა და მნახველნი იტუოდნენ: ქაჯზედ მეტი ვნახეთ, ამიტომ აჯამეთის ტყე უწოდეს.

ის დაწუევლილი კაცი ეხლაც ცოცხალია. ტყე და ტყე დაწანწალობსო.

როცა სპარსეთის მეფემ დავით აღმაშენებელის სიძლიერე გაიგო, მაშინ უთქვამს: ვიღაც დავითი არის, ჩემი დარუბანდის კარი არ წაიღოსო. ეს ამბავი რომ დავითმა გაიგო, მაშინვე გაემგზავრა დარუბანდის კარის მოსატანთ; დილით რომ გელათიდგან დარუბანდის კარის წამოსაღებათ წავიდა, სადამოზე ისევ გელათში მოვიდა, ცალ-ხელში მოჰქონდა დარუბანდის კარი და ცალ ხელში მარმარილოს ქვა".

ოსების ბაგრატიონებზე თქმულებანი.

როცა ხოსრო ბაგრატიონი რაროს (?) მთაზე გარდაიცვალა და ასაფლავებდნენ, მაშინ ეკვი მიეფრინდა, ფეხით და ბრჩხილებით თავი მოიკლა.

ასევე მოხდა მეორეთაც როცა ოსეთის ბაგრატიონები ლუდს ხარშავდნენ მაშინ გველი ჩავარდა ქვაბში.

ეს ამბავი ერთმა პატარა ბავშვმა ნახა მივიდა და ქვაბში ჩავარდა, ამიტომ ბაგრატიონი სიკვდილსა და საწამლავს გადურჩა.

თამარ დედოფალს როცა რაროს (?) მთაზე სასახლე ჰქონდა,

შაშინ იმის შეიდი „სჯინ კურეფიას“ მთაზე დარჩა, ამიტომ დმერ—
თმა ირმის მზეკავესათ ანგელოზი კამოუცხადა და ზრდიდა ბავშ
ამიტომ ჰქვიან იმთას „სჯინ-კურთი“, ესე იგი, ირმის ლეჯე.

ბაგრატიონების ხმალი და სამეფო გვირგვინი თითონ დმერთმა
მოუგზავნია.

როცა ჭექა-ქუხილი დაიწყებდა თუ არა მაშინვე ოსების ბაგრა-
ტიონები თოფეთ ცას ესროდნენ, ჩვენი შიშით როგორ ბედამ ქუ-
ხილსო და ცაც შეშინდებოდა, ბაგრატიონების შიშით და გაჩერდე-
ბოდა. რადგანაც ბაგრატიონები ღვთის ნათესავნია.

თამარ მეფე როცა ყორსეფის ციხეს და ეკლესიას აშენებდა
მაშინ ლეკი მოვიდა ციხე და ეკლესიის დასანგრევათ. ამიტომ თა-
მარმა იქ დიდი უზარ-მაზარი კლდე გაჩინა და იქიდგან გადაკვდა
მლეკი.

ეხლაც მცხოვრებლები იტყვიან დიდი ღრმა ორმოსავით არის
ის ადგილი სადაც ლეკი ჩავარდაო.

ძველ დროებაში ჩეჩნებში და ქისტებში როცა ვინმე ქალი
გარდაიცვლებოდა, მაშინ ჯიბეში ქათმის კვერცხებს, გაშლებს, მსხლებს
ნემსს და ძაფს შეუნახავდნენ.

ხიდით და ქათმის კვერცხებით ბაშვებს მოეფერეთ და ასია-
მოკნოს, მხოლოთ ძაფი და ნემსით ტანისამოსი დაუკერეთ.

ასევე, მიცვალებულის დასაფლავების დღესაც დიდი ხარჯები
იცვან, მათ აზრით როცა ასეთ ხარჯებს აკეთებენ, ისინი (ხარჯები)
საიქიოს მათი მიცვალებულებთან მიდის და მდიდრდებიან, ამიტომ
მდაბიო ხალხი თავის თავს აკლებს და მიცვალებულებისთვინ აკეთებს
უზომო ხარჯებს.

მაგრამ თან და თან კლებულობს ეს ბრიყვული ჩვეულობა უმე-
ტესათ მას აქეთ რაც სოფლებში სკოლები გაიხსნა.

საჭიროა დროზე ყურადღება მივაქციოთ, ასეთ უბრალო ხარჯებს
და მაგიერათ სწავლა-განათლებას მიკმართოთ, ესე იგი, სკოლებს
ბიბლიოტეკებს და წარმოდგენებს და სხვა კეთილ საქმეებს ხელი
უნდა შეუწყოთ.

და ყველა ნასწავლ-განათლებულნი ბირნი ვალდებულია ბრუდეთ მიმაყალ ხალხს სწორე გზა უჩვენოს.

ამ რამდენიმე სუკუნის წინათ თურმე სიჩაჩნეთ და ყაბარდოში ხორველა გაჩნდა და უმოწყალოთ ხოცავდა, უფრო მისთვინ, რადგანაც მაშინ ხალხში სწავლა-განათლებაც მოკლებული იყო და რასაკვირველია მათი აზრი და გონებაც ძალიან დაბლა იდგა, ამიტომ რამდენიმე ბირი აირჩიეს და ღმერთთან საჩივლელად გაგზავნეს ხორველა უმოწყალოთ გვხოცავს და გვიშველე რამეო.

მდაბიო ხალხის აზრით: ცა-ღმერთია, ამიტომ იმ კაცებს ეგონათ ადვილათ მივალთ ცის კიდეში და ღმერთს შველა უნდა ვთხოვოთო.

მაგრამ მათი ფიქრი გაცრუვდა-ცა ძალიან შორს ეოფილიეო.

როცა ვინმე ავათ გახდება ქართველებში ან ოსებში მაშინ იტყვიან: ალბათ რომელიმე ხატი რამე შესაწირს თხოულობს, ამიტომ ჩქარა მკითხავთან წავალენ რომ გაგვაგებინოს რამეო.

მთიული ქართველები (?) და ოსები სამი დღის მეტს კვირაში. არ მუშაობენ, როგორც ჩვენ მთიულები გულ-დიდნი ვართ ჩვენი ხატებიც ისე არიანო. ვაკე-ქართველის ხატები-კი როგორც ქალური სალხია წყნარი და შვიდობიანი, ისე ისინი არიანო.

ჩვენი მთის ხატებია ყველაფერზე ჯავრობენ; ღორის ხორცის ჭამას ხატები არ გვიშვებენ, ზოგიერთი მთის ხატები ისეთი ცხოველნი არიან, რომ არამც თუ ღორის ხოცს, ქათმის ხორცის ჭამას გვიშლიან და ოიოქმის კვერცხსაც, არც სამი დღის მეტს გვიშვებენო კვირაში ვიმუშაოთ, თუ არა ხორველა გაჩნდება და სეტყვა მოვაო, ქალებიც სხვა სახლებში უნდა იყვნენო, თუ არა ანგელოზები გაიქცევიან ოჯახიდგან, ხშირ-ხშირათ ბატკანი და ხბო უნდა დაუკლათ ხატებს და ანგელოზებს, რომ მოწყალე თვალით გვიყურონ.

ეგრეთვე როცა მიცვალებულს ასათლავებენ მაშინ რასაც გაატანებენ ტანიხამოსს, ისინი აცვია, სიქიოსაო, ამიტომ ზოგი ბრიყვნი და გაუგებარნი როცა მიცვალებულს ასათლავებენ მაშინ ძალიან ძვირფას ნიეთებს და ტანისამოსს ატანებენ თან, რომელიც ტყვილათ ად უბრალოდ მიწაში უნდა დალეს.

ჩვენი აზრით კი ასეთი ძვირფასი ნივთების მიწაში ჩაყოლებისა მაგიერათ რომ ვისმეს აჩუქონ ის სჯობია და თუ სხვის ჩუქება ენასნებათ, მაშინ თითონ მოიხმარონ.

თუ არა და ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირ-ფასი ნივთები და ტანისამოსი მიწაში რამდენიც უნდა დამარხონ მიცვალებულისათვინ არაფერი გამოსადეგი არიან.

ასევე ითქმება სხვა ხარჯების შესახებ, რომელნიც გაუგებარ მოქმედებათ უნდა ჩავთვალოთ.

მე თითონ ვიცნობ ისეთ პირებს, რომელნიც წინათ ძალიან მდიდრათ იყვნენ, მაგრამ ასეთი უბრალო ხარჯების გამო დაეცნენ, გაღარიბდნენ.

ეხლაც რომ კითხოთ თუ რათ გაღარიბდნენ? მაშინვე გიპასუხებენ: ჩვენი მიცვალებულები გავამდიდრეთო და მათი ხარჯების გამო ჩავარდიო ამ დღეშიო, მაგრამ მაგიერათ ისინი სიქიოს მდიდრათ არიან. ჩვენი მეზობლების მიცვალებულნი კი ღარიბი და ღატაკი. ასეთ სიტუვებს ოსეთში ხშირათ გაიგონებთ.

ნეტავი ასეთი პირებს ჰკითხონ, რომელი მიცვალებული მოვიდა სიქიოდგან მათ ოჯახში და სთქვა მდიდარი ვარო, ან რომელი მშიერი და ღატაკი მოვიდა მათ ოჯახში სიქიოდგან საუმეტ-სასმელის სათხოვნელათ.

ქართველთა და ოსთა დაბიო ხალხის რწმენა.

მზე და მთვარის დაღამება მაშინ მოხდებაო, როცა მათ მტერი შეებრძოლება მზეს ან მთვარეს, მაშინ ან გაწითლდებიან ან გაშავდებიან.

როცა დაღამდება მაშინ ცის კიდეთან მზე ზღვაში ჩავა და ზღვით აღმოსავლეთისაკენ გასტურდება და დიღით იქიდგან ამოეფენა თავს, როცა დიღიო მზე ცაზე ამოდის, მაშინ მზის ქვეშის ხალხი შორ გაიქცევაო, რადგანაც მზე როცა ცაზე ავა, მაშინ თან აიტანს ქვიშას და წყალს და მაღლიდგან ძირს ჩამოასხავსო.

ჩვენშიაც რომ დიღის ცვარი მოდის, ის მზის ატანიდი-

ზდვიდგანო. თვით მზის ქვეყნის ხალხიც კუბრივით შავიო.*) შზიდგან.

მზე და მთვარე ცაზე ჯაჭვებით აბია და შვიდი კალოს ტოლები არიანო, ვარსკლავნი კი ძნის ტოლები.

ოსები ამბობენ: დედა-მიწა დევის თავზეაო და როცა იგი დევი თავს ანძრევს, მაშინ დედა-მიწაც ინძრევაო, ქართველები კი სულ სხვას იტყვიან: დევის თავზე კი არ არიო, თევზის ზურგზეაო და იგი თევზთა ფეშაი კი დაუსრულებელ ზღვაში დასტურავს.

მთელი ქვეყანა სამი სართულიაო: შუაში ჩვენა ვართო, ამიტომ ქამარი წელზე გვარტეია, ჩვენ ქვეით რომ არიან მათ კოჭებზე და ზეით რომ არიან მათ კი თავზე რადგანაც ყველაზე ზეით არიანო.

გადმოცემა.

როცა თამარ დედოფალი და დავით-სოსლანი დარეკვი და ყამურის წითელ ეკლესიას აშენებდნენ, მაშინ ქვა და კირს ირმები და ჯიხვები უზიდავდენ თვით ტაძრის ამშენებლებიც ქალწული ქალები და ბიჭები იყვნენო.

ბოხტოელ ბილატეს დროს იესო ქრისტემ ასკო დასწეველაო, ამიტომ აღარ შომკვდარა და ცოცხლათ დაწანწალებსო.

ვასილი თედეშვილი.**)

---

*) იგულისხმება შავკანიან ნეგრები.

**) პატივცემულ ვასილი თედეშვილი ძველს ამბებსა და ლეგენდებში რომ თავის ამბებს არ რევდეს, მით უკეთეს იზავს: ამბები ისე უნდა სწეროს და იმ სიტყვებით როგორც ხალხი ლაპარაკობს, მაშინ უფრო მეტი დაფასება ექმნება მის შრომას. თუ არა და ამბების შეთხუზვა კარგი არ არის. ეს მოტყუილება იქნება.

ოსეთის ისტორიის შესახებ.

1840 წლებს, რაკი ერთხელ სთქვეს, რომ ოსებს არა აქვსთ ისტორია, არც წიგნი, არც წარსულის ღირხება, ამიტომ მათ არც მომავალი ექნებათოს ამ განაჩენს შემდეგაც ბევრნი იმეორებდნენ ოსების შესახებ. ამიტომ ოსთა გულ შემატკივართ დიდათ სწყინდათ ასეთი განაჩენი და ყველა მათგანი ამ გარემოებას მწუხარეს თვალით უმზერდა. ოსნიც საერთოდ დიდად უმადურნი იყვნენ ასეთის განაჩენის. მაგრამ რას იზავდენ, არაფერს. ისტორიას კი თუ გავიცნავთ, იქ ჩვენ სულ სხვას დავინახავთ ოსების შესახებ. ამაზედ მოვიყვანთ შემდეგს.

როგორ, განა ოსებს წარსული და ისტორია არა აქვსთ? ეს ცილი გახლავსთ და მტკნარი ისტორიული სისულელე, ოსთა მტერ მოყვარეთაგან მოგონებული, განა შეიძლება ეს ითქვას ისეთ ერზედ, რომელსაც აქვს გრძელი, ძველი წარსული, რომლის წარსულიც მიჯაჭვულია კავკასიის მთებთა კალთებზედ, რომელ ძთების არსებობასთანაც შესისხლხორცებულია ოსთა ერის არსებობის ისტორია. ოსებს, რომელთაც აქვნდათ სამშობლო და მისი მიჯნები, ჰყვანდათ მეფები და მთავრები, ჰქონდათ სამეფო წეს-წყობილება და ჰყვანდათ მხედრობა, იმათზედ ასეთი არა რაობა არ შეიძლება ითქვას.

რადგანც ამას ასაბუთებს შემდეგი გარემოებანი: რაც ოსეთის ისტორიის საუნჯეს შეადგენს და რაც

ცხადათ არღვევს იმ მტკნარს სიცრუეს, რომ ვითომც ოსებს არც ისტორია აქვსთ, არც წარსული, ვითომ ამათი „ანბანიც თხამ შეჭამა“ და მრავალიც სხვა ასეთები, და ამიტომ მათ არც მომავალი ექმნებათო.

პირველი: ოსებს რომ ისტორიული წარსული აქვნდათ, ამას ასაბუთებს თვით ჩვენი წიგნი, დანარჩენსაც შემდეგი გარემოებანი:

ოსებმა ქრისტიანობა მიიღეს მირიან მეფის დროს, წმ. ნინოსაგან. ოსეთში წმ. ნინო რამდენგზისმე გახლდათ. ამას გარდა ოსეთში თვით ანდრია მოციქულიც იყო და მატათაც. ამიტომ ოსეთის საყდარი არის სამოციქულო საყდარი და ძველი ისე როგორც საქართველოს ეკლესია. ამასვე ასაბუთებს ისტორიკოსი **მოსე ჯანაშვილი** და სხვანიც მრავალნი.

ოსთა მეფე **ფეროშა** არის სიძე მირიან მეფისა, ეს მეფე მირიანს ეახლა თან ბიზანტიაში, კონსტანტინე იმპერატორის წინაშე სანახავად, ამანვე იწამა ქრისტიანობა. ასევე ცნობილია ქრისტიანობით ფეროშის თანამედროვე ოსთა ქრისტეს რჯულის მიმღები და მთავარი **კავცია.**

ამათ შემდეგ ისტორიის ასპარეზზედ სჩანან ოსთა გოლიათ მეფენი და მებრძოლნი ბაზუკა და აბაზუკა რომელნიც ებრძოდნენ სომეხთ მეფეს სუმბათ ზივრიტიანს ფალავნობით.

ამათ შემდეგ ოსი ბაყთარი, გამოჩენილი გმირი V საუკუნეში და დიდი მებრძოლი ვახტანგ გორგასლანის. ამ ისტორიულ პირზედ ხომ აუარებელი ცნობებია ჩვენს ძველსა და ახალს ისტორიებში დაშთენილი, თვით ამის სურათიც იხილვებოდა ძველადვეცხეთის ეკლესიაში. ამის მოპირდაპირედ იყო ვახტანგ მეფე.

ოს ბაყთარს შემდეგ, მთელი რიგი ცნობებია ოსეთის ერის შესახებ, მოყვანილი. VIII საუკ. ოსეთს

იკავებენ არაბნი, ესეც ხომ ისტორიული სინამდვილეა. X საუკ. ბუღა თურქი ოსეთიდამ ერთ ნაწილს სხვაგან ასახელებს და არბევს მათ. XI საუკ. სახელოვანია ოსთა მეფე **ურდურე**, ამის დიდი მეგობრობა აქვს ბაგრატ მეოთხეს. შემდეგ დროში ბაგრატი ირთავს ურდურეს ასულს **ბორენას**, რომელ მანდილოსანიც ცნობილია საქართველოს ისტორიაში. ამ ბორენას სურათი დახატული იყო ძველად გელათის ტაძარში, რითაც სჩანს ამ მანდილოსნის გონიერება და ღირსება. ამავ საუკუნეში, ბაგრატ მეოთხეს ფადლონთან ბრძოლაში კარგად ეხმარება ოსთა მეფის **ურდურეს** ძე ანუ ბორენას ძმა მეფე **დურღულე**, რომლის შველითაც ბაგრატ მეოთხემ დაამარცხა არაბთა ფადლონი და გააძევა საქართველოდამ, რაც დასაბუთებულია ოსეთის ისტორიითაც.

XII საუკუნის 25 წლებს, დავით აღმაშენებელი უახლოვდება ოსეთს და ოსთა მეფეს, ამათის რჩევით ირთავს ყიფჩახელ მეფის ქალს, ამავ დროს, დავით აღმაშენებლის მოძღვართ-მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი გარდასახლდა **ოსეთში**, სადაც ოსეთში ბევრი რამ საქმენი შექმნა. ამ მწიგნობარ პირმა ოსეთში დაჭყო თორმეტ წელიწადს. იქვე ოსეთში გარდაიცვალა, ამის გარდაცვალება დავით აღმაშენებელმა დიდათ იგლოვა, თვითაც კი ჩაიცვა შავები. ამავე დავითმა გაანთავისუფლა ოსეთი არაბთა ფლობისაგან. რასაც აქვს საინტერესო ისტორია და დიდი კავშირი ქართველი ერის ისტორიასთან. ოსების არაბთა გათავისუფლებაზედ მთელი წიგნი დაიწერება.

გიორგი ჭყონდიდლის ცდით, XII საუკ. ოსეთში ვრცელდება ქრისტიანობის და მის სწავლა-განათლების პატივისცემა. ამასთან იხსნება საერო და სასულიერო სკოლები, ვრცელდება ქართული მწიგნობ-

რობა და ოსები იწყებეხ ქართულად მწიგნობრობასაც. ამავე საუკუნეში, ოსეთის მეფის ხუდანის ქალს ოსთა დედოფალს ბურდუხანს ირთავს საქართველოს მეფე გიორგი მესამე კურატპალატი. ბურდუხანი და ხუდანი ცნობილნი გახლავსთ სასაქართველოს ცხოვრებაში.

ოსეთი დაწინაურდა ისე, რომ ამავ XII საუკ. გიორგი მესამის დაი, გამოჩენილი რუსუდან დედოფალი თხოვდება ოსეთის ერთს მთავარზედ მეუღლედ შემდეგ ესევე რუსუდანი ზდის თავის შვილის მსგავსად ოსეთის მეფის ძე დავით სოსლანს, რომელიც შემდეგ დროს, რუსუდანისავე თავოსნობით მეუღლეთ ირთავს თამარ მეფეს. ესევე დავით სოსლანი მწიგნობარი ხდება იმოდენად რომ ბოლოს ქართულს ენაზედ მწიგნობრობასაც იწყებს და სწერს „ალლუზიანს", და სხვაც ბევრი ამ გვარ ისტორიული სამწერლო საქმენი გახლავსთ ოსეთის ერის ძველს ცხოვრებაში, რაც ოსეთის ერის ისტორიის ნაწილს შეადგენს.

XII საუკუნეში, ოსეთი ისე დაწინაურდა და ამალლებულა, რომ მაშინ ოსნი რიცხვით ორს მილიონზედ ავიდა... სამწუხაროდ, XIII საუკუნიდამ იგი მონგოლების შემოსევისაგან იჩაგრება, ოსეთის სამეფოც იშლება და უქმდება, რასაც აქვს მეტად დიდი ისტორია. შემდეგ საუკუნოებში ოსეთის ერი სხვა და სხვა სახელმწიფოების გავლენის ქვეშ ვარდებოდა, ოსებს იგინი დიდათაც სდევნიდენ, მაგრამ ოსებს აქვნდათ ისეთი სახალხო ძალა და სულიერი სიმძლავრე, რომ უცხოთა ხელში მათ ვერც ოსური ენა დაკარგეს და ვერც სრულიად გადაგვარდნენ, თუმცა მათ ყოველთვის სასტიკათ სდევნიდენ და ხარკშიაც კი შვილებს სტაცავდნე .

XVII საუკ. ოსეთის ერთ ნაწილში ისლამიც იქმნა გავრცელებული. რომლის მაღიარებელნი დღესაც სცხოვრებენ მათ'ში. ამასაც აქვს დიდი ისტორია.

ეს გახლავსთ მოკლე მიმოხილვა, ანუ შინაარსი ოსეთის ძველის დროის ისტორიისა და ჩვენის წიგნისა, ვგონებთ, რომ ეს ისტორიული პირობებიც კმარა მის საბუთათ რომ ოსების უისტორიობა, და უკულტურობა არავინა სთქვას, რადგანაც ასეა ოსეთის საქმე და ვისაც წარსული არა აქვსთ, იმათ არც მომავალი ექმნებათო.

ამიტომ ახლა ჩვენ ავნუსხავთ ოსთა ახალ-დროის ცხოვრების და მოქმედების პირობასაც, რაც ცხადია დღეს ყველგან და ვგონებ ესეც საკმარისი გახლდებათ მის საფუძვლადაც რომ სჩანს ოსებს წარსულიც აქვსთ, მისი ისტორიაც და მასთან ყოველივე ისტორიული ღირსებაც, და სწორედ ამიტომაც ოსებიც დღეს ასე აღორძინდნენ და დაწინაურდნენ ყოველნაირის მხრით. სჩანს ამათ წასულში ყოველისფერი ჰქონდათ რომ ესეთი მომავალიც მოჰყვა ამათ. XIX საუკუნის ნახევრის შემდეგიდამ, ოსეთის ერში უკვე გამოსჩნდა ამ ტომის გაღვიძების ნიშნები. ოსებმა 1860 წლიდამ ფხიზლად იწყეს თვალის გახილება, გონების სიფხიზლე. მათ ცხადლივ ემჩნეოდა იმის ნიშნებიც, რომ ჩვენ აქამდის რათ ვიყავით ასე დაძინებულნი, რათა ვართ უკან ჩამორჩენილნი, ან რათ გვიწოდებენ უკულტურო ერადო. ამიტომაც ოსები როგორც უკმაყოფილონი თავიანთ დაქვეითებულის ცხოვრების, ყველა საკულტურო საქმეს სიხარბის და შურის'ნის თვალით უმზერდნენ, ყველაფერს ნატვრით ეწაფებოდნენ და მასთან მალეც ითვისებდნენ. სკოლებში მათმა ბავშვებმა პირველი ადგილი დაიკავეს

ოსთა პავშვებმაც კარგის სწავლით სახელი განითქვეს.

გამოჩნდა კარგად იმ განაჩენის სიცრუე, რასაც ოსების შესახებ ზოგი ერთნი ამბობდნენ და ოსეთის ერის ენერგიულათ თვალის გახილებამ საფუძველი აღაგო მის შესახებ, რომ ოსებს აქვსთ მომავალი და ამ მომავლის უარყოფას ვერავინ იტყვისო. ეს ცხადი ჭეშმარიტება გახლავსთ შემდეგის მაგალითებით.

რასაც ჩვენ აქ ეხლა მოვიყვანთ, რაც ცხად ყოფს ყოველივეს. რაკი ოსებს შეუდგინეს ახლად მოგონებული ვითომც და ოსური ანბანი, ამ ანბანის მოგონებას მართლაც თან მოჰყვა ოსების თვალთ გახილვა. იურიდიული ცოდნის სიყვარული ოსებში ისე წავიდა წინ, იგი ისე გავრცელდა, რომ მარტოდ ჯავის ხეობის ოსის გლეხთა შვილებთაგან რუსეთის უნივერსიტეტებში, იურიდიულს ფაკულტეტზედ 72 კაცი სწავლობს და იურისტად ემზადებიან გამოსვლას. ასე პროგრესიულათ აღორძინება ოსებს უაღრესად დაეტყოთ პოეზიაში, ანუ მელექსეობასა და ლექსთა თხუზვაში, მაინც როგორც ქართველები, ოსებიც მელექსეობაში ერთობ კოჩაღები არიან, თვით ოსური ენაც ისეთი ენა გახლავსთ, რომ ოსის გლეხს, ანბანის არ მცოდნესაც კი ეადვილება შაირების თხზვა, ანუ ლექსების მოწყობა, მეშაირობა. ამით იგინი ძრიელ ჰგვანან ქართველებს. ოსებს შაირებიც მრავლად აქვსთ.

ამიტომაც ოსებში უადვილესად გამოსჩნდენ ოსეთის ერის მგოსნები, რომელთაც თუმცა არავითარი მომზადებული ასპარეზი არ აქვნდათ, არც წინა მორბედთ ოსთა მამათ მთავარ მგოსნები ჰყვანდათ, მაგრამ მათ დასძლიეს ყოველ დაბრკოლებას და ოსეთის ერისათვის შექმნეს სიტყვა-კაზმულ პოეზიის მწერლობის

ასპარეზი, ასეთ მგოსან მოღვაწე პირებათ თავლებიან მგოსანნი **კოსტა ხეთაგუროვი**, ალექსანდრე **კუბალოვი**, ვლადიმერ **გურჟინბეგოვი**, ბორის **ალბოროვი**, ალექსანდრე **ცაგალოვი** და ზოგნიც სხვანი. ამათში პირველი ადგილი უკავია **კოსტა ხეთაგუროვს**. საერთოდ კილო ამ მგოსნებისა არის ოსეთის ერის დავრდომილ ცხოვრების გაუმჯობესობის და პროგრესიულად აღორძინების. ყოველი მათი სტრიქონი სავსეა. მაღალის კეთილშობილურის აზრებით ოსეთის ერისადმი ღირს სიმპატიურის სიყვარულით და ევროპიულის იდეების პატივისცემით, მასთან ბევრიც სანაღვლონი.

დღეს, ოსებს უკვე თვისი გულის და სულის გასამაგრებელი პოეზია უკვე გაჩაღებული აქვსთ. ოსებს ამათ კარგი მომავალი მოელის და ოსებში ბევრი ბრწყინვალე პოეტიც დაიბადება. ამის ნიშნები ოსებში ჩვენ უკვე ვნახეთ, მელექსეობის და პოეზიის ცარიელ ასპარესზეთ ოსთა მგოსნები შესანიშნავის სურათებით გამოსჩნდენ, მელექსეობის კილოც მათ შესანიშნავად შეამუშავეს და განასპეტაკეს, ეს ჭეშმარიტება არის და მელექსეობის კილოსაც შემუშავების კილოთი იპყრეს ხელთ. ოსურ მწერლობში დღეს უკვე მოიპოვება ბევრი ისეთი მარგალიტი ლექსები რაც თვით რუსულს და ევროპიულს მწერლობასაც არ მოსჭარბდებათ, ყველა ოსის მგოსანი პროგრესისტია და თან ცხარე რიალისტი მიმართულებით. უმთავრესად კი ეს მგოსნები უმეტესად ოსეთის ერის დაქვეითებულ ცხოვრების კითხვებს ეხებიან ოსთა ვაებით სავსე ცხოვრებას.

ოსეთის ერის გულ-შემატკივარ მგოსნებს გვერდ მოსდევენ ოსთა პუბლიცისტებიც. თუმცა ოსებში ესეც ახალი გახლავს და არცა რა ამათ პუბლიცისტიკას აქვს მომზადებული ნიადაგი, მაგრამ ოსთა შორის,

გამოსჩნდეს ისეთ გულ-შემატკივარ, მამულის შვილები, რომელთაც ამ მწერლობის ასპარესზედაც გამოდგეს ფეხი და თავიანთის მშვიდობიანის კილოთი ოსთაგან მოიპოვეს დიდი თანაგრძობა და პატივი. ასეთ პუბლიცისტები გახლავან **გიორგი** (პაპპო) **ბაევი**, ალმასხან **კანუკოვი**, ბიძინა **კოჩიევი**, პეტრე **თედეევი**, ცოცკო **ამბალოვი**, ასლან მირზა **ყაითმაზოვი**, ექვთიმე **გულიევი** და სხვანი.

ყოველ ამათგანს მწერლობაში აქვს კარგი კილო ჰაზრი და იდეია. ამათ თავიანთი კალმით ოსურს მწერლობაში კარგი ბეჭედი შეიტანეს... ოსთა პუბლიცისტები სულ რიალისტები არიან და მასთან ევოლიუციის მიმდევარნი. ამათ ისეთი სამეცნიეოო კილო აქვსთ, როგორც ევროპიის განათლებულ მწერლებს. საერთოდ კი ამათი გულის მისწრაფებაც პირდაპირ ოსეთის ერის დაქვეითებულ ცხოვრებას შეეხება, მათს უბედურებას, ყველა პუბლიცისტის ნატვრა არის ოსეთის ერის მეცნიერულად მომზადება, ამაღლება და დაწინაურება. ამათის ცდით სოციალურმა განვითარებამაც იჩინა თავი ოსებში, ოსთა აზრიან პულიცისტებს, მოსდევენ ოსთა ბელეტრიტებიც. ოსებში თუმც მწერლობა ახლად აღორძინდა, ყველაფერს ეხლა მიეცა დასაწყისი, მაინც მიუხედავათ ამის მწერლობის ყველა მხარეს თავის ღირსება ეტყობა, ასევე გახლავსთ ოსეთის ბელეტრისტების სამწერლო საქმეც, ოსებში ბელეტრისტიული მწერლობაც აღორძინდა. თავის შესაფერად და მის ასპარესზედ რამდენიმე ოსთა აზრიანი ბელეტრისტეპიც გამოჩდენ, ესენი უმეტესად ოსეთის ერის ცხოვრებას დასტრფიან გარს და უმეტეს მათ ცხოვრების სიდუხჭირესა და ვაებით სავსე გარემოებაზედ სწერენ, თარგმნასაც მისდევენ, სთარგმნიან ოსეთის ერისათვის გა-

მოსადეგ მოთხრობებს, ამათ ქართულიდამ ოსურად გადასთარგმნეს და ცალკე წიგნად დაბეჭდეს იაკ. გოგებაშვილის წიგნი „იავ-ნანამ რა ქმნა“ მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეთა და მომქმედთა გარდა, აწინდელ ოსთა შვილებმა, სხვა და სხვა სამოქალაქო ასპარეზზედაც გამოდგეს ფეხი, მაგალითებრ ოსებში უკვე თვალთ საჩინოდ მოჩანან მკურნალნი და დოსტაქარნი, დღეს ოსებში, უკვე გამოჩენილ მკურნალთა რიცხვი არსებობს, დღეს ამათში ამით ცნობილია დოქტორ **გულიევი**, დოქტორ **ტულანოვი**, დოქტორ **ხეთაგური**, და ბევრნიც სხვანი კარგათ მომზადებულნი, სპეციალურად განათლებულნი. ამათ რიცხვში არის ისეთ დოქტორიც რომელსაც თანამდებობა უკავია ხელმწიფის საგვარეულო ოჯახში, ასევე ზოგნი გახლავან სხვა და სხვა სამოქალაქო და საზოგადო, საავათმყოფოთა გამგებად და უფროს ექიმებათაც. როგორც ვიცით, ყველა ეს ექიმნი თავიანთ თანამემამულეთა სამკურნალო საქმეებსაც ჯეროვანად აქცევენ ყურადღებას და მასთან ბევრს სიკეთესაც სთესენ მკურნალობით ოსეთის ერში.

მკურნალობის მცოდნეთა გვერდით სდგანან ოსთა ვექილნი და ვექილობის მიმდევარნი, ანუ ნაფიც ვექილნი, მათ თანაშემწენი და კერძო ვექილნიც, რომელთა რიცხვი ოსებში არ არის მცირე რიცხვი, ო

ვექილებში არიან ისეთნიც, რომელიც პირველ ხარისხის წევრნი გახლავან. ესეც ოსთა შორის ინთსულ ახალია, მაგრამ ოსთა ნიჭიერთა შვილებთა რიცხვში, როგორიც მკურნალობის ასპარეზზედ, აქაც ბალე გამოდგეს ფეხი და დღეს ოსეთის ერს უკვე ბოეპოვება თავის შვილებთაგან რიგიანად განათლებულ მომზადებულ ვექილობის მცოდნენი. ასეთ პირთა სახელებს ჩვენ აქ არ ვასახელებთ, ვინაიდგან ეს ჭეშმა-

რიტება ყველასთვის ცხადია. ოსებში უკვე სახელოვნებენ გამოჩენილნი ვექილნი.

მკურნალთა და ვექილებს მოსდევენ ოსთა სხვა და სხვა დასთა მსწავლულნიც. მაგალითებრ პედაგოგები, როგორც მაღალის ხარისხის, ისევე დაბალის ხარისხის. ბევრს მათში უმაღლესი სწავლაც აქვსთ მიღებული და თანამდებობა უკავიად ქალაქის საშუალო და მაღალ სასწავლებლებში. ასეთ მასწავლებლებთ გარდა სოფლის სკოლის მასწავლებელთა რიცხვიც დიდია.

ოსთა პედაგოგებთ შორის არიან ისეთნიც, რომელნიც საკმარისად სახელოვნებენ. ოსეთის ერის განათლების საქმეს გულ-მტკივეულად ეკიდებიან. ესენი ოსურს ენაზედ მწიგნობრობასაც მისდევენ. ზოგს მათგახს ოსურს ენაზედ ნაწერი და ნათარგმნი პედაგოგიური წიგნებიც აქვსთ, თუმც არა ბევრი, მაგრამ მაინც სანაქებო და საპატიო შრომა ძიუძღვისთ. ოსთა სოფლის სკოლის მასწავლებელნიც საკმარისად ერთგულად ედებიან ოსეთის ერის განათლების საქმეს, მიტომაც მათგან საკმარისად მრავლდება ოსთა სახალხო სკოლები და მასთან იგინი ოსთა ბავშვებსაც ახალისებენ სწავლისთვის.

ასეთ პედაგოგნი ღირსნი არიან ჩვენგან პატივის ცემით დასახელების, მაგრამ ჩვენ ამას ვსტოვებთ, ვინაიდგან მათი ღირსება ყველგან პატივცემული გახლავსთ. მასწავლებელთა დარგს მოსდევს ოსეთის სამღვდელოების ამაგი და შრომაც.

ოსეთის ერი საქრისტიანოს ისტორიით ერთობ ძველია. ოსთა სამღვდელოების სწავლა ძველადგან ხან ბერძნულად ვითარდებოდა, ხან ქართულად, ხოლო ყოველ დროს, იგინი ცხარედ იცავდენ ოსურ ენის არსებობის საქმეს, ეკკლესიებში სახმარ იარაღად

ყოველთვის ოსურ ენას ხმარობდენ. XVIII საუკ. ოსეთის სამღვდელოება დაუახლოვდა რუსეთის სასულიერო სასწავლებლებს, ზოგ მათგანმა მოსკოვის აკადემიაშიაც დაამთავრეს სწავლა, როგორც მაგალითებრ მოზდოკელ ქართველ მღვდელ ბაზალაძესთან ერთად ოსებიც სწავლობდნენ. 1782 წლებს, თელავის სემენარიაშიაც შევიდენ ოსთა შვილები სასწავლებლად, რომელთაც მფარველობდა ანტონ კათალიკოზი და ამავ სემენარიის რექტორი გაიოს ნაცვლიშვილი, XIX საუკუნეშიაც ოსებმა მარდათ იწყეს სწავლა საქართველოს სემენარიასა და სასულიერო სასწავლებლებში.

დღეს, ოსეთის სამღვდელოების საკუთარ სემენარიად ითვლება არდონის სემენარია და ქართველებთან ერთად თფილისის სემენარია, ასევე სხვა და სხვა სასულიერო სასწავლებლები. ოსეთის სამღვდელოება უკვე თვალთ საჩინოდ არსებობს, მათში მოიპოვებიან ისეთნიც რომელთაც აკადემიური სწავლაც აქვსთ მიღებული. ასეთი გახლავსთ პატივცემული მღვდელი ქრისტეფორე ჯიოევი, რომელიც დღეს თფილისის კლასიკური გემნაზიის მოძღვარი ბრძანდება და მასთან სამღრთო სჯულის მასწავლებელიც. ასეთ მსწავლულ მოძღვარნი ოსებში უკვე გახლავან, ჩვენ ავნუსხავთ ისევ მათს საზოგადო ღვაწლის ცნობებს.

ოსეთის სამღვდელოება დღეს ოსეთის ერის წინაშე ერთგულად იღწვის და სინიდისიერად, მასთან დიდს მეცადინეობას იჩენენ, რომ ეს ერი როგორმე დააწინაურონ, განათლებით წინ წაიყვანონ, მათში დაამკვიდრონ სწავლა-განათლების პატივისცემა. უაღრესად მეცადინეობენ მასთან, რომ ოსეთის ერში მოსპონ ცრუ-მორწმუნეობა და სხვაც ათას ამ გვარნი, რაც ოსეთის ერს შხამავს სასტიკათ, ყოველივე ამა-

ებთან იგინივე მოქმედებენ დიდი ქელეხების წინააღმდეგ, ბევრს ისეთ საქმეს ეწინააღმდეგებიან, რაც პირდაპირ მათი შესავლის წინააღმდეგიც გახლავსთ, მაგრამ ამის მხრივ ოსეთის სამღვდელოება საქებია და დიდათ ვალ გადახდილი ოსეთის ერის წინაშე. ასეთი სამღვდელოება ღირსი არის არამც თუ ოსეთის ერისთანა მრევლის არამედ ევროპის განვითარებულ ხალხისაც. სამღვდელოებაში არიან ბევრნი ისეთნიც რომელნიც ოსეთის ერის სასარგებლოდ გონივრულადაც იღწვიან... ოსეთის სამღვდელოების ამაგი ოსებზედ უკვე დამსახურებულია და გამოჩენილი, რომელსასაც ოსები ფარს ვერ ჰყოფენ. იგინი დაუცხრომელად შრომობენ ოსეთის ერის აღორძინება. ვინ ამაღლების ბედნიერია ოსეთის ერი, რომ მათ უნიადაგო სამღვდელოების ასპარეზზედ, აწინდელმა მათმა სამღვდელოებამ ასეთი კარგი ენერგია გამოიჩინა, ასე კარგად ემსახურებიან ოსეთის ერის დაქვეითებულ ცხოვრების ტერესებს.

სამღვდელოებას შემდეგ მოსდევს ბევრი რამ საკეთილო საქმენი, და შეგნებულ მშრომელთა რიცხვის აღორძინება, მაგალითებრ ოსებში გავრცელდა მეურნეობა და ამათში გაჩნდნენ ამის კარგი სპეციალისტებიც. აქამდე ოსებს თფილისში სოფლებიდამ მარტოდ ხილი, ოსური ყველი და შეშა ჩამოჰქონდათ გასაყიდათ, ეხლა კი მათ სხვაც ბევრი რამ მოსავლის შემოტანა იწყეს.

ასევე ოსებში გაჩნდნენ სხვა და სხვა ტეხნიკოსები, მექანიკოსები და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ასეთნი, რომელთაც ევროპიული სხვა და სხვა ხელოსნობის კაი შეგნება აქვსთ. ამ გვარად, დღეს ოსებში ბრავლად მოიპოვებიან ხელოსან მშრომელნი, რკინის გზის ქარხნებშიაც მრავლად მუშაკობენ, ასევე

ხვა და სხვა დიდს ქარხნებშიაც მრავლად სჩანან, წვრილს სახელოსნო ქარხნებშიაც უხვად მოიპოვებიან ხელოვნურად კარგად ნასწავლნი.

ამ უკანასკნელ დროს, ოსებმა ვაჭრობაშიაც იჩინეს თავი, ქალაქ ადგილებში ოსებს ხშირად ნახავთ არამც თუ პატარა ვაჭრებს, არამედ კაი შეძლების მექონ ვაჭრებსაც, ზოგი ამათგანი სოვდაგრობს, ზოგი კაი თანხასაც ატრიალებს, ასეთებს კაცი თფილისშიაც ნახავს ხშირად, ასევე კავკავს, გორს, გროზნას, მოსდოკს, ყიზლარსაც სადაც კი ოსები სცხოვრებენ და რაც ცხადათ სჩანს ყველას წინაშე.

ოსებს XIX საუკუნიდამ, ერთის მხრით თუმცა სამხედრო რაინდობის ვარჯიშობა ხელიდამ ჩამოერთვად, რაც ეს მათ თვით დრომ და ცხოვრების გარემოებამ მოუტანათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ოსები უბრალო ურიადნიკობას და ასეთ სამსახურს გარეშე, არც სამხედრო ნიჭიერებით ჩამორჩნენ და მათგან XIX საუკუნეში, რუსეთის მხედრობის წინაშე, ხშირად გამოდიოდნენ სახელოვანი სამხედრო პირნი, რომელთა ზოგნი უმაღლეს ხარისხის ღირსებასაც მიაღწევდენ ხოლმე, ასეთების ოსებში ხსენებულს საუკუნეში ყოველთვის ყოფილან, ოსებს დაღისტნის ომშიაც ხომ დიდი შრომა და ამაგი მიუძღვისთ, დღესაც, რუსეთის სამხედრო ასპარეზზედ სიამოვნებით ბრწყინავენ მრავალნი და მათ შორის სახელოვან პირებათ ითვლებიან შემდეგნი: გენერალი **სოზორყო ხორანოვი**. რომელიც დაჯილდოებულია სხვა და სხვა ნიშნებით და მასთანავე არის სასახლის მოხელე. გენერალი **ისაია** პეტრეს ძე **გაიტოვი** დაჯილდოებული სხვა და სხვა ნიშნებით, სცხოვრებს კავკავს. კვალად გენერლები **ინალ** ტიგას ძე **ყუსოვი**, გენერალი **გუცოვი**, **ბაევი**, გენერალი **ტულანოვი** და ბევრიც სხვანი ზოგნი

დახოცილნი და ზოგნი ცოცხლები დღესაც, რომელნიც საკმარისად ამშვენებენ ოსეთის ერის სამხედრო ნიჭიერებას.

რაც აქ ჩვენ სხვა და სხვა გახყოფილებათა მცოდნენი მოვსთვალეთ, ვგონებთ საკმარისი გახლავსთ ესიმის საბუთად ითქვას, რომ ოსები დღეს ის აღარ არიან, რაც ისინი ამ ორმოცი წლის წინეთ იყვნენ, დღევანდელი ოსეთი სულ სხვა არის და არა ის რაც წინედ იყო.

დღეინდელი ოსეთის ერის აღორძინების საქმეებას გვაძლევს ესთქვათ შემდეგი: ზოგიერთი მეისტორიენი და მწერლები გადაწყვეტით ამბობდნენ, რომ ოსებს წარსული არა აქვსთ, ამიტომ არც მომავალი ექნებათო. განვლო დრომ, დღეს ჩვენ უკვე მოვესწარით ამასაც, რომ ოსებში უკვე ბევრი რამ აღორძინდა და ამ აღორძინების ნიშნები ჩვენც მოვიყვანეთ აქ დასახელებით, ვგონებთ, რომ ამით უქმდება ზემოხსენებულ მწერალთა განაჩენი ოსების შესახებ.

სჩანს მათი განაჩენი ერთ მხროვნი ყოფილა, სჩანს ოსებს წარსულიც ჰქონდათ, მის ისტორიაც და ამიტომაც ამ XIX საუკუნეს, იგინი აღორძინებასაც მიეცნენ. ოსების უკან ჩამორჩენა იყო დროებით და ამიტომ მათზე ისეთი განჩინების წერა არ იყო სამართლიერი, რასაც ზოგიერთები გვასმენდენ. ოსებს აქამდე ეძინათ, ეხლა მათ გაიღვიძეს და ამ მოკლე დროში მომავლის ცხოვრების აღორძინების ტრფიალების ნიჭიც გამოიჩინეს. ოსებს აქვსთ ისტორია და მათ მომავლის არსებობის ცნობებიც უჩანსთ. ამას გვათქმევინებს მათი აწინდელი ცხოვრების აღორძიხების საქმენი.

ოსეთის „საქრისტიანო კომისია“.

XVIII საუკ. ოსეთს დიდი ყურადღება მიაქცია პეტრე დიდმა, იმ დროის რუსეთის მთავრობას ქართველ ეპისკოპოსებმა გააცნეს ოსეთის ერის გარემოება და ისიც, რომ ოსნი იმ დროს ქრისტიანები იყვნენ და მათში ზოგნიც ახლად გამაჰმადიანებულნი. ამიტომაც რუსეთის მთავრობა და ნამეტურ სინოდი დიდ ყურადღებას აქცევდა ოსებს ქრისტიანობის მხრივ.

ისტორიით ვიცით, რომ 1720 წლების შემდეგ, რუსეთში ქართველ ეპისკოპოზნი სცხოვრებდენ მრავლად, ასევე არქიმანდრიტნი და მღვდელნიც, ამიტომაც რუსეთის მთავრობამ ამ ქართველ მღვდელ მთავრებს დაავალა ოსეთის ერის პატრონობა და მათში ქრისტიანობის დაცვა-მფარველობა. ქართველთაგან მისიონერებსაც ნიშნავდენ ოსეთში, რომელნიც მარჯვედ მოქმედებდენ, ოსეთში დაუცხრომლად. ქართველ მისიონერები ოსურ ენასაც სწავლობდენ, რადგანც ქართველ ეპისკოპოზების კრებულებში ხშირად ოსნიც იყვნენ სასულიერო მსახურებათ.

ქართველ ეპისკოპოზთა ცდა ისეთი იყო, რომ 1730 წ. სამისიონეროდ თვით ოსთაგანნიც გაჩნდენ უკვე, რომელნიც მოქმედებდენ ოსეთში ოსურის ენით. რუსეთის სინოდი ქართველ მისიონერებთან ერთად ნიშნავდენ რუსის მღვდელთა და დიაკვნებსაც, რომელნიც ოსეთში სცხოვრებდენ და საქრისტიანო საქმეებს მართავდენ. ამათ სინოდისაგან კაი ჯამაგირიც ეძლეოდათ. უმთავრესად კი მაშინ ოსეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა, ხოლო ზოგ რამს ოსურადაც უხსნიდენ.

ოსეთის საქრისტიანო კომისია 1730 წლებში საკ-

მარისად გაძლიერდა, რადგანც ამ კომისიაში განაგებ-
დენ ქართველი ეპისკოპოზებს გარდა ვახტანგ მეექვსის
ძენი და მასთან სხვა და სხვა ქართველთ მწიგნობარ-
ნიც, ნამეტურ ქართულ სტამბის გამხსნელნიც შრო-
მობდენ ოსეთის ერის სასარგებლოდ და უმთავრესად
ქრისტეფორე გურამიშვილი, შემდეგ ეპისკოპოზი, რო-
მელმაც ბევრი ამბები იცოდა ოსეთის შესახებ, ამის
შემდეგ უმთავრეს მოღვაწედ ითვლება ეპისკოპოზი
იოსებ სამებელი, ნინო წმინდისა. ამათის ცნობებით
„ოსეთის საქრისტიანო კომისია“ 1740 წლებში უკვე
დიდათ გაფართოვდა. ამ კომისიის მეთაურებმა ოსებ-
ში ქართველ მღვდელ მთავრების დახმარებით მძლავ-
რად დაიწყეს მოქმედება. ანტონ პირველის რუსეთში
გადასახლების შემდეგიდამ კი სინოდის წინაშე გაირ-
კვა ოსეთში საეპისკოპოზო კათედრის დაარსება, რის
მეთაურიც ანტონ პირველი კათალიკოზი გახლდათ.
ხოლო ეს ვერ მოხერხდა და ამიტომ ოსეთის საქმენი
დაუქვემდებრეს ასტრახანის ეპარქიას.

ამიტომაც ქართველთ მღვდელთმთავრების, არქი-
მანდრიტების და მისიონერების უმთავრეს ბინად
ასტრახანი იქმნა დადგენილი, სადაც მართლაცა და
ქართველნი მრავლად სცხოვრობდენ იქაურ ეპისკო-
პოზის გვერდით და ესენი ოსებზედაც კარკად მოქ-
მედებენ, რასაც ანტონ პირველიც ადევნებდა თვალ-
ყურს, ამათის ცდით, 1760 წლებს, ოსეთში სკოლებიც
დახსნეს, სადაც ოსთა შვილებს ქრისტიანობას და ქარ-
თულ და რუსულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ან-
ტონ პირველს ამაშიაც კაი ცდა მიუძღვის. ანტონის
შემდეგ 1770 წლებს, **იოსებ სამებელს**, იოსებს ნატვრა
აქვნდა ოსეთის საეპისკოპოზოს დაარსება კავკავს,
მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ამ გარემოებას გაიოს ნაც-
ვლიშვილიც უწყობდა დიდათ ხელს.

ანტონ კათალიკოზის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1764 წ. ოსეთის კომისიის სასარგებლო მოქმედება თფილისშიაც განცხოვლდა, რის მეთაურადაც ითვლებოდა ანტონ პირველი. ანტონმა თფილისში ჩამოაყვავინა ოსთა სამღვდელო პირებათ მოსამზადებელნი პირნი და მათ დაუწყეს თფილისში ეზადება. ანტონის დროს გამოიზარდა მთელი ჯგუფი ოსთა სამღვდელო პირების, იგინი თვით მანვე აკურთხა და მერე ოსეთში დანიშნა იგინი მოძღვრად, ამ გვარად 1770 წლების შემდეგ ოსეთში ოსთა სამღვდელოების რიცხვი უკვე გაბრწყინდა. ამის რიცხვმა ისიც გამოიწვია, რომ ოსებისთვის განახლებულ იქმნა ორი საეპისკოპოზო ტაძარი წილკნელის და ნიქოზელის. ამ ეპარქიის ეპისკოპოზებს მიენდოთ ოსეთის ერის სამღვდელოების საქმენი.

ანტონ კათალიკოზმა თფილისში და თელავში პირველად გახსნა სემენარიები, თელავის სემენარიის რექტორად იყო გაიოს ნაცვლიშვილი. ამ სემენარიაში ოსთა ძენიც მოკრიბეს მოწაფედ. შემდეგ დროს, ანუ 1786 წ. გაიოს ნაცვლიშვილი რუსეთში გადასახლდა. ამან კვალად განაახლა ოსების შესახებ ცდა და შრომა. გაიოსი ჯერედ კრემენჩუგს გადიყვანეს და მერე იქიდამ ყიზლარის ეპისკოპოზად დანიშნეს. ყიზლარში გამგეობის დროს გაიოსი ოსების სასარგებლოდ დიდათ შრომობდა. ოსურს ენაზედ ზოგი რამ ლოცვებიც დააბეჭდინა. ყველა ოსის მღვდელნი ოსებს წირვაზედ სახარებას ოსურად უხსნიდენ. გაიოსმა იქ გახსნა ოსური სტამბა პირველად. გაიოსი ყიზლარს გარდა მერე მოსდოკშიაც სცხოვრებდა, იგი მოსდოკის ეპისკოპოზადაც ირიცხებოდა, სასულიერო საქმეები კი მაინც წილკნელის იყო. გაიოს ნაცვლიშვილმა ოსეთში გაამრავლა ეკლესიების შენება, სკოლების

დახსნა, ოსური წიგნების ხმარება და ოსური ენით ეკლესიებში ქადაგებანი.

ყოველივე ასეთ საქმეებს რასაკვირველია რუსეთის სინოდი ეხმარებოდა, ფული მათი იყო, მოქმედება კი, ქართველ ეპისკოპოზის და ქართველ მისიონერების. XVIII საუკ. დამლეევს საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, 1812 წ. გაუქმდა კათოლიკოზობა და ამიტომ გაუქმებულ იქმნა ოსთა საეპისკოპოზო წილკნელის სახელიც, ამის შემდეგ ოსეთის სასულიერო საქმენი დაკავშირებულ იქმნა საქართველოს ეგზარხოსის გამგეობასთან.

რადგანც ეგზარხოსი ოსეთზედ შორს იყო, ამიტომ ოსეთის საქმენი მიწერილ იქმნა გორის საეპისკოპოზოსედ და ოსეთს განაგებდა გორის ეპისკოპოზი ანუ ეგზარხოსის ვიკარი. ამ ხნიდამ ოსეთის სასულიერო საქმების გამგეთ იყვნენ შემდეგი ეპისკოპოზნი ანუ მღვდელ-მთავარი გორისა.

დოსითეოს ეპისკოპოზი გვარად ფიცხელაური, ოსური ენის მცოდნე დანიშნულ იქმნა 1812 წ. განაგო მცირე ხანს, იცოდა ოსური ენაც.

გერვასი გვარად მაჭავარიანი. დანიშნულ იქმნა 1814 წ. იცოდა ოსური ენა.

სტეფანე ძველად რუსთველი, გვარად თავ. ჯორჯაძე, 1821 წ. იცოდა ოსური ენა.

ნიკიფორე, წინედ ხირსელი გვარად თავ. ჯორჯაძე 1821 წ. კაი მგალობელი, იცოდა ოსური ენა.

იოანე, გვარად ავალიანი დანიშნული 1859 წ.

გერონტი, გვარად პაპიტაშვილი. 1869 წ.

ალექსანდრე, ოქროპირიძე, ცნობილი მღვდელ-მთავარი. 1879 წ.

ლეონიდი, ოქროპირიძე, ცნობილი მღვდელ-მთავარი. 1890 წ.

კირიონი, ცნობილი მღვდელ მთავარი. 1900 წ.

ამ მღვდელ-მთავრებში ოსთაგანი არავინ არის, პირველ ოსის ეპისკოპოზთაგან დღემდე არავინ კურთხეულა, თუმც ანტონ პირველს კი ჰყოლია. ერთი ოსის არქიმანდრიტი მომზადებული და ეპისკოპოზათ უნდა ეკურთხა, მაგრამ არ დასცალდა თურმე და ავად გახდა, კურთხევამდის გარდაიცვალა. ეს საეპისკოპოზო პირი ყოფილა ოსის მღვდლის შვილი, თელავის სემინარიაში გაზდილი. ანტონის და გაიოსის გაწვრთნილი. 1780 წლებში, ოსთა ქრისტიანეთა რიცხვი 20,0000 ათზედ მეტი ყოფილა. გაბაჰმადიანებულთა რიცხვი კი 10,0000 ათასზედ მეტი.

ოსეთის საკუთარ საეპისკოპოზო ტახტად დანიშნულ იქმნა კავკავის ტაძარი და მასზედ აყვანილ მღვდელ-მთავარიც ოსეთის ეპისკოპოზად იქმნა წოდებული 1875 წ. ამიერიდამ კავკავის ეპისკოპოსი და მის ვიკარიც ითვლებიან ოსეთის მღვდელ-მთავრებათ. ამის შემდეგ ოსების საეკლესიო საქმენი ყიზლარის და სტავროპოლის ეპისკოპოზებსაც გამოეყო, იგი კავკავის ეპისკოპოზს და საქართველოს ეგზარხოსის გამგეობას დაექვემდებარა. დღეს ოსეთის ეკლესია ასეთის გამგეობის წყალობით შეერთებულია საქართველოს ეკლესიასთან. კავკავის ეპისკოპოზიც თავის ვიკარით ოსეთის მღვდელ-მთავრად ითვლება, იგი დაკავშირებულია საქართველოს ეგზარხოსის სინოდის გამგეობასთან.

„ოსეთის საქრისტიანო კომისიის ისტორიაში“ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ივანე მანგლელის ცხოვრებას და მოქმედებას, რომელიც ოსებს გარდა დაღისტანშიაც ბრძანებულა, დაღისტანში ამას ეკლესიაც გაუკეთებია 1750 წლებში ამ ივანე მანგლელს ოსური ენა და ამ ენით ქადაგებაც კარგად სცოდნია. იგი დასაფლავებულია სიონში. ამაზედ პ. იოსელიანიც სწერს.

ოსეთის სამეფოს გვარის წევრნი.

ისტორიულად დასაბუთებულია რომ მონგოლებმა დაიპყრეს ოსეთი, მათ ოსეთში ქვა-ქვაზედ დაადუღეს, ამ დროამდე ოსეთის ერი ირიცხებოდა 2 მილიონამდე, მონგოლების ხელში კი იგინი ერთ მილიონზედ ჩამოვიდნენ, მერე კი სულ კლებას მიეცნენ, ოსებს ესენიც ასახლებდენ აქეთ იქით. მონგოლების განდევნის შემდეგ, ოსეთს კიდევ ეწვია უბედურება, ეს იყო 1490 წ. როცა სპარსთა უზუნ-ჰასანმა ქართლი დაიპყრა, მაშინ ოსეთიც ამის ხელში მოთავსდა. ამანაც შეასუსტა ოსეთის ერი და სამეფო.

თუმცა ოსნი მცირდებოდნენ და სუსტდებოდენ, მაგრამ მათ მაინც შესძლეს მონგოლებისაგან განთავისუფლება. შემდეგ იგოდენი სულის ძლიერება გამოიჩინეს და თვისი სამშობლოს არსებობის დღეგრძელობა, რომ მათ შორის უადვილესად გამოსჩნდენ ოსთა ძველ მეფეთა შთამომავალთა ძენი, რომელთაც მოიწადინეს ოსთა სამეფოს გამართვა, აღდგენა და ბევრის ცდით ამათ ეს მოახერხეს კიდეც, გამართეს ოსთა მეფობის მთავრობა, აღადგინეს სამეფო წესები, სამეფო კანონდება, სამეფოდ მორიგი ლაშქარიც, სალაშქროდ სადროშოები და სამეფო კანონებიც, ამაში ოსებს გიორგი ბრწყინვალეც დიდათ ეხმარებოდა. ეს უტყუარი საბუთია, რადგანაც გიორგი ბრწყინვალე ოსებს გარდა მთის ხალხებსაც დიდათ სცემდა პატივს, მიტომაც მისცა გიორგი ბრწყინვალემ მათ „ძეგლის დება“ რაც ოსებსაც შეეხებოდა, ამის ნიშანია ნ. ურბნელის შრომა: **„ძეგლის დება გიორგი ბრწყინვალისა“** თუმცა ოსებს XIV საუკ. მეტად ბნელი დღეები დაუდგათ და იგინი მძრავლად შესუსტდენ, მაინც სულიერად არ ეცემოდენ.

ოსები თავიანთ მიწა-მამულის, ანუ ტერიტორიის მიჯნებს სასტიკათ იცავდნენ, ასევესაგვაროვნო გარდმოცემას, ოსურ ენას და ბევრსაც სხვა ღირს შესანიშნავ მხარეებს ოსეთის ერის ისტო-

რიის და ღირსებისას. სამწუხაროდ, მონგოლების შემდეგ, ჩვენი მატიანე ოსეთის შესახებ დიდათ მდუმარებს, ქართველთ მემატიანეთ და მეისტორიეთა აღარ სცალოდათ ოსეთის საქმეების მზერის და ანუსხვის, ვინაიდგან მათ თვით საქართველოს ანუსხვაც უპირდებოდათ, რადგანაც აქაც ყველაფერი შემუსრვილი და დამხობილი გახლდათ. თუმცა ისიც ვიცით, რომ მონგოლების შემდეგ ოსთა და ქართველთ კავშირი ისე განახლდა, რომ იგი XVIII საუკ. ბოლომდე არ დარღვეულა.

მონგოლების განდევნის შემდეგიდამ, ოსეთის ერმა იმეცადინა და თვისი სამეფო აღადგინეს, მეფედ ჰყვეს ოსეთის ძველ მეფეთა შთამომავალთაგანი, რომლის შემდეგაც განაგებდენ მის მომდევარ გვარის კაცნი. თუმცა ამ გარემოების შესახებ ჩვენი მატიანე არას გადმოგვცემს, მიუხედავათ მისი, მაინც ამ ორიოდ აღდგენილ ოსეთის სამეფო პირთა გამგეობის ცნობები XVIII საუკ. ერთად შეუკრებიათ და მოუთავსებიათ ძველს ხელთნაწერ დავით გარესჯის მონასტრის სამკითხველოში დაცულს წიგნში. ოსეთის ამ ახლად გამეფებულ მეფეთა შესახებ გარდმოცემა როგორც ვნახეთ, ჩვენც ისე მოგვყავს აქ, მის სინამდვილეზედ ვერაფერ რა ექვს იტყვის.

იმას კი შევნიშნავდ, რომ ამ წიგნის . აღმწერი არ უნდა ყოფილიყოს მწიგნობარი პირი, ამ პირთა სახელების ანუსხვაში ამას სახეში ჰქონია მიბაძვით ბაგრატიონების შთამომავალთა პირთ აღწერის კილო, როგორც იგი მოთხრობილია „ქართლის ცხოვრების“ იმ ალაგებში, სადაც სამცხე-საათაბაგოს აღწერა იწყება, ხოლო ისიც მას ისე კი არ დაუწერია, როგორც აქ არის, არამედ უკულმა რომ ვინმემ მიბაძვა არ დამწამოსო. „ქართ. ცხოვრებაში“ ჯერედ მამანი მოიხსენებიან დამერე მათ ძენი მაგალითებრ: „მოკვდა ბაგრატ მეფე — კაშეფდა ძე მისი გიორგი, მოკვდა გიორგი მეფე „კაშეფდა ძე მისი დიმიტრი“ ამ წიგნში კი ჯერედ შვილს მოიხსენებენ, რომ „თევდორე მეფის მამა იყო ბათრაძ და ამის მამა ხოსროვ“ ეს კილო უკულმართია, უცნობი აღმწერი იმასაც სწერს ამ სიტყვებით-

ერთ ალაგას, „რომ ოსეთშიაც მოხუცნი ასე იტყვიან ღღეშდის, რომ ამ სახლის მეფენი და მთავარნი განაგებდნენ ოსეთშიო“. უეჭველია ამის ცნობები ოსებმა თუ 1740 წლებში იცოდნენ ზეპირად, ამის ამბების ბევრი თუ არა მცირე ოდენი მაინც ოსებში დღესაც იქნება დარჩენილი, მატიანე არ გადმოგვცემს. მეც მარტო აქ ის მომყავს რაც ვპოვე მასში ამ სამეფო გვარის შესახებ, ოსეთის პირველ მართველი ყოფილა სიდამონ მეფე და შემდეგ ამის შთამომავალნი, სიდამონის გვარი ბაგრატიონი ყოფილა. ამ სიდამონ ბაგრატიონ თამარიანის შესახებ არაფერია მოხსენებული, მოყვანილია მხოლოდ შემდეგი, რომ ამ სიდამონ მეფის გვარის შთამომავალთა გვარის ოსეთში მეფობდენ შემდეგი სახელის მეფენიცო, როდის გამეფდენ ესენი, ან როდემდის იმეფეს ამათ გვარის წევრთ არც ამაზეა ცნობა მოყვანილი, მარტოდ სახლებია და ამიტომ ჩვენც პირდაპირ მარტოდ სახელები მოგვყავს ისე, როგორც იქ არის ეს მოთავსებული.

I **სოსე**, ოსთა მთავარი თუ მეფე, სამწუხაროდ, ამ ოსთა გამეფებულთა შესახებ არც ძველი ისტორია და არც ხალხის გარდმოცემა არას გვაუწყებს, თუ ამ გამეფებულებს რა ძალა, რა ცოდნა და რა ცხოვრების წესები აქვნდათ მიღებულნი, ან სად იყვნენ განსწავლულნი. II ძე სოსე მეფის **დავითი**, ამის ძე III **ჯიორჯი**. ამის ძე IV **ბისლანდ**, ამის ძე V **მუსა**, ამის ძე VI **სოზრიკო**, ამის ძე VII **ოთა**, ამის ძე VIII **ბეზონი**, ამისი ძე IX **ყაისნი**. ამათ შთამომავალთაც დიდ ხანს უმეფნიად ოსეთში, ასე რომ XVIII საუკ. მოსწრებიან იგინი. წიგნის დამწერი ერთ ალაგას სწერს: „ოსეთში ხალხიც ლაპარაკობს ამას და ოსთა მოხუცნიც იტყვიან ამ მეფეთა და მთავართა სახელებსა“. უეჭველია ოსეთის ერში ამათ შესახებ რამე ცნობები იქმნება დაშთენილი. მაგრამ ვინ არის მისი მძებნელი და შემკრები, არავინ, ძებნა კი არა და ოსებს თუ რამ აქვნდათ, მის უმეტეს ნაწილი ნუზალის საყდარში იყო დაცული და ყოველივე

იგინი მღვდელს რუსიეეს მოუკრებია და მიუმალავს, თვით ამ საყდრის სურათებიც ამას გადაუთხპნია და მოუსპია მტრობით! არ ვიცით ამ მტრობის მიზეზები.

მაგრამ ოსეთის ერსა და ისტორიას, ნ. გამრეკელის სიტყვით „ინელათ მოცულს“ ბედათ დაჰყოლია დაკარგვა, მოპარვა, გაქრობა, გადალახვა და მით ყოველივეს მოსპობა, მიტომაც გახლავსთ, რომ ქართლის ოსეთს გარეშე შუაგულ ოსეთში აღარაფერია დაშთენილი ოსთა ძველის ნაშთების, თვით ძველის ტაძრების და თუნდ ოსთა მუსულმანთა ჯამეების, რომელთა კეთებაც XVII საუკ. მიეწერება და რასთანაც მტკიცედ არის შეკავშირებული ოსეთის ერის ისტორიული ცნობები XVII საუკუნიდამ.

უცნობი ხელთნაწერის წიგნის აღმწერი ასე ასაბუთებს მონგოლების შემდეგ, ოსეთში, ოსთა მეფეთა აღდგენის საქმეებს.

პირველი პირი, ანუ სამეფო გამგე, განახლებულ ოსეთის ტახტის XIV საუკ. ყოფილა ვინმე **თევდერ ბაგრატიონი**, ოსეთის ანუ დავით სოსლანის შთამომავალი, რომელიც თამარიანადაც იწოდებოდა თურმე, ამ ოსთა პირველ გამთავრებულ მეფე, თუ მთავარს ჰყოლია ხუთი ვაჟი.: პირველი ყოლია **გამზა**. ტახტის მემკვიდრედ ეს ყოფილა დანიშნული. **მეორე** იყო **ლხასი** ამას ეკავა ახლად გამართულ მთელის ოსეთის ვეზირობაო, ანუ ახლანდურად იყო შინაურ საქმეებთა მინისტერი, მესამე **თადი**. უფროსი მთელი ოსეთის თავად-აზნაურობის, ანუ ერისთავთ ერისთავი. მეოთხე იყო **ბიაზარ** ამას რაღაც დაუშავებია თავის მამის წინაშე, ამიტომ იგი ოსეთიდამ განდევნილი ყოფილა. მეხუთე ყოფილა **რევაზი**. მეფის მიშკარბაში და მასთან მთელის ოსეთის საქმეების მდიეანი. ე. ი. როგორც მეფის კანცელესი **თევდერეს** შემდეგ ოსეთის სამეფო ტახტზედ მისი ძე გამზა გამთავრებულა. ამიტომაც ძველთაგან ამ გვარის დამარსებელთ სურათიც დასტული ყოფილა ძველად ნუზლის საყდარში, საიდამაც 1750 წ. გად-

მოუხატავთ ცნობილს ძველს ხელთნაწერში და საიდამაც გადმოუღია იასონ დავითის ძე ციციშვილს.

ამ თევდერ მეფის წინაპარნი და შთამომავალნი ყოფილან შემდეგნი, რაც მარტოდ სახელებით არიან მოყვანილნი, სხვა რამ ისტორიული ცნობები ამათ შესახებ მასში არ არის მოხსენებული.

თევდერეს მამა იყო **ბათრაძ** ამის ძე **ხოსრო**, ამის ძე **ოს ბაყთარი**. ეს ოს ბაყთარი V საუკუნის არ იფიქროთ, ოსურად ბაყთარი გმირს ეწოდება, ალბათ ესეც გმირი ყოფილა. ოს-ბაყთარის ძე **გარსო**, ამის ძე **თგა**, **თგას** ჰყოლია ოთხი ვაჟი I **სიდამონი** II, **ცარაზონი** III, **წიხლონი** და IV **ყუსაგონი**. ამათ შთამომავალთ ოსეთში XVIII საუკ. უმეფნიად, იგინი მეფე ერეკლეს ძეებსაც მოსწრებიან და რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების მოსურნენიც ყოფილან.

ცნობები ოსეთის ისტორიის და სურათების შესახებ.

ოსეთის ისტორიის ბედი, იმავ დღიდამ უბედურს გარემოებაში მოთავსებულა. ისეც „ბნელით მოცულ“ ერს მეტად მწარე გარემოებითი პირობები შემოხვეია გარს. ამ ერის ისტორიას და ნაშთებს იმავ დროდამ მოსპობა და ქცევა, ნგრევა და გაქრობა ბედათ ვლენია. ამ გარემოებას ბევრნი გულ ახსნით ლაპარაკობენ და უბედურებას ბევრნაირის ცნობებითაც ასაბუთებენ.

ამავ სამწუხარო გარემოებას ცხადათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ოსეთში თუმცა ქრისტიანობის შემდეგ სხვა და სხვა ისტორიული ნაშთები და სკოლები ხშირად შენდებოდენ, როგორც ეს მოხდა დავით აღმაშენებელის დროს, მის მღვდელმთავარ გიორგი ჭყონდიდლისაგან, მაგრამ ყველა ასეთ ნაშთების დღეს ოსებში აღარაფერია დაშთენილი.

ამიტომაც 1890 წ. მე დავიწყე ქართულ დაბეჭდილ ისტორიულ წიგნებში ქექა და სადაც კი ოსებზედ რამე ცნობე-

ბი ვნახე, ყველა იგინი ერთად შევკრიბე და ამ გვარად მე შევადგინე ერთი წიგნი, რომელიც იწყება ოსეთის დაარსებიდამ XVIII საუკ. გასვლამდე. ქართულ დაბეჭდილ წიგნებს გარდა მე ხელთნაწერი ძველი ქართული ისტორიული წიგნებიც მაქვნდა და მათ შორის ერთი ისტორიული წიგნი ბიზანტიურ წმიდანების ცხოვრების, სადაც სხვათა შორის ალაგ-ალაგ მოთავსებული იყო ოსეთის მეფეთა ამბები და ზოგი სურათები. რადგანაც ეს წიგნი მისმა პატრონმა ჩვენს წერ. კითხ. გამგეობას არ მიჰყიდა, ამიტომ აქედამ მე გამოვწერე ყველა ის ცნობები რაც კი ოსეთის ერს შეეხებოდა, 1903 წ. ეს წიგნი მე დღუბრუნე მის პატრონს ვასილი თედეშვილს. ეს ხელნაწერი წიგნი დაწერილია დავით გარესჯის მონასტრის ერთის ოს ყოფილი ბერისაგან, რომელსაც ოსეთის ისტორიის შესახებ ცნობებიც უკრებია და უწერია, ეს ბერი უნდა იყოს ანტონ კათალიკოზის მოწაფეთაგანი. შემდეგ წლებს ეს წიგნი დროებით გადასულა მხატვრის გიგო ზაზიაშვილის ხელში, შემდეგ ამის ეს ხელთნაწერი წიგნი დროებით უთხოვნია ქართველ მწიგნობარის და მხატვრობის მცოდნე იასონ დავითის ძე თავ. ციციშვილს, ამათ გადმოუხატავს ამ წიგნიდამ ყველა ის სურათები რაც დღეს ჩვენს წიგნშია მოთავსებული, რისთვისაც მათ უძღვნი მადლობას. დღეს ამ ძველი წიგნის საქმე მის პატრონმა იცის.

ამ წიგნიდამ მე ყველაფერი ცნობები თავისებურის სისწორით გადმოვიღე, ჩემი აკინძული წიგნი 1906 წ. მზათ მქონდა დასაბეჭდათ, მაგრამ იგი ვერ დავბეჭდე, 1910 წ. ჩემი გარემოება ისე მოეწყო, რომ ჩემის სახლიდამ, ჩემი წიგნები ფაიტონით სხვაგან გადიტანეს, ეს წიგნები 1912 წ. მე დამიბრუნდა, აქ ოსეთის წიგნის მარტოდ ნახევარიღა აღმოსჩნდა, აქ ოსეთის წიგნის მარტოდ ნახევარიღა აღმოსჩნდა, და შიგა და შიგ ბევრი ფურცლებიც იყო გამოცვივნულნი. ამ გარემოებამ მე ერთობ დამაღონა.

როგორც იქმნა წიგნი მოვაგვარე და გავბედე მისი გა-

შოცემა უფრო იმ აზრით, რომ უჩვენო მკითხველს თუ ძველადგან XVIII საუკ. გასვლამდე რა გვარი კავშირი აქვნდათ ოსებსა და ქართველებს ურთიერთ შორის და ან ოსები როგორ იცავდენ ქართულ მწიგნობრობას და ენას, დავბეჭდე კვალად იმის შიშითაც რომ დანარჩენის დაკარგვის შიშიც მქონდა. ვასილ თედეშვილმა ამბათ გადმოსცა, რომ ჩემი ისტორიული წიგნი ძველად ნუზალის საყდრიდამ არის გატანილი, ასევე ცნობები არის დარჩენილი, რომ ამ საყდრიდამ ოსეთის ისტორიის მასალები და წიგნები მღვდელ რუსიევსაც მოუპარავსო. რასაც „ალლუზიანის“ გამომცემი ისტორიკოსი ნ. გამრეკელიც ამბობდა თურმე, თვით პოემა „ალლუაზიანიც“ ამ საყდრიდამ ყოვლა გატანილი. აქ ბევრი ისტორიული მასალები დაკარგულა ოსეთის შესახებ, ნ. გამრეკელიც ჩასახელებს ამ მასალების დაკარგვის ცნობებსო.

ამ წიგნის წინაშე ვკითხულობდი შემდეგ ქართულ-რუსულ ისტორიულ წიგნებსაც.

„ქართლის ცხოვრება“, ჩუბინაშვილის და ბროსეს გამოცემა.
ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია.
საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა.
პროფესორი მარის ისტორიული წიგნები.
პროფესორი ივ. ჯავახიშვილის წიგნი.
პროფესორი ალ. ხახანაშვილის წიგნები.
მოსე ჯანაშვილის ისტორიული წიგნები ქართული და რუსულიც.
სამი ქრონიკა ექვ. თაყაიშვილისა.
ივ. გიორგაძის წერილები ჟურ. „მოამბე“-ში.
პლატ. იოსელიანის ნაწერები. დიმ. ბაქრაძის ისტორია. ნიკო ბერძენოვის ნაწერები გაზ. „კავკასში“. ლუკა ისარლოვის ნაწერები.
დეკ. კორ. კეკელიძის ნაწერი რუსული წიგნები.
ისტორიული ქრისტომატია ალ. ჭყონიასი. „მოამბის“ ნომრები.
ნ. ურბნელის ნაწერი. წიგნები.
საქართველოს ისტორია ხელნაწერი დიდომში ნაპოვნი.
წმიდათა ცხოვრება უცნობი ბერისა დავით გარესჯიდამ

ზ. ქიჯინაძე მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 32 № რი.

ამ წიგნის საწყობი: მიხაილოვის ქუჩა, სახლი № 18
ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „განთიადი“

ფასი ერთი მანათი

ამ წიგნის თოთხმეტი ფორმა კერესელიძეს სტამბაში დაისტამბა დანარჩენი „სორაპანს“.